საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ფასი 1,50 ლარი

№40



გვ. 70

როგორ გათხოვდა მარიამ დათუკიშვილი სანდრო ქოიავას „ლელოს“ მაისურით და რატომ ეცვა სიძეს საკუთარ ქორწილში შორტები და ბუცები

გვ. 18

ვინ გახდა თორნიკე შენგელიას რჩეული და როდის დაიწყო მათი სიყვარული

გვ. 19

როგორ შეხვდა კახა მიქიაშვილი ნუკი ცარელაშვილის გათხოვებას და რა ურთიერთობა აქვთ კახას შვილებს ერთმანეთთან

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 50

რა სიურპრიზი გაუკეთა ნუკა გვალიამ მეუღლეს და რატომ გადავიდა ის დედის გვარზე



როგორი ქალი გამოჩნდა ნოდიკო ტატიშვილის ცხოვრებაში და როდის მიიღებს ის ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას

გვ. 74



გვ. 22

ვინ არის დათო ხუჯაძის ცხოვრებაში მთავარი მანდილოსანი და რა ასწავლა მას პირველი ქორწინების წარუმატებლობამ



გვ. 14

როგორ დაქორწინდა ლევან პირველი ავსტრიაში და რატომ გამოუყვეს მას ვენაში ჯავშანტექნიკა

**იღბლიან კვირას გისურვებთ!**

# „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელ კომპლექსში უკვე ბინების რემონტი მიმდინარეობს

*დეველოპერულმა კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ დაასრულა საცხოვრებელი კომპლექსის კორპუსების გადახურვა და ბინების რემონტი დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 170 ბინაში შიდა სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულდა; ასევე, გარემონტდა და მოეწყო ერთი საჩვენებელი ბინა (შოურუმი), სადაც, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, ნახონ, თუ როგორი იქნება გარემონტებული ბინა; ასევე, შეაფასონ დიზაინი და სარემონტო სამუშაოების ხარისხი. რაც შეეხება საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას, რომლის საერთო სამშენებლო ფართი 63,247 კვადრატული მეტრია, ის 2012 წლის 2 აპრილს დაიწყო. დღეისთვის ბინების გაყიდვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, კერძოდ, კომპლექსში ბინების 76 პროცენტამდე უკვე გაყიდულია. „m²“ თავის მომხმარებელს სთავაზობს მხოლოდ მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალებით შესრულებულ რემონტს და მკაცრად იცავს მშენებლობის მიმდინარეობის ხარისხსა და ვადებს. ამ ყველაფერს კი, „ჰოლანდიის განვითარების ბანკის“ (FMO) მოთხოვნით, ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია „აეკომი“ ახორციელებს და საკუთარ თავზე იღებს მშენებლობის მონიტორინგსა და მასზე სრულ კონტროლს.*



**ირაკლი ბურდილაძე** *(„m² უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე):* საცხოვრებელი კომპლექსის – „m² იპოდრომთან“ მშენებლობა 2012 წლის აპრილში დავიწყეთ. დღეისთვის საცხოვრებელი კომპლექსის ცხრავე კორპუსი გადახურულია და აქტიურად მიმდინარეობს ბინების რემონტი. ამასთან, სულ ახლახან მოვაწყვეთ საჩვენებელი ბინა – შოურუმი, სადაც ბინის მფლობელებს საკუთარი თვალით შეუძლიათ, იხილონ, თუ როგორ გამოიყურება ბინა დასრულებული სახით. როგორც კომპლექსის მშენებლობისთვის, ისე რემონტისთვის, გამოიყენება მხოლოდ მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალები.

**– ბევრი კომპანია მომხმარებელს არ სთავაზობს ბინის რემონტს. რით არის თქვენი შეთავაზება კლიენტისთვის მომგებიანი?**

– ბინის რემონტი დეველოპერი კომპანიისთვის ზედმეტი თავის ტკივილია, მაგრამ, კლიენტისთვის – უზარმაზარი კომფორტი. პირველ ყოვლისა, მობინადრეები ერთდროულად შეძლებენ საცხოვრებლად გადმოსვლას და არ იქნება სადარბაზოებში გაუთავებელი რემონტები; ასევე, ხელსაყრელია ფინანსურადაც, რადგან, დამოუკიდებლად რომ გააკეთონ რემონტი, მინიმუმ ორჯერ უფრო ძვირი დაუჯდებათ. ბინის მფლობელებს დიდი არჩევანი აქვთ მასალების შერჩევაში, მაგალითად, გვაქვს ლამინატის 20-ზე მეტი ნიმუში, აგრეთვე, საკმაოდ დიდია ფერთა პალიტრა. გარდა ამისა, ჩვენი კომპლექსის მცხოვრებლები მიიღებენ სპეციალურ სერვისს: დაცვა, გამწვანება, ლიფტების, სადარბაზოებისა და ეზოს მოვლა. სპეციალური სამსახური იზრუნებს საერთო მოხმარების ფართის მოვლა-პატრონობაზე. ამ ეტაპზე კომპლექსში არსებული ბინების 76 პროცენტი გაყიდულია.

რაც შეეხება პირობებს, ბინის შეძენის მსურველთათვის მოქმედებს შიდა განვადება. შიდა განვადებით სარგებლობის შემთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 25 პროცენტს, ხოლო განვად-




ების ვადა 2014 წლის სექტემბრამდეა. დარჩენილი თანხის დაფარავა შესაძლებელია განვადების სასურველი გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის დასრულებამდე, უზრუნველყოფას კი მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს.

**სოფი ლორია**

# კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ მომხმარებელს ერთობლივ აქციას სთავაზობენ

უპროცენტო განვადება უპრეცედენტო პირობებით!

მაღაზიათა ქსელი „სმაილი” და ბანკი „რესპუბლიკა” საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობენ: მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ 0-პროცენტიანი განვადების განსხვავებული პირობებით. კერძოდ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა ისე, რომ ნივთის ღირებულების გარდა, ზედმეტი თანხა არ გადაიხადონ.

პირობები მარტივია: განვადება – 0%, ბანკის საკომისიო – 0, წინასწარი შესატანი – 0%.

აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და ექსკლუზიურად მხოლოდ „სმაილის“ მაღაზიათა ქსელში samsung-ის ნებისმიერ ტექნიკაზე ვრცელდება (კონდიციონერებზე, ნოუთბუქებსა და ნეთბუქებზე; მიკროტალღურ ღუმლებზე, მაცივრებზე, მტვერსასრუტებზე, ტელევიზორებზე, სარეცხ მანქანებზე, დივიდი ფლეერებზე, ფოტოაპარატებზე, სახლის კინოთეატრებზე, მობილურ ტელეფონებზე.)

კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა„ მომხმარებელს ნოვატორულ აქციებს 2013 წლის დასაწყისშიც სთავაზობდნენ. კომპანიებმა საზოგადოებას 2-წლიანი, მოგვიანებით კი 3-წლიანი 0%-იანი განვადება პირველებმა შესთავაზეს.

„სმაილის“ მარკეტინგის წარმომადგენლის, ხათუნა ნოზაძის თქმით, „სმაილმა“




ამჯერადაც გაითვალისწინა საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა და ბაზარზე ინოვაციური პროექტით გამოვიდა: „ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს შესაძლებლობა აქვს შეიძინოს ნებისმიერი ნივთი, მათ შორის – ძვირად ღირებული ტექნიკაც, რომელიც აქამდე მისთვის მხოლოდ ოცნების საგანს წარმოადგენდა და ნივთის ღირებულება სასურველ პერიოდზე თანაბრად გადაანაწილოს ისე, რომ ზედმეტად არც ერთი თეთრის გადახდა არ მოუწევს”, – აცხადებს ხათუნა ნოზაძე.

„მოხარულები ვართ, რომ მომხმარებლებისთვის ასეთი მოსახერხებელი და უნიკალური პირობების შეთავაზება შევძელით. ეს საქართველოში პირველად ხდება და, დარწმუნებულები ვართ, რომ აქცია ბევრს გაახარებს!“ აცხადებს ბანკ „რესპუბლიკის“ წარმომადგენელი, ნათია ფრანგულაშვილი.

მომხმარებელი samsung-ის ფირმის სასურველი ნივთის 0-პროცენტიანი განვადებით შეძენას შეძლებს მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით ყოველგვარი პირველადი შესატანისა და დამტკიცების საკომისიოს გადახდის გარეშე.

კომპანიებში აცხადებენ, რომ აქცია „სმაილის” ქსელში გავრცელდება თბილისსა და შემდეგ რეგიონებში: თელავში, რუსთავსა და ბათუმში, ჭავჭავაძის №31-ში მდებარე ფილიალში.

# თინათინ მაჩაიძის სწორი დიაგნოზები და მკურნალობის უსწრაფესი და უნიკალური მეთოდი

**უცხოეთის ქვეყნებში აღიარებული, დღეს თითქმის ყველასთვის საკმაოდ ცნობილი ექიმი-ბიოენერგოთერაპევტი, ექსტრასენსი, ფსიქოლოგი, საერთაშორისო კლასის მკურნალი, ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრი თინათინ მაჩაიძე პაციენტების მიღებას აგრძელებს.**


თინათინ მაჩაიძე

*თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, დაუყოვნებლივ მიაკითხეთ ექიმ თინათინ მაჩაიძეს, რომელიც განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური მეთოდებით მკურნალობს. აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, მის მიერვე დასმული დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა: ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები და რაც ყველაზე მთავარია, თინა ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს. ასევე, გეტყვით, რომ თინა ექიმის მკურნალობის უტყუარმა მეთოდმა პაციენტის ფოტოსურათზეც გაჭრა, მის დაუსწრებლად, რაც სასწაულის ტოლფასია.*

*რადგან თინათინ მაჩაიძეს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს, მის მადლიერ პაციენტებს მოვუსმინოთ:*

**თეონა კალანდარიშვილი** *(40 წლის):* ნევროზის უმძიმესი ფორმით ვიყავი დაავადებული. მაწუხებდა შიშები, ჰაერის უკმარისობა, შინაგანი კანკალი, სხეულის სიმძიმე, თავის ტკივილი, გაბრუება, მუდმივად ცუდის მოლოდინში ვიყავი. ხალხმრავლობას ვერ ვიტანდი. ამ სატანჯველისგან ქალბატონი თინათინის წყალობით გავთავისუფლდი. გულით ვლოცავ ამ მართლაცდა ღვთისნიერ მკურნალს და უღრმეს მადლობას ვუხდი!

**ილია კაკაურიძე** *(54 წლის):* ქალბატონ თინათინთან ნაღვლის ბუშტის ანთებამ და კუჭ-ნაწლავის პრობლემებმა მიმიყვანა. მასთან მისვლა ჩემმა მეგობარმა მირჩია. ისე აქებდა და ისეთი მადლიერებით იხსენებდა მას, რომ რწმენა გამიჩნდა. მაგრამ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ, სრულიად ჯანმრთელი ვარ!

**ვახტანგ თარგამაძე** *(44 წლის):* ჩემი დაავადება რადიკულიტი და ნერვის ანთება იყო. ამ დაავადებამ ახალგაზრდა კაცი თითქმის ავადმყოფად მაქცია. განკურნების იმედი დავკარგე. სხვადასხვა სახის მეთოდები მირჩიეს, მაგრამ შედეგი ვერაფერმა გამოიღო. ქალბატონ თინათინთან მეუღლემ მიმიყვანა. მართალი გითხრათ, განკურნების იმედი არ მქონდა, მაგრამ რამდენიმე სეანსის შემდეგ, უკვე შვება ვიგრძენი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. მადლობა ჩემს გადამრჩენელ ქალბატონს!

**მარიამ გიორგაძე** *(51 წლის):* საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მიძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონ თინათინთან მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**ზაურ ნემსაძე** *(63 წლის):* ქალბატონ თინასთან ჩემმა შვილებმა მიმიყვანეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი: მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი. სამი სეანსის შემდეგ შვება ვიგრძენი. სულ 15 სეანსი დამჭირდა. გთხოვთ, ყველამ იწამოთ და დაიჯეროთ სასწაულის, რომელსაც ქალბატონი თინათინი უშურველად გასცემს.

**მაია თვალჭრელიძე** *(35 წლის):* თინა ექიმთან თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვხვდი. ამიტომ, თქვენს მკითხველს მინდა ვუამბო ჩემი ისტორია: ორი შვილის დედა ვარ, ბედნიერი ოჯახი მქონდა, მაგრამ ჩემმა მეუღლემ სხვასთან წასვლა არჩია, რამაც საშინელ დეპრესიაში ჩამაგდო. თავის მოკვლაც ვცადე. ამქვეყნად თინა ექიმმა დამაბრუნა. სიცოცხლის ხალისიც მაქვს და რწმენაც გამიჩნდა. მე და თინა ექიმი დავმეგობრდით და ახლა ჩემი ვაჟი დამყავს მასთან ნაღვლის ბუშტის პრობლემების გამო. უღრმესი მადლობა თინა ექიმს და თქვენს ჟურნალს!

**თამუნა ახობაძე**

**დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ტელეფონით. ტელეფონები: 235-18-68 (ოფისი), 599-58-69-47, 555-12-78-30, 555-96-44-21. პაციენტთა მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით!**

# სარჩევი

მოჰყვება თუ არა საქართველო სირიის ხურდაში და ტერიტორიის ვის სასარგებლოდ დასათმობად ავლებს მავთულხლართებს რუსეთის ფედერაცია ცხინვალის რეგიონში ..... 6

რატომ ტოვებენ ეთნიკური რუსები რუსეთს, რომელიც მეორე ადგილზეა მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობით ..... 8

როგორ მოახერხა 2002 წელს სახელმწიფო ჩინოვნიკმა დავით ზალკალიანმა 40 000 ლარის დაგროვება საშემნახველო წიგნაკზე ..... 9

რატომ არჩიეს ჩრდილოეთ კავკასიელებმა ქართველებს აფხაზები და რატომ სძულთ აფხაზებსა და ოსებს ქართველები ..... 10

რის გამო იჯდა ციხეში ჩილეს ექსპრეზიდენტი სალვადორ ალიენდე და რამდენი მილიონი დოლარი დახარჯა ამერიკამ მისი სახელის დისკრედიტაციაზე ..... 12

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები, რომლებსაც სკოლა არ დაუმთავრებიათ ..... 13

როგორ მიულოცა დაბადების დღე ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილს ბაჩო ახალაიამ და რაში ვერ წაადგა მისი ჰალსტუხის ფერი თენგიზ გუნავას ..... 15

ადვოკატი გირჩევთ ..... 16

როგორ უნდა გადაამოწმოს ქალმა საყვარელი მამაკაცის ერთგულების ხარისხი ..... 20

როგორ ეძებს 49 წლის ქალბატონი მამას ლელიანში და ვინ გაყიდა შვილი 500 მანეთად ..... 21

ვინ იყო გენერალი ველიამინოვი, რომლის სახელსაც ატარებს თბილისის ცნობილი სახინკლე, რომელი ისტორიული მოვლენა მოხდა დეზერტირის ბაზრის ტერიტორიაზე და რომელ უბანში აშენდა ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ..... 23

როდის სჩადის ადამიანი მძიმე ცოდვას შეგნებულად და რომელი ექვსი ვნებისგან განშორება უჭირს მას ყველაზე მეტად ..... 24

ღვთისმშობლის სასწაულები ..... 25

ვინ იყო ყველაზე მაღალი კალათბურთელი კალათბურთის ისტორიაში და ვინ ითვლება ყველაზე მაღალ სპორტსმენად NBA-ს ისტორიაში ..... 26

ექიმის რჩევები ..... 29

ვინ არის ქალბატონი, ვის გამოც გოგი დოლიძემ სცენაზე იტირა და ვინ გაათენა ოცდაერთი ღამე მის საწოლთან ..... 30

როდის მძაფრდება ინტუიცია და წინასწარმეტყველური უნარი ადამიანში და რაზე მეტყველებს ხასიათის ხშირი ცვლილება ..... 32

რის გამო აქვს ჩინეთის საზღვრის გადაკვეთა სამუდამოდ აკრძალული ბრედ პიტს და რომელი ორგანო დაიზიანა მან ფილმ „ტროას” გადაღებების დროს ..... 34

რა ნივთები გააქრო ბერიამ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი სეიფიდან ..... 35

შეკითხვა ასტროლოგს ..... 36

რომელ ეტაპზე რა ასტროლოგიური რჩევები უნდა გავითვალისწინოთ, პირადი ცხოვრების ასაწყობად ..... 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ..... 45

კოსმეტოლოგის რჩევები ..... 47

როგორ იძია შური ქმრის მკვლელებზე ცნობილმა მსახიობმა ..... 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ..... 51

ვეტერინარის რჩევები ..... 56

ფლორის სამყაროში ..... 56

სასიყვარულო სამკუთხედი მამაკაცის 8-წლიანი პატიმრობით დასრულდა ..... 57

ქურდული ცხოვრება ..... 58

სერიული მანიაკები ..... 66

რას ურჩევენ ფსიქოლოგები პირველკლასელთა მშობლებს და რას არ უნდა დაამთხვიოთ შვილის სკოლაში მიყვანა ..... 71

ვინ შეუკვეთა ზაალ არაგვის ერისთავის მოკვლა მისსავე ძმისშვილებს ..... 72

რატომ გადის ნელ-ნელა მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე „კამელინი“ და როგორ დაინტერესდა მისი სამკურნალო თვისებებით ძალიან ბევრი ქვეყანა ..... 73

# ზურგზე შესასმელები

## „სწავლა სიკვდიმდე შენია“

კარგა ხანია, **არც მისი დალალები მოხვედრია ჩვენი ამომრჩევლის თვალებს** და **არც მისი ბაგეთაგან თქმული – ჩვენს მრავალჭირნახულ ყურებს**, მაგრამ, მაინც ვერ ვიტყვით, რომ **მისი აქტივობა დააკლდა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას,** თუმცა, აღმოჩნდა, რომ, **მართალია, თვალ-ყურს მოაკლდა, მაგრამ, ჯიბეს ისევ აწევს.**

კერძოდ, გაირკვა, რომ **საპარლამენტო უმცირესობის და, იმავდროულად, პარლამენტის ყველაზე ნორჩი წევრი, მარიამ საჯაია, სასწავლებლად ოკეანის გაღმა გაემგზავრა**. იგი **ვაშინგტონში მაგისტრატურის ერთწლიან კურსს გადის** თურმე და, **არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალს, ზედაც, შედარებით სამართალს ეუფლება** (ჯერ რომ დაუფლებოდა და შემდეგ ეკანონმდებლა, ვითომ, უფრო დაზარალდებოდა ჩვენი საკანონმდებლო ბაზა?!).

**ამ ფაქტში საოცარი არაფერი იქნებოდა** (ჯერ ერთი, ფრიად ნორჩია და, რაც მთავარია, გურამიშვილი გვასწავლის, რომ „მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“), **რომ არა ერთი „მაგრამ“; ამ ერთი წლის განმავლობაში, სანამ ხალხის რჩეული ქ-ნი საჯაია განათლების მორევშია გადაშვებული, მას პარლამენტარის ხელფასიც შეუნარჩუნდება და დანამატიც** (კარგია კარგი ცხოვრება!).

პარლამენტის საპროცედურო და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ქ-ნი **იმერლიშვილი აცხადებს, რომ** ქ-ნი **საჯაია სასწავლო შვებულებაში იმყოფება და, ამიტომაც, პარლამენტის რეგლამენტით, ხელფასი თავისი დანამატითურთ უნარჩუნდება.**

სამწუხაროა, რომ **გადასახადის გადამხდელისთვის არავის უკითხავს, ეთანხმება თუ არა დეპუტატების არათუ ასეთ არაადეკვატურად მაღალ-მაღალ ხელფასს**, მათთვის **ხელფას-დანამატის მუქთად გაცემას**, თუმცა, **რაკი ისინი ზემოთ არიან, ჩვენ ქვემოთ ვიმყოფებით**, ბარემ, **ფართის უფლებითაც ჩაგვეწერა და ზურგით გვეტარებინა?!** თუ ხარჯია, ხარჯი იყოს!

# ლაყაფის ფასი

## ანუ, სიყვარული მათრახით

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ქართული ენის ნორმებს მხოლოდ აბიტურიენტები თუ იცავენ მისაღებ გამოცდებზე, დანარჩენები** კი, უკეთეს შემთხვევაში, **თავის მიერ დაწესებული ნორმებით მეტყველებენ**, უარესში კი – **საერთოდაც, ვერ გაიგებ, რა ენაზე ლაპარაკობენ,** ცხადია, მეტად **დროულია განათლების კომიტეტში ინიცირებული კანონპროექტი, რომლის მიზანიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვაა.**



თუმცა, **კანონმდებელმა მათრახის პოლიტიკა არჩია** და **ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება გადაწყვიტა**, რასაც ამ ეტაპზე **მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და თანამდებობის პირები დაექვემდებარებიან** (ოღონდ, ამთავითვე გეტყვით, რომ **ეს უკანასკნელები ფრიად „ლაითად“).**

სახელდობრ, **მედიის წარმომადგენლები ქართული ენის სრულყოფილად არცოდნისთვის**, პირველ ჯერზე, **1 000-დან 5 000 ლარამდე დაჯარიმდებიან** (როგორც ჩანს, კანონმდებლები მოქმედებენ პრინციპით: მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო), ხოლო, **თანამდებობის პირები სახელმწიფო ენის არცოდნის მოტივით განცხადების ან წერილობითი დოკუმენტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, 200 ლარიდან 500 ლარამდე ჯარიმას გაინაღდებენ.**

თუ გავითვალისწინებთ, **რა ჩიქორთულად მეტყველებს ჩვენი არაერთი ჩინოვნიკი, გაუგებარია, რატომ მათაც არ დააკისრა კანონმდებელმა სანქციები** (სავარაუდოდ, **იმოქმედა მეფური პრინციპით: აბა, ჩემს შვილს ხომ არ მოვაჭრი თავსო**).

თუმცა, მე რომ მკითხოთ, **ჩვენებური პოლიტიკოს-ჩინოვნიკები, კანონით, მათ მიერ ნათქვამის შეუსრულებლობის გამოც მსხვილ-მსხვილი თანხით უნდა დაჯარიმდნენ** – იქნებ მაშინ მაინც მიხვდნენ, რომ **დუმილი ოქროა** და **მათ ლაყაფს არა მხოლოდ ჩალის ფასი აქვს, ჯიბესაც გვარიანად შეუთხელებს**.

# გადარჩენილები

## „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“

ჩვენმა **საკანონმდებლო ორგანომ სულ პირველად ამომრჩეველს იმით დაამახსოვრა თავი, რომ არასრულწლოვნებისთვის არასტანდარტული პრეზერვატივების მიყიდვა აკრძალა**, ხოლო **სკოლების სიახლოვეს მათ გაყიდვასაც დაადო ვეტო**.

სულ ახლახან გაირკვა, რომ **ჯანდაცვის სამინისტრო საკეისრო კვეთებზე აპირებს შეზღუდვების დაწესებას** (ჯერჯერობით, ერთი ისევ კაბას ვიცვამთ ჩვენს გემოზე), იმის პარალელურად, რომ **შსს-ს ინიციატივით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უხამსი ქმედებების გამო დავჯარიმდებით** (ერთი სიტყვით, **ჩვენი სახელმწიფო ფხიზლად დგას ჩვენს მოქალაქეთა მორალურობის სადარაჯოზე**!).



ზემოჩამოთვლილი **გადაწყვეტილებები** საზოგადოებამ არაერთგვაროვნად შეაფასა: **ზოგმა მოიწონა, ზოგმა – არა, ზოგისთვისაც – სულერთია**. თუმცა, მაგალითად, **იტალიის პარლამენტის ერთი სქესის წევრები პარლამენტის სხდომაზე, ლგბტ-ელთა უფლებების დაცვის მიზნით, ერთმანეთის ბაგეებს დაეწაფნენ**.

იტალიელ კანონშემოქმედთა გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, **ისევ ბუსუსებიანი პრეზერვატივის აკრძალვა ჯობდა**, რადგან, საჩვენებელ გაკვეთილებს მაინც ავცდით.


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჭავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# დიდი გასეირნება

## „ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ, როგორ არხევს ნავს ნიავი“

მას შემდეგ, რაც ამ ეტაპისთვის უკვე **ყოფილმა „ნაციონალებმა“ მშობელ პარტიას უგანეს, ზედაც, მათ არც „ქდმელები“ ჩამორჩნენ** (შესაბამისად, ზოგნი მმართველი პარტიის ნავში ჩახტნენ, ზოგნიც დამოუკიდებელ დეპუტატებად დარჩნენ), სავსებით ცხადია, რომ **უმრავლესობა დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ ორგანოში მმართველმა პარტიამ მოიპოვა** (პათოსით: „შენი იყო, ახლა – ჩემია“).



მეტიც, რაკი „დრონი მეფობენ“, ყოფილებმა **თავიანთ ყოფილს, ანუ, დედაქალაქის მერს ხმაც გაუმკაცრეს** (რასაც, მაგალითად, 2012 წლის ოქტომბრამდე თვით ყველაზე თამამ სიზმარშიც ვერ გაბედავდნენ). ჰოდა, რადგან ასე მოხდა, ერთ დროს „ნაციონალმა“, აწ კი გულმხურვალე (თუ ფარისეველმა) „მეოცნებემ,“ ბ-ნმა **შიხიაშვილმა** (რომელმაც ელვისებურად ჩააჩოჩა საკრებულოს თავმჯდომარის სავარძლიდან ბ-ნი სამადაშვილი), ბ-ნი **უგულავა დებატებში გამოიწვია** („გახსოვს, ტურფავ, **ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდით**“).

ბუნებრივია, **თბილისის მერმა შეთავაზებას წიხლი უკრა;** მეტიც, განა თვითონ იკადრა, წარმომადგენლის პირით ბ-ნ **შიხიაშვილს შეუთვალა,** რომ, რადგან **მისი ტოლი და სწორი არ არის, არც დაელაპარაკება** (თუმცა, ამ უარში არც უმისობაა, რომ **„ან მე მაშინ რა ვიცოდი, ან შენ გიჟმა რა იცოდა, რომ იმ ვარდზე ადრე შენი სიყვარული დასჭკნებოდა“).**

მეორე მხრივ, ბ-ნმა **უგულავამ სასეირნოდ პრემიერ-მინისტრი მიიწვია** (მთლად **ჰაინეს მოტივებითაც არა: „ნურას ფიქრობ ჩემზედ ავსა, გულს მხურვალედ ჩამეკარი“),** მეტად **პროზაული მიზნით: ალმაშენებლის გამზირის დასათვალიერებლად,** მაგრამ, ისიც შეთავაზებაზე წიხლნაკრავი დარჩა. ხოლო, რაკი **დიდი გასეირნება ვერ შედგა**, ბ-ნ **მერს არ აწყენდა, თავად შეეჭყიტა ალმაშენებლის გამზირის ფასადებს მიღმა, რაც იქ ხდება, მოყვარეს ვინ ჩივის, მტერსაც კი გულს გაუხეთქავს.**



# „პატრიოტების“ ცვენა

## „იდეებ რა ვუყო“

მართალია, **დედაქალაქში პრობლემები თავზე საყრელადაა, თუმცა, ჩვენს საკრებულოებს პატრიოტიზმის ჭია ღრღნის**: კერძოდ, **ხეირიანად არ მოგვენელებინა ის სიხარული**, **რაც** საკრებულოელთა მიერ **თბილისის უსახელო ქუჩებისა და ჩიხებისთვის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების სახელების დარქმევამ გამოიწვია ჩვენს გულებში** (და მერე რა, რომ არა მხოლოდ პერსონაჟების, გეოგრაფიული სახელწოდებებიც მიაყოლეს და ნურადინ-ფრიდონი „მურადინ-ფრიდონად“ გადანათლეს), **რომ ახალი ინიციატივაც ზვავივით დაგვატეხეს** („იდეებ რა ვუყო“ და, რა მათი ბრალია?!).



თუკი **იმ პირველის ავტორი უმრავლესობა იყო,** ეს **მეორე პატრიოტული მოტივით გაჟღენთილი ინიციატივა ახლა უკვე „ნაციონალური“ უმცირესობის თავში მომწიფდა** (პრინციპით, „ნაციონალი,“ „მეოცნებეზე“ ნაკლები მგელმა შეჭამაო).

არც მეტი, არც ნაკლები, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეფორმატორების“ თავმჯდომარემ, **თემურ გრიგალაშვილმა, მოსკოვის გამზირისთვის სოხუმის გამზირის დარქმევა მოითხოვა**. სახელდობრ, დედაქალაქელი საკრებულოელი ბრძანებს, რომ **„ბოლო პერიოდში რუსი ოკუპანტების მხრიდან განხორციელებულმა განსაკუთრებულმა ცინიზმმა, ძალადობამ, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამზირს არ შეიძლება ერქვას ოკუპანტის სახელმწიფოს დედაქალაქის სახელი**. საუბარი არის მოსკოვის გამზირზე.“

ჩვენ არ ვიცით, **რატომ გაეწელა ფიქრი 5 წელიწადს ბ-ნ გრიგალაშვილს** (მით უფრო, რომ მისი მშობელი პარტია, საერთოდაც, ხელისუფლებაში იყო და, რომ მოესურვებინათ, მოსკოვის გამზირს არათუ სახელს გადაარქმევდნენ, იქ ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ), ან, **რად არ ეგონა ცინიზმი 2008 წლის ომი** და, **როგორც ჩანს, ვერც გავიგებთ, რადგან, როგორც ილია ამბობს, ჩინოვნიკის გული ბნელიაო.**

რაც მთავარია, ბ-ნი **გრიგალაშვილის ამ მოთხოვნას საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე** ქ-ნი **მაჭავარიანიც გამოეხმაურა** და იდეა **მოუწონა**, ერთი ისაა, **ტელევიზიით გამოჭიმვამდე, უმცირესობის წევრებს ჩვენი კომისიისთვის მოემართათო.** ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **არც ოკუპანტები აპირებენ, შეაჩერონ მავთულხლართების გაბმა ჩვენს მიწაზე** და **არც ჩვენებური პოლიტიკოსების პატრიოტიზმს ეტყობა მინავლების ტენდენცია**, ქუჩები და გამზირები კი ჯერჯერობით გვაქვს, **ტერიტორიების დაბრუნებამდე ქუჩებისთვის სახელების გადარქმევ-გადმორქმევით მაინც შევიქცევთ თავს**.

# არც გვიღებენ, არც გვიშვებენ

## დაბმულ-გადაბმულები

თუ გავიხსენებთ, რომ **ევროპის მასშტაბით თავი უკვე გვაქვს მოჭრილი**, იმ მარტივი მიზეზით, რომ **ქართველი ქურდების სახელი შორსაა გავარდნილი** და **ევროპის ტერიტორიაზე დღე ერთია და რამდენიმე ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებას აკავებენ ძარცვისთვის**, შესაძლოა, **ლოგიკურიც იყოს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს მოქალაქის ქვეყნიდან გასვლაზე კანონში ახალი შეზღუდვის დაწესება.**

თუმცა, **თავად კანონმდებელი გვარწმუნებს, რომ ეს შეზღუდვები სხვა არაფერია, თუ არა კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა**. ჰოდა, **ამ შესაბამისობისა თუ საკუთარი სირცხვილის საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დატოვებისთვის, ამიერიდან** საქართველოს **მოქალაქეებს ქვეყნიდან გასვლა შეიძლება შეეზღუდოთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძებნილნი არიან ან ყალბი საბუთებით ცდილობენ ქვეყნის დატოვებას**, არამედ, მაშინაც კი, **თუკი მათი წასვლა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს არ შეესაბამება.**



ჯერჯერობით **არ დაკონკრეტებულა, თუ არც ძებნილი ვარ და არც გამყალბებელი, კიდევ რით უნდა შევუქმნა საფრთხე არათუ ჩემი სახელმწიფოს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას**, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ, **ევროპაში ისედაც დიდი გაჭირვებით გვიღებენ** (მაგალითად, ჩვენი რეგიონიდან ყველაზე ხშირად სწორედ საქართველოს მოქალაქეებს ეუბნებიან უარს ევროკავშირის ვიზებზე), როგორც ჩანს, **ახლა ჩვენებიც აღარ გაგვიშვებენ**. ხოლო, თუ ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ, **მიმდინარე წლის ექვს თვეში პატრულმა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 70 პროცენტზე მეტი ჯარიმა გამოუწერა საქართველოს მოქალაქეებს** (ისიცაა, არ დაარღვიო და ჯარიმასაც აიცდენ), **რაც მეტნი დავრჩებით, მეტსაც დავარღვევთ და ბიუჯეტსაც შევეწევით.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მან უკვე ზუსტად იცის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რასაც წინასწარვე ელოდა. საკუთარ თავს ერთადერთ პროევროპელ კანდიდატად მიიჩნევს და არ მოსწონს, რომ 27 ოქტომბერს საზოგადოების პროევროპულად განწყობილ ნაწილს თავისი პოზიციის გამოხატვის საშუალება არ ექნება. ამის მიუხედავადაც, იმ მარტივი მიზეზით, რომ გამოცდილი დიპლომატია, ქვეყნის საშინაო საგარეო რისკების შეფასება სალომე ზურაბიშვილს ვთხოვეთ.**

# მოჰყვება თუ არა საქართველო სირიის ხურდაში და ტერიტორიის ვის სასარგებლოდ დასათმობად ავლებს მავთულხლართებს რუსეთის ფედერაცია ცხინვალის რეგიონში



ეს არ არის დემოკრატია: ადამიანი, რომელსაც ბოლომდე არ ვიცნობთ, მოდის და მიდის და წასვლამდე ნიშნავს მთელ ჩვენს ხელისუფლებას

**– გასაგებია, რომ რუსეთს ეს ჩვენი 400-400 მეტრი არ სჭირდება, თუმცა ისიცაა, ზღვა კოვზით დაილიაო, მაგარმ მაინც რას მიანიშნებს ამგვარი ქმედებებით ჩვენს ხელისუფლებას, რის მიღწევას ცდილობს რუსეთი?**

– ბევრი რამ შეიძლება იყოს: არასტაბილური გარემოს განცდის შექმნით დაწყებული. სახელმწიფოსთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია საზღვრები და ყოველდღიურად გახსენებენ, რომ შენი სახელმწიფოს ძალიან დიდ ნაწილს თავისი საზღვრები არ გააჩნია. არადა, ჩვენ იმ ადმინისტრაციულ საზღვარზე ვლაპარაკობთ, რომელიც მოძრაობს, მაშინ, როდესაც სახელმწიფო საზღვარი საერთოდ არ არსებობს. ეს იგივეა, ადამიანს უთხრა, ძვლები აღარ გაქვსო. ეს ძალიან დიდი დესტაბილიზაციის ფაქტორია, იმავდროულად, როდესაც არასტაბილური გარემოს შექმნის ბევრი ფაქტორი გაქვს შიგნითაც. მეორეა ის, რომ, 200-300 მეტრით ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევისას ადვილად შეგიძლია ამის დათმობა. ეს პოკერის თამაშივითაა, თუ გინდა, რომ ვინმეს ასიამოვნო, განსაკუთრებით, არჩევნების წინ, იტყვი, აი, ის მომწონს, კარგად მომელაპარაკა და, თუ ადრე გადმომქონდა საზღვარი, ახლა უკან ვიხევ.

**– და რომელი კანდიდატი შეიძლება იყოს, ადრესატი?**

– ნებისმიერი, იმიტომ რომ სამივე მოთამაშეა.

**– დავაზუსტებ, სამივე: გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე და ნინო ბურჯანაძე?**

– დიახ.

**– დესტაბილიზაციის განცდის შექმნით, განსაკუთრებით, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთი, ფაქტობრივად, აძლიერებდა მიხეილ სააკაშვილს, რადგან, როგორც უნდა არ მოგწონდეს ხელისუფალი, როდესაც ოკუპანტი ქვეყანა ესხმის თავს, ავტომატურად მის გვერდით დგები. ამ შემთხვევაში ვის აძლიერებს რუსეთი დესტაბილიზაციის განცდის შექმნით?**

– საინტერესო მომენტია, რომ ასე პირდაპირ არავის აძლიერებს, პირიქით, არსებულ ხელისუფლებასთან კითხვებს აჩენს, რატომ ვერაფერს აკეთებენ; „ნაციონალები" აღარ არიან ამაზე პასუხისმგებელნი და, ამდენად, მათზე პირდაპირ არ მოქმედებს, ისევე, როგორც ბურჯანაძეზე. ეს უფრო ზოგად სიტუაციაზე ახდენს ზეგავლენას და, ასევე, შესაძლებელია, მოქმედებდეს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე: ეს არის ქვეყანა, რომელიც არასტაბილურია თავისი საზღვრებით და თავს ვერ იცავს.

**– რატომ არ ერევა ამ საკითხში აქტიურად დასავლური თანამეგობრობა? თქვენ მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების პასიურობას უკავშირებთ მათ პასიურობას? თუმცა ადრეც არ გამოირჩეოდნენ დიდი აქტიურობით: მხოლოდ შეშფოთებებს გამოთქვამდნენ, რაც არსებით გავლენას ვერ ახდენდა რუსეთის აგრესიაზე ჩვენ მიმართ.**

– ვერაფერს გააკეთებს დასავლეთი, როდესაც შენ არ იცი, რა გინდა და რა პოლიტიკას მისდევ. ჩვენ მათ არ ვუხსნით და არაფერს ვთხოვთ და მგონია, ჩვენ თვითონაც არ ვიცით, რა გვინდა. საქართველოში არ არსებობს რუსეთთან ურთიერთობის კონცეფცია. ყოველ შემთხვევაში, პრემიერს არაფერი უთქვამს ნათლად. გასაგებია, რომ არ ვართ კონფრონტაციაში რუსეთთან, რაც წინა ხელისფლების ერთადერთი კონცეფცია იყო და ვნახეთ, რაც მივიღეთ შედეგად, დღეს კი არანაირი კონცეფცია არ არის: თუ ეს არის დათმობა, მაშინ რაღას ვჩივით საზღვრებზე; თუ არ არის დათმობა, მაშინ რა ფორმით ვაპირებთ რეალურ მოლაპარაკებას?! თუ მე არ ვიცი ეს, მით უმეტეს, არ იციან ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა. ხედავენ, რომ დიდი არაფერს ვთხოვთ ამ საზღვრებთან დაკავშირებით.

**– საგარეო საქმეთა მინისტრი უცხოელ დიპლომატებს შეხვდა და ვითარება გააცნო.**

– ეს შიდა აქტიურობაა, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ღონისძიება არ გატარებულა, რომ აი, თქვენ ჩაგაბარეთ საზღვრების საკითხი და გვითხარით, როგორ მოვიქცეთ; თქვენ არ გინდათ, რომ ომში ჩავებათ რუსეთთან და არც ჩვენ გვინდა კონფრონტაცია, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც ასე გვექცევა ჩვენი მეზობელი?! ამ კუთხით საკითხი უნდა დასვას მთავარმა ფიგურამ: პრემიერმა, არ მგონია, ეს საგარეო საქმეთა მინისტრის დონე იყოს. პრემიერმა თავის მოსახლეობასაც უნდა აუხსნას, რა უნდა და რას აპირებს და შემდგომ – თავის მთავარ პარტნიორებსაც. როდესაც გვაქვს მთავარი პრობლემა და ამ საკითხს არ ვაანალიზებთ ჩვენს მთავარ პარტნიორებთან, ესე იგი, ჩვენ რა ვთვლით თავს იმ თანამეგობრობის წევრად და ვფიქრობთ, რომ ჩვენით უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემები ერთი ერთზე რუსეთთან, რაც წარმოუდგენელია. იმდენად განსხვავებულია ჩვენი და რუსეთის მასშტაბი და არა მხოლოდ სამხედრო ძალის თვალსაზრისით, რომ, თუ ერთი ერთზე დავრჩებით, გვექნება დამოუკიდებლობის ის დონე, რაც აქვს სომხეთს.

**– უკვე ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამიტომ არ დაგეგმა მან ვიზიტები აშშ-სა თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში? იქნებ, რადგან წასვლას აპირებს, პასუხისმგებლობაც არ აიღო, როგორც ოფიციალურმა პირმა?**

– თუ შენ ხარ ქვეყნის პოლიტიკაში, უნდა აიღო პასუხისმგებლობა. მაშინ წაეყვანა სააკაშვილი და მაშინვე წასულიყო?! გამოვიდოდა, რომ მან გახვეტა სააკაშვილი და არანაირი პრეტენზია არ აქვს ქვეყნის მართვაზე. მოვიდა იმ განცხადებით, რომ ავაშენებ ქვეყანას და ყველაფერი კარგად იქნება, მხოლოდ პირველი ორი წელი გვექნება რთულიო. ამ დროს კი ეკონომიკის, საგარეო პოლიტიკის გაყინვა, იმთავითვე ნიშნავს, რომ უკან-უკან მივდივართ. დემოკრატიის გაყინვა ნიშნავს, რომ ისევ ძველ ფორმებს ვუბრუნდებით.

**– იმ ვითომ დემოკრატიას, რაც იყო, გაყინული არ სჯობს?**

– არა, უარესი ხდება. ის დემოკრატია არ იყო, მაგრამ დემოკრატიის ფორმა ჰქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ არ ვიყავით დემოკრატიული ქვეყანა, მაგრამ ითვლებოდა, რომ ვიყავით. დღეს კი ვიცით, რომ არ ვართ, მაგრამ ძალიან მალე აღარც ჩაგვთვლიან.

**– რატომ აღარ ჩაგვთვლიან?**

– თუ ვინმე მაინც არ არის არჩეული, ეს არ არის დემოკრატია და ჩვენ ძალიან მალე გვექნება სისტემა, რომელშიც არავინ არ იქნება არჩეული.

**– რას გულისხმობთ? ისეთ პრემიერ-მინისტრს რომ აირჩევს პარლამენტი, რომელსაც არ ვიცნობთ ჯერჯერობით?**

– ვგულისხმობ პრეზიდენტს, რომელიც უკვე დანიშნულია; ვგულისხმობ „ოცნებას", რომელიც უფრო ადრე დაინიშნა და ვგულისხმობ პრემიერს, რომელიც ახლა დაინიშნება და არც კი ვიცით, ვინ არის. ეს არ არის დემოკრატია. ადამიანი, რომელსაც ბოლომდე არ ვიცნობთ, მოდის და მიდის და წასვლამდე ნიშნავს მთელ ჩვენს ხელისუფლებას.

**– სირიის კრიზისი წესრიგდებასავით, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ხურდაში გადაგვაყოლებენ რუსეთისკენ?**

– ეს არის ძველი აზროვნების ფორმა, რომ, როგორც კი უკეთესობა შეიმჩნევა ამერიკასა და რუსეთს შორის, გვგონია, რომ ჩვენ დაგვთმობენ. რეალურად ჩვენ ვთმობთ ჩვენს თავს. მთავარი პრობლემაა, როდესაც ჩვენ არ ვიბრძვით ჩვენი დამოუკიდებლობისთვის.

**– ძალიან მკაფიოა რუსეთის ევრაზიული კავშირის იდეა: ეს ნიშნავს პირობითი საზღვრების მქონე სივრცეს, ანუ უფრო უარესს, ვიდრე საბჭოთა კავშირი იყო და ჩვენ იქ მოვიაზრებით სამ სუბიექტად: დანარჩენი საქართველო, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ასევე, ცალსახაა რუსეთის დამოკიდებულება: თუ არ აირჩევ ევრაზიულ ვექტორს, ტერიტორიებს ვერ ელირსებით, პირიქით, მავთულხლართები უფრო ღრმად შემოვა დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ჩიხიდან როგორი შეიძლება, იყოს გამოსავალი?**

– ასეთი გამოსავალი ახლა არ არსებობს. ჯერ უნდა გამოვიდეთ ჩიხიდან, უნდა დავინახოთ, როგორი შეიძლება, იყოს ჩვენი გზა. მე არ მგონია, რომ დღეს რუსეთს ჰქონდეს ასეთი ჩამოყალიბებული სტრატეგია. რუსეთიც ძალიან

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ირმა ღოღობერიძე** (38 წლის, პედაგოგი. თბილისი).

**დიაგნოზი** – წელის მალების დისკოპათია. L5-S1 – პროლაფსი.

– მე და ჩემი ტკივილი 6 წელი „მეგობრულად" ვცხოვრობდით. მუდმივად გამაყუჩებლებს ვიღებდი და ის მაძლებინებდა. ზამთარში გავცივდი და ტკივილებმა მომიმატა – წელიდან თეძოში და იქიდან ფეხში გადამეცემოდა. უბნის ექიმმა დიკლოფენაკის ნემსები და სხვა უამრავი რამ დამინიშნა. არ მიშველა. შემდეგ ანოდინ-დუალი გამაკეთებინა. სამი დღე ცოტა უკეთესად ვიყავი, მერე კი ისევ გამიმწვავდა. ამას მოჰყვა ფიზიო, მაგრამ, უშედეგოდ. ბოლოს ადგილს ველარ ვპოულობდი, პოზას ვერ ვპოულობდი, რომ შვება მენახა. ნათესავმა აქეთ მომასწავლა. არც კი მჯეროდა, როცა პირველივე პროცედურის შემდეგ გასაოცარი შვება ვიგრძენი, ხოლო ოთხ დღეში ყველა ტკივილი გამიქრა. თითქოს თავიდან დავიბადე, თავი სიზმარში მეგონა...

**ნატალია ოგანეზოვა** *(47 წლის, მხატვარი. მოსკოვი).*

**დიაგნოზი** – კისრის ოსტეოქონდროზი, პლექსიტი.

– (თარგმანი) მე რუსეთიდან ჩამოვედი. მეუღლე ქართველი მყავს. ეს პრობლემა დიდი ხანია, მაწუხებს. მტკიოდა მხარი, კისერი, მკლავი. მკურნალობის უამრავი მეთოდი მოვსინჯე – დაწყებული ჩინური ნემსებით, მედიკამენტური ბლოკადებით დამთავრებული, თუმცა, შედეგი ყოველთვის არადამაკმაყოფილებელი იყო. ბოლოს ტკივილი მარჯვენა მკლავში გადავიდა და კინაღამ ჩემს პროფესიას დავემშვიდობე... ახლობლებმა თბილისიდან დამირეკეს და ამ კლინიკაში მირჩიეს ჩამოსვლა. წინა კვირას დავიწყე სეანსებზე სიარული და პირველივე ჯერზე ვიგრძენი შეღავათი. დილით რომ გავიღვიძე, მტკივნეულ მხარზე ვიწექი, მაგრამ – არანაირი შეგრძნება. ტკივილების სრულ მოხსნას 4-5 დღე დასჭირდა. ერთდროულად მუშაობდა აპარატები, მედიკამენტები, მანუალური თერაპია, ფიტოთერაპია, ჰომეოპათია, მალამოები... სწორედ ამ კომპლექსურმა მკურნალობამ გამოიღო არაჩვეულებრივი ეფექტი. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ მანანა ექიმს!



# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, წვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!**

**ცირა ნოზაძე** *(34 წლის, დიასახლისი).*

– კვანძები და ტკივილები მშობიარობის შემდეგ მაწუხებს, შეკრულობა კი – თითქმის ბავშვობიდან. შარშან ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გავიკეთე და უარესად დამერღვა ნაწლავების ფუნქცია. აფთიაქის ყველა მალამო და სანთელი გამოვცადე, ვყლაპე „სენადე" და „ბისაკოდილი", მაგრამ, ნორმალური შედეგი ვერ მივიღე, აქ კი ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდა. ორი კურსი ჩავამთავრე და – არანაირი ტკივილი, არანაირი კვანძები. ეფექტი პირველივე დღეებიდან ვიგრძენი. მადლობა ჩემს ექიმებს – ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!

**გელა მიმინოშვილი**, *39 წლის (მძღოლი, თბილისი).*

– 2009-ში ოპერაცია გავიკეთე. წელსაც იგივე მემუქრებოდა, რომ არა ეს ხალხი. საკმაოდ ძლიერი სისხლდენები მქონდა. ნაპრალი დამიდგინდა და, ასევე, კვანძიც. ტკივილი იმდენად ძლიერი არ იყო, რამდენადაც დამასუსტა. რაც აქ მოვედი, ჰემოგლობინი 10 დღეში 52-დან 68-მდე ავიდა, სისხლდენა თავიდანვე შეწყდა და კვანძებმაც საგრძნობლად იკლო. დღეს მეორე კურსის წამლები მიმაქვს, თუმცა, უკვე აღარაფერი მაწუხებს. შარშანწინ ჩემმა ახლობელმა იმკურნალა „ალექსიშვილის კლინიკაში". საშინელი ტკივილი ჰქონდა და უკვე საოპერაციოდ იყო გამზადებული. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და, კიდეც ჭამს ყველაფერს, კიდეც სვამს, დაავადება აღარ გამწვავებია. მეც მისი რჩევით მოვედი აქ. დიდი მადლობა ექიმებს!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

დაბნეულია, ხან ერთს ცდილობს, ხან – მეორეს. არც რუსეთს არ აქვს ბოლომდე ჩამოყალიბებული თავისი გეგმა და ბევრი სუსტი მხარეც აქვს. ასე რომ, არ უნდა ავყვეთ მითს, რომ რუსეთი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა და რაც მას უნდა, ყოველთვის ის კეთდება.

ამიტომ ჩვენი ინტერესია, მივყვეთ ჩვენს გეგმას, რადგან რუსეთი არასდროს ასრულებს იმას, რასაც გვპირდება. შევარდნაძის დროს არაერთხელ დაგვპირდა, რომ, თუ დსთ-ში შემოხვალთ, დაგიბრუნებთ ტერიტორიებს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ეს არ მომხდარა. ახლა გვემუქრება, არ შემოხვალთ ევრაზიულ კავშირში და ტერიტორიას დაკარგავთო. ისედაც დაკარგულია ტერიტორიები დღეს და ამაზე უარესად რანაირად დავკარგავთ, არ ვიცი. ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება, შემოვიერთოთ იმ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.

**– როდესაც ახლახან საბაჟო კავშირში შესვლისთვის ზეწოლის მიზნით რუსეთმა შეაჩერა უკრაინიდან და ბელორუსიიდან პროდუქციის იმპორტი, ევროკავშირმა განაცხადა, რომ კომპენსაციას გაუკეთებენ ამ ქვეყნებს, რომ რუსეთის ბაზრის დაკეტვით გამოწვეული ზარალი შეუმცირონ. 2006 წელს იმავე, ხარისხის მოტივით დაბლოკა ჩვენი პროდუქცია რუსეთმა თავის ბაზარზე, მაგრამ კომპენსაციის სურვილი არავის გასჩენია. რატომ?**

– ალბათ, მათ უკეთ იმუშავეს, ვიდრე ჩვენ მაშინ.

**– შეიძლება, უკრაინა და ბელორუსია ჩვენზე უფრო ღირებული იყოს რუსეთისთვის?**

– რას ნიშნავს უფრო ღირებული?! ჩვენ მაშინ საკმაოდ არასწორად მოვიქეცით და ამ ფონზე გამოცხადებული ემბარგო უკვე სხვა ჭრილში იკითხება, ვიდრე ის პირდაპირი ზეწოლა, რაც დღეს უკრაინასთან და ბელორუსიასთან მიმართებაშია რუსეთის მხრიდან. ამდენად, პირდაპირი შედარება არაფერს გვაძლევს. ჩვენ არ ვიცით, რა ზომები იქნა მიღებული ჩვენ მიერ 2006 წელს, როგორც ჩანს, მაშინაც არასწორი გზით წარიმართა ჩვენი აქტივობები ევროკავშირისადმი. ჩვენ ვიღებთ იმას, რასაც ვიმსახურებთ. ცხადია, რომ უკრაინას, როგორც ქვეყანას, ევროკავშირისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენ, ჩვენი სტრატეგიული მდებარეობით. მაგრამ ამავე დროს გააჩნია, შენ როგორ წარუდგენ ამ ყველაფერს, ჩვენ არ ვიცით ჩვენი შესაძლებლობების გამოყენება.

**– არჩევნებსაც შევეხოთ: მოარული ხმებით, სანამ თქვენს კანდიდატურას წამოაყენებდით პრეზიდენტის პოსტზე, იმთავითვე იცოდით, რომ ვერ შეძლებდით მონაწილეობის მიღებას.**

– მე დავინახე, რომ რაღაც მზადდებოდა, როდესაც უცებ დაიბლოკა ორმაგი მოქალაქეობის მქონე ორი კანდიდატი. ამან გამიჩინა დიდი ეჭვი, რომ ეს იყო ხელოვნურად შექმნილი ფონი. ამის შემდეგ მოვისმინე ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განცხადებები, რომ არ ერეოდნენ პროცესში, მაგრამ არ მქონდა მონაწილეობის უფლება, ამის შემდეგ უკვე მივხვდი, რომ რაღაც გადაწყვეტილების მისაღებად ემზადებოდნენ.

**– ფაქტია, თუ უნდოდათ, რომ მონაწილეობა მიგეღოთ არჩევნებში, კანონის შეცვლა უმრავლესობის ხელშია. რატომ უნდა ყოფილიყავით მიუღებელი ხელისუფლებისთვის, რას შეცვლიდა არჩევნებში თქვენი მონაწილეობა?**

– მეორე ტურის გამო... შესაძლოა, მათ აქვთ მეტი ინფორმაცია, უფრო მეტ გამოკითხვებს ატარებენ და რეალური სურათით აფასებენ ვითარებას; შესაძლოა, განცდა გაუჩნდათ, რომ რაღაც გაუთვლელი მოხდებოდა და იარსებებდა მეორე ტურის საფრთხე, მაშინ, როდესაც უალტერნატივოდ გამოცხადდა მარგველაშვილის კანდიდატურა. პოლიტიკური ნება იყო, რომ არ უნდა გამართულიყო მეორე ტური. ამის შესახებ პრემიერმაც თქვა. მან ისიც ვერ დაინახა, რომ სასურველი იქნებოდა მეორე ტური ქვეყნისთვის, ქართული დემოკრატიისთვის. ამ მეორე ტურის საფრთხე იყო ერთ-ერთი ელემენტი და, მეორე, ის, რაზეც ვილაპარაკეთ: ამ არჩევნებში მე ვიქნებოდი რეალური პროევროპული ძალა, რომლის მხარდამჭერიც საქართველოში ბევრია. ჩემი კანდიდატურის გაუქმებით, საზოგადოების ამ ნაწილს არ ეძლევა საშუალება, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. შესაბამისად, არ დაითვლება, რამდენი უჭერს მხარს პროევროპულ მიმართულებას. მაშინ, როდესაც დაითვლება, რომ 50 პროცენტი არის იმ გაუგებარი პოლიტიკის მომხრე, რომელიც დღეს არის ხელისუფლებაში; დაითვლება პრორუსული ძალა, რომელსაც წარმოადგენს ბურჯანაძის ფიგურა და ერთი პატარა ნაწილი პროდასავლურების, რასაც წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობა".

**– მაგრამ დისკრედიტებული „ნაციონალური მოძრაობა", რაც დისკრედიტაციას უწევს პროდასავლურობასაც.**

– დიახ და ყოველდღიურად უფრო და უფრო დისკრედიტებული „ნაციონალებიც" და დასავლურობაც. და არ გვეცოდინება, რამდენნი ვართ დანარჩენები. შეიქმნება სურათი, რომ საქართველო გახდა უკრაინა და ეს შეიძლება, იყოს უარესი, ვიდრე ევრაზიულ კავშირზე ლაპარაკი.

**– თუმცა იანუკოვიჩის უკრაინას ძალიან კი ეფერება ევროკავშირი. აპირებთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩენებში მონაწილეობის მიღებას?**

– ვნახოთ, ჯერ არაფერი ვიცით.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ ტოვებენ ეთნიკური რუსები რუსეთს, რომელიც მეორე ადგილზეა მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობით

*გაეროს სტატისტიკის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია პირველ ადგილს იკავებს შემდეგი პარამეტრებით: ბუნებრივი აირის მოპოვება და ექსპორტი (რაც მსოფლიო ანალოგიური მაჩვენებლის 35 პროცენტია); პლატინის ექსპორტი; ბუნებრივი რესურსების რაოდენობა; ვერცხლის და ალმასების მარაგი და ალმასის ექსპორტის მაჩვენებელი; ქვის ნახშირის რაოდენობა (რაც მსოფლიო მარაგის 23 პროცენტს შეადგენს); ტყის რესურსი (რაც მსოფლიო მარაგების 23 პროცენტს შეადგენს); სასმელი წყლის რაოდენობა; ცინკის, ტიტანის, ცვილის მარაგი; ტორფისა და აზოტის რაოდენობა. ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს ალმასების მოპოვებაში, პლატინისა და ოქროს მარაგებით. ასევე, პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში მილიარდერების ზრდის მაჩვენებლით და მეორე ადგილზეა მათი რაოდენობის მიხედვით (ბუნებრივია, აშშ-ს შემდეგ).*

*ამის პარალელურად კი, 67-ე ადგილზეა მსოფლიოში ცხოვრების დონით და 71-ე ადგილზე – ადამიანური პოტენციალის განვითარების მაჩვენებლით; 72-ე ადგილი აქვს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეზე გაწეული ხარჯით და 127-ა მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლით; 111-ე ადგილს იკავებს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, ხოლო მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი ამაზე უარესი აქვს – 134-ე ადგილი.*



**საფრანგეთში ქალები პენსიაზე გასვლის შემდეგ 28 წელიწადს ცხოვრობენ, მამაკაცები – 22 წელიწადს. ამ ფონზე რუსეთის იგივე მაჩვენებელი ძალიან მძიმეა**

*მეტიც, რუსეთის ფედერაცია პირველ ადგილზეა მსოფლიოში თვითმკვლელობის რაოდენობით ხანდაზმულებს, ბავშვებსა და მოზარდებს შორის; პირველ ადგილზეა გაყრისა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ოდენობით; პირველ ადგილზეა აბორტებისა და მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვების რიცხვით; პირველ ადგილზეა მოსახლეობის კლების მაჩვენებლით; სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს გაყიდვის რაოდენობით. ასევე, ალკოჰოლითა და თამბაქოს მოხმარებით დაღუპულთა რაოდენობით; პირველ ადგილზეა სიკვდილიანობის მაჩვენებლით გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით და ფალსიფიცირებული მედიკამენტების გაყიდვის მაჩვენებლით. რაც მთავარია, პირველ ადგილზეა მსოფლიოში ჰეროინის მოხმარებაში (რუსეთის ფედერაციაში დედამიწაზე წარმოებული ჰეროინის 21 პროცენტს მოიხმარენ).*

*ამის გათვალისწინებით, რთული ასახსნელია, რა თავში იხლის ჩვენს სეპარატისტულ ტერიტორიებს, როდესაც საკუთარი მოსახლეობისთვის ვერ მოუვლია. ასეა თუ ისე, რუსეთის ეკონომოკურ პოტენციალსა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის ასეთი ასტრონომიული სხვაობის შესახებ განმარტებებს ექსპერტ **იოსებ არჩვაძისგან** მოვისმინეთ.*

– რუსეთი პარადოქსების ქვეყანაა, რადგან ბევრი მაჩვენებლით ის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში და, გარკვეულწილად, ცუდი სამსახურიც კი გაუწია რუსეთს ამ სიმდიდრემ: სამეწარმეო სულისკვეთება, ეკონომიკის რეჟიმი, რაციონალური დამოკიდებულება რესურსებისადმი მეასე პლანზე მოისროლეს.

**– საერთოდ, ეს დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნებისთვის?**

– გააჩნია, როდის იყო აღმოჩენილი. ბევრი ქვეყანა აღმოჩენისთანავე რაციონალურად უდგება თავის რესურსებს. მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როგორც კი ქუვეითში ნავთობი აღმოაჩინეს, მაშინვე დაიწყეს მომავალი თაობის ფონდების შექმნა, რომ, თუ ოდესღაც ნავთობი გამოილეოდა, შენელებულიყო კლების დინამიზმი. რუსეთში შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაშიც კი, თავადები თუ მმართველი ძალა, მაინც თვითმპყრობელზე დამოკიდებულად მიიჩნევდნენ თავს და იმპერატორის ნების აღმსრულებლები იყვნენ. შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები განკარგავდნენ ათეულობით მილიარდი მანეთის ქონებას, მაგრამ ისინი მესაკუთრეები არ იყვნენ. იყვნენ მენეჯერები და ასეთმა დამოკიდებულებამ ჩამოაყალიბა ქცევის სტერეოტიპი ქონებისადმი.

**– ანუ გამნიავებლური დამოკიდებულება აქვთ?**

– რაციონალური დამოკიდებულება ნაკლები ჰქონდათ, სადაც არ იყო მათი პირადი ინტერესი, დამოკიდებულება იყო არაეკონომიკური. მაგალითად, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ერთი მილიონი დოლარის მთლიან შიგა პროდუქტზე საბჭოთა კავშირი ხარჯავდა 5-ჯერ მეტ ფოლადს და 3,5-ჯერ მეტ ცემენტს. მართალია, ტრაბახობდნენ, რომ საბჭოთა კავშირში იწარმოებოდა 150 მილიონი ტონა ფოლადი და ამერიკაში – მხოლოდ 115 მილიონი ტონა, მაგრამ საბოლოო პროდუქტის მიხედვით, შედეგები იყო აბსოლუტურად განსხვავებული. აი, ასე მოვიდა რუსეთი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. შემდეგ უკვე ბიზნესმენებმა სხვადასხვა გარემოებით ჩაიგდეს ხელში მუქთად და ბუნებრივი წიაღისეულით სარგებლობის ის რენტა, რითაც მთელ საზოგადოებას უნდა ესარგებლა, მოხვდა ცალკეული პირების, შემდგომში ოლიგარქებად წოდებულების, ხელში. რუსეთს ჯერჯერობით არ ჰყავს მეორე თაობის მილიარდერები.

**– მხოლოდ მუქთი შემოსავლით გამდიდრებულების ამარაა?**

– თანაც, ისინი არიან პირველი თაობის მილიარდერები და მეორე-მესამეში არ გადასულა. თან, ბევრი მათგანის მდგომარეობა 2008 წლის შემდეგ ერთგვარად შემცირდა ღირებულებაში და მათმა პოზიციებმა ასეულის ბოლოსკენ გადაიწია. ეს იმის გამოა, რომ მათ თამაშის მკაცრ წესებს შედარებით ნაკლებად აუღეს ალღო.

**– ანუ ფულით ფულს ვერ იგებენ.**

– რენტაბელობის დონე შედარებით დაბალია მათში, ვიდრე დასავლეთელი მილიარდერების. მთლიანობაში, რუსეთში დიდი ფული იშოვება, მაგრამ ფულს შოულობენ რუსეთში და ხარჯავენ და აბანდებენ დასავლეთში. ლონდონს ხშირად უწოდებენ „ლონდონგრადს“, იმდენი რუსი მილიონერი, მილიარდერი და ოლიგარქია იქ და იმდენი აქტივი აქვთ გადატანილი, რომ წარმატებით უწევენ კონკურენციას არაბეთის, სპარსეთის ყურის შეიხებსა და დედამიწის სხვა ნაწილებიდან წამოსულ მილიონერებს. თუმცა რუსეთში დიდი ოდენობით დოვლათი იქმნება, მაგრამ მისი განაწილება შორს არის ოპტიმალურისგან.

**– ანუ ასიმეტრიულად ნაწილდება დოვლათი რუსეთში?**

– დიახ, ოღონდ ისიც ვთქვთ, რომ საქართველოს ბევრი პარამეტრი ცოტა უფრო უარესი აქვს, მაგრამ საქართველო მცირე ქვეყანაა და მისი მაგალითის მოყვანა გაცილებით ნაკლებად ეფექტიანია. რუსეთში არსებული დისპროპორცია გაცილებით უარესად მოქმედებს თვით რუსეთის მდგომარეობაზე და, ზოგადად, სხვა ქვეყნებზე. რუსეთში შემოსავლების დიფერენცირება არის 171-თან. ანუ ყველაზე მდიდრისა და ღარიბის შემოსავლებს შორის სხვაობა 17-ჯერადია, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა პერიოდში ეს სხვაობა, დაახლოებით, 4-4,5-ია 1-თან.

**– საქართველოში როგორია ეს შეფარდება?**

– ცოტათი ვუსწრებთ რუსეთს: თვრამეტი ერთთან.

**– მაგრამ ჩვენი 18-ჯერადი სხვაობა შეუდარებლად ნაკლებია მათ 17-ჯერადზე?**

– რუსეთის ეკონომიკა მასშტაბებით დიდია და რუსეთში მოსახლეობის ერთ სულზე გაცილებით მეტი იწარმოება, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ორ მესამედზე მეტი და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ ბიუჯეტის 92 პროცენტი რუსეთის დოტაციაზეა.

**– ასეთი მძიმე რეალობა რის ბრალია, მხოლოდ შემოსავლების ასიმეტრიული განაწილების და ბუნებრივი რესურსებისადმი უყაირათო დამოკიდებულების?**

– არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც არ შემიძლია, არ შევეხო და რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროზე, კორუფცია. ეს არის მათი ცხოვრების წესი და ზოგადად, მართალია, კორუფციის ინსტიტუციურ მიზეზად ითვლება სახელმწიფო ინსტიტუტების დახურულობის მაღალი დონე, სახელმწიფოს სუსტი, არათანმიმდევრული პოლიტიკა, ნეპოტიზმი და ასე შემდეგ, მაგრამ რუსეთი მასშტაბური ენდემური კორუფციის ქვეყანაა. დავინტერესდი და აღმოვაჩინე, რომ რუსეთში კორუფციის პირველი ფაქტები, რომელმაც მემატიანეც კი დააინტერესა, გვხვდება მეთოთხმეტე საუკუნეში.

**– რას უკავშირდებოდა?**

– იმას, რომ მსაჯულს, მოსამართლეს არ აქვს უფლება, რომ ქრთამის საფუძველზე გაათავისუფლოს დამნაშავე. ეს იყო საინსტრუქციო წერილი ზემოდან, ეტყობა, მექრთამეობამ განაჩენის გამოტანისას ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ მოვიდა ცირკულარი, აღარ გააკეთოთ ასეთი რამო. შემიძლია, ვთქვა, რომ კორუფცია არის რუსეთის ეკონომიკის მთავარი დარგი. თავისი მოცულობით, ღირებულებითი ფორმით კორუფცია ორჯერ აღემატება ნავთობისა და გაზის ჯამური ექსპორტის ღირებულებას. დაწყებული შუა საუკუნეებიდან რუსეთში კორუფციას ყველანაირი ხასიათი ჰქონდა, მათ შორის, საყოფაცხოვრებო. რუსეთისთვის კორუფციის ორივე ფორმა ძალიან განვითარებულია, თუმცა მსოფლიოს დიდ ნაწილს და ჩვენც ბოლო წლებში გვაქვს ეგრეთ წოდებული მხოლოდ ელიტური კორუფცია, როდესაც კანონშია ჩადებული არათანაბარი პირობები ცალკეული სოციალური წრეების, ბიზნესმენების, ცალკეული პიროვნებების მიმართ.

**– დაბალ და საშუალო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა, ხომ მეტყველებს, რომ ჩვენი მოსახლეობა კორუფციისკენ ბუნებრივად მიდრეკილი არ ყოფილა.**

– კორუფციის სამი ფორმიდან უკვე 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის დაძლეული იყო საყოფაცხოვრებო და საქმიანი კორუფცია და ბოლო პერიოდში გადაიდგა ნაბიჯი ინსტიტუციური, ანუ ელიტური კორუფციის დასაძლევად. ისევ რუსეთს დავუბრუნდეთ: რუსეთმა არა მარტო განავითარა კორუფციული საქმიანობა, არამედ, მის აღრიცხვაში ისეთი ელემენტები შემო-

# როგორ მოახერხა 2002 წელს სახელმწიფო ჩინოვნიკმა დავით ზალკალიანმა 40 000 ლარის დაგროვება საშემნახველო წიგნაკზე

დავით ზალკალიანი 1968 წლის 27 თებერვალს დაიბადა თბილისში. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო (საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია). მისი კარიერა 1992 წელს დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც 1996 წლამდე მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტში. 1996-2000 წლებში ავსტრიაში საქართველოს საელჩოში დაიწყო მუშაობა. 2000-2001 წლებში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი პირველ ევროპულ დეპარტამენტში. 2001-2002 წლებში კვლავ ვენაში გადავიდა, იქაც მრჩევლად. 2002 წელს აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში უფროსი მრჩევლის თანამდებობა ეკავა 2004 წლამდე. 2004-2007 წლებში უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობას ასრულებდა. 2007 წლის იანვრიდან დეკემბრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი გახდა. 2007 წლის დეკემბრიდან კი – 2008 წლის იანვრამდე - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩია. 2008-2009 წლებში ბელორუსიის რესპუბლიკაში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. 2009 წელს თანამდებობიდან გადადგა და პოლიტიკურ სავანედ პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები" აირჩია. 2012 წლის ოქტომბრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეა.

იმ მარტივი მიზეზით, რომ ბ-ნი ზალკალიანი აგერ უკვე მესამე მთავრობის დიპლომატია, პირველი დეკლარაცია 2002 წელს შეავსო, როდესაც ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე იყო, მისი მეუღლე კი იმავე ორგანიზაციაში მუშაობდა თარჯიმნად. ოჯახის წევრებად მითითებული ჰყავს მეუღლე – თამარ ქემოკლიძე და ორი ქალიშვილი: ნინო და სოფიო.



ოჯახის ერთადერთი საკუთრება გახლდათ საცხოვრებელი ბინა თბილისში, დიღმის მასივში, 60 000 ლარად ღირებული, რომლის მეპატრონეც დავით ზალკალიანია მითითებული. ვენის ბანკში კი საშემნახველო წიგნაკზე 40 000 ლარს ინახავდა.

დეკლარაციის შევსების დროს დავით ზალკალიანს, ნაღდი ფულის სახით, 500 ევრო ჰქონდა, თამარ ქემოკლიძეს – 500 აშშ დოლარი.

იმ დროს მათი წლიური ანაზღაურება შემდეგი იყო: ბ-ნი ზალკალიანის – 14 200 აშშ დოლარი (28 420 ლარი), ქ-ნი ქემოკლიძის – 6 000 აშშ დოლარი (12 000 ლარი). ამას გარდა, ბ-ნ ზალკალიანს სახელმწიფო უხდიდა ბინის ქირას (7 600 ლარი), კომუნალურ გადასახადებს (9 960 ლარი) და სამედიცინო დაზღვევის (730 ლარი) თანხას, მისმა სამივლინებო ხარჯმა კი 3 680 ლარი შეადგინა.

ბოლო, 2012 წელს შევსებული დეკლარაციით, ბ-ნი ზალკალიანის ოჯახის წევრთა რაოდენობა იგივე და უცვლელია, თუმცა გაიზარდა ქონება: კერძოდ, აწ უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა წყნეთში, 130 კვადრატული მეტრი ფართობის; აგარაკი მუხათწყაროში – 180 კვადრატული მეტრი ფართობის; მიწის ნაკვეთი ლილოში – 1 500 კვადრატული მეტრი ფართობის და, ასევე, მიწის ნაკვეთი მუხათწყაროში – 1 200 კვადრატული მეტრი ფართობის.

2011 წლის განმავლობაში ბ-ნ ზალკალიანს არანაირი შემოსავალი არ მიუღია, რადგან უმუშევარი იყო. ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მასწავლებელმა, 5 500 ლარი აიღო.

სულ ბოლოს სახელფასო შემოსავალი ბ-ნმა ზალკალიანმა 2008 წლის განმავლობაში აიღო, როგორც ბელორუსიაში საქართველოს ელჩმა – 47 683 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

იტანა, როგორიცაა კორუფციის საშუალო ზომა. მაგალითად, კორუფციული გარიგებების რაოდენობასაც კი ითვლიან და აღმოჩნდა, რომ თითოეული კორუფციული გარიგება წელიწადში სამ-ოთხ ადამიანზე მოდის და მისი ღირებულებაცაა განსაზღვრული: საბავშვო ბაღში მოწყობა იქნება თუ სხვა ყოფითი საქმიანობა, დაახლოებით, 150 დოლარამდეა ქრთამის სიდიდე. რაც შეეხება უფრო მაღალ დონეს, რომელიც უკავშირდება ბიზნესს ან სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას, აქ სულ სხვა პარამეტრებით ანგარიშობენ. მაგალითად, რამდენი კვადრატული მეტრი საცხოვრებლის ყიდვაა შესაძლებელი საშუალო ზომის თითო ქრთამით.

**– და რამდენის შეძენაა შესაძლებელი?**

– მაღალ დონეზე ქრთამის ეს სიდიდე გაიზარდა და აღემატება 200 კვადრატულ მეტრ ფართობს. თან, ლაპარაკია საცხოვრებელ ფართობზე რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. თუმცა, როგორც ეკონომისტს, მიმაჩნია, რომ კორუფცია არის ეკონომიკის რეაქცია მოუწესრიგებელ საგადასახადო კოდექსზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე და გარკვეული დაშვებით შეიძლება, ვილაპარაკოთ „კარგ" და „ცუდ" კორუფციაზე. „კარგი" კორუფცია არის არაეფექტიანი და ზედმეტად დარეგულირებული კანონმდებლობის დაზეთვა: ასეთ დროს ჩინოვნიკები აჩქარებენ გადაწყვეტილებების მიღებას. დაახლოებით, ის ხდება, რაც ჩვენთან იუსტიციის სახლში, როდესაც თქვენ დაჩქარებული წესით იღებთ ცნობას დამატებით საფასურად. და ის ხარჯი, რაც ადრე კორუფციას ხმარდებოდა, „გათეთრდა" და ამით სახელმწიფო იღებს იმ შემოსავალს, რასაც ჩინოვნიკები თავიანთი გულმოდგინებისა და სწრაფი მომსახურებისთვის იღებდნენ.

**– მაგრამ იუსტიციის სახლში არის არჩევნის საშუალება: თუ არ გეჩქარება, საერთოდ უფასოდაც შეიძლება აიღო ცნობა.**

– რა თქმა უნდა, ის რაც ჩვენთან ხდება იუსტიციის სახლებში, არის წინგადადგმული ნაბიჯი. კიდევ ერთი მომენტი არის ის, რომ „კარგი" კორუფციის შემთხვევაში, ეს „მარცხნივ" გადახდილი ფული რჩება ქვეყანაში და ისევ ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას ემსახურება. რაც მეტი ფული რჩება ქვეყანაში, სხვა თანაბარ პირობებში, მით ნაკლებად მავნებლურია ასეთი კორუფცია, თუმცა ჯობია, ეს სახსრები ხვდებოდეს ბიუჯეტში. სხვათა შორის, „კარგი" კორუფციის მაგალითია სამხრეთი კორეა, რომელმაც განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია და ჩრდილოეთ კორეას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე ხალხია, მოსახლეობის ერთ სულზე 20-ჯერ უსწრებს. მისი რამდენიმე პრეზიდენტი კორუფციის გამო ციხეშიც აღმოჩნდა, იმდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა კორუფციას.

**– ძალიან ცუდი მაჩვენებლები აქვს რუსეთს სიკვდილიანობის, ცხოვრების დონის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, ნარკომანიის თუ სხვა მხრივ. რატომ არ მობილიზდება თანხა ამ პრობლემების მოსახსნელად? უბრალოდ ადამიანური რესურსი აღარ დარჩებათ, რომ აითვისონ ამხელა ტერიტორია.**

– რუსეთში მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსეთის მოსახლეობა შემცირდა იმ სიდიდით, რაც აღემატება დღეისთვის ბალტიის სამივე ქვეყნის მოსახლეობას ერთად აღებულს.

ეს იმ პირობებში, როდესაც რუსეთში ხდება ეთნიკური რუსებისა და ბევრი ყოფილი საბჭოთა მოქალაქის ემიგრაცია, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ისტორიული სამშობლო და გადავიდნენ საცხოვრებლად რუსეთში. თითქმის ორი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მილიონამდე ან უფრო მეტი სომეხი. ქართველებიც ბევრნი არიან, თავი რომ დავანებოთ შუააზიელებს და სხვა ეთნოსებს, მიუხედავად ამისა, რუსეთის მოსახლეობა წლიდან წლამდე ექვსასი ათასით მცირდება. ესე იგი, რუსეთში მცირდება რუსი ეთნოსის რაოდენობა. სად მიდიან რუსები? მიდიან ევროპაში, კვიპროსზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ასეთი ტრადიციაა: თავიანთი ოჯახის წევრებს აბინავებენ შვეიცარიაში, ლონდონში, თვითონ კი ბიზნესს აკეთებენ რუსეთში. ანუ ფულს შოულობენ ერთგან და ხარჯავენ სხვაგან. იზრდება მოსახლეობის საშუალო ასაკი რუსეთში. საპენსიო ასაკი ჯერ ძალაშია – 60 წელი მამაკაცებისთვის და 55 წელი ქალებისთვის, თუმცა უკვე გაისმის ხმები, რომ საჭიროა მისი აწევა.

**– ადამიანური რესურსი აღარ ჰყოფნით?**

– დიახ, მათი რაოდენობა, რომლებიც შეძლებენ მუშაობას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში არის 64 წელი. იქ, ფაქტობრივად, მამაკაცები „წითელ წიგნში" არიან შესატანი.

**– ეს ეტყობათ რუსის ქალებს მოქმედებაში. ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა?**

– ქალების ცოტა მეტია და ეს ზოგადი ტენდენციაა მსოფლიოში. მაგალითად, საფრანგეთში ქალები პენსიაზე გასვლის შემდეგ 28 წელიწადს ცხოვრობენ, მამაკაცები – 22 წელიწადს. ამ ფონზე რუსეთის იგივე მაჩვენებელი ძალიან მძიმეა.

**– აქვს რუსეთს რესურსი, პოტენციალი, რომ გამოასწოროს ეს ვითარება?**

– რა თქმა უნდა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. მაგალითად, დამოუკიდებლობის შემდეგ მითი, რომ რუსები დედაბუდიანად სასმელისადმი არიან მიდრეკილნი, დაინგრა. ვინც ბიზნესი წამოიწყო და საკუთარი საქმით მიღებული შემოსავლის გემო გაიგო, შედარებით ნაკლებად ეტანება სასმელს. ამიტომ რუსის მიდრეკილება სასმელისადმი იყო გაუსაძლისი და თაობიდან თაობამდე უცვლელი მძიმე მდგომარეობისადმი გარკვეული შინაგანი პროტესტი; პროტესტი სიტუაციის შეცვლისადმი უუნარობისადმი და ლოთობაში პოულობდნენ შვებას. თუ გაუჩნდებათ იმის პერსპექტივა, რომ ცალკეული ადამიანის ნიჭსა და უნარს ექნება ადეკვატური გამოყენება, ეს მავნე მიდრეკილება დაიძლევა.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

**ისე მოხდა, რომ მაქსიმ შევჩენკო 4 დღით თბილისს ეწვია, ქართული მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდა და მათ შეკითხვებსაც უპასუხა (ჩემდა გასაკვირად კითხვები, მაინცდამაინც, მწვავე არ ყოფილა). რამ გადააწყვეტინა რუს ჟურნალისტს, რომელიც რფ-ის სახელისუფლო ელიტასთან დაახლოებულ პირად ითვლება, ამ მეტად გართულებულ დროს თბილისში ჩამოსვლა? – ამას უშუალოდ მისგან შევიტყობთ.**

# რატომ არჩიეს ჩრდილოეთ კავკასიელებმა ქართველებს აფხაზები და რატომ სძულთ აფხაზებსა და ოსებს ქართველები



**მე საქართველოში ვერ დავინახე ვერანაირი მტრული განწყობა რუსეთისადმი**

**– რატომ გადაწყვიტეთ თბილისში ჩამოსვლა?**

– გულწრფელად ვიტყვი, როდესაც უნეტარესი პატრიარქი ილია მოსკოვში იმყოფებოდა, მან თავისთან აუდიენციის პატივი დამდო. მე მის წინაშე მუხლებზე ვიდექი. ნახევარი საათის განმავლობაში მესაუბრებოდა და ვკითხე, შემიძლია თუ არა, ჩამოვიდე საქართველოში-მეთქი, ჩამოდიო. პატრიარქისგან მიღებული კურთხევა საშუალებას გაძლევს, არ გეშინოდეს ხელისუფლებების და პოლიტიკური ფორმატების. ღვთის ნებას მივენდე და მარიამ ღვთისმშობლის შობის დღეს ჩამოვედი საქართველოში. დავესწარი პატრიარქის ქადაგებას დიდუბის ეკლესიაში. ჩემს ტვიტერზე მაშინვე დავწერე და ფოტოებიც ავტვირთე. პატრიარქის კურთხევით შემიშვეს დიდუბის ეკლესიის საკურთხეველში. ეს უდიდესი სიხარული იყო და მე გადავწყვიტე, თუ ასეთი სიხარული იქნება გულში, მზად ვარ, მოვითმინო სიმწარეებიც.

**– რამე სიმწარე შეგვხვდათ აქ ჩამოსვლით?**

– არა, გარდა იმისა, რომ ზოგიერთმა ჟურნალისტმა, იმის ნაცვლად, რომ დაესვა შეკითხვა, მოსულიყო ჩემს პრესკონფერენციაზე, არც ერთხელ ჩემი გამონათქვამის ციტირებაც არ გაუკეთებია, ისე დაწერა, რომ მე ვარ ქართველი ხალხის მტერი. იყოს ასე: საბოლოოდ, ტყუილი და მართალი მაინც გაირკვევა.

**– რას ელოდით ამ ჩამოსვლით და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

– მე შევხვდი ბევრ ადამიანს. მათ, რომლებსაც ვიცნობდი: გოგი თოფაძეს, ზურაბ ტყემალაძეს, ასევე, ამ დღეებში აქ იყო ლევან პირველი. ამას გარდა, ვიყავი საპატრიარქოში. მე სპეციალურად არ ჩამოვსულვარ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემმა მეგობარმა მიშა ხუბუტიამ გამართა ფილმ „ხატის“ პრეზენტაცია „რედისონში“. მე ვიყავი ფილმის პრეზენტაციაზე, იქ იყვნენ გამორჩეული ადამიანები: რეზო ჩხეიძე, ზურაბ აბაშიძე. ეს რამდენიმე დღე ძალიან ბედნიერი ვიყავი, ეს დღეები ავსებული იყო ტრადიციული ქართული ურთიერთობით. ვიყავი საზოგადოება „ლემის“ შეკრებაზე. ვფიქრობ, კიდევ ჩამოვალ და თქვენი მეშვეობით კიდევ გავიმეორებ: თუ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს ჩემთან აქვთ რაღაც შეკითხვები, შემიძლია, ნებისმიერ დროს ამისთვის სპეციალურად ჩამოვიდე და ვუპასუხო მათ შეკითხვებს.

**– აქვთ მათ ასეთი შეკითხვები?**

– მე არ მსმენია, მაგრამ, თუ აქვთ, მზად ვარ, მათ ვუპასუხო. საზღვარზე შემხვდა არაჩვეულებრივი ქალბატონი, მებაჟე, მკაცრად შემომხედა და ჩამირტყა შტამპი პასპორტში. ძალიან ბედნიერი და სრულ ეიფორიაში ვარ. აქ თავი ვიგრძენი, როგორც საკუთარ სახლში, ქართველები ღრმად არიან რუსულ გულში, ჩვენს ცნობიერებაში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური პოზიციები, ეს იყო უბედნიერესი სამი დღე.

**– მოგვიწევს მძიმე თემაზე გადასვლა: ძალიან უბედური აღმოჩნდა ეს დღეები დვანის მცხოვრებლებისთვის. მავთულხლართების მიღმა კიდევ სამი ქართული ოჯახის კარმიდამო მოხვდა. თქვენ ისევ ფიქრობთ, რომ ამ ქმედებებთან კავშირი არ აქვს რფ-ის ხელისუფლებას? დარმწუნებული ვარ, რომ რუსეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშე ამას ვერ გაბედავდნენ სეპარატისტები.**

– მე მგონია, რომ ამას აკეთებს რუსეთის არმია, რომელიც იქ იმყოფება და არა „იუჟნაია ოსეტიის“ ხელისუფლება. ეს არის საკითხები, რომლებიც უნდა დაისვას, მათ შორის, რუსული ქვედანაყოფების წარმომადგენლებს; არსებული არხებით რუსეთის წარმომადგენლობებს „იუჟნაია ოსეტიაში“. ერთ-ერთი პრობლემაა ის, რომ საქართველოს არ აქვს ადეკვატური კონტაქტები რუსულ მხარესთან. ბატონი ზურაბ აბაშიძის გარდა, რომელიც ნეიტრალურ ტერიტორიაზე ხვდება გიორგი კარასინს და დარწმუნებული ვარ, მასთან შეხვედრისას სვამს ამ საკითხებს. არ გვყოფნის, თუნდაც, ხისტი და უსიამოვნო, მაგრამ დიალოგი ჟურნალისტების ან პარლამენტარების დონეზე. ოლეგ პანფილოვი ხომ არ შეიძლება, იყოს შუამავალი ასეთ საკითხებში?! უნდა ილაპარაკო მათთან, ვისაც თვლი შენს მოწინააღმდეგედ.

**– სულ ამ კითხვას ვსვამ: რის მიღწევას ცდილობენ ამ მავთულხლართებით: ჩვენი დამცირების თუ პროვოცირების, სამხრეთული ხასიათის გათვალისწინებით?**

– პირობას გაძლევთ, როდესაც მოსკოვში დავბრუნდები, როგორც ადამიანის უფლებების კომიტეტის წევრი, ალბათ, წავალ „იუჟნაია ოსეტიაში“, რომ გავიგო, რატომ ხდება ეს. ჩემი ცოლი იყო ამას წინათ საქართველოში და გააკეთა ძალიან ტრაგიკული რეპორტაჟი, თუ როგორ მოხვდა მოხუცი ქართველი ქალბატონის სახლი მავთულხლართების მიღმა, როგორ აწვდიდნენ მათ საკვებს ამ მავთულხლართებიდან. ჩვენ რაღაც უნდა ვუშველოთ ამას. თუ სამხედრო აუცილებლობა არის, მაინც არ უნდა დაიტანჯონ ადამიანები, რომლებსაც ართმევენ სახლებსა და კარმიდამოს.

**– ჩემი ვარაუდით, ამ მავთულხლართების მიზანი არჩევნების შემდეგ გამოიკვეთება. თქვენ იცნობთ ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატებს? ითვლება, რომ ნინო ბურჯანაძე პრორუსი კანდიდატია, ეთანხმებით?**

– კანდიდატებს შორის, როგორც ვიცი, „ოცნების“ კანდიდატი ლიდერობს. ეს თვალსაჩინოა, ესე იგი, პრემიერის პოლიტიკას ისევ უჭერს მხარს თქვენი საზოგადოების უმრავლესობა. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს: ის გამორჩეული პოლიტიკოსია.

**– რით გამოიხატება მისი გამორჩეულობა?**

– ის დიდი ხანია, ქართული პოლიტიკური ცხოვრების სათავეშია. რეიტინგებით, როგორც ვიცი, მეორე ადგილზეა და ჩვენ არ შეგვიძლია ამის უგულებელყოფა. მე ვერ ვიტყოდი, რომ ის პრორუსია, არ შემისწავლია ეს საკითხი. ყველა ქართველი, რომელიც 40 წელსაა გადაცილებული, მუშაობდა ან სწავლობდა რუსეთში, მაშინ ყველა, ასე თუ ისე, პრორუსად უნდა ჩავთვალოთ. ამიტომ მგონია, ასეთი შეფასებების გაკეთება ძალიან ნაჩქარევი იქნებოდა. ჩემი წარმოდგენით, უნდა იყვნენ ადამიანები, ვისაც აქვს რუსეთთან დიალოგის წარმართვის უნარი.

**– თქვენი აზრით, ბურჯანაძეს აქვს ეს პოტენციალი?**

– მგონია, რომ აქვს და სხვა პოლიტიკოსებსაც აქვთ. ასევე, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა რუსეთში.

**– ის მიდის პოლიტიკიდან.**

– მიდის, მაგრამ რჩება მოღვაწედ. მას წარმატებული ბიზნესი ჰქონდა რუსეთში და ეს ორი მომენტის მნიშვნელოვანი შეფარდებაა, მაგრამ არავის შექება არ მინდა. გიორგი მარგველაშვილი ფილოსოფოსია, თუმცა პლატონი გვირჩევდა, ფილოსოფოსები და პოეტები არ დაეშვათ პოლიტიკაში, მხოლოდ მრჩევლები ყოფილიყვნენ. არისტოტელემ კი ისარგებლა პლატონის რჩევით. ასეა თუ ისე, მგონია, რომ ნებისმიერ ფილოსოფოსს შეუძლია ფილოსოფიურად მიუდგეს საკითხებს.

**– ახალი მოდელით, პრეზიდენტს იმდენად ეზღუდება უფლებამოსილებები, რომ ფილოსოფიური მიდგომა აშკარად გამოადგება. ისევ ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებს დავუბრუნდები: ოსები საერთოდ არ გამოდიან ჩვენთან კონტაქტზე, აფხაზეთიდან თითო-ოროლასთან თუ არის შესაძლებელი კომუნიკაცია. სოციალურ ქსელებში ვცდილობ მათთან დიალოგს, ყოფით დონეზე, მაგრამ მაშინვე მოდის უსაზღვრო სიძულვილი მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ვარ.**

– არის პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ეთნიკური კონფლიქტის შემდეგ, რაც სამოქალაქო ომით დაიწყო.

**– მაქსიმ, ჩვენ, საერთოდ, კლასიკური ომი გვქონდა 2008 წელს ერთმანეთთან.**

– მე არასდროს მიომია თქვენ წინააღმდეგ.

**– არც მე მათ წინააღმდეგ, უბრალოდ ჩვენ ქვეყნებს შორის იყო ომი, მაგრამ მე არ მძულს რუსი მხოლოდ იმის გამო, რომ ეთნიკურად რუსია. ამის თქმა მინდოდა.**

– მცირე ხალხი უფრო მტკივნეულად აღიქვამს თავის იდენტურობას და ისტორიულ რაობას. აშკარაა, აფხაზი ხალხი, მისი ინტელიგენცია თვლის, რომ აფხაზმა ხალხმა განიცადა გარკვეული ზეწოლა ქართველების მხრიდან. მე ბევრი მილაპარაკია ამ თემაზე მათთან. შესაძლოა, თქვენ იმ ხალხს არ ელაპარაკებით, ვისაც უნდა ელაპარაკოთ. მე მყავს ახლო მეგობარი, ქართველი, ჩვენ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში. ომის დროს, მისი მშობლები აფხაზებს მალავდნენ, შემდეგ მის მშობლებს მალავდნენ აფხაზები, დღეს კი მას შეუძლია თავისუფლად ჩავიდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე. მისი ბავშვები მუშაობენ აფხაზეთის უშიშროების სამსახურში და მშობლების საფლავზე თავისუფლად მიდის. მეგრელია, ბუნებრივია.

**– ქართველი.**

– მაგრამ ეს არსებითია, რადგან მეგრელები ცხოვრობენ გალის რაიონში.

**– მაგალითად, კახეთში, ძირითადად, კახელები ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ.**

– ვიცი, მესმის... სიძულვილის პრობლემა

ღრმა ფილოსოფიური პრობლემაა. მე ვფიქრობ, რომ ეს სიძულვილი გადაილახება მხოლოდ დიალოგის ადეკვატური ფორმატებით, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უმტკიცებენ მხოლოდ თავიანთ სიმართლეს, ამას შედეგი არ მოაქვს. რადგან ფილოსოფი კანდიდატი ლიდერობს თქვენს გამოკითხვებში წინასაარჩევნოდ, მეც ფილოსოფიურად მივუდგები. საქართველოში მოდურია კოაბიტაცია, მაგრამ ეს კოაბიტაცია საქართველოს შიგნით მიიღწევა, თუმცა აფხაზებთან და ოსებთან კოაბიტაცია არ გამოდის.

**– მე ნამდვილად არ ვუმტკიცებ მათ არაფერს, უბრალოდ ვმსჯელობთ და პასუხად ვიღებ მხოლოდ შეურაცხყოფას.**

– აქ მთავარია მოთმინება და დიალოგი. სწორი მიზნები და ჩარჩოები უნდა დაისვას, მე მჯერა ადამიანური გონიერების.

**– თქვენ ახსენეთ ადამიანური ურთიერთობები. როგორ შევუსადაგოთ ეს ადამიანური ურთიერთობები პოლიტიკურ ორიენტაციასთან?**

– პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოს სახელმწიფოს შიდა საქმეა და არ ეხება არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც ევროკავშირს და არც რუსეთს, ისევე, როგორც რუსეთის საქმეა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია. როგორ შევუსაბამოთ? მე მგონია, რომ უწმიდესმა ილიამ მკაფიოდ თქვა ეს ფორმატები: არ არის ხსნა პოლიტიკური დემაგოგიის გზაზე, ხსნა არის რწმენისა და საეკლესიო ერთიანობის გზაზე. გასული წლის განმავლობაში პატრიარქი ილია ორჯერ იყო რუსეთში, ილოცა და ეს უდიდესი მოვლენაა, იმიტომ რომ უამრავი მორწმუნე მიდის მის ლოცვაზე დასასწრებად და არა მხოლოდ ქართველები. ჩვენ ძალიან გვიყვარს პატრიარქი ილია, იქ, სადაც ვერ სწვდება მიწიერი ტვინი, მოგვეხმარება პატრიარქის ლოცვა, ქართველი და რუსი ბერმონაზვნების ლოცვა. რუსული ეკლესია არასდროს აღიარებს „რასკოლნიკებს“ არც აფხაზეთში და არც „იუჟნაია ოსეტიაში“.

**– არასდროს?**

– არასდროს. იცით, რომ მიტროპოლიტი ილარიონი დაიბადა და გაიზარდა თბილისში, შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად. გარწმუნებთ, რომ რუსეთის ეკლესია არასდროს დაარღვევს საეკლესიო კანონებს. მე არ ვილაპარაკებ რუსული ეკლესიის ნაცვლად, მაგრამ მეჩვენა, რომ ეს ერთობლივი ლოცვები გონზე მოიყვანს პოლიტიკოსებსაც.

**– მე მესმის ლოცვის მნიშვნელობა, მაგრამ ამ რთულ ვითარებაში მხოლოდ ლოცვის იმედად ვიყოთ? ცოდვა ტრიალებს აი, ამ წამსაც ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ?!**

– გაცილებით მეტად უნდა ვიყოთ, ვიდრე პოლიტიკური სპეკულაციების იმედად. პატრიარქის თითოეული ვიზიტი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ათასობით პოლიტიკოსის განცხადება.

**– იმას ამბობთ, რომ ამ ძაფზე ჰკიდია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა?**

– ბევრ რამეში ეს ასეა. ჩვენ ვიცით, რომ პატრიარქი ილია ერთადერთია, ვისაც შეუძლია, შეხვდეს პრეზიდენტ პუტინს. ის პატრიარქს ხვდება, როგორც პრეზიდენტი და როგორც ეკლესიის შვილი. მას აკურთხებს პატრიარქი და ისინი საუბრობენ. ის ერთადერთია, ვინც ესაუბრება პუტინს.

**– უბრალოდ ჩვენს პატრიარქს შეუძლია, ამის ნება მისცეს თავს, რადგან ჩვენთან პოლიტიკოსისთვის, მაინცდამაინც, კარგ ტონად არ ითვლება პუტინთან საუბარი.**

– მე ვფიქრობ, რომ პატრიარქ ილიას საერთოდ არაფრის ეშინია ღმერთის გარდა. ადამიანურ მსჯელობებს მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

**– ერთ-ერთი რუსული რადიოსადგურის გამოკითხვაში მსმენელთა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთს ქართველების მხარე უნდა დაეჭირა და არა აფხაზებისა და ოსების. ამას როგორ ახსნით?**

– მე მინდა გითხრათ, რომ თქვენი პრეტენზიები ეკუთვნის არა რუსეთს, რომელიც მაშინ დაშლის პირას იყო, არამედ მთიელ ხალხთა კონფედერაციას... ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთში იბრძოდნენ: ყაბარდოელები, ჩერქეზები, ყარაჩაელები, ჩეჩენები, მათ შორის ძალიან ცოტანი იყვნენ ეთნიკური რუსები. 90-იანებში ყველას ეგონა, რომ რუსეთი დაიშლებოდა, მაგრამ არ დაიშალა. ეს იყო ტრაგიკული ომი ძმებს შორის. მე მიკითხავს თქვენი ჩრდილოკავკასიელი ძმებისთვის, რატომ იბრძოდით ქართველების წინააღმდეგ, მათ ხომ თქვენთვის არაფერი დაუშავებიათ-მეთქი და მიპასუხებდნენ: ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ ამაზე, მაგრამ აფხაზები ჩვენთან უფრო ახლოს არიან და იმ მომენტში მათ გვერდით დავდექითო. არ მგონია, რომ რუსეთს რაღაც ბერკეტი ჰქონდა ამისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

**– მე სხვა რამ გკითხეთ: დავუშვათ, მაშინ რუსეთს ჩარევის ძალა არ ჰქონდა, რასაც მე არ ვეთანხმები, მაგრამ რუსეთის მოსახლეობა მხარს უჭერს აღიარებას.**

– პირადად მე ყოველთვის რეალობის მხარეს ვარ, რეალობა კი არის ის, რაც არის და არა ის, რაც ჩვენს თავშია.

**– თქვით, რომ პრობლემა არ შეგქმნიათ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას. საქართველოს მოქალაქეს როდის არ ექნება პრობლემა რუსეთის საზღვრის გადაკვეთისას?**

– მე ვიბრძოლებ ამისთვის და ძალიან მაღალ დონეზე დავაყენებ ამ საკითხს. ამის დრო მოვიდა. მე საქართველოში ვერ დავინახე ვერანაირი მტრული განწყობა რუსეთისადმი.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

# რის გამო იჯდა ციხეში ჩილეს ექსპრეზიდენტი სალვადორ ალიენდე და რამდენი მილიონი დოლარი დახარჯა ამერიკამ მისი სახელის დისკრედიტაციაზე

*2013 წლის შემოდგომაზე ზუსტად 40 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩილეში მოხდა სამხედრო გადატრიალება და დაიღუპა პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე – დაბადებიდან არისტოკრატი, ღარიბების უფლებების დამცველი, სოციალისტი და მასონი, ფიდელ კასტროსა და ერნესტო ჩე გევარას მეგობარი, ბრწყინვალე ორატორი და ძვირად ღირებული ტანსაცმლის მოყვარული. სალვადორ ალიენდე მეოცე საუკუნის სამხრეთ ამერიკის პოლიტიკური სამყაროს ლეგენდარული ლიდერი იყო, რომლის შესახებ გავრცელებულ საინტერესო ფაქტებს ამ ნომერში გთავაზობთ.*



* სალვადორ ალიენდე გოსენსი 1908 წლის 6 ივნისს დაიბადა ვალპარაისოში, ჩილეს აღმოსავლეთ ნაწილში, ოჯახში, რომლის წინაპრები ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ იბრძოდნენ. სალვადორის მამა წარმატებული ადვოკატი და ნოტარიუსი იყო; ასევე იგი იყო ჩილეს რადიკალური პარტიის ლიდერი. მშობლიურ ქალაქში უფროს კლასებში სწავლის პერიოდში სალვადორ ალიენდემ გაიცნო იტალიელი ანარქისტი ხუან დემარჩი. მოხუცმა ანარქისტმა, რომელიც ჩილეში ცხოვრობდა, ალიენდეს კარლ მარქსის ნაშრომები გააცნო, რამაც შემდგომში გავლენა იქონია ალიენდეს პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე. ლიცეუმში სწავლის პერიოდში ალიენდე წარმატებით სწავლობდა და გატაცებული იყო სპორტით, კერძოდ, ცხენოსნობითა და სროლით.

* ლიცეუმის დასრულების შემდეგ, მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, სალვადორ ალიენდემ გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა სწავლა და მოხალისედ ჩაეწერა სამხედრო სამსახურში, „კირასიროვის" დანაყოფში, რომელიც ბაზირებული იყო ვინია-დელ-მარში, ვალპარაისოში. მოგვიანებით ალიენდე დანაყოფს იცვლის და „შუბის მტარებლების" დანაყოფში ინერება ტაკნუში, ჩრდილოური ანკლავის სამხედრო დანაყოფში, რომელიც პერუში გადაიხვეწა, თუმცა უკვე ალიენდეს გარეშე. სალვადორმა თადარიგის ოფიცრის წოდებით მიატოვა სამხედრო სამსახური და ჩილეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა, აღსანიშნავია, რომ ის ღარიბებისთვის დახმარების გაწევის მიზნით მოეწყო სამედიცინოზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ალიენდემ დააარსა მარქსიზმისა და სოციალისტური იდეების შემსწავლელი წრე სტუდენტებისთვის. 1930 წელს ალიენდე ჩილეს სტუდენტთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

* 1933 წელს, 25 წლის სალვადორ ალიენდემ თანმოაზრეებთან ერთად დააარსა ჩილეს სოციალისტური პარტია, რის გამოც მან ნახევარი წელი გაატარა ციხეში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ალიენდეს სამედიცინო კარიერა წარმატებით ერწყმის მის პოლიტიკურ კარიერას: 29 წლის ასაკში ალიენდე ხდება ჩილეს პარლამენტის წევრი, 31 წლის ასაკში კი – ჩილეს ჯანდაცვის მინისტრი და მისი ხელშეწყობით, პირველად ისტორიაში, ჩილელი ღარიბები იღებენ მათთვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებას სახელმწიფოს ხარჯზე. 44 წლის ასაკში ალიენდე პირველად ცდის ბედს საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა მარცხდება. ალიენდე ზედიზედ სამჯერ იყრის კენჭს, მაგრამ სამივეჯერ უშედეგოდ. იმ პერიოდში ალიენდე ხუმრობდა: „ჩემი საფლავის ქვაზე ალბათ დაიწერება, აქ განისვენებს ჩილეს მომავალი პრეზიდენტი".

* ალიენდე 32 წლის ასაკში დაქორწინდა. მისი რჩეული ორტენსია ბუსი გახდა. ქორწინებაში მას სამი შვილი ჰყავდა: კარმენი, ბეატრისი და იზაბელი. ორტენსია ბუსმა მეუღლის გარდაცვალებიდან 36 წელი იცოცხლა; იგი 2009 წელს გარდაიცვალა – ერთი წლის შემდეგ, რაც ჩილეში გრანდიოზულად აღინიშნა ალიენდეს 100 წლის იუბილე. ცნობილი ჩილელი მწერალი ისაბელ ალიენდე სალვადორის ნათესავი იყო – პრეზიდენტი მას ბიძად ეკუთვნოდა. ერთ-ერთ რომანში ისაბელს ალეგორიულ ფორმაში ჰყავს ნახსენები ბიძა და წიგნში მას „დიდ პრეზიდენტს" უწოდებს. ცნობისთვის, დიქტატორი პინოჩეტი ალიენდეს მსგავსად, ვალპარაისოდან იყო, თუმცა, ისაბელი მას თავის რომანში „პატარა დიქტატორად" მოიხსენიებს.

* ბევრისთვის გაუგებარი იყო, სალვადორ ალიენდე, თავისი არისტოკრატიული მანერებითა და ჩაცმის უნაკლო გემოვნებით, როგორ ახერხებდა ყველაზე ღარიბებისა და ღატაკების დახმარებას და მათ თვალში დადებით ადამიანად დარჩენას. ჩილეში ალიენდეს მისი ოპონენტები „პიჟონს" უწოდებდნენ, თუმცა, ის ნაკლებად „პიჟონობდა" – არისტოკრატიული წვეულებების ნაცვლად, იგი დიდ დროს ატარებდა ღატაკებთან, თავშესაფრებში.

* 1970 წლის არჩევნებში სალვადორ ალიენდემ მიიღო შეთავაზება, სათავეში ჩასდგომოდა ბლოკ „სახალხო ერთობას". იმ პერიოდში ამერიკული სპეცსამსახურები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ალიენდეს პერსონა დისკრედიტირებული ყოფილიყო. 2004 წელს საიდუმლო დოკუმენტებისთვის გრიფი „საიდუმლოს" მოხსნის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ამერიკელები ალიენდეს განეიტრალებაზე მილიონობით დოლარს ხარჯავდნენ. ამის მიუხედავად სალვადორ ალიენდე 1970 წლის 24 ოქტომბერს 62 წლის ასაკში ჩილეს პრეზიდენტი გახდა. ცნობილია, რომ მის გაპრეზიდენტებაში დიდი როლი ითამაშა საბჭოურმა სპეცსამსახურებმა, კერძოდ, „კაგებემ" 420 ათასი დოლარი დახარჯა საპრეზიდენტო არჩევნების დაწყებამდე.

* პრეზიდენტობის პირველ წელს ალიენდემ ეკონომიკური რეფორმები გაატარა, მათ შორის, ჩილეს ეკონომიკის მთავარი სფეროს – სამთომოპოვებელი საწარმოების ნაციონალიზაცია განახორციელა. 1971 წელს ალიენდეს მთავრობით უკმაყოფილება გამოხატეს ოლიგარქებმა და ლატიფუნდისტებმა, ამას მოჰყვა ამერიკული კაპიტალის გადინება ქვეყნიდან; გაიყინა ჩილეს ბანკების ანგარიშები, ხოლო ინფლაციის დონემ 1971 წლის ბოლოსთვის რვაჯერ მოიმატა. ქვეყანაში დაიწყო ქაოსი, სოციალისტების მხარდამჭერების დახოცვა, დივერსიების მოწყობა, დემონსტრაციები და მანიფესტაციები. ამის მიუხედავად ალიენდე უარს აცხადებს ქვეყანაში რადიკალური ნაბიჯების გადადგმაზე.

* ორატორი ალიენდე 1972 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოვიდა სიტყვით, რომელიც დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოსვლაა ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში. მან გაეროს ტრიბუნიდან დაადანაშაულა ჩილეს კრიზისში კაპიტალისტური ქვეყნები, ამერიკას კი ჩილეს საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმოებაში დასდო ბრალი. გამოსვლა იმდენად ემოციურ ფონზე მიმდინარეობდა, რომ დელეგატები ათი წუთის განმავლობაში უკრავდნენ ტაშს.

* 1972 წლის ნოემბერში ალიენდემ სამხედროებთან ერთად დაამტკიცა ახალი მინისტრთა კაბინეტი, რაც მის ყველაზე მთავარ შეცდომად დასახელდა შემდგომ წლებში. წლის ბოლოსთვის ინფლაციის დონემ კვლავ მოიმატა და ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო. ალიენდეს ბრალი დასდეს ბანდიტების მფარველობასა და მარქსისტული იდეოლოგიის გატარებაში, საბოლოოდ კი ყველაფერი სამხედრო გადატრიალებით დასრულდა. სამხედრო პუტჩმა გენერალ აუგუსტო პინოჩეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები, სალვადორ ალიენდე თანამდებობიდან გადააყენა. დემოკრატიულად არჩეულმა პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ, იმ მიზეზით, რომ პუტჩისტების ხელში არ ჩავარდნილიყო, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ასე დაიწყო პინოჩეტის სისხლიანი დიქტატურა ჩილეში.

* სალვადორ ალიენდე მეგობრობდა კუბელ დიქტატორთან, ფიდელ კასტროსთან, რომელიც 1959 წელს გაიცნო. კასტრო სულ ურჩევდა ალიენდეს, რომ ოპონენტების წინააღმდეგ იარაღი გამოეყენებინა, რაზეც ალიენდე უარს აცხადებდა და საბოლოოდ იგი თავისი პრინციპების მსხვერპლი გახდა. ამბობდნენ, რომ ალიენდემ თავი იმ ავტომატიდან გასროლით მოიკლა, რომელიც მას ფიდელ კასტრომ აჩუქა.

* 2011 წლის 23 მაისს ჩილეს ხელისუფლებამ სალვადორ ალიენდეს საფლავის ექსჰუმაცია ჩაატარა და გაირკვა, რომ ალიენდემ „კალაშნიკოვის" ავტომატიდან გასროლით მოიკლა თავი, უფრო ზუსტად კი, ალიენდემ ორი ტყვიის გაშვება მოასწრო. შემდგომში კი, უკვე გარდაცვლილ პრეზიდენტს, პინოჩეტის მომხრეებმა რამდენჯერმე გადაატარეს ავტომატის ტყვიების რიგი და გვამი საცრად აქციეს.

* სალვადორ ალიენდე არ მალავდა, რომ ნამდვილი მასონი იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ღიად განაცხადა, რომ იგი მასონთა ორდენის წევრი იყო.

**უშანგი რუხაძე**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**

***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***

***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***

„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32



**განცხადება**

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს და დამწყებ ჟურნალისტებს ჩავუტარებ მასტერკლასებსა და ტრენინგებს.

**ტელ.: 555-53-43-38. ბაია**

# მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები, რომლებსაც სკოლა არ დაუმთავრებიათ

*მილიარდერი უმაღლესი განათლების გარეშე არ გახლავთ იშვიათობა. ბილ გეითსი, სტივ ჯობსი, მარკ ცუკერბერგი... – სამივემ მიატოვა სწავლა პრესტიჟულ უნივერსიტეტში და მთლიანად ბიზნესს დაუთმო ცხოვრება. თუმცა, მილიარდერთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც საშუალო სკოლაც კი არ აქვთ დამთავრებული, თუმცა, სკოლის ატესტატის არარსებობას არ შეუშლია მათთვის ხელი, რომ მდიდარი ადამიანები გამხდარიყვნენ. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გთავაზობთ „ფორბსის" მილიარდერთა ტოპ-ათეულს, რომლებსაც სკოლა არ დაუმთავრებიათ.*

**ამანსიო ორტეგა – კომპანია „ინდიტექსის" დამაარსებელი; კაპიტალი: 57 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №3**

ესპანელი ამანსიო ორტეგა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სამეულში 2013 წელს მოხვდა, როდესაც მისი კაპიტალი 19,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა.



„ზარას", „მასიმო დუტის," „ოიშოს" ბრენდების მფლობელმა სკოლა 13 წლის ასაკში მიატოვა. მამამისი რკინიგზაზე მუშაობდა, დედა კი მოსამსახურედ მსახურობდა და ოჯახს კატასტროფულად უჭირდა. თავდაპირველად ორტეგა მკერავის თანაშემწე იყო, შემდეგ საგალანტერეო სალონში მოეწყო, სადაც მოდის ანბანის შესწავლა დაიწყო. ორტეგამ თავდაპირველად იაფიანი მასალის შეძენა დაიწყო და ისეთ ტანსაცმელს კერავდა, რომლის შეძენაც ნებისმიერ ფენას შეეძლო. „ზარას" პირველი მაღაზია მეუღლესთან ერთად ამანსიომ 1975 წელს გახსნა და მას შემდეგ მისი კაპიტალი მხოლოდ ზემოთ მიიწევს.

**ლი კაშინი – კომპანია „ჩონგ კონგ გრუპის" მფლობელი; კაპიტალი: 31 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №8**

აზიის უმდიდრესი ადამიანი ღარიბი მასწავლებლის ოჯახში დაიბადა. როდესაც ლი 14 წლის იყო, მამამისი ტუბერკულოზით გარდაიცვალა და ლის სკოლის მიტოვება მოუწია, რათა სამსახური მოეძებნა. თავდაპირველად იგი მაჯის საათების სამაჯურებს ყიდდა, მოგვიანებით კი ქარხანაში მოეწყო მუშად, სადაც პლასტმასის ყვავილებს აკეთებდნენ. ლი კაშინი დღეში 16 საათს მუშაობდა და



შვიდ წელიწადში იმდენი თანხის შეგროვება მოახერხა, რომ საკუთარი მცირე ზომის ქარხანა გახსნა. ქარხნის გახსნას მოჰყვა პოლიტიკური არასტაბილურობის გამო გაიაფებული უძრავი ქონების შეძენა ჰონკონგში, მოგვიანებით კი იგი ჩინელი ბიზნესმენების ელიტის წევრი გახდა. ამჟამად ლი კაშინი დიდ დროს უთმობს ქველმოქმედებას და სასწავლო დაწესებულებებს პერიოდულად დიდძალ თანხებს ურიცხავს.

**ფრანსუა პინო – კომპანია „კერინგის" მფლობელი; კაპიტალი: 15 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №53**



ერთხელ ფრანსუა პინომ აღიარა, რომ მისი ერთადერთი სასწავლო დიპლომი მართვის მოწმობაა. ფრანგმა მილიარდერმა 16 წლის ასაკში მიატოვა სწავლა და მას შემდეგ განათლებაზე აღარ უფიქრია. პინოს მამა, საშუალო ფენის წარმომადგენელი, ხეტყით მოვაჭრე, მზად იყო, ბოლო ფრანკები დაეხარჯა შვილის განათლებაზე, მაგრამ, ფრანსუას არ უნდოდა სწავლა. პინოს არ უყვარდა სწავლა, თუმცა, ამ ფაქტს არ შეუშლია მისთვის ხელი, რომ საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი გამხდარიყო.

**რიჩარდ ბრენსონი – კომპანია „ვირჯინ გრუპის" მფლობელი; კაპიტალი: 4,6 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №272**

რიჩარდ ბრენსონის „ანგარიშზე" იმდენად ბევრი ეპატაჟური საქციელია, რომ მისი განათლების უქონლობა ყველაზე ნაკლებად იქცევს ყურადღებას. ბრენსონი 16 წლის ასაკში გამოაგდეს სკოლიდან იმის გამო, რომ არ სწავლობდა. მას დისლექსია სჭირდა, კითხვა უჭირდა და, თან, საშინლად ზარმაცი იყო – დილით ადრე გაღვიძება არ უყვარდა. დირექტორმა, როდესაც მისი სკოლიდან გაგდების საბუთებს მოაწერა ხელი, უთხრა: „შენ ან ციხეში ამოჰყოფ თავს, ან ზღაპრულად გამდიდრდებიო". პირველი ბიზნესი, რომელსაც ბრენსონმა მოჰკიდა ხელი, იყო საახალწლო ნაძვის ხეებისა და თუთიყუშების ყიდვა-გაყიდვა.

**ჯო ლუისი – „ტავისტოკ გრუპის" მფლობელი; კაპიტალი: 4,2 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №308**

ბრიტანელი ჯო ლუისი ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში დაიბადა



და ხმაურიანი პაბის თავზე განლაგებულ ბინაში იზრდებოდა. 15 წლის ასაკში მან მიატოვა სწავლა და მამის კომპანიაში მოეწყო. ჯომ წინსაფარი მოირგო და ოფიციანტად დაიწყო მუშაობა, მოგვიანებით კი მთლიანად დაეუფლა ოჯახის ბიზნესს და ინვესტიციაზე გადაერთო. ამჟამად ლუისი ფლობს წილებს 150 სხვადასხვა კომპანიაში; არის 135 რესტორნის მეპატრონე და, ასევე, საფეხბურთო კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურის" მფლობელი. განათლების არქონამ არ შეუშალა მას ხელი, რომ ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი გამხდარიყო: მატისი, პიკასო, ლუსიენ ფროიდი, ფრენსის ბეკონი – ლუისი ამ ხელოვანების ნამუშევრებს ფლობს, რომელთა საერთო ღირებულება ერთ მილიარდ დოლარს აღემატება.

**კირკ კერკორიანი – „ტრასინდა კორპორეიშენის" მფლობელი; კაპიტალი: 3,3 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №412**

სომხური წარმოშობის ამერიკელმა სწავლა მერვე კლასში მიატოვა. იგი კრივით იყო დაკავებული და



პროფესიულ კარიერაზე ოცნებობდა, თუმცა, მეორე მსოფლიო ომმა მას გეგმები ჩაუშალა და კერკორიანი მფრინავი გახდა. ომიდან დაბრუნების შემდეგ მან საკუთარი ავიაკომპანია გახსნა და მეწარმეობა დაიწყო. ამჟამად 96 წლის კერკორიანს „ლას-ვეგასის მეფეს" უწოდებენ და კრივის მატჩებს მხოლოდ მაყურებლის რანგში ესწრება.

**დევიდ მერდოკი – „დოულ ფუდ კომპანის" მფლობელი; კაპიტალი: 2,4 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №613**

დევიდ მერდოკი ამჟამად სათავეში უდგას მსოფლიოში ყველაზე მსხვილ კომპანიას, რომელიც ხილისა და ბოსტნეულს აწარმოებს, თუმცა, მისი პირველი სამსახური სულაც არ უკავშირდება კვების სფეროს. მერდოკმა მეცხრე კლასში მიატოვა სკოლა და ბენზინგასამართ სადგურზე დაიწყო მუშაობა, შემდგომ მეორე მსოფლიო ომი გაიარა და, ვეტერანის სტატუსით დაფუძნდა დეტროიტში, ჯიბეში ერთი ცენტისა და სახლის გარეშე. რომ არა ფულის სესხება, შესაძლოა, მერდოკს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. თავიდან მან პატარა სასადილო გახსნა, მოგვიანებით კი გაფართოვდა. მათემატიკაში მერდოკი სკოლის განათლების გარეშეც ძლიერი აღმოჩნდა.

**კარლ ლინდნერი – „ამერიკან ფინანშალ გრუპის" მფლობელი; კაპიტალი: 1,7 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №582**



კარლ ლინდნერის ბავშვობის წლები ამერიკის დიდი დეპრესიის პერიოდს დაემთხვა. ოჯახს ძლიერ უჭირდა, ამიტომ, კარლმა სკოლა მიატოვა და რძის ცისტერნის მძღოლის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 1940 წელს მან და-ძმასთან ერთად 1 200 დოლარი ისესხა და ნაყინის მაღაზია გახსნა. ამჟამად ლინდნერი ფლობს 200-მდე საყოფაცხოვრებო მაღაზიას და, ასევე, საინვესტიციო კომპანიებს.

**აჰმეტ ნაზიფ ზორლუ – ჰოლდინგური კომპანია „ზორლუს" მფლობელი; კაპიტალი: 1,4 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №1 031**

თურქი მეწარმე აჰმეტ ნაზიფ ზორლუ სკოლიდან 15 წლის ასაკში წამოვიდა. ძმებთან ერთად მან ტექსტილის წარმოება დაიწყო ქალაქ დენიზლიში, რაც მომგებიან საქმედ იქცა. 1990-იანი წლების დასაწყისში ზორლუ სტამბულში გადაბარგდა და თავისი სამეწარმეო საქმიანობა კიდევ უფრო გაზარდა. ამჟამად იგი ფლობს მსოფლიო ლიდერ კომპანიას პოლიეთილენის მასალის წარმოებაში.

**ჯეიმს კლარკი – „ნეტსკეიპ კომუნიკეიშენის" პრეზიდენტი; კაპიტალი: 1,1 მილიარდი დოლარი; „ფორბსის" რეიტინგში – №1 268**

ჯეიმს კლარკის სკოლიდან წამოსვლა მშობლების ბრალია – ისინი ხან შორდებოდნენ და ხან რიგდებოდნენ, ბავშვები კი თავისით იზრდებოდნენ, მათ არავინ აქცევდა ყურადღებას. მოგვიანებით კლარკი მეზღვაურად მოეწყო სამუშაოდ. ზღვიდან დაბრუნების შემდეგ კი ტულეინის უნივერსიტეტში ჩაეწერა კურსებზე. მიუხედავად იმისა, რომ კლარკს სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, ის უნივერსიტეტის დაუსწრებელ სწავლებაზე ჩაირიცხა და დიპლომი მიიღო. მოგვიანებით, როდესაც კლარკი ინტერნეტ-ტექნოლოგიების წყალობით გამდიდრდა, ტულეინის უნივერსიტეტმა მას საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

**უშანგი რუხაძე**

**განცხადება**

ნებისმიერი სირთულის ტექსტს ვუკეთებ სტილს, რედაქტირებასა და კორექტურას. ვთარგმნი რუსულიდან ქართულად. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: 555-53-43-38. ბაია

**ლევან პირველი საქართველოდან მაშინ წავიდა, როდესაც ნაციონალური ხელისუფლება მხოლოდ ერთ დღეს ითვლიდა – ვარდების რევოლუციის მეორე დღესვე. საქართველოდან გაუჩინარებული ექსდეპუტატის პოლიტიკური დევნილობა თითქმის ათი წელი გაგრძელდა, თუმცა მას თბილისში ბოლომდე არ „ივიწყებდნენ". დროდადრო ლევან პირველის ვენურ ცხოვრებაზე ამბები მაინც ჩნდებოდა. გასულ კვირას ლევან პირველი თბილისში დაბრუნდა. რა ფორმით დაუკავშირდება ის ქართულ პოლიტიკას, ამას მომავალი გვიჩვენებს, თავად კი არ მალავს, რომ წლებმა ის „მუხრუჭი" გაუჩინა, რაც პოლიტიკაში მისი ყოფნის პირველ „სერიას" აკლდა.**

# როგორ დაქორწინდა ლევან პირველი ავსტრიაში და რატომ გამოუყვეს მას ვენაში ჯავშანტექნიკა

**ლევან პირველი**: ათი წელია, რაც საქართველოში არ ვყოფილვარ. ამდენი ხნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას, ძალიან ემოციური განცდები ახლავს, თუმცა ძალიან ენერგიულად ვარ. ჩამოვედი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს ათი წელი დაკარგულია ჩვენი ქვეყნისთვის. არც არაფერი გაუკეთებიათ, ერთი ნაბიჯითაც არ წავსულვართ წინ. შორიდან მესმოდა, რომ ფასადებს ღებავდნენ, რაც ვნახე, ბევრი არაფერი შეუღებავთ. ეტყობა, მეც ნაციონალების აგიტაცია-პროპაგანდის მსხვერპლი ვარ. საქართველოში ათი წელი არ ჩამომიშვეს. დედა ისე გარდამეცვალა და დაასაფლავეს, მე ვერ ჩამოვედი. ეს ყველაზე მძიმე იყო ამ ათ წელიწადში. ახლა, როგორც კი ჩამოვედი, მშობლების საფლავზე წავედი. მერე მეგობრები მოვინახულე, ახლობლები. ცოტა ხნით ვარ ჩამოსული, მალე უკან უნდა დავბრუნდე. ამიტომ ვცდილობ, რაც შეიძლება ბევრი რამ მოვასწრო. თბილისში აბსოლუტურად „სხვა" ხალხი დამხვდა, თითქოს ყველა მოტეხილია და თვალები სევდით აქვთ სავსე, როგორც ჩანს, ამ ათმა წელიწადმა ყველას თავისი კვალი დააჩნია. ჩემი აზრით, ძირითადი, რაც გამოსასწორებელია ამ ქვეყანაში, ხალხს მომავლის იმედი და ოპტიმიზმი უნდა დაუბრუნდეს. ჩვენ მძიმე, საბჭოთა პერიოდში გავიზარდეთ და არც შემდგომი პერიოდები იყო იოლი, მაგრამ ქართველობის სიამაყე მაინც გვქონდა. ახლა ეს თითქოს დაკარგულია. წინ, მარტივი წლები არც ახლა გველის. ის პრობლემატიკა რაც მთელ მსოფლიოში არსებობს, არც ჩვენ აგვივლის გვერდს. ვერც იმას ვიტყვი, რომ ქართულ პოლიტიკაში სტაბილურობას ვხედავ. ამას ვერავის დავაბრალებთ, ვითარებამ მოიტანა ასე. ძალიან მალე პოლიტიკური ქაოსიც კი შეიძლება იყოს ჩვენთან. ვერ ვხედავ დალაგებას, კარტი რაც არ უნდა დაალაგო, თუ არ იანგარიშებ პასეანსს ვერ აწყობ. მოზაიკა ვერ ეწყობა მაშინ, როცა რაღაც აკლია, ის რაღაც უნდა შევავსოთ.



**ცხოვრებაში არ გადამიდგამს ნაბიჯი უკან, არ მიმიცია „ზადნი"**

**– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ მოზაიკას ააწყობთ? რა არის თბილისში თქვენი დაბრუნების მიზანი?**

– მოზაიკა თავისით აეწყობა, მე იმას ავაწყობ, რაც აკლია ამ სპექტრს. მე დავუბრუნდი ჩემს პარტიას, მრეწველებს, პრინციპში, მე არც არსად წავსულვარ. ამ პარტიის წევრი ვიყავი ეს ათი წელიც. გოგი და ზურა ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე ვენაში. ისინი არ შეშინებულან ზოგიერთებივით, ჩემთან ტელეფონზე დარეკვისაც კი რომ ეშინოდათ. ალბათ, გახსოვთ, ერთხელ ზურაბ ტყემალაძე და თამაზ ყაჭეიშვილი ლამის დაიჭირეს კიდეც. ამათ გადასცეს ინფორმაცია, თითქოს კრიმინალები იყვნენ საქართველოდან ჩამოსულები. მერე კი გაერკვნენ სიტუაციაში იქაური სამართალდამცველები. ახლა, ბოლო ჩამოსვლაზე მათ ჩამომიტანეს პასპორტი და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი. ჩემი მეგობრები პატიოსანი ხალხია, სტაბილური პოლიტიკური ორიენტაციით. ეს ათი წელი შორიდან, როგორც შემეძლო, იგივეს ვაკეთებდი, რასაც ადრე ვაკეთებდი, მაგრამ, ამას ვინ გააშუქებდა. დამიჯერეთ ერთი რამ, ქვეყნის გარეთ ქართული პოლიტიკური ცხოვრება საკმაოდ ძლიერად ფეთქავდა. ჩემთან ჩამოდიოდა ძალიან ბევრი პოლიტიკოსი.. მემუარების დრო ჯერ არაა, მოვა პერიოდი, როცა ამაზე ძალიან საინტერესო მასალები შეიქმნება. ვენაში, სადაც მე ვცხოვრობდი, ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის აკუმულაცია, გვქონდა გეგმები, ყველა ჩვენი გზით ვცდილობდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. ნაციონალური ხელისუფლება სხვადასხვა პროვოკაციით გვებრძოდა ოპოზიციას ქვეყნის გარეთ. უფრო მეტსაც გეტყვით, ჩემთან ხშირად ჩამოდიოდნენ ნაციონალები, მინიმუმ მეორე-მესამე კაცები.

**– იქიდან ხომ არ გახდევინებდნენ „გადასახადს"?**

– პირიქით, როცა ძალიან უჭირდათ და ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგებოდათ, მაშინ მოდიოდნენ ჩემთან. სამჯერ-ოთხჯერ იდგნენ ბეწვის ხიდზე, არ იცოდნენ, გაიტანდნენ თუ არა თავს. ასეთ დროს ახშირებდნენ ჩემთან სტუმრობას იმ მოტივით, თუ თავზე დაენგრეოდათ ყველაფერი, საერთო ენა ჰქონოდათ ნაპოვნი. როგორც კი სიტუაციებს ალაგებდნენ, მერე მივიწყებდნენ ან „კუდსა" და „სოდს" გზავნიდნენ. ჩემთვის საინტერესო იყო ამ სეირის ყურება.

**– თქვენ რატომ იღებდით მათ?**

– ამით ძალიან კარგად ვგრძნობდი, რა ხდებოდა ნაციონალურ მოძრაობაში. პულსზე მედო ხელი. როცა ვხედავდი, რომ არ ნერვიულობდნენ, ოპოზიციას ვეუბნებოდი: ეს პროვოკაცია ამათი მოწყობილია, რადგან ამაზე არ ნერვიულობენ-მეთქი. ორჯერ არ დამიჯერეს და წამოეგნენ კიდეც ამათ თამაშს. თვითონ სააკაშვილიც ვერ მივიწყებდა, ხშირად ახსენებდა ლევან პირველს და ვენას, სადაც ნამდვილად იყო რეალური ოპოზიციური ცენტრი.

**– ალბათ, ხშირად ჩამოდიოდნენ თქვენთან სტუმრად მამა-შვილი აბაშიძეებიც?**

– მე მათთან სულ მქონდა ურთიერთობა. რაც ასლან აბაშიძე წავიდა საქართველოდან, იმ დღიდან პოლიტიკაში აღარაა, მე მასთან არც მქონია პოლიტიკური ურთიერთობები – ჩვენ პირადი ურთიერთობები და მეგობრობა გვაკავშირებდა ყოველთვის. გიორგი ხშირად იყო ვენაში ჩემი სტუმარი. ის ჩემი გოგონას ნათლიაა და პოლიტიკა ჩვენს შორის არასდროს არაფერს ნიშნავდა. მე არ მინდა სხვა ადამიანების დასახელება. დარწმუნებული ვარ კადრები აქვს სპეცსამსახურებს, რომლებიც ხშირად ამზადებდნენ პროვოკაციებს. ეს რომ არ გამოუვიდათ, ბოლოს ჩემი მკვლელობა შეუკვეთეს. ეს ინფორმაცია მიიღო ავსტრიის სპეცსამსახურმა და განსაკუთრებული დაცვა დამინიშნეს. ეს ხდებოდა არჩევნებამდე 5 თვით ადრე – იმ პერიოდში მე მყავდა დაცვა – 12 კაცი სპეცნაზიდან და დაახლოებით ასი ავსტრიელი პოლიციელი, ჯავშანმანქანები მომცეს და ვერტმფრენიც, რომელიც მუდმივად აკონტროლებდა პერიმეტრს. ავსტრიის პოლიციამ დააკავა ხუთი ჯგუფი, ერთ-ერთი ჯგუფი პრაქტიკულად ქართველი პოლიციელებისგან იყო დაკომპლექტებული. საქმე ჯერ არ დამთავრებულა, ავტრიის მთავარ პროკურატურას საქმე აღძრული აქვს სახელმწიფოს მიერ ოპოზიციონერის დაკვეთილი მკვლელობის ბრალდებით. უფრო მეტსაც გეტყვით, ექსცენტრიკ პრეზიდენტს პირად მტრად ვყავდი გამოცხადებული. ეტყობა, ვესიზმრებოდი კიდეც. მე თბილისიდან ვარდების რევოლუციის მეორე დღესვე წავედი, სანამ ესენი ეიფორიაში იყვნენ. მე მქონდა ინფორმაცია, რომ ასე უნდა მოვცქეულიყავი. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია იმდენად ზუსტი იყო, ათი წლის შემდეგაც კი დაცვა დამჭირდა.

**– თქვენ თბილისშიც გაძლიერებული დაცვით დადიხართ.**

– იქ მიპირებდნენ მოკვლას და აქ რა შეუშლით ხელს? ეს დაცვა მე არ ამიყვანია, მეგობრებმა იზრუნეს ამაზე. ბევრ ადგილას უნდა წავსულიყავი. ამ ერთ კვირაში ყველა კუთხეში მოვასწარი წასვლა, კახეთიც მოვინახულე, სვანეთიც.

**– ქართულ პოლიტიკაში ძალიან ოდიოზური პიროვნება იყავით. რას ფიქრობთ, როგორ მიგიღებთ დღეს ქართული საზოგადოება?**

– ხმები, რომლებიც ჩემზე დროდადრო ვრცელდებოდა, გადაჭარბებული იყო. ამ იმიჯს სხვები ქმნიდნენ. მე მქონდა ხანდახან მძაფრი და დასამახსოვრებელი რეაქციები იმ ტყუილებზე, რასაც ჩემზე ავრცელებდნენ. ცხოვრებაში არ გადამიდგამს ნაბიჯი უკან, არ მიმიცია „ზადნი", მით უმერტეს, პოლიტიკაში. ვერც ვერასდროს ამაგდეს, რომ გამოვსულიყავი ჩარჩოებიდან. ვერავინ გაიხსენებს ჩემს ვერც ერთ „პოლიტიკურ ჩხუბს", ერთი კადრიც კი არ არსებობს ამის ამსახველი. ერთ კადრს ვინც მოიტანს, სადაც ლევან პირველი ხელებს იქნევს, კარგ პრემიას ვპირდები *(იცინის)*.

**– როგორი იქნება თქვენი ახალი იმიჯი?**

– მე არაფრის მოგონება არ მჭირდება იმიჯისთვის, ჩემი ხასიათიც საკმარისია. არაფერი მაქვს დასამატებელი. ჩემს შემთხვევაში, დრომ საუკეთესოდ დაალაგა ყველაფერი, უფრო დადინჯებული ვარ. ასე რომ, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა მე ჩამოვედი იმისთვის, რომ შევქმნა „მრეწველთა პარტიის" ახალგაზრდული ფრთა, რათა მოხდეს პარტიის ახალი თაობის გენერაცია.

**– როგორ გაატარეთ ათი წელი ვენაში?**

– არ მოგატყუებთ და გეტყვით, მე არ მქონდა აქაურობის ნოსტალგია. იმიტომ კი არა, რომ ეს გრძნობა არ ვიცი რა არის. მე ვიცოდი, რომ თუ ამას ავყვებოდი, ვერაფერს გავაკეთებდი. საკუთარ თავს ტრენინგი ჩავუტარე, საკმაოდ ბევრი ვებრძოლე და დავდექი პრაგმატულ პოზიციაზე – მონატრებას არ შეელეოდა მომავლის რწმენა. ვიცოდი, რომ მოსახდენი მოხდებოდა. მე თვითონ ამოვკვეთე ჩემში ემოციები და ამის გარეშე ვაკეთებდი ჩემს საქმეს. ვენაში დავქორწინდი კიდეც. ჩემი მეუღლე ბელორუსიის მოქალაქეა. ჩვენ აქ, თბილისში დავიწყეთ ურთიერთობა და როცა მე ქვეყნიდან წავედი, ისიც მალევე ჩამოვიდა ჩემთან. დრო ტყუილად არ დამიკარგავს, ჩვენ გვყავს ორი შვილი, ერთი რვა წლისაა, მეორე – ექვსის. ახლა მესამე შვილს ველოდებით. ბავშვები

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

**მალხაზ ველიჯანაშვილი** ქართულ ტელესივრცეში რეზონანსული სასამართლო პროცესების დროს გამოჩნდა. ახალგაზრდა თაობის ადვოკატს ფერად-ფერადი პერანგებითა და ჰალსტუხებით, უცებ მიაკერეს „ნაციონალების ადვოკატის" იარლიყი, რასაც ის ჩვეული იუმორით ხვდება. ამბობს, პროფესიონალი ვარ და პოლიტიკური ორიენტაციით არ ვირჩევ კლიენტებსო, თუმცა, არც ის ავიწყდება, რომ წლების წინ, როცა ადვოკატურის გზას შეუყვა, ნაციონალების გამო დარჩა უმუშევარი. მოკლედ, ასეა თუ ისე, ის ახალი თაობის ადვოკატია, ვინც მძიმე ბრალდებებით „შეკაზმულ" ადამიანებს იცავს. როგორ მოხვდა მალხაზ ველიჯანაშვილი გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებში და როგორ გაიზარდა მისი „ფასი," ამის შესახებ ის თავად გიამბობთ.

# როგორ მიულოცა დაბადების დღე ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილს ბაჩო ახალაიამ და რაში ვერ წაადგა მისი ჰალსტუხის ფერი თენგიზ გუნავას

**– მალხაზ, რეზონანსული სასამართლოების წყალობით, მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდით, რის გამოც „ნაციონალების ადვოკატის" იარლიყიც კი მოგაკერეს. საიდან და როგორ მოხვდით ამ ამბებში?**

– არადა, ვინ იცის, რომ, პოლიციიდან, სადაც მე წლების განმავლობაში ვმუშაობდი, სწორედ ნაციონალებმა გამომიშვეს, მათ დამტოვეს მაშინ უმუშევარი?! ამის მიუხედავად, მაინც მადლიერი ვარ მათი, რადგან, იმ გზაზე დავდექი, რომელიც დღეს ძალიან მომწონს *(იცინის)* ადვოკატურაში მუშაობის სულ რაღაც სამი წლის გამოცდილება მაქვს. ამ საქმეში ძალიან გამომადგა პოლიციაში გატარებული წლები. ბოლოს, როცა გამათავისუფლეს, ვარკეთილის კრიმინალური პოლიციის უფროსი ვიყავი. მანამდე საგამოძიებო სამსახურში გავიარე გამომძიებლის ერთი თვე და პრაქტიკა. 2010 წელს, კაპიტნის ჩინამდე ერთი ვარსკვლავი მაკლდა, როცა უფროსი ლეიტენანტის ჩინით დავემშვიდობე პოლიციას *(იცინის).* ერთი თვე ისეთი სტრესი მქონდა, მაინც მივდიოდი სამსახურში, ხან რაში ვეხმარებოდი ჩემს თანამშრომლებს, ხან – რაში. ბუნებით ძალიან მებრძოლი ადამიანი ვარ, არ მიყვარს ხელების ჩამოშვება და ზუზუნი. როგორც კი უმუშევარი დავრჩი, მაშინვე დავიწყე სამსახურის ძებნა – იურისტის სამუშაოს ვეძებდი. გასაუბრებას გავივლიდი, თუ არა, ეგრევე მბლოკავდნენ. პოლიციიდან გამოშვებულის სამსახურში აყვანა არავის უნდოდა, ყოფილ პოლიციელს ყველგან ალმაცერად მიყურებდნენ. ავდექი და ადვოკატურის გამოცდებისთვის დავიწყე მომზადება და ექვს თვეში ჩავაბარე გამოცდები. ჩემი პირველი საქმე იყო ნარკოტიკების მომხმარებლის საქმე, ორი წელი ასეთ საქმეებზე დავრბოდი. მაშინ ისეთი დრო იყო, არც ხმაურდებოდა საქმეები. ახლა რეზონანსული საქმეების წყალობით გავხდი ასე ცნობადი, თორემ, ძალიან ბევრ საინტერესო, მაგრამ გაუხმაურებელ საქმეზე მიმუშავია. ისეთი საქმეებიც მაქვს აღებული, სადაც ნაციონალებს უჩივიან, ასე რომ, მარტო ნაციონალების ადვოკატი არ ვარ, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთეს არჩევანი ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ადვოკატზე, რომელსაც არცთუ დიდი გამოცდილება ჰქონდა და არც ქართული საზოგადოება იცნობდა?**

– ისეთი რთული პერიოდი იყო, არავინ არავის ენდობოდა, არავინ იცოდა, ვინ სადამდე მივიდოდა და ვინ მიიყვანდა ბოლომდე. ჩემთვის პირველი იყო თენგიზ გუნავას საქმე, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა. საზოგადოებისა და სასამართლოს წინაშე დამტკიცდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სიმართლე და ამან გამოიწვია, ჩემზე „მოთხოვნა" *(იცინის)* ამას მოჰყვა იგორ მელნიკოვის საქმე, შემდეგ – ბაჩო ახალაიას საქმე, რომელიც თავიდანვე მე შემომთავაზეს, მაგრამ, მაშინ სხვა საქმეზე ვმუშაობდი. როგორც კი ის დავასრულე, მაშინვე ჩავერთე ბაჩო ახალაიას საქმეში. მე ვიცავ დავით ჭაკუას, მეგის ქარდავას. როგორც ვიცი, როცა თავიდან დაიბარეს ვანო მერაბიშვილი, მათ უნდოდათ ჩემთან დაკავშირება, მაგრამ, მერე დაუკავშირდნენ სხვა ბიუროს, სადაც ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ადვოკატები მუშაობენ.

**– ამ ადამიანების დაცვა იოლი არ უნდა იყოს. ამას, შეიძლება, თქვენი პროფესიული იმიჯიც კი შეეწიროს.**

– ვერ გეტყვით, რომ ამაზე არ მიფიქრია, უფრო მეტიც, სანამ ამ საქმეებს ხელს მოვკიდებდი, საკმაოდ ბევრი ვიფიქრე. მიმაჩნია, რომ პროფესიონალი ვარ, რის გამოც, არც ერთ საქმეზე არ უნდა თქვა უარი, მით უფრო, საინტერესო საქმის ცდუნებას ვერ გავუძლებ. ჩვენი მთავარი პროკურორი არ იცავდა კანონიერ ქურდს?! ასეა ჩვენი საქმე. ერთხელაც თუ თქვი უარი საქმეზე იმის გამო, რომ იმიჯი არ შეგელახოს, ისეთ იმიჯს მიიღებ, ვერასდროს რომ ვერ მოიშორებ. არაა სწორი, ადამიანს დაცვაზე უარი უთხრა, არის ის დამნაშავე თუ არა. ყველაფერი მაინც „გადაწონა" იმ ფაქტორმა, რომ მე თვითონ უნდა გამეგო, რეალურად რაში იყო საქმე. მინდოდა საკუთარი ძალების მოსინჯვა იქ, სადაც ბევრი სირთულე იყო. როგორც ვიცი, ბაჩო ახალაიას საერთოდ არ უნდოდა ადვოკატის აყვანა, იმიტომ ჩამოვიდა, რომ თავად უნდა დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, მაგრამ გაჩნდა კომუნიკაციის პრობლემა და აუცილებელი გახდა ადვოკატის აყვანა. ახლა უკვე ისე გაერკვა იურიდიულ საკითხებში, ამას წინათ ვუთხარი, ცოტა გვაცალე-მეთქი. უკვე ისეა გაწვრთნილი, მგონი, შუამდგომლობებს თვითონ აყენებს *(იცინის).*



**ბაჩო ახალაიასთვის ჰიპნოზის ჩატარება იოლი არაა**

**– დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ თავდაცვის ყოფილ მინისტრთან და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებთან, რომლებსაც რეზონანსულ საქმეებზე იცავთ?**

– სიმართლე გითხრათ, იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ბაჩო ახალაიას დაცვა მომიწევდა! ტელევიზორში მყავდა ნანახი სულ რამდენჯერმე. ეს ადამიანები ურთიერთობაში ძალიან თბილები და მეგობრულები არიან, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ბაჩო ასეთი ადამიანი იყო. ოთხი ადვოკატი ვმუშაობთ, ოთხივეს გვისმენს, აანალიზებს და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებებს. გამორჩეული ადამიანია თენგიზ გუნავა, კარგი იუმორი აქვს. სულ ხუმრობდა ხოლმე ჩემს ჰალსტუხებზე. მიყვარს ფერად-ფერადი ჰალსტუხები და გუნავა მეუბნებოდა: რომელი ჰალსტუხი გაქვს კარგად დაცდილი, რომ იმ ჰალსტუხით მივიდეთ პროცესზეო *(იცინის).*

**– ამ საქმეებმა ძალიან ცნობილი ადვოკატი გაგხადათ და, ალბათ, თქვენი „ფასიც" ძალიან გაიზარდა.**

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ფული არაფერს არ წყვეტს. ბოლო პერიოდში ისეთი საქმეებიც მაქვს აღებული, რომლებშიც ანაზღაურება ან საერთოდ არ მაქვს, ან ძალიან დაბალია. იმას ვერ ვიტყვი, რომ ამ რეზონანსული საქმეებიდან დაბალი ჰონორარი მაქვს, თუმცა, არც ერთი საქმის აღება არ გადამიწყვეტია თანხის გამო. ზოგს ჰგონია, რომ ძალიან ბევრს ვიღებ. ამას წინათ ერთი ნაცნობი დამიკავშირდა: შენ ალბათ, ახლა იმდენს იღებ, ჩემს საქმეს ხელს არ მოჰკიდებო, – მითხრა. ჩემთვის საქმეში სხვა აზარტია მთავარი. რაც შეეხება პოპულარობას, სადაც არ უნდა მივიდე, უკვე ყველა მცნობს. ზოგი მცნობს, მაგრამ, ვერ ხვდება საიდან. ისე, ჟურნალისტებიც „დამეხმარნენ". ვერასდროს წარმოვიდგენდი, ასე თუ შევეჩვეოდი კამერებს. ჟურნალისტები სოფელში ჩამოდიოდნენ ხოლმე კომენტარის ჩასაწერად. ოთხი თვის წინ მე და ჩემს მეუღლეს ბიჭი შეგვეძინა, სოფელში მყავდა ცოლ-შვილი წაყვანილი და იქაც კი ჩამოდიოდნენ თქვენი კოლეგები. „პირველი არხის" ჟურნალისტი მეუბნება: ძალიან მაგარი რესპონდენტი ხარ, არასდროს გჭირდება „დაჭრა", 35 წამში ატევ ყველაფერსო, – აი, ასე დავოსტატდი კომენტარებში. ახლა ახალ სახლში გადავდივარ და ცალკე ოთახი უნდა გავაკეთო ჟურნალისტების მისაღებად *(იცინის).* ისე, ვარკეთილში ყოველთვის ვიყავი პოპულარული, აქ გავიზარდე, აქ ვმუშაობდი წლების განმავლობაში. იმ დროს, როცა საგამოძიებოში ვმუშაობდი, თითქოს მოდად იქცა ცრუ დასმენები და ამ ბრალდებით ძალიან ბევრ ხალხს ვაკავებდით. პროკურორი მეხუმრებოდა ხოლმე, ეტყობა, ჰიპნოზს უტარებ ამ ხალხს, დანაშაულს რომ აღიარებინებო. ერთ თვეში შვიდი ცრუ დასმენა მქონდა და შვიდივე შემთხვევა საქმის აღიარებით დამთავრდა

**– ბაჩო ახალაიასაც ჩაუტარეთ „ჰიპნოზი"?**

– ბაჩო ახალაიასთვის ჰიპნოზის ჩატარება იოლი არაა, თვითონ არის ყველაზე დიდი ჰიპნოზიორი. რომ შემოგხედავს, მაშინვე ყველაფერს ხვდება. მახსოვს, ჩვენი პირველი შეხვედრა ძალიან ოფიციალური იყო, მაშინვე შენიშვნა მომცა: არც თქვენობით მომმართო და არც „ბატონო" დამიძახოო.

**– თენგიზ გუნავას მსგავსად, მასაც სჯერა თქვენი ჰალსტუხების ფერის?**

– თვითონაც მეხუმრება ხოლმე ჰალსტუხებზე, მაგრამ, არაა ცრუმორწმუნე. იმაზეც მეხუმრება – დამნაშავეებს როგორ იცავო. ვგრძნობ, რომ მისგან ძალიან დიდი ნდობა მაქვს. საერთოდ, ეს არის ადვოკატის მუშაობის მთავარი წესი: კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობა თუ არ არის, არაფერი გამოვა – შედეგს ვერ მიაღწევ. კლიენტმა უნდა მითხრას სრული სიმართლე და მერე ერთად წყდება, რა უნდა დაიმალოს და რა – გახმაურდეს. ამას კანონი არ კრძალავს, ბრალდებულს შეუძლია, მოიტყუოს კიდეც. თენგიზ გუნავას საქმის ერთ-ერთ ეპიზოდზე, რომელიც ტალონების გახარჯვას ეხებოდა და მოითხოვდა დოკუმენტს, რომელიც არ არსებობდა, მე ვეუბნებოდი თენგოს, რომ ტყუილი ჩვენება მიეცა. პროცესი ისე მქონდა წარმართული, მისი იმ ჩვენებით ვერ მიუსჯიდნენ. ზუსტად ერთი კვირა ვეხვეწებოდი თენგოს, მაგრამ, ვერ დავითანხმე.

**– თავად გჯერათ, რომ ბაჩო ახალაია უდანაშაულოა?**

– იმ საქმეებში, რაშიც მე ვარ ჩართული, მჯერა მისი უდანაშაულობა. როგორც სხვებს, მეც ბევრი მესმოდა მასზე. მაშინ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, მე იქიდან წამოსული ვიყავი, მაგრამ, სტრუქტურებში მყავდა ბევრი მეგობარი. ყველა ამბობდა მასზე, „ბუაო," მაგრამ, სამინისტროში მისულმა, პოლიციელებთან დაკავშირებით ისეთი გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო, სულ მიკვირდა: ეს რანაირი ბუაა, ძალიან მაგრად მართავს ყველაფერს-მეთქი. პოლიციელი ელემენტარული გადაცდომის გამო არ უნდა გაუშვა სამსახურიდან. მე ეს ყველაფერი საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი.

**(გაგრძელება 71-ე გვერდზე)**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის საქმიანობა ითვლება სამეწარმეო საქმიანობად და რას ნიშნავს, ზოგადად, სამეწარმეო საქმიანობა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს კანონით დადგენილი სამართლებრივი ფორმით არსებობას, ითვლება სამეწარმეო საქმიანობად.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის სამეწარმეო სუბიექტების არსებობას ითვალისწინებს და უშვებს საქართველოს კანონმდებლობა?**

**პასუხი:** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალიწინებული მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს),



სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს იურიდიული პირი და ფიზიკური პირი და რომელი სახის საწარმოებს აქვთ იურიდიული პირის სტატუსი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები). რაც შეეხება ინდივიდუალურ მეწარმეს, ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი სახის ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება ინდივიდუალურ მეწარმეს მისი პარტნიორებისა თუ კრედიტორების წინაშე?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ წყდება ფინანსური ვალდებულებებისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის საკითხი კრედიტორების წინაშე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები, ასევე, კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები, ანუ, სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისთვის.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი კრედიტორების წინაშე და რომელ საწარმოებში არის მსგავსი პასუხისმგებლობის რეჟიმი კრედიტორთა წინაშე?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ასევე, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები, საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. ამასთან, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის შენატანებით შეიძლება დააფუძნონ პარტნიორებმა საწარმო და არის თუ არა სავალდებულო მათ შორის წილების განსაზღვრა თავიდანვე?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, ასევე, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა.

**კითხვა: მაინტერესებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, იგივე შპს-ს პარტნიორები, ყველა შემთხვევაში არიან თუ არა გათავისუფლებულნი თავიანთი პირადი ქონებით მატერიალური პასუხისმგებლობისგან?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, ასევე, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადადაც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, საქართველოში სად ხდება მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საქართველოში მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

## როგორ გაატარა ლევან პირველმა ავსტრიაში ათი წელი და ვის ხვდებოდა ის მალულად ვენაში

(მე-14 გვერდიდან)

სკოლაში დადიან, ალბათ, მათ ჯერ ვერ წამოვიყვანთ თბილისში. თუმცა, ჩემი მეუღლე აუცილებლად გადმოვა თბილისში ჩემთან ერთად

**– რაც თბილისში ხართ, ბიძინა ივანიშვილს არ შეხვედრიხართ?**

– არა, მე მას არ ვიცნობ. მე ჩამოსვლისთანავე შევხვდი მის უწმინდესობას, ჩვენს პატრიარქს.

**– საქართველოსთან, უპირველესად, კი ენერგოსექტორთან, ალბათ, დიდი ბიზნესინტერესებიც გაკავშირებთ სამომავლოდ.**

– ჩემი ბიზნესინტერესი ისევ ენერგეტიკაა, ოღონდ იქ, გერმანიასა და ავსტრიაში. მე ვარ ძალიან მსხვილი ენერგოკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მეპატრონე. კომპანია თითქმის მთელ გერმანიას ფარავს. მიამჩნია, რომ ენერგეტიკა ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. თუ ვინმე მოიყვანს ინვესტორებს და რამეს შეჰმატებს ამ დარგს, ძალიან სასიკეთო საქმე იქნება ჩვენი ქვეყნისთვისაც და მისი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება იქცეს. ლევან პირველმა კი არა, ვინც გინდა იმან მოიტანოს ინვესტიციები, თუ საქმეს რამე ეშველება. ეს საკითხი ჩემთან მიმართებაშიც ავტომატურად დადგება, რადგან მაქვს ნდობა, რომელსაც ვფლობ, როგორც კარგ კაპიტალს. ძალიან ბევრს კი ლაპარაკობენ ამაზე, მაგრამ დიდი ფული მე აქ არ მიშოვია. მთელი ჩემი კაპიტალი აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში მაქვს ნაშოვნი. არც კი ვიცი, თბილისში ფული როგორ იშოვება.

**– ჰკითხეთ თქვენს კოლეგებს, მათში ბევრია წარმატებული ბიზნესმენი.**

– დიდი მასშტაბის ფულის შოვნა ამ ქვეყანაში ძნელია, ეს ზუსტად ვიცი. საქართველო ძალიან ცუდი ადგილია ჩემთვის ფულის საშოვნელად, პირიქით, წარმომიდგენია, რა ხარჯები და უსიამოვნებები მოჰყვება აქ ბიზნესის კეთებას. თქვენ გგონიათ, ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყნაში იშოვიდა ფულს? ვერა. მას დიდი ქვეყნის დიდმა ბაზარმა აშოვნინა ფული. რაც შეეხება იმ ხალხს, ვისაც არასდროს უმუშავია, შრომის წიგნაკიც კი არ ჰქონია გახსნილი და მილიონერები გახდნენ, ეს ქონება მთლიანად ხალხის ჯიბიდან არის ამოცლილი. ასე რომ, როცა ჩემს ფინანსურ მდგომარეობას იკვლევენ, შევახსენებ მათ, რომ წლები ვიმუშავე ევროპულ, ძლიერ ნავთობიმპორტიორ ქვეყნებთან. ასე რომ, მე ჩემსას მივხედავ, ყველამ თავისას მიხედოს.

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

### ჩემი ლექტორი მიყვარს

შარშან, მეთორმეტე კლასში რომ გადავედი, დედაჩემმა თავისი დაქალის რჩევით, მიმიყვანა მათემატიკისა და უნარების მასწავლებელთან, უმაღლესში ჩასაბარებლად რომ მოვმზადებულიყავი. ჩემი რეპეტიტორი აღმოჩნდა ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით 35 წლის, რომელიც პირველივე გაკვეთილის ჩატარებისთანავე შემიყვარდა, მაგრამ ეს არავისთვის გამიმხელია, რადგან, ვიცოდი, რომ ჩემს სიყვარულს მომავალი არ ჰქონდა რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, გიორგი (სახელს შეგნებულად ვცვლი) 17-18 წლით უფროსი იყო ჩემზე; გარდა ამისა, ის აშკარად არ მიყურებდა „სხვანაირად“ და, რაც მთავარია, გიორგის ჰყავდა ახალშერთული ცოლი, რომელიც ფეხმძიმედ იყო (და, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან უყვარდა). ცხადია, ვხვდებოდი, რომ ყველაფერ ამის გამო, აზრი არ ჰქონდა სიყვარულის გამჟღავნებას და, იმის შიშით, რომ რამე არ ეგრძნო, დედაჩემს კატეგორიულად მოვთხოვე, მასწავლებელი შემიცვალე, კარგად ვერ მიხსნის-მეთქი. დედამ მართლაც შემიცვალა რეპეტიტორი. თითქმის მთელი წელი ვმუშაობდი საკუთარ თავზე, რომ გიორგი დამევიწყებინა და, ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე იმას, რომ მასზე აღარ ვფიქრობდი და აღარ მენატრებოდა. ის კი არა, შემთხვევით ერთი ბიჭი გავიცანი და მასთან დავიწყე პაემნებზე სიარული. მაგრამ, წელს, ინსტიტუტში რომ მივედი, პირველივე ლექციაზე გიორგი შემოვიდა ჩვენს აუდიტორიაში და გვითხრა, ორი წელი ვიქნები თქვენი ლექტორიო. არ იცით, რა დამემართა მის დანახვაზე – ძალით მივიწყებულ-მიძინებულმა სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა და, რომ იტყვიან, მთლიანად წამლეკა. კიდევ კარგი, ჯერჯერობით ვერ მიცნო, მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ, არ ვიცი, როგორ მოვერიო თავს – ნამდვილად არ მინდა, ვინმემ რამე შემატყოს. არადა, ღამეები არ მძინავს მასზე ფიქრით. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, სხვა ფაკულტეტზე ან სხვა ინსტიტუტში ხომ არ გადავიდე?

**ეთუნა, 18 წლის.**

### ყოფილ შეყვარებულს ვერ ვიშორებ

მყავდა შეყვარებული, რომელიც ჩემს მშობლებს არ მოსწონდათ – მთელი დღე ქუჩაში დგომის მეტს არაფერს აკეთებს და ცოლ-შვილი როგორ უნდა შეინახოსო; საკმაოდ გაჭირვებულად ცხოვრობენ, თანაც, ბევრნი არიან (ბებია-ბაბუა, დედ-მამა და სამი და-ძმა) და, ამდენი ხალხის პირობაზე, ბინაც პატარა აქვთ – სამოთახიანი „ხრუშჩოვკა“. დედაჩემი მეუბნება, მგონი, თვითონაც რიგრიგობით იძინებენ და თქვენ იქ სად უნდა დაეტიოთო. ჩვენი კარის მეზობელმა კი ისეთი ამბავი მოუტანა ჩემს მშობლებს, გელას სახელის გაგონებაც კი აღარ უნდათ: გელას დედას უთქვამს, მე მოვიყვანე ჩემი შვილი ჭკუაზე და ჩემი რჩევით დაიწყო სალომესთან შეხვედრები – მდიდარი ოჯახის შვილია, თან, დედისერთაა და, მაგას თუ შეირთვს ცოლად, მე ერთი სული სარჩენი მომაკლდება, ჩემს შვილს კი ცხოვრებაში თითის განძრევა არ დასჭირდება. ის კი არა, თუ მოინდომებს, ცოტას აქეთაც მოგვხედავსო. ჩემი მშობლები როგორ „აიჭრებოდნენ“?! თავიდან გავბრაზდი ჩემს მეზობელზე და არ დავიჯერე მისი ნათქვამი, მაგრამ ბოლო ხანებში გელამ „შეპარება“ რომ დამიწყო – ხომ არ ჯობია, თქვენებთან ვიცხოვროთო, – მივხვდი, რომ ჩემი მეზობელი არ ტყუოდა. კიდევ სხვა რაღაცეებმაც დამარწმუნა მისი სიტყვების სისწორეში და მაშინვე გადამიარა სიყვარულმა, გელას კი ჩემთან დარეკვაც კი ავუკრძალე, თუმცა, თვიდან ვერ ვიშორებ. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

**სალომე, 21 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**



# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

### როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***არ არსებობს ადამიანი, ვისაც არ აინტერესებს, რას უქადის მომავალი, ბედნიერი იქნება თუ უბედური, ფულიანი თუ უფულო, რამდენ ხანს იცხოვრებს, ვინ იქნება მისი ცხოვრების თანამგზავრი. ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა, მით უფრო ისეთ რთულ დროში, როგორიც დღესაა. გარემო ბოროტი ძალების გააქტიურების განსაკუთრებულ გავლენას განიცდის. მკითხველის დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს ნინო ვარსიმაშვილთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია.***

**– ქალბატონო ნინო, თქვენ შესახებ თბილისში ბევრ საინტერესო ისტორიას ყვებიან, მათ შორის იმასაც, თუ როგორ აღმოგაჩნდათ ნათელხილვის ნიჭი.**

– ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში ოცდაათი წლის წინ დაიწყო – მაშინ ერთი პატარა პროვინციული ქალაქის სახალხო თეატრში ვმუშაობდი. ერთ დღეს ძალიან ცუდად გავხდი, სად აღარ წამიყვანეს, მაგრამ ვერც დიაგნოზი დამისვეს და ვერც ჩემი მკურნალობა შეძლეს ექიმებმა. ბოლოს მოვხვდი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, აღმომაჩნდა თავის ტვინის ძალიან მძიმე დაავადება. თვე-ნახევარი საწოლს ვიყავი მიჯაჭვული, სიკვდილს ვებრძოდი. გამიკეთდა ქირურგიული ოპერაცია, რომელიც უფლის წყალობით, წარმატებით დასრულდა. მდგომარეობიდან რომ გამოვედი, სულ სხვა პიროვნება ვიყავი. წინასწარ ვხედავდი, რა ელოდათ ჩემს ახლობლებს. ეს ამბავი ჩვენს პატარა ქალაქში ისე გახმაურდა, მალე მეზობელი რაიონებიდან დაიწყო ხალხმა ჩამოსვლა.

**– დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– წინასწარ ვჭვრეტ ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებაზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა და მთხოვა, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ წასვლა მომიწია საბერძნეთსა და მოსკოვში. იქ იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, რომლებიც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ. მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

***ქალბატონ ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ, რომელთაც საკუთარი ისტორიები გვიამბეს.***

**ლაურა მჭედლიძე** ***(თბილისი, 62 წლის):*** ნინო ვარსიმაშვილი ათი წლის წინ გავიცანი. ჩემს მეზობელს დაკარგული შვილის პოვნაში დაეხმარა. ის ბავშვი აყვანილ-ნაშვილები ჰყავდათ და ეს რომ გაიგო, სახლიდან გაიქცა. ორი წელი ეძებდნენ, პოლიციამაც კი ვერ მიაგნო. ნინომ პირდაპირ მიუთითა ბავშვის ადგილსამყოფელი – ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობსო, დღესაც მახსოვს, როგორ უთხრა ჩემს მეზობელს, ზღვას ვხედავო. მოკლედ, რომ არა ნინო, ის ოჯახი ბავშვს ალბათ ვერ იპოვიდა. ამ ამბიდან 5 წელი იყო გასული, რომ მეც შემექმნა ოჯახური პრობლემები. ჩემი ვაჟიშვილი ამორალურ ქალს გადაეკიდა და მის გამო ცოლი და ორი შვილი მიატოვა. ოჯახი დანგრეული ჰქონდათ, ტვინი ისე ჰქონდა არეული, ბავშვების ნახვაც კი არ უნდოდა. მაშინვე ნინოს ძებნა დავიწყე, გავიგე, რომ საბერძნეთში იყო წასული იმათი მიწვევით, ვისაც მისი ნათელხილვები ცხოვრებაში ბევრჯერ დაეხმარა. ჩემს ბედად, ერთ თვეში ბრუნდებოდა თბილისში. სამიოთხი ვიზიტი დამჭირდა – ნინომ შვილის კუთვნილი ნივთები მიმატანინა. რამდენიმე თილისმა გამომატანა, რომელიც ჩემს რძალს გადავეცი. სამი თვეც არ იყო გასული, რომ ჩემი გაქცეული შვილი ოჯახში დაბრუნდა. ცოლს მოუბოდიშა, უნდა მაპატიოთ, რა ტკივილიც მოგაყენეთო. მას შემდეგ ნინოზე ძვირფასი არავინ მყავს. ახლა ჩემი მეორე შვილის გამო მოვედი, რომელსაც ფინანსური პრობლემები შეექმნა. ნინოზე ძლიერი ბარაქის მოზიდვაში არავინაა. ორი სეანსია, რაც აქ მოვდივარ და უკვე ვგრძნობ, ჩემს გოგოს საქმეები უკეთესად მისდის. ნინოს შეუდარებელი ფენომენალური უნარი აქვს. ეს ათეული წლებია, უამრავმა ადამიანმა გამოსცადა საკუთარ თავზე.

**მადლენა მ-ია** ***(40 წლის, ბათუმი)*** – ნინო ვარსიმაშვილი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვნახე პირველად. ისეთი დამაჯერებელი საუბარი ჰქონდა, მივხვდი, მხოლოდ მას შეეძლო ჩემი შველა. იმ პერიოდში სახლის გაყიდვას ვფიქრობდი, ვერა და ვერ მოვაბი თავი. ნინოსთან რომ მივედი, პირველი, რაც მითხრა ის იყო: სახლს სამ დღეში გაგაყიდინებო. გამიკვირდა, კლიენტი არ მყავდა და სახლი როგორ უნდა გამაყიდინოს-მეთქი. ჩემდა ბედად, სულ რამდენიმე დღეში მეზობელმა მაკლერმა თურქი ინვესტორი მომიყვანა, რომელმაც ჩემი სახლი ორჯერ ძვირად იყიდა, ვიდრე მე ვგეგმავდი. ეს კიდევ არაფერი, ახლა რასაც გეტყვით, დაუჯერებელი ამბავია. ორჯერ ვიყავი გათხოვილი, ორჯერვე ისე დამენგრა ოჯახი, შვილი არ მეყოლა. მახსოვს, ნინომ პირველივე ვიზიტზე მითხრა: რაღაც მშენებლობას ვხედავ, რომელთანაც შენი ბედია დაკავშირებული. შენ მალე გათხოვდები და ტყუპებს გააჩენო. ჩემს ასაკში ტყუპების გაჩენა წარმოუდგენელი იყო, გათხოვებასაც აღარ ვფიქრობდი. ჩემდა გასაოცრად, მეგობარმა სამსახური შემომთავაზა ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ოთხ თვეში დავქორწინდით და ცხრა თვეში ტყუპი ბიჭი გავაჩინე, ამის მეტი რა მოგიყვეთ. ერთს გეტყვით, რომ ნინო ვარსიმაშვილს აქვს ხილვები, რომელიც აუცილებლად სრულდება.

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003 006; 597 82 68 68 (ჩაწერა წინასწარ)***

***მისამართი: თბილისი, წითელწყაროს ქუჩა (მეტრო „ავლაბართან“).***

# ვინ გახდა თორნიკე შენგელიას რჩეული და როდის დაიწყო მათი სიყვარული

NBA-ს ქართველი კალათბურთელის, თორნიკე შენგელიასა და მოდელ სალომე ჯუღელის სიყვარულის შესახებ კულუარებში უკვე დიდი ხანია, საუბრობენ. კალათბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ თორნიკეს „ბრუკლინ ნეტსთან“ აქვს კონტრაქტი გაფორმებული, ხოლო სალომე ამერიკული სააგენტოს წარმატებული მოდელია. თორნიკეს მომავალი მეუღლე სამი წლის წინ, დანახვისთანავე მოეწონა. ამ ამბის გახმაურების შემდეგ, ყველა აღნიშნავდა, რომ წყვილი შეუდარებელია და ერთმანეთს ძალიან უხდებიან. მათი დიდი სიყვარული 22 სექტემბერს ქორწინებით დაგვირგვინდა.





მიუხედავად იმისა, რომ სალომე და თორნიკე ამერიკაში ცხოვრობენ, სამშობლოში ერთად ჩამოვიდნენ და თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დღე, საქართველოში აღნიშნეს. წყვილმა ქორწილი საქართველოში გადაიხადა. ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერეს, სალამოს კი ყველაფერი სტუმრებთან ერთად, გრანდიოზული ქორწილით დაგვირგვინდა. სალომე ძალიან ლამაზ თეთრ კაბაში იყო გამოწყობილი, თორნიკემ კი ქართული ჩოხა ძალიან მოხდენილად მოირგო. ჩოხით იყო, ზაზა ფაჩულიაც, რომელიც სალომეს დეიდაშვილია. ქორწილისთვის წყვილი სერიოზულად ემზადებოდა, სტუმრებს ბევრი საინტერესო რამ შესთავაზეს და მათი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. სტუმართა შორის ბევრი ცნობილი სახე იყო და, რა თქმა უნდა, მათ შორის კალათბურთელები მეუღლეებთან ერთად. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ სალომე და თორნიკე მართლაც ერთმანეთისთვის არიან შექმნილი. მათ ქორწილზე 22 სექტემბრის შემდეგ ყველა ლაპარაკობს, რომელიც ასე გამოირჩეოდა ორიგინალურობით. ქორწილის შესახებ დაიწერა, „ნეტსის“ ერთ-ერთ საიტზე www.netsdaily.com. როგორც შევიტყვეთ, ქორწილში „ნეტსის“ წარმომადგენელი, ირინა პავლოვა იმყოფებოდა. მან საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თორნიკესა და სალომეს ქორწილი განუმეორებელი და საოცრად ლამაზი იყო. საიტზე ასევე წაიკითხავთ, რომ ქორწილის კულმინაცია სალომეს ცეკვა გახლდათ, რომელმაც საქორწილო კაბაზე „ბრუკლინ ნეტსის“ მაისური გადაიცვა და „ნეტსის“ ჰიმნზე იცეკვა. ამის შემდეგ კი, როცა ქართული მუსიკა ჩაირთო, სალომემ საქართველოს კალათბურთის ნაკრების მაისური გამოაჩინა. ამას სტუმრების მხურვალე ტაში მოჰყვა.
























თორნიკეს ახალი საკალათბურთო სეზონი ოქტომბრის ბოლოს ეწყება, თავის საქმიანობას განაგრძობს სალომეც სამოდელო სფეროში. ასე რომ, წყვილი ამერიკაში მალე გაემგზავრება და სავარაუდოდ, ზაფხულამდე საქართველოში აღარ დაბრუნდებიან.

***ჟურნალი „თბილისელები“ ულოცავს სალომესა და თორნიკეს დაქორწინებას და ბედნიერებასა და ყველაფერს საუკეთესოს უსურვებს!***

**მარიკა ხიდურელი**

# როგორ შეხვდა კახა მიქიაშვილი ნუკი ცარელაშვილის გათხოვებას და რა ურთიერთობა აქვთ კახას შვილებს ერთმანეთთან

*მომღერალ ნუკი ცარელაშვილს ჩვენი მკითხველი ჯერ კიდევ „ჯეოსტარიდან“ იცნობს, თუმცა, მას შემდეგ თითქმის 9 წელი გავიდა. ნუკიმ კარიერა საოპერო კუთხით გააგრძელა და მას სერიოზული წარმატებებიც აქვს. ნუკი ამჟამად იტალიაში, ქალაქ ოზიმოში ცხოვრობს და ოზიმოს აკადემიაში აგრძელებს სწავლას. ორი წლის განმავლობაში მას არაერთი საინტერესო მოსმენა ჰქონდა. რაც მთავარია, ის ცნობილ პროფესორებთან გადიოდა მასტერკლასს და აკადემიიდან იტალიის სხვადასხვა ქალაქი მოიარა გასტროლებით. ცოტა ხნის წინ, ნუკის პირად ცხოვრებაშიც*



*მნიშვნელოვანი რამ მოხდა: მან საკუთარი მომავალი ანდრეა ბარტოლის დაუკავშირა. წყვილმა ოზიმოში ულამაზესი ქორწილი გადაიხადა, რომელსაც ნუკის შვილი – 7 წლის ანასტასია მიქიაშვილიც ესწრებოდა.*



**ნუკი ცარელაშვილი:** მაქვს პროფესიული წინსვლები, პატარ-პატარა შემოთავაზებები. მაქვს ძალიან ლამაზი ოჯახი და ამჟამად მათი ხელშეწყობით, მთლიანად კარიერაზე ვარ ორიენტირებული. ჩემთვის ყველაზე რთული ანასტასიას გარეშე ცხოვრება იყო. როცა ანასტასიას გარეშე ძალიან დამიმძიმდა ცხოვრება, ღმერთმა დიდი საჩუქარი გამომიგზავნა – ისეთი ადამიანი შემახვედრა, რომელმაც ულამაზესი, დიდი სიყვარული მაჩუქა და ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული ეტაპი გადამატანინა. 20 აგვისტოს ჩამოვიყვანეთ ანასტასია და 7 სექტემბერს, როდესაც მე და ანდრეამ ხელი მოვაწერეთ, ისიც დაესწრო ჩვენს ქორწილს. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი დღე – ჩემს შვილთან და საყვარელ ადამიანთან ერთად. რაც მთავარია, ანასტასიაც უბედნიერესი იყო. ასევე, ჩემი დაც ჩემთან იყო. სავიზო რეჟიმის გამო, მშობლებმა ჩამოსვლა ვერ მოასწრეს, სამაგიეროდ, მე, ანასტასია და ანდრეა ვგეგმავთ ახალი წლის დღეებში საქართველოში ჩამოსვლას. ჩემს მშობლებსაც შეხვდება და დიდი სურვილი გვაქვს, მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავიწეროთ ჯვარი. ჩემი მეუღლე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მე ბედნიერი ვიყო. როცა მკითხა: რა შეეძლო ჩემთვის გაეკეთებინა, მე ვუთხარი, რომ მინდოდა, მართლმადიდებლურ ეკლესიაში დამეწერა ჯვარი. გადავწყვიტეთ, რომ იტალიაში მოვაწერდით ხელს, შემდეგ საქართველოში ანდრეა მართლმადიდებლად მოინათლება და დავიწერთ ჯვარს.





**– რას საქმიანობს შენი მეუღლე და როგორ გაიცანი?**

– ფარმაცევტია. საერთო მეგობართან გავიცანი ერთ-ერთ წვეულებაზე. იტალიელები ძალიან თბილი ხალხია, მაქსიმალურად ცდილობენ, სტუმარს ყურადღება მიაქციონ. იმ საღამოს ყველა ყურადღებას მაქცევდა. ერთადერთი, ანდრეა იყო, რომელიც არ მიყურებდა, მაგრამ ქალებს არაფერი გამოგვეპარება. სამჯერ ისეთი მზერა დავიჭირე მისგან, რომ მივხვდი, ვაინტერესებდი. მერე მითხრა კიდეც: არ შემოვბრუნებულვარ, მრცხვენოდა – ჩემთვის ძალიან ჭკვიანი, მიუწვდომელი და ლამაზი იყავიო. შემდეგ მეგობრებთან ერთად წავედით ვარდების ფესტივალზე. ანდრეა მთელი საღამო ცდილობდა, ჩემთვის ყურადღება არ მოეკლო. ძალიან მამაკაცურია, ჯენტლმენი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, მაგრძნობინოს, რომ ჩემ გვერდით ნამდვილი მამაკაცია. 29 წლის ასაკში პირველად ვიგრძენი, რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული, რომანტიზმი. ანდრეამ ყველაფერი გააკეთა ამისთვის და დამიმტკიცა, რომ იმსახურებდა ჩემ გვერდით ყოფნას – როგორც პიროვნება, მას ისე ვაინტერესებდი. 5 თებერვალს, ჩემს დაბადების დღეზე მაჩუქა საგვარეულო ბეჭედი, რომლითაც მისმა ბაბუამ ბებიამისი დანიშნა და ხელი მთხოვა. ჩემი თანხმობაც მიიღო. ისეთი ადამიანია, ზოგჯერ მგონია, მძინავს და რომ გავიღვიძებ, ყველაფერი დამთავრდება. ასეთ ადამიანზე ვერც ვიოცნებებდი. არაჩვეულებრივი პიროვნებაა და რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს ანასტასიასთან. თავიდან მეშინოდა, არ ვიცოდი, ანასტასია როგორ შეეწყობოდა, რადგან მას მამა ჰყავს და მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს. მას მამას ვერავინ შეუცვლის და არც ანდრეა აპირებს ამას. როცა აეროპორტში, ანასტასია გაექანა და ანდრეას ჩაეხუტა, მან სიხარულისგან იტირა. ფანტასტიკური ურთიერთობა აქვთ, ისეთი, როგორზეც ვერასდროს ვიოცნებებდი.

**– როგორი ურთიერთობა აქვს ანასტასიას პატარა დასთან, კახა მიქიაშვილისა და სალომე არშბას შვილთან?**

– ანდრიას ოჯახის წევრები, მისი მეგობრები, ყველანი იცნობენ თინას. ანასტასიას ტელეფონში აქვს მისი ფოტოები, მამიდა უგზავნის და მთელ იტალიას აჩვენებს: ეს არის ჩემი დაიკო – თინა. უზომოდ უყვარს. მაღაზიაში რომ მივდივართ და მისთვის რამეს ვყიდულობ, მეუბნება: თინასაც უყიდეო. არასდროს ვიქნები წინააღმდეგი, რომ დასთან ჰქონდეს ურთიერთობა, ისევე, როგორც მამასთან, მამიდებთან, რომლებიც ძალიან ყურადღებიანები არიან.

**– ანასტასია შენთან ერთად ცხოვრობს იტალიაში და იქ სწავლობს. კახა ხომ არ იყო მისი საქართველოდან წამოსვლის წინააღმდეგი?**

– ნებისმიერი მამისთვის სასიხარულო უნდა იყოს, რომ მისი შვილი ევროპაში მიიღებს განათლებას. ანასტასია ძალიან კარგ იტალიურ სკოლაში სწავლობს, პარალელურად, ინგლისურ და ფრანგულ ენებს ეუფლება. კახა გაგებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას – ურეკავს, რჩევებს აძლევს, რომ კარგად მოიქცეს, ადრე დაიძინოს და კარგად ისწავლოს.



**– როგორ შეხვდა კახა შენს გათხოვებას?**

– არ მგონია, სწყენოდა, თუმცა არ მოულოცავს. მისი ემოციების შესახებ არაფერი ვიცი.

**– როგორი ქორწილი გქონდა?**

– იტალიური ქორწილი გვქონდა, ოზიმოს კომუნაში მოვაწერეთ ხელი. ერთი კვირით ადრე შეგაქვს კომუნაში საბუთები, მერე ისინი სპეციალურ სტენდზე აქვეყნებენ: ეს წყვილი ამა და ამ დღეს უნდა შეუღლდეს და თუ ვინმეს რამე ინფორმაცია გაქვთ მათ შესახებ, ანუ, თუ რომელიმე მათგან დაქორწინებულია შეგვატყობინეთო. შესაბამისად, ჩვენი ქორწინების შესახებ ძალიან ბევრმა ადამიანმა გაიგო და ბევრიც მოვიდა. მეგობრებმაც ბევრი სიურპრიზი მოგვიწყეს: მთელ ოზიმოში გაკრული იყო ფიფქია და შვიდი ჯუჯას პოსტერები. ფიფქია ვიყავი მე, ხოლო შვიდივე ჯუჯა – ანდრეა, ანუ ჩვენი სახეები იყო იქ ჩასმული. ბევრი ვიცინეთ. გარდა ამისა, მანქანაზე ოთხივე საბურავი მოგვიხსნეს – მე თეთრი საქორწინო კაბით და ანდრეაც სასიძოდ გამოწყობილი ვეძებდით მათ დიდხანს. ასევე, მოგვიტანეს დიდი ყუთი, სადაც, წესით, საჩუქარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თაბაშირი აღმოჩნდა, რომელიც ჩაქუჩით გვამტვრევინეს. კინაღამ რომ მოვკვდით, მერე გადმოგვცეს საჩუქარი კონვერტით. კომუნიდან გამოსულებმა, ბრინჯის წვიმაში გავიარეთ, თავზე გვაყრიდნენ, მთელ სამოსში ბრინჯი გვქონდა ჩაყრილი. ქორწილი გადავიხადეთ ანდრეას ერთ-ერთ აგარაკზე. ყველაფერი ჩვენი ორგანიზებით იყო და ძალიან ლამაზი გამოვიდა. ბოლოს, გვიან მხოლოდ ახალგაზრდები დავრჩით, დიჯეი გვყავდა და დილამდე გავერთეთ. საქორწინო თაიგული ჩემმა დამ დაიჭირა. ახლა ანასტასია უკვე საქმროს ურჩევს მარიამს. ოჯახის წევრებმა სიურპრიზი მომიწყვეს: დიდ ეკრანზე გაუშვეს ვიდეო, სადაც მე და ანდრეას საქართველოდან გვილოცავდნენ. მე ვტიროდი, თან, იტალიურად ვთარგმნიდი.



**ნათია უტიაშვილი**



# როგორ უნდა გადაამოწმოს ქალმა საყვარელი მამაკაცის ერთგულების ხარისხი

**ორი ადამიანის ურთიერთობაში ნდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ღალატი იმითაც არის საშინელი სტრესი, რომ ბოლოს ულებს ნდობას, რის შემდეგაც ურთიერთობაც კარგავს ხიბლს – ის აღარ არის სიხარულის მომგვრელი, თუნდაც სიყვარული ისევ ცოცხლობდეს. ზოგი ადამიანი ეჭვიანია. ალბათ, მეტ-ნაკლებად ყველა შეყვარებულს ღრღნის ეჭვები, მაგრამ, აქ საუბარია არაბუნებრივ, პათოლოგიურ ეჭვიანობაზე, რომელიც უამრავ პრობლემას შობს. რაც შეეხება იმ ეჭვს, რომელიც საყვარელი ადამიანის ერთგულებაში დარწმუნების სურვილი უფროა, მისი მართვა შეიძლება და აუცილებელიც არის. არსებობენ მამაკაცები (ქალებიც), რომლებიც განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ საყვარელი ადამიანის მხრიდან უნდობლობას და, მზად არიან, ყველანაირი კავშირი გაწყვიტონ მასთან. როგორ მოვიქცეთ – ვენდოთ მამაკაცს უპირობოდ და ბოლომდე?! მაგრამ, ესეც რომ რისკია?!.**

**თინიკო** ***(38 წლის):*** ზოგადად, მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ, პანიკაში ადვილად არ ვვარდები და ემოციების მართვაც კარგად შემიძლია. ყოველთვის მჯეროდა, რომ ეჭვიანიც არ ვარ, მაგრამ...

28 წლის გავთხოვდი დიდი სიყვარულით... მართლა უპირობოდ ვენდობოდი. სხვა ქალი ჩემს ადგილას ნერვიულობით და ეჭვიანობით მოკვდებოდა, ისეთი სამსახური ჰქონდა ჩემს ქმარს. ქორწინების პირველივე დღეებიდან, უცებ დამირეკავდა და მეტყოდა, ორი დღე არ ვიქნებიო და მეც მშვიდად ველოდებოდი ორი დღე.

**– ანუ, თავიდანვე შეგითანხმდათ, რომ არ ინერვიულებდით და ენდობოდით?**

– შეთანხმება რა შუაშია, ნდობა მქონდა. შეიძლება, გამოცდილება არ მქონია და ამდენი ღალატის მაგალითი არ მქონდა ნანახი?!

**– მაგალითებით ცხოვრება ძალიან ძნელია და ნებისმიერ შემთხვევაში – წამგებიანი.**

– გეთანხმებით. ყველა მაგალითს რომ აჰყვე, შეიძლება, გაგიჟდე და ოჯახი დაუფიქრებლად დაანგრიო. ჩემმა ერთმა მეგობარმა, მაგალითად, კერძო დეტექტივი აიყვანა, ქმრისთვის რომ ეთვალთვალა და ლამის გააგიჟა იმ დეტექტივმა. საბოლოოდ, მაინც იმ ქმართან ცხოვრობს, ნერვიულობა კი შერჩა და ლამის დეპრესიაც აიკიდა.

**– ღალატობდა ქმარი?**

– ვერ გამოტეხა ბოლომდე და დღესაც არ არის დარწმუნებული. სულ სკანდალები, აყალმაყალი, გამიშვი-დამიჭირე კი ჰქონდა. შეეშვი, ნუ ქექავ-მეთქი... რას წარმოვიდგენდი, მეც თუ იმავე პრობლემას შევიქმნიდი. ახლა ზუსტად ვიცი, რომ არ ღირდა, მაგრამ უკვე გვიან არის.

**– ანუ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქმარს უპირობოდ, თვალებდახუჭული უნდა ენდო?**

– ვაიმე, არ ვიცი, რა ჯობია. ალბათ, კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული. მე არ გამომივიდა და მხოლოდ პრობლემები შევიქმენი. საკმაოდ დიდი ხნით გამიფუჭდა ქმართან ურთიერთობა. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ, ერთ დღეს, როცა ჩემი ქმარი მივლინებაში წავიდა და ეს არ იყო პირველი შემთხვევა, მე უჩვეულოდ ავფორიაქდი. პირველად გამიჩნდა ეჭვი, რომ, შეიძლებოდა, იქ ვიღაც ეპოვა. თან, მითხრა, საქმე იმდენი არაფერი მაქვს, ცოტას დავისვენებ კიდეცო.

**– მხოლოდ ამ სიტყვების გამო გაგიჩნდათ ეჭვი?**

– მგონი, კი. სულ ვფიქრობ და სხვა მაპროვოცირებელ ფაქტორს ვერ ვპოულობ. ის ექვსი დღე ნერვიულობა-განცდებში გავატარე. ვცდილობდი, ხშირად არ მერეკა ჩემს ქმართან და ჩემი ზარებით არ შემეწუხებინა, მაგრამ, ხელი თავისით მიმირბოდა მობილურისკენ. ექვსი დღის შემდეგ ჩემი ქმარიც დაბრუნდა გარუჯული, დასვენებული, გახალისებული, არაჩვეულებრივ გუნებაზე... გულს შემომეყარა. თვალებიც კი უჩვეულოდ უბრწყინავდა.

**– ამან გაფიქრებინათ, რომ იქ „მომსახურების“ სრული პაკეტი მიიღო, ანუ, ეს დღეები ქალთან ერთად გაატარა?**

– დიახ, სწორედ თვალებში ანთებული ნაპერწკალი იყო ის, რამაც სერიოზულად შემაშფოთა. ველარ გავუძელი და ჩემს დაქალს მოვუყევი ჩემი შფოთვის შესახებ. კარგად დაფიქრდი, რამე ცვლილებები ხომ არ შეგიმჩნევიაო. დავიწყე ფიქრი და... ხომ იცით, როცა რაღაცის პოვნა გინდა, იპოვი...

**– რა იპოვეთ?**

– მაგალითად, ის, რომ ბოლო დროს სულ კარგ გუნებაზე იყო და ღიღინებდა. სამსახურიდან დაგვიანებით დაიწყო მოსვლა... ეს ყველაფერი რომ გავიაზრე, ტირილი დავიწყე. ჩემმა დაქალმა მითხრა, ახლა ტირილი კი არა, მოქმედებაა საჭირო, ფაქტები გვჭირდება, რომ ღალატში დარწმუნდე და „მიაწვეო“. მიდი სახლში და დაიწყე კომპრომატების ძებნა: მობილურიც გაუსინჯე, მისი შარვლის ჯიბეშიც ჩაყავი ხელიო... გულახდილად გეტყვით; ძალიან არ მომეწონა ეს იდეა. შევწუხდი. ამდენი წელია მისი ცოლი ვარ და ასეთი საშინელება არ გამიკეთებია, ეს ულირსი საქციელია, როგორ ვიკადრო-მეთქი. ის ღირსეული საქციელია, რომ გღალატობს?! ოდესმე ყველა ქალი ასე იქცევა, ამიტომ, სანამ სულ წაურთმევიათ შენთვის ქმარი, იმოქმედეო.

**– პრინციპში, ბევრი ქალი სრულიად დამშვიდებული სინდისით აკეთებს ამას.**

– დიახ და ეს არ არის გამართლებული, უპირველესად, ისევ შენ გაზარალებს. საშინელებაა, როცა ეჭვით ცხოვრობ. თანაც, არ ენდობი ადამიანს, რომელიც ლამის საკუთარ თავზე მეტად გიყვარს. პირველად ჩავვარდი პანიკაში, ბევრიც ვიყოყმანე... მაგრამ, იმ დღეს ჩემი ქმარი ისევ გვიან მოვიდა სახლში და ღიღინ-ღიღინით შევიდა შხაპის მისაღებად, რამაც დამარწმუნა, რომ ჩემი დაქალი მართალი იყო. ავიღე ქმრის მობილური და დავიწყე ესემესების წაკითხვა. ვიპოვე ერთი მესიჯი, რომელიც უცხო ნომრიდან იყო გამოგზავნილი, საკმაოდ შემაშფოთებელი, უჩვეულო შინაარსით: „როგორი კარგი ხარ. არ დაგავიწყდეს, რომ უნდა დამირეკო“... და – ქალის სახელი. არსებობს ქალი, რომელიც ასეთ მესიჯს გულგრილად და მშვიდად „გაატარებს?“ დავიშალე... ლამის მოვკვდი. იმდენი ვიტირე, თვალები დავისიე. ჩემი ქმარი რომ გამოვიდა აბაზანიდან, გაუკვირდა – რა გჭირსო. ძალიან მინდოდა, არაფერი მეთქვა, სხვანაირად ვგეგმავდი მასთან საუბარს, მაგრამ, თავი ველარ შევიკავე, ემოცია ვერ დავიოკე, მობილური მივუგდე და ვუყვირე: ეს იყო შენი მივლინება? ამიტომ ჩამოხვედი გაბრწყინებული? არ დაგავიწყდეს, დაურეკე მაგ შენს საყვარელს, რაში გაინტერესებს, მე რას განვიცდი-მეთქი. გაშტერდა: შენ, რა, ჩემი ტელეფონი ნახე და მესიჯები წაიკითხე? გაგიჟდი? როდის გაგიკეთებია ასეთი რამ? თუ, ყოველთვის აკეთებდი და მე ვერ ვამჩნევდი? ესე იგი, საერთოდ არ მცნობიხარ და არც შენ გცნობივარ, რადგან, გგონია, რომ მივლინება ჩემთვის ღალატის საშუალებაა. ეგ რომ მინდოდეს და ბუნებით მოღალატე რომ ვიყო, ამას აქაც კარგად მოვახერხებდი. როგორ არ გრცხვენია, საშინლად გამიცრუე იმედი და ჩვენს ურთიერთობაში ყველაზე ღირებული გააფუჭეო. მერე ჩაიცვა და კარი გაიჯახუნა. მე ისევ ვიტირე. მერე ჩემს მეგობარს დავურეკე და იმანაც მაშინვე დასვა „დიაგნოზი“: წავიდა? ესე იგი, ჰქონდა წასასვლელი. შეხედე, როგორი თავხედია?! არ დაურეკო, არც იფიქროო. მეც, წესიერი მოსწავლესავით, დავუჯერე. სამი დღე გავუძელი, თუ იმას გაძლება ერქვა. ვტიროდი და ვგლოვობდი... ასეთ უსუსურ, უიმედო მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვარ. არანაირი ნუგეში. ვნერვიულობდი და გამოსავალს ვერ ვხედავდი. მაცოფებდა ის, რომ ქმარს ერთხელაც არ დაურეკავს, თითქოს აღარც ვარსებობდი.

> **დაბრუნდა გარუჯული, დასვენებული, გახალისებული, თვალებიც კი უჩვეულოდ უბრწყინავდა... გულს შემომეყარა**

**– თქვენც თითქმის დარწმუნდით, რომ**

# როგორ ეძებს 49 წლის ქალბატონი მამას ლელიანში და ვინ გაყიდა შვილი 500 მანეთად

***49 წლის მაია გიორგის ასული ყაჭიაშვილი (შვილად აყვანის შემდგომი სახელი და გვარი) ეძებს ბიოლოგიურ მამას ლელიანში.***

**ისტორია**: ვეძებ მამას. სამწუხაროდ, მისი არც სახელი და არც გვარი ჩემთვის ცნობილი არ არის. მე დავიბადე 1964 წლის 16 სექტემბერს, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში. ვიცი, რომ დაახლოებით 9 თვის ასაკში ბიოლოგიურმა დედამ, მერი (დოდო) გულოშვილმა გამაშვილა. როგორც გავიგე (ინფორმაცია დაზუსტებული არ არის), იმ დროს ჩემი ბიოლოგიური მამა ციხეში იყო. მამაზე მეტი არაფერი ვიცი – ბიოლოგიურმა დედამ სხვა არაფერი მითხრა, ამჟამად კი ის გარდაცვლილია და მე მხოლოდ თქვენი იმედიღა მრჩება. მაქვს ფოტო, რომელზედაც მე ვარ დაახლოებით 9 თვის, ანუ, სანამ გამაშვილებდნენ და ჩემი ბიოლოგიური დედა – მერი (დოდო). იმედი მაქვს, მამაჩემი იცნობს მას ფოტოზე და გამომეხმაურება.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ჩემს რუბრიკაში არაერთი მძიმე ისტორია დაბეჭდილა. ქალბატონი მაიას ისტორიაც, ასევე, ძალიან მძიმეა. დიდი იმედი მაქვს, რომ მაია იპოვის ბიოლოგიურ მამას და ეს მის ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის. ვეძებთ ლელიანში მცხოვრებ კაცს, რომელიც, სავარაუდოდ, სასჯელს 48-49 წლის წინ იხდიდა).

**– მიამბეთ თქვენი ისტორია, როგორ ან ვისგან გაიგეთ, რომ ნაშვილები ხართ?**

– დაახლოებით 12 წლის ვიქნებოდი, როდესაც მეზობლისგან შემთხვევით გავიგე, რომ ნაშვილები ვარ. 9 თვის ვყოფილვარ, როდესაც ბიოლოგიურმა დედამ 500 მანეთად გამყიდა. 15 წლის ასაკში გავთხოვდი და საცხოვრებლად თელავის რაიონის სოფელ აკურში გადავედი. სწორედ ჩემი გათხოვების შემდეგ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში ჩემი ბიოლოგიური დედა.

**– ანუ, დედათქვენმა იცოდა თქვენი ადგილსამყოფელი. სად იმყოფებოდა ამ პერიოდში აღმზრდელი დედა, მან თუ იცოდა მერის (დოდოს) გამოჩენის შესახებ?**

– აღმზრდელი დედა მისმა მაზლიშვილმა მოკლა ჩემი შვილად აყვანის მეორე კვირის თავზე, სწორედ ჩემი მიზეზით, ანუ, მას არ უნდოდა სახლის ვინმესთან გაყოფა. ის კაცი 15 წელი იჯდა ციხეში და სასჯელი მოიხადა, მაგრამ, შემთხვევით შეხვედრისას მითხრა, იგივე დრო რომ მოვიდეს, მაინც იმავეს ჩავიდენდიო. მე რომ გავთხოვდი, აღმზრდელი დედა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, ბიოლოგიურმა დედამ კი, როგორც ჩანს, ჩემზე ყველაფერი იცოდა. ასე გამოჩნდა ის ჩემს ცხოვრებაში.



**– შვილის გაყიდვის ფაქტი მანაც დაგიდასტურათ?**

– დიახ, მისგანაც იგივე ვიცოდი. მამის შესახებ სულ ვეკითხებოდი, რადგან, მაინტერესებდა, ვინ იყო მამაჩემი და მისი ნახვაც მინდოდა, მაგრამ, ის მის შესახებ არაფერს მეუბნებოდა. მერისგან მხოლოდ ის ვიცი, თითქოს, ჩემი გაშვილების პერიოდში მამაჩემი ციხეში იჯდა; ასევე, მითხრა, რომ მე მყავდა უფროსი ძმა, რომელიც გარდაიცვალა. ნამდვილად არ ვიცი, სიმართლეა ეს ყველაფერი თუ არა, მაგრამ, იმას გიყვებით, რაც მისგან ვიცი. მამაჩემი სოფელ ლელიანიდან ყოფილა და, შეიძლება, ამჟამადაც იქ ცხოვრობს. შეიძლება, მე მყავს ნახევარდაძმა. ძალიან მინდა მამის პოვნა, იმედი მაქვს, მის პოვნაში დამეხმარებით.

**– თქვენი არსებობის შესახებ რამე ინფორმაცია თუ აქვს მამათქვენს?**

– პატარა რომ ვიყავი, მახსოვს, ერთხელ მეზობლებმა მითხრეს, ვიღაც კაცმა მოგაკითხა და გავაგდეთო. არ არის გამორიცხული, რომ ის კაცი მამაჩემი ყოფილიყო. ამის შესახებ, რომ გავიზარდე, მერე დავიწყე ფიქრი. სამწუხაროდ, ამჟამად ის მეზობლები ცოცხლები აღარ არიან და, შესაბამისად, ვერავის გამოვკითხავ დაწვრილებით ინფორმაციას. მაგრამ, თუ ის კაცი, რომელმაც ბავშვობაში მომაკითხა, მამაჩემი იყო, მაშინ, მან იცის ჩემი არსებობის შესახებ. ასეც რომ არ იყოს, დედაჩემს ხომ იცნობს ფოტოთი.

**– მაინც, რა იყო თქვენი გაშვილების მიზეზი, ეს თუ გითხრათ დედამ?**

– როგორც ვიცი, ჩემს გაშვილებაში დიდი როლი ბებიაჩემს (მერის დედას), მარუსა ხუნჯიკაშვილს უთამაშია. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი (თუ ეს სიმართლეა) მამაჩემის ციხეში ყოფნაც იყო. მამას თუ ვიპოვი, სრულიად შესაძლებელია, მისგან გავიგო სინამდვილე. როგორც გითხარით, ჩემი ბიოლოგიური დედა ხშირად მაკითხავდა, მაგრამ, იმის შემდეგ, რაც ის მამაზე არაფერს მეუბნებოდა და აშკარად მიმალავდა ყველაფერს, მე მას მოსვლა ავუკრძალე. ამჟამად არც ჩემი ბიოლოგიური დედაა ცოცხალი და არც ბებია მარუსა, ამიტომ, სინამდვილეს მათგან ველარ გავიგებ. მინდა, მამა ვიპოვო, შეიძლება, ნახევარდა ან ნახევარძმაც კი მყავდეს – ამას რა ჯობია! თავად მე ორი შვილი და უკვე შვილიშვილებიც კი მყავს.

**– თქვენს ბიოლოგიურ დედას თუ უთქვამს, რომ ნანობს იმას, შვილი რომ გაყიდა?**

– როგორც ვიცი, ნანობდა, რადგან, სულ ცდილობდა ჩემთან მოსვლასა და ნახვას. პატარა რომ ვიყავი, როგორც ჩანს, ეს აკრძალული ჰქონდა, შემდგომ კი გზა გაეხსნა – ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა. ვერ გავამართლებ დედაჩემს, მას შვილი არ უნდა გაეყიდა, მაგრამ, ვფიქრობ, მასზეც რაღაცამ იმოქმედა და ასე იმიტომ მოიქცა.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

**საყვარელთან წავიდა?**

– თითქმის. ამიტომაც აღარ მოვკიდე ტელეფონს ხელი. არც მიფიქრია, რომ შეურაცხყოფილი და გაბრაზებული იყო, თანაც, სრულიად საფუძვლიანად. ამას მერე მივხვდი.

**– ვინმემ მიგახვედრათ?**

– ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ სხვამ მომიყვანა ჭკუაზე. თუმცა, როცა მშვიდი გონებით ვაანალიზებ ამ ყველაფერს, ღალატიც შესაძლებელი იყო – ალბათობის ვარიანტის გამორიცხვა ხომ არ შეიძლება?! პრობლემა ის არის, რომ ჩემი ქმარი მართლა არ იმსახურებდა ჩემგან ასეთი უნდობლობას.

## მითხრა: წადი სახლში და დაიწყე კომპრომატების ძებნა; ჯიბეშიც ჩავყავი ხელი და მისი მობილური ტელეფონიც შევამოწმე

ახლა ისე მრცხვენია და სინდისი ისე მაწუხებს, რომ ვკვდები. ხომ შევრიგდით, მაგრამ, რაღაც ისე აღარ არის – თითქოს უხილავი ბარიერი გაჩნდა და მაწუხებს ეს ამბავი. როგორ გამოვასწორო ეს შეცდომა, არ ვიცი.

**– როგორ შერიგდით?**

– ჩემი დედამთილი მოვიდა – მასთან წასულა და იქ იყო ეს დღეები. მაგრამ კონკრეტულად არაფერი უთქვამს. ჩემი დედამთილი მაგარი ქალია, ჩუმად მოუსმინა, როგორ ელაპარაკებოდა თავის მეგობარს და თანამშრომელს: გული მტკივა, თინიკო ასე რომ მომექცა. ჯერ ხომ ჩემს მობილურში ჩაძვრა, მერე საშინელი სკანდალი მომიწყო არაფრის გამო. ის შემკვეთი რომ გვყავს, ახალი, იმისი მესიჯი ნახა – ნამუშევრები რომ გავუგზავნე, მოეწონა და მწერდა, დამირეკეო. ამაზე გაგიჟდა და, გადაწყვიტა, რომ საყვარელი მყავს. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. სამსახურიდან ბოლო დროს იმიტომ ვაგვიანებ, რომ დამატებით შეკვეთებს ვიღებ. თინიკოსთვის მანქანის ფულს რომ ვაგროვებდი, ხომ იცი და, ვუმალავდი ამ ამბავს. მაგან კი ყველაფერი წყალში ჩამიყარაო... ეს ყველაფერი რომ მოვისმინე, მიწა გამხეთქოდა, მერჩივნა. დედამთილმა მთხოვა, მივსულიყავი მათთან და ბოდიში მომეხადა ქმრისთვის. არც მიყოყმანია. ისე ცუდად ვიყავი, ხელებიც კი მიკანკალებდა. კარი თვითონ ქმარმა გამიღო. შევატყვე, გაუხარდა, მაგრამ, არ შეიმჩნია. მოდი, მაგრამ, იმედს გაგიცრუებ – აქ ჩემი საყვარელი ვერ დაგახვედრეო... იცით, რა დამემართა? რას ვლუღლუღებდი, რას ვბოდავდი და ვღრიალებდი, არ მახსოვს. ჯერ მიყურებდა, მერე მომეხვია და ჩამიხუტა. ბოლოს უსიტყვოდ აიღო თავისი ნივთები და სახლში დაბრუნდა. მეტად ამაზე აღარ გვილაპარაკია, მაგრამ, ვგრძნობ, რომ პრობლემა მოგვარებული არ არის. რა ვქნა, დავუჩოქო და პატიება ვთხოვო? მართლა ძალიან ვნანობ და, ეს, ალბათ, უნდა იცოდეს.

**ნინო წულუკიძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მგონი, ფსიქოლოგიური პრობლემები მაქვს. ჯერ მხოლოდ 32 წლის ვარ, მაგრამ, ძალიან შემეცვალა ხასიათი: ძალიან ადვილად, თითქმის უმიზეზოდ ვღიზიანდები და, ვატყობ, რომ ეს ასაკის მატებასთან ერთად მემატება. არ მინდა, ავ, ბებერ დედაკაცად ვიქცე. მაგალითად, ჩემი დედამთილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ისე შეიცვალა, ველარ ვცნობთ. საკუთარი შვილი ველარ იტანს და, მეშინია, მეც ასე არ დამემართოს. როგორ მოვიქცე? ქმარმა მეც რომ ვერ ამიტანოს?!**

**გამოხმაურება:** საკმაოდ რთულია, ყოველდღიურობაში მხოლოდ პოზიტივი დაინახოთ, მით უმეტეს – ჩვენს გართულებულ ცხოვრებაში. თქვენ არ გითქვამთ, როგორი სამსახური და დღის რეჟიმი გაქვთ; როგორი ურთიერთობა გაქვთ მეუღლესთან, ანუ, რა არის თქვენი გამაღიზიანებელი ფაქტორები. შეეცადეთ, დღის რომელიღაც მონაკვეთში მაინც ის საქმე აკეთოთ, რაც მართლა განიჭებთ სიამოვნებას, რომ ცოტათი მაინც განიმუხტოთ და გახალისდეთ: გაისეირნეთ, ნუ ეტყვით უარს საკუთარ თავს პატარ-პატარა სიამოვნებებზე და ნურც იმდენ საქმეს აიკიდებთ, რომელიც ფსიქოლოგიურად „გაგსრესთ“.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**რუსეთში მოღვაწე, ქართველი მომღერალი, დათო ხუჯაძე რამდენიმე დღით თბილისს ეწვია. მასთან საუბრისას ბევრი სიახლე შევიტყვეთ. სიახლეა მის პირად ცხოვრებასა და კარიერაში. ამ ყველაფრის შესახებ, რა თქმა უნდა, ინტერვიუდან თავად შეიტყობთ. ჩვენი რესპონდენტი ახალი კლიპის გადასაღებად ემზადება, რომელსაც ამჟერად ამერიკაში გადაიღებს. პარალელურ რეჟიმში კი, მუშაობს ორ ახალ სიმღერაზე.**

# ვინ არის დათო ხუჯაძის ცხოვრებაში მთავარი მანდილოსანი და რა ასწავლა მას პირველი ქორწინების წარუმატებლობამ



რას გადარჩით და როგორ გაგიმართლათ, რომ, სტომატოლოგი არ გამოვედი

**– რამდენიმე დღეა თბილისში ხარ. ოჯახის წევრებისა და მეგობრების მოსანახულებლად ჩამოხვედი?**

– არა მარტო ოჯახისა და მეგობრების მოსანახულებლად, სხვა მისიაც მაქვს. მე და დათო ფორჩხიძე ვხსნით საბავშვო ვოკალურ სტუდიას, „სახეს," რომელიც ფუნქციონირებას ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყებს.

**– როდემდე დარჩები საქართველოში?**

– რამდენიმე დღეში ანტალიაში მივდივარ, სადაც გამოსვლა მაქვს, იქიდან კი რუსეთში ვბრუნდები. ცოტა ხანში, 10 დღით ისევ ჩამოვალ, მერე კი ამერიკაში მივდივარ, სადაც 2 თვე ვიყავი და სწორედ იქიდან ჩამოვფრინდი საქართველოში. ამერიკაში კლიპს ვიღებთ და ორ ახალ სიმღერაზეც ვმუშაობ. მოკლედ, საკმაოდ გადატვირთული გრაფიკი მაქვს, თუმცა ამ სტუდიის გახსნას ნამდვილად ვერ გამოვრჩებოდი, რადგან მე და დათო ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ მასზე. გვინდა, რაღაც ახალი და განსხვავებული შევქმნათ. გვინდა კიდევ ერთხელ გავაკეთოთ ის, რაც წლების წინ გავაკეთეთ. იმედია, ყველაფერი გამოგვივა.

**– როგორც ყოველთვის, ძალიან აქტიური ხარ.**

– სხვა რა გზა მაქვს, დასვენებას იქაც მოვასწრებ, რომ ჩავწვები. ამიტომ, დრო ადამიანებმა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**– რაც შეეხება ალბომს?**

– დაახლოებით, ორ თვეში უკვე უნდა გამოვიდეს ჩემი ახალი ალბომი. რატომღაც ძალიან გამიწელა მისი დასრულება. იმ დონეზე გამიჯანჯლდა, რომ უკვე ორი ალბომის მარაგი დამიგროვდა. ამიტომ, ახლა უნდა დავჯდეთ და იმაზე ვიფიქროთ, რომელი სიმღერა შევიდეს მათგან და რომელი – არა. ფოტოსესია უკვე გაკეთებული მაქვს ამ ალბომისთვის და სავარაუდოდ, 2 თვეში ალბომიც გამოვა.

**– უკვე მრავალი წელია, შოუ-ბიზნესში ხარ. ამ დროის განმავლობაში გქონდა ბევრი წარმატება, სიძნელე, წინსვლა, ასევე რთული პერიოდიც...**

– ყველაფერს თავისი პეწი აქვს.

**– ამ წლების განმავლობაში, შესაბამისად, ალბათ ბევრი რამ გადააფასე. დღევანდელი გადმოსახედიდან, რას მიხვდი, რა არის ყველაზე მთავარი?**

– მივხვდი, რომ მთავარია, ვინც იქამდე იყავი, სანამ რაღაცას მიაღწევდი, მერეც ის დარჩე. შინაგანად თუ შეიცვალე, ჩათვალე, რომ შენს გარშემოც ძალიან ბევრი რამ შეიცვლება უარესობისკენ და არა უკეთესობისკენ. არ უნდა დაივიწყო ვინ ხარ, ვინ გყავდა მეგობრები, ვისი დახმარებით რას მიაღწიე. ასეთი რაღაცეების დავიწყება არ შეიძლება. სამწუხაროა, რომ, საკმაოდ ბევრს ავიწყდება ეს ყველაფერი. აუცილებლად უნდა დააფასო და გახსოვდეს, რა ეროვნების ხარ. შენ თუ ამას დააფასებ, მერწმუნე, სხვებიც დაგაფასებენ.

**– რაიმე სიახლე ხომ არ არის შენს პირად ცხოვრებაში, რომელიც ხშირად განხილვის საგანი ხდება ხოლმე.**

– პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, ბუნებრივია, რაღაცეები ხდება ჩემს პირად ცხოვრებაში, რაც მთავარია, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. ყველაფერი კარგი და საინტერესო ხდება. მეც გამაჩნია ადამიანური გრძნობები და მოთხოვნილებები, რაც ბუნებრივია, უნდა დაკმაყოფილდეს.

**– ეს იმას ნიშნავს, რომ დათო ხუჯაძეს გვერდით ჰყავს მისთვის გამორჩეული მანდილოსანი?**

> **პენსიების მომატებას მგრამის დავპირდები, მაგრამ იმას ვეტყვი, რომ თუ ვიქნებით ოპტიმისტები, ვიქნებით კარგ ხასიათზე და გვეყვარება ერთმანეთი, სამომავლოდ ყველაფერი კარგად იქნება**

– კი, არის.

**– სერიოზული გრძნობებით?**

– სერიოზული თუ ნაკლებად სერიოზული, ამაზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ ჩემს ცხოვრებაში მანდილოსანი ნამდვილად არის.

**– ანუ, პირველი ქორწინებიდან რაღაცეები გადააფასე, რასაც მორიგი ქორწინებისთვის აუცილებლად გაითვალისწინებ?**

– გადავაფასე კი არა, ეს კიდევ ერთი სკოლაა ჩემთვის.

**– და ამ სკოლაში, შენი აზრით, რა ნიშნებზე ისწავლე?**

– სკოლაში ხომ არიან ოროსნები, სამოსნები და ასევე ბავშვები, რომლებსაც კლასში ტოვებენ. ასე რომ, ერთხელ უკვე ჩავრჩი და ახლა უკვე შემდეგ კლასში გადავედი. ბუნებრივია, ეს ყველაფერი მისასალმებელი არ არის, რადგან რაღაცაში არ გამიმართლა, მაგრამ არა უშავს, ცხოვრება გრძელდება და წინ მიდის.

**– სამაგიეროდ, იმაში ნამდვილად გაგიმართლა, რომ არაჩვეულებრივი ქალიშვილი გყავს.**

– ქალბატონი მელანო ჩემს ცხოვრებაში ყველაფერია. ღმერთს მადლობა იმისთვის, რომ ასეთ ქალიშვილი მყავს.

**– ხშირი ურთიერთობა გაქვს მელანოსთან?**

– იშვიათად ვნახულობთ ერთმანეთს. უკვე დიდი ხანია, არ მინახავს. აქ სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე, რაც, ალბათ, თითქმის ყველა ოჯახში ხდება და ამაში გასაკვირიც არაფერია. ყველაფერს თავისი დრო აქვს რაღაც ეტაპამდე.

**– ქართულად, თუ ლაპარაკობს მელანო?**

– სამწუხაროდ, არა. ერთად რომ ვცხოვრობდით, მაშინ თვლა იცოდა. ან ტელეფონი რომ უნდოდა და მეტყოდა „დაი," ვეტყოდი, მითხარი მომე და მოგცემ-მეთქი. ჰოდა, ისიც მეტყოდა ქართულად „მომეს" და მომთაფლავდა.

**– რამდენი წლისაა?**

– 4-ის გახდება.

**– მამის ნიჭი თუ გამოჰყვა?**

– მამა ენაცვალოს, სიმღერა უყვარს. სახლში ალბათ იმღერებს.

**– რატომ მარტო სახლში?**

– უბრალოდ, არ ვურჩევ და არც მივეხმარები. თუ თვითონ მოინდომებს, ყველაფერს მიაღწევს. როგორც მე ვერ დამაკავა სამედიცინო ინსტიტუტმა და სიმღერა დავიწყე, თუ მელანოც ასე მოიქცევა, ღმერთმა გაუმარჯოს.

**– სტომატოლოგი უნდა გამოსულიყავი, მაგრამ სიმღერა არჩიე.**

– აბა, რას გადარჩით და როგორ გაგიმართლათ, სტომატოლოგი რომ არ გამოვედი.

**– თეატრალურ ინსტიტუტშიც სწავლობდი, მაგრამ როგორც ვიცი, არ დაგიმთავრებია.**

– კი, ასეა. საბოლოოდ კი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე, ისიც დაუსწრებელი იყო და იმიტომ.

**– ესე იგი უდიპლომო სასიძო აღარ ხარ?**

– დიპლომები სიმღერაში, იცოცხლე, იმდენი მაქვს, ყველა ზომის.

**– საქართველოდან გამგზავრებამდე, რას ჰპირდები შენს ქართველ გულშემატკივარს?**

– პენსიების მომატებას ნამდვილად ვერ დავპირდები, მაგრამ უბრალოდ იმას ვეტყვი, რომ თუ ვიქნებით ოპტიმისტები, ვიქნებით კარგ ხასიათზე და გვეყვარება ერთმანეთი, სამომავლოდ ყველაფერი კარგად იქნება ცხოვრებაში.

**მარიკა ხიდურელი**

# ვინ იყო გენერალი ველიამინოვი, რომლის სახელსაც ატარებს თბილისის ცნობილი სახინკლე, რომელი ისტორიული მოვლენა მოხდა დეზერტირის ბაზრის ტერიტორიაზე და რომელ უბანში აშენდა ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე

*თბილისში არაერთი ძველი ისტორიული დასახელება არსებობდა, რომელთა უმრავლესობაც წლებთან ერთად დავიწყებას ეძლევა. ამასთან, მეტად ძნელია, აიხსნას, თუ რატომ შემორჩა თბილისელების მეხსიერებას, მაგალითად, დასახელება „ველიამინოვი" და „სემიონოვკა" მაგრამ, თითქმის არავის ახსოვს იგივე „ვარდისუბანი..." ტრადიციულად, თბილისის ისტორიული დასახელებების ისტორიას ფოტოების თანხლებით გაგაცნობთ.*

## არსენალი

არსენალი იმ უბნის ძველი სახელწოდებაა, რომელიც ჩუღურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რკინიგზის გადაღმა მდებარეობს. აქ ერთ დროს იარაღის დასამზადებელი საამქროები და საწყობი იყო და აქედან წარმოიშვა ადგილის სახელწოდებაც. არსენალზე მდებარეობდა ნერსესის ცნობილი სასულიერო აკადემია, რომელმაც თავისი არსებობა 1924 წელს, კომუნისტური რეჟიმის დაწყებასთან ერთად დაასრულა. მიწის ფართობი აკადემიის შენობისთვის ცნობილმა თბილისელმა მეცენატმა, პირველი გილდიის ვაჭარმა, ალექსანდრე მანთაშევმა შეიძინა მარიამ თუმანიანისგან და შენობის ასაშენებლად ცნობილი არქიტექტორები – ზურაბიანი და ნეპრინცევი დაასაქმა. სემინარიის მშენებლობა მანთაშევს 250 ათასი რუბლი დაუჯდა და მისი საზეიმო გახსნა 1911 წელს შედგა.

ხედი არსენალის მთაზე (პროკუდინ-გორსკის ფოტო, მეოცე საუკუნის დასაწყისი)



დეზერტირის ბაზარი 1990-იან წლებში



## დეზერტირის ბაზარი

დიდუბის საკოლმეურნეო ბაზარს თბილისელები ადრე გავრცელებული სახელწოდებით – „დეზერტირის ბაზრის" სახელით მოიხსენიებენ. ცენტრალური ბაზრის სახელწოდება 1920-იან წლებში დამკვიდრდა, როდესაც ჯარისკაცები ბაზრის ტერიტორიაზე საკუთარ აღკაზმულობას, იარაღსა და სხვა ნივთებს ყიდნენ.

ბაზრის ტერიტორიაზევე, 1912 წელს, მაშინდელ ელიზაბეთის, ამჟამინდელ მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე გაიმართა პირველი საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი თბილისის სპორტსაზოგადოება „სოკოლისა" და ბაქოს გუნდს – „ბრიტანულ კლუბს" შორის. დეზერტირის ბაზრის ძველი შენობა, რომელიც 1960-იან წლებში აშენდა და თბილისელებს დღემდე კარგად ახსოვთ, 2007 წელს მთლიანად დაანგრიეს და ამჟამად მის ტერიტორიაზე ახალი ბაზარია, რომელსაც ძველი სახელწოდება შემორჩა.



№1 ტრამვაი დეზერტირის ბაზართან (საბჭოთა პერიოდი)

## „ტრამვაელთა საცხოვრებელი სახლები"

„დინამოს" სტადიონის მოპირდაპირე მხარეს, ყოფილი ტელმანის, ამჟამინდელი ცაბაძის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის კუთხეში, 1926-1928 წლებში აშენდა ეგრეთ წოდებული „ტრამვაელთა საცხოვრებელი სახლი", რომელიც, პრაქტიკულად, პირველი საცხოვრებელი კომპლექსი იყო თბილისში. სახლი ააგო ცნობილმა არქიტექტორმა დ. ჩისლიევმა, რომლის აგებულია ოფიცერთა სახლი რუსთაველის გამზირზე.



„ტრამვაელთა საცხოვრებელი სახლი" (1930-იანი წლები)

## ველიამინოვი

სახელწოდება „ველიამინოვი" ბევრისთვის, ალბათ სახინკლესთან ასოცირდება, რომელიც შალვა დადიანის ქუჩაზე მდებარეობს და, ალბათ, ბევრმა არც კი იცის ამ სახელწოდების წარმოშობის ისტორია – თუ რა სახელს ატარებდა შალვა დადიანის ქუჩა მანამდე და ვინ იყო თავად ველიამინოვი. გენერალ-ლეიტენანტი ალექსეი ალექსანდრეს ძე ველიამინოვი, ნაპოლეონთან ომის მონაწილე 1816 წელს, დაინიშნა ქართული კორპუსის შტაბის უფროსად. ველიამინოვი რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, 1831 წლიდან კავკასიაში იმპერიის არმიის მეთაური და გენერალ ერმოლოვის გარემოცვის წევრი გახლდათ. ველიამინოვის სახელი დაერქვა ქუჩას თბილისში, რომელსაც შემდგომში შალვა დადიანის სახელი ეწოდა. ცნობისთვის, ამ ქუჩამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება: 1851-1913 წლები ველიამინოვის ქუჩა; 1923-1929 წლები – ლ. დუმბაძის ქუჩა, 1929-1933 ზაკფედერაციის ქუჩა, 1933-1959 – ჭავჭავაძის ქუჩა, 1959 წლიდან კი – შალვა დადიანის ქუჩა.



გენერალი ა.ა. ველიამინოვი

## ავჭალა

გადმოცემით, მდინარის ახლოს გაუვალი ჭაობებით დაფარული ტერიტორია შიშს ჰგვრიდა ადამიანებს. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომ ამ მიდამოებში ავი სულები ბინადრობდნენ. მგზავრები ცდილობდნენ, გასცლოდნენ ამ ადგილს, რომელსაც ძველთაგან „ავი ქალის" სახელი ეწოდა.

ავჭალა თბილისს ოფიციალურად 1962 წელს შემოუერთდა, მანამდე კი ის გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი სოფელი იყო, რომელიც თბილისის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედის მთისწინეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ავჭალის დასახლება უძველესი დროიდან არის ცნობილი. დიდი თურქობის დროს, მეთერთმეტე საუკუნის 80-იან წლებში, თურქები ზამთრობით ავჭალასა და დიღომში იდგნენ. მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეებში ავჭალა თბილისის საამიროში შედიოდა, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში კი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

ადამიანებს ყველაზე მეტად ვნებებთან განშორება გვიჭირს, ამის გამო ხშირად ვვარდებით ერთსა და იმავე ცოდვებში. ბევრმა, ალბათ, ისიც არ იცის, რომ არსებობს ყველაზე გავრცელებული ექვსი ვნება, რომელთა შესახებაც გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):

# როდის სჩადის ადამიანი მძიმე ცოდვას შეგნებულად და რომელი ექვსი ვნებისგან განშორება უჭირს მას ყველაზე მეტად



**კეთილი ჩვევა, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებად არის, მოიღებს ნაყოფს – კეთილ ხასიათს. დააკვირდით თქვენს ხასიათს – ის თქვენი ჩვევებიდან და ქცევებიდან არ მომდინარეობს?!**

– როდესაც სასულიერო პირი შენდობის ლოცვას გიკითხავთ, ალბათ, უსმენთ და გაინტერესებთ, რა სიტყვებს ამბობს. ის ასეთ ჩამონათვალს აკეთებს: „ვითარცა პეტრესა და მეძავს ცრემლით მიერ მიტევება ცოდვათა მისთა მიანიჭე“... ანუ, გასაგებია, რომ ცოდვების გასააზრებლად, შესაგნებლად ცრემლი და სინანულია საჭირო, მაგრამ, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა ვნებებში ვარდება ყველაზე ხშირად ადამიანი. შენდობის ლოცვისას მოძღვარი ბოლოში ჩამოთვლის ვნებების ექვს განსაკუთრებულ მდგომარეობას: სიტყვით, საქმით, მეცნიერებით, უმეცრებით, ნებსით და უნებლიეთ. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ადამიანი ყოველდღე, ყოველ წამს ცდება სიტყვით. როგორც იაკობ მოციქულის ეპისტოლეს მესამე თავში წერია: ადამიანი არის მეტყველი, მოაზროვნე, ვერტიკალური არსება და ის ყოველ წამში გარკვეულ ცოდვას სჩადის სიტყვით. შეიძლება, არავინ მოკლა, არ იმრუშო, მაგრამ სიტყვით ძალიან ბევრ ცოდვას სჩადიოდე – რამდენი განკითხვა, წყევლა, გინება ამოდის ჩვენი ბაგეებიდან?! იაკობ მოციქული ბრძანებს: ვინც სიტყვით არ ცდება, ის სრულყოფილი ადამიანიაო. ასეთი ადამიანი, ანუ ის, ვინც სიტყვით არ ცდება, არ არსებობს. ძალიან ძნელია ენის მოთოკვა – პატარა ორგანოა, მაგრამ, დიდ ცეცხლს აჩენს ადამიანის სხეულში. მოგეხსენებათ, რომ განკითხვის დროს დასჯილი ვიქნებით ჩვენი ყველა სიტყვის გამო, ან, პირიქით – გამართლებული. მაგრამ, ალბათ, ცოტა ვინმე თუ გამართლდება და ძნელად თუ იამაყებს თავისი სიტყვით. თუ გარკვეულ მრიცხველს დაუყენებთ თქვენს ბაგეებს, ის მაშინვე გადაიწვება და შეგრცხვებათ თქვენი სიტყვის. ამიტომ, სანამ თქვენი ბაგეები ამოქმედდება, თქვენი ენა დაიწყებს მოძრაობას, მანამდე დაუკვირდით სიტყვებს. ადამიანებს უყვართ თქმა: ეს მომივიდა, ის მომივიდა... სანამ რამე მოგივათ, სანამ თქვენი სიტყვა დაგკოდავთ თქვენ ან თქვენს მოყვასს, მანამდე კარგად დაფიქრდით. ასე რომ, ჩვენში ყოველი ცოდვა პირველად სწორედ სიტყვით შემოდის. ამიტომაც, თქვენი სიტყვა იყოს: ჰო – ჰო; არა – არა. თუ კარგის თქმა გინდათ, თქვით, თუ არა და, მაშინ, ეცადეთ, გაჩუმდეთ. „მე ეს გავიგე, ასე ამბობენ, ასე ყოფილა...“ – ამ ყველაფერს მერე ჩვენს სიტყვებს ვუმატებთ, შემდეგ ამას სხვა ამატებს რაღაცას და ამის გამო რამდენი კვდება, რამდენი რჩება სიტყვით გულმოკლული! თუმცა, შეიძლება, ადამიანი სიტყვით არ ვარდებოდეს ვნებაში, სამაგიეროდ, უფრო მეტს აშავებდეს საქმით, ვიდრე სიტყვით.

**– ეს როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან?**

– ხშირად არა მხოლოდ გარეთ ან სახლში, არამედ, ეკლესიაშიც ბევრს აშავებენ საქმით: უაზროდ გადაადგილდებიან, საუბრობენ, შეუფერებლად აცვიათ და ასე შემდეგ. დააკვირდით კარგად, რამდენს აბრკოლებთ თქვენი ქცევით. თქვენი ყველა საქციელი, ქცევა, შესაფერისი უნდა იყოს იმ ადგილის, სადაც იმყოფებით. თუმცა, შეიძლება, ეკლესიაში იყო ფარისეველივით – კეთილმდგომარეობაში, კეთილმსახური, მაგრამ, როგორც კი ტაძრის ზღურბლს გადააბიჯებ, შენი ქცევა მაშინვე ხდება ვნებითა და ცოდვებით აღსავსე. ამიტომაც უნდა აკონტროლოთ საკუთარი ქცევები, არ უნდა დააბრკოლოთ სხვები და არ უნდა ატკინოთ თქვენი ქცევით მათ გული. ნებსით და უნებლიეთ – ეს ნიშნავს იმას, რომ იცი, ეს სიტყვა არ არის კარგი, ამ ქცევით სხვას შეურაცხჰყოფს, მაგრამ, ნებსით მაინც სჩადიხარ. შეიძლება, სიტყვით შეცდე და არ გინდოდეს; შეიძლება, საქმით შეცდე და არ გინდოდეს, მაგრამ, ნებსით რომ სცოდავ – ეს უკვე საშინელებაა, რადგან, ამ დროს შენი ნებით იღებ ამ გადაწყვეტილებას, გააზრებულად სცოდავ. ადამიანი ამბობს: „არ მიყვარს განკითხვა,“ – მაგრამ, მაინც „განიკითხავს“ სხვას. „არ მიყვარს იქ წასვლა“ – მაგრამ მაინც მიდის, ანუ, იცი, რომ ეს დამღუპველია, ცუდია, მაგრამ, მაინც აკეთებ. ამიტომ, უნდა დავუკვირდეთ ნებსით აღსრულებულ სიტყვიერ, საქმიან ცოდვას. უნებლიეთ ჩადენილ ცოდვას კიდევ შეიძლება რაღაც გამართლება ჰქონდეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ამაშიც ჩვენი გარკვეული ვერაგობაა ჩადებული. ხშირად ამბობენ უნებლიეთ ჩავდივარ ცოდვასო, ანუ, არ უნდოდათ, მაგრამ, ჩაიდინეს. თუ დავუკვირდებით ჩვენს სიტყვას, საქმეს, ნებელობას, მაშინ, უნებლიე ცოდვაში აღარ ჩავცვივდებით. ამიტომაც, კარგად უნდა დააკვირდეთ თქვენს სიტყვას, საქმეს, ხელებს, ფეხებს და მერე უნებლიე ცოდვაც აღარ იქნება. შემდეგი ვნების კატეგორია არის მეცნიერებითა და უმეცრებით.

**ადამიანი ამბობს: „არ მიყვარს განკითხვა“ – მაგრამ, მაინც განიკითხავს; „არ მიყვარს იქ წასვლა,“ – მაგრამ, მაინც მიდის, ანუ, იცი, ეს დამღუპველია, ცუდია, მაგრამ, მაინც აკეთებ**

**– ეს რას ნიშნავს?**

– ეს არის ყველაზე აღმატებული ფორმა. ადამიანი ბუნებით მეცნიერია, მან იცის თითქმის ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს. შეიძლება, ვიღაცამ თქვას: არცოდნა არცოდვააო, მაგრამ, თუ ადამიანი ხარ, ვერტიკალურად მოსიარულე, მოაზროვნე არსება, არ შეიძლება, თქვა, ეს უმეცრებით ჩავიდინე, არ ვიცოდიო. შეიძლება, იყო გარკვეული პერიოდი, როდესაც ბევრი რამ არ იცოდი, მაგრამ, ახლა როგორ შეიძლება არ იცოდე, რა არის ცოდვა, მადლი, განკითხვა, რა არის კარგი და რა ცუდი?! ნუ მივიღებთ გულუბრყვილო სახეს: „მე ეს არ ვიცოდი“. თუ არ იცოდი, მაშინ, სად იყო შენი სინდისი? ღმერთმა არ მოგცა სინდისის გრძნობა? რა თქმა უნდა, მოგცა, მაგრამ, დიდი ხანია, სინდისი დამალულია, გადაფარებული აქვს დიდი თავსაფარი და ამიტომაც ვაცხადებთ: მე ეს არ ვიცოდი და ამიტომ ჩავიდინეო. ყველაზე დიდი ცოდვა უმეცრებაა, როდესაც გონიერი არსება აცხადებს, რომ არ იცოდა. კი არ იცოდი, არ გინდოდა, რომ გცოდნოდა. თუ არ ცდილობ, რაღაც წაიკითხო, გაიგო, ისე სხვა ვერაფერს გაგაგებინებს. ადამიანები წლების განმავლობაში დადიან ეკლესიაში, ისმენენ ქადაგებას, რომელიც წმიდა მამათა სწავლებას ეფუძნება და, ამის მერე რომ ამბობენ – არ ვიცოდიო, ეს უკვე ორმაგი ცოდვაა. ამიტომაც, როცა წარდგებით უფლის წინაშე, ღმერთი მოგკითხავთ პასუხს. არ დაგავიწყდეთ, რომ, ვისაც მეტი მოგეცათ, უფრო მეტი მოგეთხოვებათ. მაგრამ, ყველაზე დიდი საშინელი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი მეცნიერებით სჩადის ამ ცოდვას, ანუ, ყველაფერი გააზრებული აქვს, იცის, რა არის სიტყვიერი, საქმიერი ცოდვა, ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი და უკვე მეცნიერებით, დახვეწილად სჩადის ცოდვას. ასეთები ბევრნი იყვნენ, მათ მიიღეს ამქვეყნიური სიბრძნე, მაგრამ, თავისი ამსოფლიური გონება, ნება, აზროვნება მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებას მოახმარეს. ასეთი ადამიანი გააზრებულად ფიქრობს იმაზე, ვის რა დაუშავოს, ვის რა ავნოს. იცი, რომ ღმერთმა მოგცა გონება და ეს გონება მეცნიერებით მოახმარე კარგ საქმეს და არა ბოროტს, ეშმაკს. ამდენი გამოგონებაა ქვეყანაზე, ფიზიკამ, ქიმიამ დიდ საფეხურებს მიაღწია, მაგრამ, ადამიანი მაინც უბედურია, გაჭირვებაში იმყოფება, რადგან, ეს ყველაფერი არა ადამიანის აღორძინებას, არამედ, ადამიანის გავერანებას, დაპყრობას, მოწამვლას მოხმარდა; ასე რომ, მეცნიერებით ძალიან ბევრი ცოდვა აღესრულება; სიკეთის მაგივრად, ბოროტებას ხმარდება და ადამიანს უფრო მეტად აშორებს ღმერთთან. რა თქმა უნდა, მე გამოგონებების, ტექნიკის, პროგრესის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ, კარგი იქნება, თუ ეს ყველაფერი ადამიანებს, სიკეთეს მოხმარდება. რამდენი ცრუ რელიგია, სიცრუე ვრცელდება თუნდაც მეცნიერების სახით! ამიტომაც, მინდა, ამ ყველაფერს დავუპირისპირო გარკვეული საეკლესიო სწავლება, თუმცა, მანამდე უნდა ვახსენო არაეკლესიური სწავლება. ინგლისელმა მწერალმა უილიამ თეკერეიმ შესანიშნავად ჩამოაყალიბა ჩვენი ქმედება: „დათესეთ საქციელი – მოიმკით ჩვევას, დათესეთ ჩვევა – მოიმკით ხასიათს, დათესეთ ხასიათი – მოიმკით ხვედრს.“ ამ ყველაფერს დავუმატოთ საეკლესიო სწავლება: დათესეთ აზრი, ანუ, ჩვენს გონებაში იქნება საეკლესიო, მაცხოვნებელი აზრი, რომ შენ ხარ ადამიანი, უნდა ცხონდე; გამოძევებული ხარ სამოთხიდან, სადაც უნდა დაბრუნდე; გჭირდება აღორძინება, ზიარება, უფალთან მისვლა. შენში თუ ღვთისმოსავი აზრი იქნება, რაც ვნებების მბრძანებელია, დათესილი აზრიდან დათესავ კეთილ საქციელს. თუ შენი საქციელი კეთილია, მაშინ მოიმკი კეთილ ჩვევას. კეთილი ჩვევა, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებად არის, მოიღებს ნაყოფს – კეთილ ხასიათს. დააკვირდით თქვენს ხასიათს – ის თქვენი ჩვევებიდან და ქცევებიდან არ მომდინარეობს?! ამიტომაც, თუ გინდა, რომ დათესილი იყოს კარგი ხასიათი, შენში უნდა იყოს განწმენდილი ხასიათი, რომლითაც მერე მოიმკი შესანიშნავ ხვედრს. შესანიშნავი ხვედრი კი არის: განღვთობა, უფალთან დაბრუნება, სიყვარული, სიხარული, ბედნიერება, გახარება და გამრავლება. ასე რომ, დათესეთ ღვთისმოსავი აზრი და მიიღებთ ღვთისმოსავ საქციელს, რომელიც მოგცემთ ღვთისმოსავ ჩვევას; ღვთისმოსავი ჩვევა მოგცემთ ღვთისმოსავ ხასიათს, ის კი მოგცემთ ღვთისმოსავ და კეთილ ხვედრს, რაც არის გაბრწყინება, ბედნიერება, ცხონება და ყოველივე კარგი.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის სასწაულები

## ხატმა – „შენ ხარ ვენახი“ – სასწაული მოახდინა

წლების წინ, სისხლის გადასხმის ინსტიტუტში მიმიყვანეს აგონიაში მყოფ ქალთან, რომელსაც მესამე შვილი საკეისრო კვეთით ამოუყვანეს. ექიმის დაუდევრობით, ტამპონი დარჩენიათ მის ორგანიზმში, რასაც სეფსისი მოჰყოლია. ეს უკვე მესამე საავადმყოფო იყო, სადაც მისი სიცოცხლისთვის იბრძოდნენ. შესასვლელში აწ განსვენებული აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი შემხვდა, რომელიც დილაადრიან საგანგებოდ მის მოსანახულებლად მოსულიყო. დავეკითხე, თუ იყო გადარჩენის იმედი. „ღმერთს თუ შეუძლია მისი გადარჩენა, – მიპასუხა მან, – ჩვენ ადამიანურად ყველაფერს ვეცადეთ, მაგრამ, შედეგი არ ჩანს“. რეანიმაციაში შესულს, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეერთებული, უგონო მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა ქალი დამხვდა, რომელსაც დედა, მეუღლე და პატარა ქალიშვილები დასტიროდნენ. მომაკვდავს თავთან „შენ ხარ ვენახის“ მცირე ზომის ხატი დავუსვენეთ და ღვთისმშობლის პარაკლისი გადავუხადეთ გამოსაჯანმრთელებლად. ვლოცულობდი და მეც ცრემლები მახრჩობდა. მომაკვდავს, თითქოს ესმისო ლოცვა, ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. პარაკლისის შემდეგ „შენ ხარ ვენახის“ კანდელიდან აღებული ზეთი ვაცხეთ, დავლოცეთ მისი სახლეულიც და, შეძლებისდაგვარად, ნუგეში ვეცით. მეორე დილით გახარებული ნათესავები ტაძარში ამოვიდნენ – უფალსა და ღვთისმშობელ მარიამს სამადლობლად სანთლებს უნთებდნენ „შენ ხარ ვენახის“ ხატთან. თურმე, პარაკლისის შემდეგ ავადმყოფს მალევე დაუბრუნდა გრძნობა და, იმდენად გამოკეთდა, რომ იმავე საღამოს რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს, ერთ კვირაში კი სახლშიც გაწერეს გამოჯანმრთელებული. ახალშობილი მონათლეს, დედასა და შვილს სასწაულმოქმედ ხატთან სამადლობელი პარაკლისი გადავუხადეთ.

**დეკანოზი არჩილი (მინდიაშვილი)**

## ბუზესის სასწაული

დიდებული სასწაულის მომსწრენი გახდნენ 51-ე ბატალიონის ჯარისკაცები, რომლის მეთაური მაიორი პეტრაკისი იყო. ეს სასწაული იტალია-საბერძნეთის ომის დროს, როდენის ქედზე, კლდისურის მარჯვენა ნაპირზე აღესრულა.

1941 წლის იანვრის 22 რიცხვიდან მოყოლებული, ყოველ საღამოს, ზუსტად 21 საათსა და 20 წუთზე, იტალიელების მძიმე ქვემეხები პეტრაკისის ბატალიონის პოზიციებისა და სამხედრო ტრანსპორტის სავალი გზის დაცხრილვას იწყებდა. მზვერავები და მფრინავები ცდილობდნენ, აღმოეჩინათ ქვემეხები, მაგრამ, არაფერი გამოსდიოდათ. შესაძლოა, იმიტომ ვერ ახერხებდნენ იტალიელების ქვემეხების ადგილმდებარეობის დადგენას, რომ მათ ყოველ საღამოს ადგილს უცვლიდნენ.

თებერვლის ერთ ცივ მიმწუხრს ისევ გაისმა იტალიური ქვემეხების ზალპი.

– ყოვლადწმიდა დედაო! – უცებ აღმოხდა მაიორს, – შეგვეწიე! გვიხსენ ამ დემონებისაგან!

იმწამსვე ცაზე მბრწყინავი ღრუბელი გამოჩნდა და ნელა დაიწყო სინათლის შარავანდედის სახის მიღება, მის ქვევმოთ კი პატარა ვერცხლისფერმა ღრუბლებმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახება შექმნეს, რომელიც თანდათან მიწისკენ მოიქცა და ბუზესის ორ შემაღლებას შორის მდებარე ხრამთან გაჩერდა. ყოველივე ეს განცვიფრებული ბატალიონის თვალწინ ხდებოდა.

– სასწაული! – ხმამაღლა შესძახა მაიორმა.

– სასწაული! სასწაული! – გაიმეორეს მეომრებმა და პირჯვარი გამოისახეს.

ტზიმასის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ბატარეას დაუყოვნებლივ გაუგზავნეს სროლის კოორდინატები. ათი წუთის შემდეგ ბერძნულმა ქვემეხებმა დაიქუხეს, ხოლო ოცი წუთის შემდეგ იტალიური ზარბაზნები დადუმდნენ – ამჯერად, სამუდამოდ.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რატომ გვეკრძალება, ამოვიცნოთ ჩვენი მომავალი ბედი?**

**პასუხი**: ადამიანისთვის რომ სარგო იყოს ყველაფრის ცოდნა, ღმერთი მას ამგვარ უნარს მიანიჭებდა. უფალი ბევრ რამეს გვიმალავს ჩვენივე სიკეთისთვის, ჭკვიანი მშობლების მსგავსად, რომლებიც შვილებს უმალავენ იმას, რისი ახსნაც მათთვისვე სასარგებლოდ შეიძლება მოხდეს ზრდასრულ ასაკში. ღმერთს სურს, რომ ჩვენ ბოლომდე აღვასრულოთ ჩვენი მიწიერი დანიშნულება და ამ ასპარეზს არ გავეცალოთ იმაზე ადრე, ვიდრე ის არ აგვისრულებია.

**კითხვა: ერთგან ამოვიკითხე, რომ ლოცვა ძალიან რთული საქმეა. შეიძლება, ლოცვა ძნელი იყოს?**



**პასუხი**: შეიძლება, იმიტომ, რომ როდესაც ადამიანი ლოცვად განემზადება, მტრები – ბოროტი ძალები – ყველანაირად ცდილობენ, აცდუნონ ის და ყურადღება გადაუტანონ, რადგან, არაფერი ისე ძლიერ არ მოქმედებს მათზე, როგორც ლოცვა. ადამიანს რომ მუდამ ჰქონდეს ლოცვის სურვილი, ის ხშირად უნდა იხსენებდეს ქრისტეს სამსჯავროსა და იმას, თუ როგორ წარდგება მის წინაშე.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, მოუნათლავ ბავშვს ჯვარი გავუკეთო?**

**პასუხი**: ჯვრის ტარებას ვერ აგიკრძალავთ, მაგრამ, რა გიშლით ხელს, რომ ბავშვი მონათლოთ? ახლაც ხომ არ სჯიან ამისთვის, როგორც კომუნისტების დროს? გირჩევთ, დაუყოვნებლივ მონათლოთ პატარა.

**კითხვა: სახლში გვაქვს მაცხოვრის უძველესი ხატი. შესაძლებელია თუ არა მისი გაყიდვა? ცოდვად ხომ არ ჩაგვეთვლება ეს?**

**პასუხი**: განსაცდელისგან ხსნა მხოლოდ უფლის დახმარებით ხდება და, უმჯობესია, ამ ხატის წინაშე ილოცოთ და შესთხოვოთ შემწეობა. ხატის გაყიდვით აღებული თანხით შესაძლოა, რაღაც გარკვეული ყოფითი პრობლემები მოიგვაროთ, მაგრამ, უფლის დახმარება ხომ ყოველთვის გჭირდებათ?!

# წმიდა მამათა შეგონებანი

**ნილოს სინელი**: გაღიზიანებულის ლოცვა საზიზღარი საკმეველია, განრისხებულის ფსალმუნება კი – უსიამოვნო ხმა.

**ანტონი დიდი**: ბოროტს ბოროტით ნუ მიუზღავ და შეურაცხყოფას შეურაცხყოფითვე ნუ უპასუხებ, რადგან, შენი დამცირება-დაკნინება უფლის ნებით ხდება, რომელიც ხედავს, რომ თვით შენ არ იმდაბლებ თავს.

***

ნურავის დაგმობ და განიკითხავ ადამიანთაგან, რათა ღმერთმა არ უგულებელყოს შენი ლოცვა-ვედრება.

**ეფრემ ასური**: სინანულის დრო მოკლეა, ცათა სასუფეველი კი – უსასრულო.

**ამბა ისაია**: გაუმაძღრობის ვნება, როგორც დედა ყოველგვარი ვნებისა, პირველ ყოვლისა, სიძვის ვნებას შობს.

**იოანე კრონშტადტელი**: ყოველთვის გახსოვდეს, რომ ხორცი მატყუარაა.

**წმიდა ლუკა**: მკაცრად მოგეთხოვებათ პასუხი ღვთის წინაშე ყველა იმ სიავის გამო, რომელსაც თქვენში ხედავენ თქვენი შვილები. თუ თვითონ ცუდად იქცევით, რა შეგიძლიათ ასწავლოთ ბავშვებს? დიდი განმანათლებელი და მღვდელმთავარი წმიდა იოანე ოქროპირი მშობლების შესახებ ამბობდა: „თქვენ თითქოს განზრახ ცდილობთ თქვენი შვილების დაღუპვას. ქრისტე ჩხუბსა და განხეთქილებას კრძალავდა, თქვენ კი ყოველთვის ამ ბოროტი საქმით ხართ დაკავებულნი; ქრისტე წყენის უსიტყვოდ გადატანას გვიქადაგებდა, თქვენ კი მშიშარასა და მხდალს უწოდებთ მას, ვინც წყენას მოითმენს; თქვენ საყვედურობთ კიდეც ბავშვებს, როდესაც მათ არ სურთ, სამაგიერო მიაგონ შეურაცხმყოფელს.“

## ღვთისმსახურების კვირის ციკლი

კვირის (შვიდეულის) ციკლი ეწოდება ღვთისმსახურების იმ წესს, რომელიც კვირის შვიდი დღის განმავლობაში აღესრულება.

კვირის ყოველი დღე ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას ან განსაკუთრებით სათაყვანებელ წმიდანს ეძღვნება.

კვირა დღეს ეკლესია იესო ქრისტეს აღდგომას ადიდებს;

ორშაბათს იდიდებიან უხორცო ძალნი – ანგელოზნი;

სამშაბათი იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეა, უდიდესი წინასწარმეტყველთა და მართალთა შორის;

ოთხშაბათს იუდას მიერ მაცხოვრის გაცემას ვიხსენიებთ, ამიტომ, იესო ქრისტეს ჯვრისადმი მიძღვნილი მსახურება აღევლინება (ეს დღე მარხვაა);

ხუთშაბათს წმიდა მოციქულები და წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი იდიდებიან;

პარასკევს ვიხსენებთ მაცხოვრის ჯვარცმასა და ჯვარზე სიკვდილს და მსახურებაც იესო ქრისტეს ჯვარს ეძღვნება (ამ დღესაც ვმარხულობთ);

შაბათს იდიდებიან: ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელსაც, ასევე, ყოველდღე ვცემთ თაყვანს; მამამთავარნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულები, მოწამენი, ღირსნი, მართალნი და ყოველნი წმიდანნი, რომელთაც სასუფეველი დაიმკვიდრეს. მათ გარდა, მოიხსენიება ჭეშმარიტი სარწმუნოების მქონე ყველა შესვენებული (გარდაცვლილი), ვინც აღდგომასა და სამარადისო სიცოცხლის დამკვიდრებას ელის.

# ვინ იყო ყველაზე მაღალი კალათბურთელი კალათბურთის ისტორიაში და ვინ ითვლება ყველაზე მაღალ სპორტსმენად NBA-ს ისტორიაში

***საკალათბურთო კალათა 305 სანტიმეტრ სიმაღლეზეა განთავსებული და მოთამაშეების უმეტესობას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ მას შეწვდეს, თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთათვისაც ეს სიმაღლე პრობლემას არ წარმოადგენს – ისინი ნახტომის გარეშე, უბრალოდ ხელის მაღლა აწევით ახერხებენ, ჩააგდონ ბურთი და ქულა მოუტანონ საკუთარ გუნდს – საუბარია მსოფლიოს ყველაზე მაღალ კალათბურთელებზე.***

### ალექსანდრ სიზონენკო

ყველაზე მაღალი საბჭოთა კალათბურთელი სიზონენკოს სიმაღლე 245 სანტიმეტრი იყო. მას ერთდროულად ორი ტიტული ჰქონდა: „პლანეტის ყველაზე მაღალი კალათბურთელი“ და „პლანეტის ყველაზე მაღალი ადამიანი.“ თავისი კარიერა სიზონენკომ კუიბიშევისა და ლენინგრადის გუნდებში გაატარა.



საკალათბურთო მოედნის გარდა, იგი კინემატოგრაფშიც იყო დაკავებული: საბჭოთა ზღაპარში – „მამაცი მკერავი” მან გოლიათის როლი ითამაშა. სიზონენკო მთელი სიცოცხლის განმავლობაში იზრდებოდა, რაც მას დისკომფორტს უქმნიდა. ის 58 ზომის ფეხსაცმელს ატარებდა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში მისი წონა 186 კილოგრამს შეადგენდა. სიზონენკოს ჰორმონული დარღვევა ჰქონდა, ძლიერი ოსტეოპოროზის გამო მას გადაადგილება უჭირდა და ამიტომ მთელ დროს სახლში ატარებდა. საბჭოთა კალათბურთელი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2012 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა 52 წლის ასაკში.

### სულეიმან ალი ნაშნუში

ლიბიელი სულეიმან ალი ნაშნუშიც ალექსანდრ სიზონენკოს სიმაღლის – 245 სანტიმეტრი იყო და ლიბიის ნაკრებში თამაშობდა. კალათბურთის პარალელურად, ისიც იყო კინოში დაკავებული, კერძოდ, მას შესრულებული აქვს პატარა როლი ფედერიკო ფელინის „სატირიკონში”. ნაშნუში 1991 წელს გარდაიცვალა და სიზონენკოს მსგავსად, მასაც ჰქონდა პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

### სუნ მინმინი

ჩინელი კალათბურთელი სუნ მინმინი ყველაზე მაღალია ამჟამად მოქმედ კალათბურთელებს შორის – მისი სიმაღლე 236 სანტიმეტრია და ის ჩინური „ბეიძზინ დაქსის” ღირსებას იცავს. სუნს რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა, ეთამაშა NBA-ში, მაგრამ, ვერასდროს გასცდა კოლეჯების ლიგას, სადაც რამდენიმე წელი გაატარა. სუნ მინმინი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჩინელი კალათბურთელია იაო მინის შემდეგ. მინმინს შესრულებული აქვს ეპიზოდური როლი ჯეკი ჩანისა და კრის ტაკერის ცნობილ ბლოკბასტერში – „პიკის საათი 3”.



### გეორგე მურეშანი




რუმინელი გეორგე მურეშანი NBA-ს ისტორიაში ყველაზე მაღალი კალათბურთელია. მისი სიმაღლე 231 სანტიმეტრი იყო და ის „ნიუ-ჯერსი ნეტსის” ღირსებას იცავდა. მურეშანის სიმაღლე ჰიპოფიზოსის პრობლემით იყო გამოწვეული. ამჟამად მურეშანი შეერთებულ შტატებში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. იგი გადაღებული მხატვრულ ფილმში „ჩემი გოლიათი”.

### მანუტე ბოლი

სუდანელი მანუტე ბოლის მამის სიმაღლე, 203 სანტიმეტრი იყო, დედის – 198 სანტიმეტრი, ხოლო, თავად მანუტეს სიმაღლემ კი 231 სანტიმეტრს მიაღწია. მან „ნაციონალურ ასოციაციაში“ რამდენიმე გუნდის შემადგენლობაში იასპარეზა, მათ შორის – „მაიამი ჰითისა” და „ფილადელფია სიქსერზის” რიგებში. იგი ბლოკშოტების ოსტატად ითვლებოდა და დღემდე NBA-ს დამფარებლების ტოპ-ოცეულის წევრია. მანუტე ბოლი 2010 წელს გარდაიცვალა 47 წლის ასაკში.

### სლავკო ვრანეში

ჩერნოგორიელი სლავკო ვრანეში NBA-ს ისტორიაში სიმაღლით მესამე კალათბურთელია და ამჟამად მოქმედი კალათბურთელებიდანაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სპორტსმენია – მის სიმაღლე 230 სანტიმეტრია და მისი დებიუტი „ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში“ 2004 წელს შედგა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერის” რიგებში, სადაც მან მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა, შემდეგ კი ევროპაში დაბრუნდა. სლავკო ამჟამად სერბული „მეტალაცისა” და ჩერნოგორიის ნაკრების ღირსებას იცავს.

### შონ ბრედლი

229 სანტიმეტრი სიმაღლის შონ ბრედლი ასევე ერთ-ერთ ყველაზე მაღალ კალათბურთელად ითვლება „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის“ ისტორიაში. ბრედლი სხვადასხვა დროს „ფილადელფია სიქსერზის”, „დალას მევერიქსისა” და „ნიუ-ჯერსი ნეტსის” რიგებში ასპარეზობდა. მან კარიერის ბოლოსკენ გერმანიის მოქალაქეობა მიიღო და 2001 წელს „ევრობასკეტზე“ ითამაშა, სადაც მეოთხე ადგილი დაიკავა. შონ ბრედლის შესრულებული აქვს როლი, ალბათ, ყველაზე ცნობილ ფილმში კალათბურთზე, კომედიაში „სფეის ჯემი”, სადაც მისი პარტნიორები არიან კალათბურთის ლეგენდები: მაიკლ ჯორდანი, ჩარლზ ბარკლი, ლარი ბერდი, პატრიკ იუინგი და მაგსი ბოგზი.

### იაო მინი

ყველაზე ტირაჟირებული ჩინელი კალათურთელი იაო მინი სიმაღლეში 229 სანტიმეტრია და, ასაკის მიუხედავად, ვეტერან სპორტსმენად ითვლება. იაოს საუკეთესო წლებმა „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის“ კლუბ „ჰიუსტონ როკიტსში” ჩაიარა, სადაც მან 9 სრული სეზონი ითამაშა. იაოს მონაწილეობა აქვს მიღებული 2000, 2004 და 2008 წლების ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, მათ შორის ათენსა და პეკინში – იგი ჩინეთის ნაკრების მედროშე გახლდათ გახსნის ცერემონიალზე. მინი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა ჩინეთში და მას უამრავი სარეკლამო კონტრაქტი აქვს დადებული სხვადასხვა კომპანიასთან. ამჟამად იაო სპორტულ კომენტატორად მუშაობს ერთ-ერთ ჩინურ ტელეარხზე.




### პაველ პოდკოლზინი

რუსი კალათბურთელის პაველ პოდკოლზინის სიმაღლე 226 სანტიმეტრია და ამჟამად მოქმედი რუსი სპორტსმენებიდან ის ყველაზე მაღალია. პაველმა კარიერა ნოვოსიბირსკში დაიწყო, თავის მშობლიურ ქალაქში, საიდანაც ევროპაში გადაიხვეწა და საბოლოოდ NBA-ში ცდილობდა დამკვიდრებას. პოდკოლზინმა ორი სეზონი გაატარა „დალას მავერიქსში”, 2006 წელს გუნდთან ერთად NBA-ის ფინალამდეც მიაღწია, თუმცა, მაინც ვერ იქცა ძირითადი ხუთეულის წევრად და სამშობლოში დაბრუნდა. ამჟამად ყველაზე მაღალი რუსი კალათბურთელი „ნოვოსიბირსკის” ღირსებას იცავს.



### მარკ იტონი

მარკ იტონს თითქმის 12-წლიანი კარიერა ჰქონდა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ საკალათბურთო ასოციაციაში. ის 1982-1993 წლების სეზონებში ის „იუტა ჯაზის” შემადგენლობაში ირიცხებოდა და ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ დაფარებაში. იტონს ეკუთვნის NBA-ს რეკორდი ერთ სეზონში ბლოკ-შოტების რაოდენობით. იტონის სიმაღლე 224 სანტიმეტრია და ის დღემდე ითვლება ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად.

**უშანგი რუხაძე**

## ფლოიდ მეივეზერის სარეკორდო ჰონორარი



ლას-ვეგასში გამართულ საკრივო შოუს ფარგლებში გამართულ საჩემპიონო შეხვედრაში ამერიკელმა ფლოიდ მეივეზერ უმცროსმა დაამარცხა მექსიკელი საულ ალვარესი და, WBC-ს ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. სატიტულო შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ მეივეზერმა მსოფლიო კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჰონორარი მიიღო – 41,5 მილიონი დოლარი, მაშინ, როცა ალვარესმა მხოლოდ 5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. 36 წლის მეივეზერს პროფესიულ რინგზე წაგება არ ჰქონია და, ბოლო მონაცემებით, ის მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ ითვლება.

## შეიკის ნაკლებად სექსუალური იმიჯი

რუს სუპერმოდელ ირინა შეიკს ყოველდღიურ ცხოვრებაში არ უყვარს მკვეთრი მაკიაჟი და აქცენტს ბუნებრიობაზე აკეთებს. რამდენიმე ხნის წინ შეიკი ნიუ-იორკში გამოჩნდა გერმანელი ფოტოგრაფის, პიტერ ლინდბერგის 68 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოზე და შეკრებილი სტუმრები თავისი უბრალოებითა და უცნაური ჩაცმულობით გააკვირვა, სადაც ის, პრაქტიკულად, უმაკიაჟოდ და გაუგებარი კოსტიუმით მივიდა. კოსტიუმი ნახევრად სპორტული ტოპისა და შარვლის ნაზავი იყო და სრულიად არ შეესაბამებოდა დრეს-კოდს. ამის მიუხედავად, ლამაზმანი მაინც ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა მთელი საღამოს განმავლობაში და ფოტოგრაფებისთვის სასურველი გადასაღები ობიექტი იყო.

## დენის როდმანი – ჩრდილოეთ კორეის ხალხის სამსახურში

სკანდალებით განთქმული ამერიკელი კალათბურთელი დენის როდმანი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საკალათბურთო ნაკრებს დაეხმარება 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებისთვის მოსამზადებლად. როდმანი რამდენჯერმე იყო სტუმრად ფხენიანში და მას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან – კიმ ჩენ ინთან. დეკემბერში როდმანი კორეელი კალათბურთელებისთვის მასტერკლასებს ჩაატარებს და შეარჩევს მოთამაშეებს, რომლებიც დაიწყებენ მზადებას ოლიმპიური თამაშებისთვის. როდმანის თქმით, კორეელ კალათბურთელებს დიდი პოტენციალი აქვთ და ის სიამოვნებით დაეხმარება მათ ამ პოტენციალის რეალიზებაში.




## შარაპოვა დანიშვნას უარყოფს

მარია შარაპოვა უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ის და მისი ბოიფრენდი, ბულგარელი სპორტსმენი გრიგორ დიმიტროვი, დაინიშნენ. „არა, ჯერჯერობით არ ვაპირებ გათხოვებას და, ჩემთვის უცნობია, რის გამო გავრცელდა ეს ცნობა. დანიშნულები არ ვართ," – განუცხადა ჟურნალისტებს შარაპოვამ, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ნიუ-იორკში, მოდის კვირეულზე თითზე ახალი ბეჭდით შენიშნეს. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო გამოითქვა ვარაუდი, რომ მსოფლიო ჩოგბურთის რუსი სექს-სიმბოლო დანიშნულია.

## სოროსი დაქორწინდა

ცნობილი ფინანსისტი და მილიარდერი ჯორჯ სოროსი მესამედ დაქორწინდა. მისი რჩეული ამჟამად 42 წლის თამიკო ბოლტონია, რომლისთვისაც ეს მეორე ქორწინებაა. ქორწინების მოკრძალებული ცერემონია 83 წლის ჯორჯის სახლში, ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ბედფორდში გაიმართა, რომელსაც სიძე-პატარძლის ახლო ნათესავები ესწრებოდნენ. მუსიკისა და ხელოვნების ცენტრ „ქერემურში" კი 500-მა სტუმარმა მოიყარა თავი – ნეფე-დედოფალს გაბედნიერება მიულოცეს მსოფლიო ფინანსური ელიტის წარმომადგენლებმა, მათ შორის: საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგავმა კრისტიან ლაგარდმა, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯიმ იონკიმმა და სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურმა ლიდერებმა...



პატარძალი ოჯახში მშვენიერი მზითევით შევიდა: ბოლტონი, რომელიც ადრე დაკავებული იყო საკვები დანამატების ვაჭრობით ინტერნეტში, ამჟამად ფლობს კომპანიას, რომელიც ინტერნეტმომხმარებელს იოგას ონლაინ-ვარჯიშებს სთავაზობს.

რაც შეეხება სიძეს: სოროსის ნამდვილი სახელია დიერდ შოროში. ის დაიბადა 1930 წლის 12 აგვისტოს, ბუდაპეშტში, ადგილობრივ ებრაელთა ერთობის ლიდერის, ტივარდ შვარცის ოჯახში. 1936 წელს შვარცებმა გვარი შოროშებად გადაიკეთეს, 1947 წელს კი ყალბი პასპორტებით ემიგრაციაში წავიდნენ დიდ ბრიტანეთში, სადაც პატარა ჯორჯი (მან სახელიც ინგლისურ მანერაზე შეიცვალა) ლონდონის ეკონომიკის სკოლაში შევიდა.

სოროსის კარიერა 1956 წელს დაიწყო, როდესაც ერთ-ერთი ლონდონელი მეგობრის მამამ ის უოლ-სტრიტის საბროკერო კანტორაში მიიწვია. ახალგამომცხვარი ფინანსისტის მოღვაწეობის სფერო გახდა გარიგებები ერთი ქვეყნიდან მეორეში ფასიანი ქაღალდების გაყიდვებთან დაკავშირებით. საქმე კარგად მიდიოდა: სოროსი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი გახდა, ხოლო 1967 წელს თავის პატრონს შესთავაზა ახალი პროექტი: ერთ-ერთ ოფშორულ კომპანიაში შეექმნათ საინვესტიციო ფონდი, რომელსაც თავად უხელმძღვანელებდა. კიდევ ორი წლის შემდეგ კი სოროსი ახალი ფირმის – Double Eagle-ის მფლობელი გახდა, რომელიც შემდგომში განთქმულ Quantum Group-ად გარდაიქმნა და სოროსს სიმდიდრე და დიდება მოუტანა.

ჟურნალ „ფორბსის" შეფასებით, სოროსის ქონება დაახლოებით 20 მილიარდი დოლარია.

## დუბაის კაფეში ნამდვილი ოქროს ჩაი იყიდება

დუბაიში მოდურ კაფე Art Cafe Mocca-ში სტუმრებს ოქროს ჩაის სთავაზობენ – ჩაის გრანულები ძალზე თხელი, 22-კარატიანი ოქროს ფენითაა დაფარული. ორი კვირაა, რაც სასმელი გამოჩნდა და სპეციალურ სარეკლამო ფასად – 55 დირჰემად (დაახლოებით 15 ამერიკული დოლარი) იყიდება.



სანამ სუფრაზე მოხვდებოდეს, ჩაი გრძელ გზას გადის: „ჩვენ ვყიდულობთ ჩაის, რომელიც ცეილონის პლანტაციებში მოჰყავთ, ვგზავნით მათ გერმანიაში, სადაც მათ თხელი ოქროს ფენით ფარავენ, შემდეგ კი – მაროკოში, არომატიზაციისათვის. საბოლოო პროდუქტი უნიკალურია", – ყვება კაფეს მფლობელი, წარმოშობით ეგვიპტელი, 32 წლის აშრაფ მახრანი.

დუბაის კაფეს მფლობელი დარწმუნებულია, რომ ეს სასმელი ძალზე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, კარგად ხსნის ნერვულ დაძაბულობას და ფიზიკურ დაღლილობას. მაგრამ, ყველა როდი ეთანხმება მის შეხედულებას: ოქრო გარკვეული რაოდენობით საჭიროა ორგანიზმისთვის, მაგრამ, აითვისებს თუ არა ის ასეთი ფორმით, ძნელი სათქმელია თუკი ეს ძვირფასი ლითონი რაიმე დადებითი გავლენას ახდენს ორგანიზმზე, ალბათ, მხოლოდ პლაცებოს ეფექტით. როგორც ამბობენ, ყველა ავადმყოფობა ნერვებისგანაა და, მაშინ, ის სასარგებლოა – ოქრო, როგორც არ უნდა მიიღოთ, ყოველთვის დადებითი ემოციების მომტანია.

უნდა აღინიშნოს, რომ ძვირფასი სასმლის მომზადება ნებადართულია დუბაის შესაბამისი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ და მიჩნეულია ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ. ეს სასმელი ახალი არაა – მას იცნობენ და უყვართ ჩინეთში, ინდოეთსა და დასავლეთის ქვეყნებში.



## სისხლში სილიციუმის ნაკლებობა სახიფათოა

სისხლში სილიციუმის შემცველობა უმნიშვნელოა, თუმცა მისი შემცირება ორგანიზმისთვის სახიფათოა. ამ დროს ადამიანი მწვავედ რეაგირებს ამინდის ცვლილებაზე, უარესდება მისი ფსიქიკური მდგომარეობა. თმა ხდება მტვრევადი და, შესაძლოა, დაიწყოს გამელოტება, კანი კარგავს ელასტიკურობას.

სილიციუმი შემაერთებელი ქსოვილის შემადგენელი ნაწილია. ასაკთან ერთად, ამ მიკროელემენტების შემცველობა ორგანიზმში მცირდება. ძვლების მტვრევადობა ხანდაზმულ ასაკში აიხსნება არა მხოლოდ კალციუმის, არამედ სილიციუმის ნაკლებობითაც.

თვალის ბროლი შეიცავს ოცდახუთჯერ მეტ სილიციუმს, ვიდრე თვალის კუნთი. ამიტომ, კატარაქტის ერთ-ერთი სახეობა სწორედ სილიციუმით იკურნება. ასევე, ძველად მას გამოიყენებდნენ ასთმითა და გაციებით გამოწვეული დაავადებების დროს.

სილიციუმი ებრძვის დისტროფიას, ეპილეფსიას, რევმატიზმს, გასუქებასა და ათეროსკლეროზს. რკინისა და კალციუმისგან განსხვავებით, სილიციუმი ადვილად შეითვისება ორგანიზმის მიერ ხანდაზმულ ასაკში.

სილიციუმის შემცველი ძირითადი საკვებია: კიტრი, ნიახური, რძე, პრასი, თალგამი, მზესუმზირა, პომიდორი, ბოლოკი და შვიტა.

## როგორ მოვიშოროთ ზედმეტი ცხიმი ორგანიზმიდან

სხეულის გასაკაჟებლად და ფორმაში ჩასადგომად უამრავი ვარჯიში და დიეტა არსებობს, მაგრამ ხშირად მათ უმრავლესობას მხოლოდ დროებითი ეფექტი აქვს. ადამიანის ნორმალური მდგომარეობა, რომლის დროსაც ორგანიზმი ზუსტად იმდენ კალორიას წვავს, რამდენსაც იღებს და თან, სტაბილურ წონას ინარჩუნებს, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და დასახული მიზნის მიხედვით რეგულირდება. ეს კი სხეულის მასის გაკონტროლების საშუალებას იძლევა. მიზანი შეიძლება, იყოს როგორც ზედმეტი ცხიმის დაწვა, ისე წონის გაზრდა კუნთების ხარჯზე. ამასთან, სასურველი შედეგის მისაღწევად კვების წესები ზუსტად უნდა დავიცვათ.

ნახშირწყლები კუნთოვანი მასის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია. ის არა მარტო ორგანიზმის ენერგიულობის საწინდარია, არამედ ხელს უწყობს ცილების შენარჩუნებასა და ათვისებას. ამიტომ, თუ გსურთ, სპორტული აღნაგობა გქონდეთ და წონაში არ მოიმატოთ, მოერიდეთ შაქრისა და მისი შემცველი პროდუქტების ჭარბი რაოდენობით მიღებას. ნახშირწყლების მიღების ძირითადი დრო საუზმე და სადილია, სხვა დანარჩენ დროს ნახშირწყლები უნდა შეზღუდოთ. გირჩევთ, უპირატესობა მიანიჭოთ პოლისაქარიდებსა და სახამებლიან ნახშირწყლებს, მაგალითად, როგორიცაა ბრინჯი, წიწიბურა, მაკარონი, მოხარშული კარტოფილი, ქატოს პური, თხილი, სიმინდი, ბანანი, ჰერკულესი და ასე შემდეგ. ნახშირწყლების რეკომენდებული დღიური ნორმა 10 გრამია ადამიანის წონის თითოეულ კილოგრამზე. მაგალითად, თუ 80 კილოგრამს იწონით, ესე იგი, დღეში 800 გრამი ნახშირწყალი უნდა მიიღოთ.

ცილა მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიკროელემენტია. მისი რაოდენობა სხეულის საერთო წონის თითოეულ კილოგრამზე დღეში 5 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს. ცილების წყაროა ქათმის ხორცი, თევზი, ინდაურის ხორცი, კვერცხი, მაწონი, ხაჭო და რძე.

ცხიმები ორგანიზმისთვის აუცილებელია, თუმცა, კუნთების დაყენების მსურველები მათ რაოდენობას ცილებსა და ნახშირწყლებთან შედარებით მნიშვნელოვნად ზღუდავენ. რაციონიდან ცხიმების საერთოდ ამოღება არ შეიძლება, რადგან ის ხელს უწყობს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ვიტამინის ათვისებას. მცენარეული, ანუ უჯერი ცხიმების წყაროა: არაქისი, ზეთისხილი, ზეითუნის ზეთი; ნახევრად უჯერის კი – სიმინდის, მზესუმზირის, სოიის ზეთი და ნიგოზი.

სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ზოგიერთი პროდუქტი საერთოდ უნდა ამოიღოთ კვების რაციონიდან. ეს ეხება ცხიმებით მდიდარ პროდუქტებს, მაგალითად: ცხიმიან რძეს, არაჟანს, მაიონეზს, ყველს, ნაღებს, მარგარინს, ღორისა და ცხვრის ხორცს. ასევე, არ უნდა მიირთვათ უხარისხო ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები, მაგალითად: კანფეტი, ტორტი, ნამცხვარი, ტკბილი სასმელები, შემწვარი კარტოფილი და ალკოჰოლი.

## რა იწვევს სეზონურ ავიტამინოზს და როგორ ვუმკურნალოთ მას

ავიტამინოზის მიზეზი ხდება არასწორი კვება, დაუბალანსებელი რაციონი, პროდუქტებში ვიტამინების სიმცირე, დიეტები ან სამკურნალო მიზნით შიმშილი. ასევე, მისი მიზეზი შესაძლოა, გახდეს ალკოჰოლი, ნიკოტინი, სხვადასხვა დაავადება და მათი მკურნალობის დროს მიღებული მედიკამენტები. შაქრიანი დიაბეტისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს მკვეთრად ირღვევა ვიტამინების შეწოვის პროცესი.

აგრეთვე, ვიტამინების ნაკლებობა მოსდევს სამკურნალო კვებასაც და ზოგი მედიკამენტის, კერძოდ კი, კუჭში გამხსნელისა და ანტიბიოტიკური აბების მიღებას.

ადამიანის ორგანიზმს ვიტამინები განსაკუთრებით სჭირდება დიდი ფიზიკური დატვირთვის, ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს. ვიტამინების შევსებაში ორგანიზმს ეხმარება ახალი ხილი, ბოსტნეული, ახლად გამოწურული წვენები და პოლივიტამინების კომპლექსი.

ბავშვებში ხშირია სეზონური ავიტამინოზი. მშობლებმა, რომლებმაც არ იციან, როგორ გაუმკლავდნენ სეზონურ ავიტამინოზს ბავშვებში, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქვემოთ მოყვანილი რჩევები:

* აუცილებელია, სწორად შეარჩიოთ ბავშვის საკვები მენიუ;

* მთელი წლის განმავლობაში ბავშვს უნდა მიიღოს ახალგამოწურული ხილისა და ბოსტნეულის წვენები;

* ექვსი ცალი შავი ქლიავი გაატარეთ, დაამატეთ ექვსი ცალი დანაყილი ნიგოზი, ერთი ჩაის კოვზი შაქარი, ნახევარი ლიმონის წვენი, ანადუღარი ცხელი წყალი და გააჩერეთ, დაახლოებით, ათი წუთის განმავლობაში. შემდეგ ბავშვს აჭამეთ. ის გემრიელია და პატარას აუცილებლად მოეწონება, მის ორგანიზმს კი არგებს.

* ერთი სადილის კოვზი დანაყილი ასკილი ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით ორი ჩაის ჭიქა წყალი და წყლის ორთქლზე ადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში. ჩაასხით თერმოსში ორი-სამი საათით. შემდეგ გადაწურეთ, დაამატეთ ერთი სადილის კოვზი ჟოლოს, მარწყვის ან მოცხარის მურაბა და ნახევარი ლიმონის წვენი. დაამატეთ წვრილად დაჭრილი ან გახეხილი ვაშლი და ფორთოხალი. ეს ნახარში ბავშვმა და მოზრდილმაც თბილი უნდა დალიოს.

## კომში ძალიან სასარგებლოა და ის ბევრ დაავადებას შველის

კომში ადამიანის ორგანიზმისთვის ბევრ საჭირო ნივთიერებას შეიცავს: საქაროზას, ფრუქტოზას, მდიდარია $B_1$, $B_2$, PP, C და E ვიტამინებით, კაროტინით, კალციუმით, მაგნიუმით, კალიუმით, რკინით, ფოსფორითა და კობალტით.

კომშის ნაყოფი, კანი და ფოთლები მნიშვნელოვანი და აუცილებელია ორგანიზმისთვის. მისი არომატი კი დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებს გუნება-განწყობას, აძლიერებს იმუნურ სისტემას. ის არ არის სასარგებლო მათთვის, ვისაც ენტერიტი, ენტეროკოლიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აწუხებთ.

*ჰიპერტონიისა და დიაბეტის დროს, 2 სადილის კოვზ კომშის გამხმარ ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და ნელ ცეცხლზე ადუღეთ 20 წუთი. ნაყენი მიიღეთ დღეში 4-ჯერ, 1 სადილის კოვზი, ჭამამდე.

*ასთმის დროს, 1 სადილის კოვზ კომშის კურკებს (თავისი ბუდიანად) დაასხით 200 გრამი ადუღებული წყალი, დაახურეთ თავ-

ზე და დადგით ნახევარი საათით. შემდეგ გადაწურეთ და სვით დღეში სამჯერ, 2 სადილის კოვზი, ჭამის წინ.

*თუ ხველამ შეგაწუხათ, 1 სადილის კოვზ კომშის კურკებს დაასხით 100 გრამი ადუღებული წყალი, ნელ ცეცხლზე შემოდგით და ათი წუთი ადუღეთ. შემდეგ, გააგრილეთ და სვით დღეში 3-ჯერ, ჭამამდე, 20 წუთით ადრე.

*თუ ნაბახუსევზე თავი გისკდებათ და ღებინების შეგრძნებაც გაქვთ, ჭამის წინ ერთი ჭიქა კომშის ნატურალური წვენი დალიეთ.

მხედველობის გასაძლიერებლად და ხველების სამკურნალოდ კომში შეუცვლელია. ნაყენი ასე უნდა მოამზადოთ: კომშის ორ ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათით, ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ, გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჭიქა ჭამის წინ, დარჩენილი ნახევარი ჭიქა ნაყენი კი – ჭამის შემდეგ. კურსი ორი კვირის განმავლობაში ჩაიტარეთ და თავად დარწმუნდებით, რომ ხველაც შეგიჩერდებათ და მხედველობაც გაგიუმჯობესდებათ.

ასევე, ხველების დროს კარგია კომშის გულისა და კურკების ნახარში. კერძოდ, გაჭერით კომში შუაზე. ამოჭერით დანით გული კურკებიანად. დაასხით ორი ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ დაახლოებით 10-15 წუთი. თბილი დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა დღეში ორჯერ, ჭამის შემდეგ – დილით და საღამოს.

წნევის დასაწევად შეგიძლიათ, შემდეგი ნაყენი მოამზადოთ: ოთხ ცალ კომშის ფოთოლს დაასხით ერთი ლიტრი წყალი. ადუღეთ ათი წუთის განმავლობაში. დალიეთ ნაყენი დღეში ორჯერ, ჭამის წინ ან შემდეგ. ეს ნაყენი ასევე კარგია მომატებული პროტრომბინის დროსაც, რადგან ის მის დონეს არეგულირებს.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: 52 წლის ქალბატონს ბოლო ერთი წელია ფრჩხილების პრობლემა აქვს (განსაკუთრებით – მარჯვენა ხელზე): კანსა და ფრჩხილს შორის გაჩნდა სიცარიელე, ფერი შეიცვალა და ყვითლად გამოიყურება, ფრჩხილი კი ფურცელივით გათხელდა. რისი ბრალი შეიძლება იყოს და რა გავაკეთოთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად?**

**პასუხი:** ეს ფრჩხილის სოკოვანი დაზიანების – ონიქომიკოზის ან ონიქოფიტიის ნიშნებია. უნდა მიმართოთ დერმატოლოგს.

**კითხვა: ვარ 14 წლის ბიჭი. ბოლო დროს, რაღაცნაირად, სულ სხვანაირ ხასიათზე ვარ, ღამის ძილიც მიჭირს და სულ დაღლილობას ვგრძნობ. რისი ბრალია?**

**პასუხი:** ეს გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი ფსიქო-ემოციური წრის ცვლილებაა, რომელიც ორგანიზმში მიმდინარე ენდოკრინული ძვრების შედეგია.

**კითხვა: რა ანალიზია საჭირო უშაქრო დიაბეტის დასადგენად?**

**პასუხი:** უშაქრო დიაბეტი არის ანტიდიურეზული ჰორმონის (ჰიპოფიზის ჰორმონი) ნაკლებობა, რაც იწვევს თირკმლის მილაკებში შარდის უკუშეწოვის დარღვევას და პაციენტს ეწყება ძალიან დიდი რაოდენობით დაბალი ხვედრითი წონის შარდის გამოყოფა. ეჭვს ამ დაავადებაზე ბადებს დიდი რაოდენობით (3-დან 10 ლიტრამდე) დაბალი ხვედრითი წონის შარდის გამოყოფა, ამიტომ, დასაწყისში აუცილებელია შარდის ანალიზი. თუ შარდის ანალიზით დადგინდება, რომ პაციენტი გამოყოფს ძალიან დაბალი (1 001-1 003) ხვედრითი წონის შარდს, შემდგომში ტარდება ჰორმონული კვლევა და სადიაგნოზო სინჯები; კონკრეტულად რომელი – ამას ენდოკრინოლოგი განსაზღვრავს.

**კითხვა: ვარ 23 წლის მამაკაცი. ენის ზოგიერთ მონაკვეთზე მაქვს თეთრი ნადები, ენის წვერზე კი – წითელი წიტების მაგვარი, რომლებიც მექავება. ექიმმა ხან გასტრიტის დიაგნოზი დამისვა, ხან – სებორეის, მაგრამ, მკურნალობა არ მშველის. კიდევ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თქვენ აღწერთ ინფექციური გლოსიტისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. აუცილებელია, გამოიკვლიოთ ნაცხი ბაქტერიოლოგიურად. შესაძლოა, ყოველივე ეს სოკოვანი ინფექციითაა პროვოცირებული და ამ მხრივ საჭიროებთ მკურნალობას.

**კითხვა: დეკემბრის შემდეგ საჯდომზე ნანემსარი მაქვს გამაგრებული. საშიში ხომ არ არის და რით ვიმკურნალო?**

**პასუხი:** თუ ნანემსარი არ არის გაწითლებული, საგანგაშო არაფერია. გირჩევთ, გროვაზე გაიკეთოთ ეგრეთ წოდებული იოდის „ბადეები“. ეს საკმაოდ ძველი ინიექციის შემდგომი ნარჩენია, ამიტომ, მის გაწოვას შედარებით დიდი დრო დასჭირდება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## ასკილის ნახარში თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვან დაავადებას შველის

ასკილის ნაყოფი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭის, თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს. ასკილის თესლის ნაყენს სვამენ თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს. სამედიცინო პრაქტიკაში ასკილის ნაყოფი გამოიყენება ავიტამინოზის დროს. ის ასევე, არის ნაღველმდენი და სკლეროზის საწინააღმდეგო საშუალებაც.

ასკილის ნაყოფში დიდი რაოდენობითაა ასკორბინის მჟავა, რომელიც ხელს უწყობს ქოლესტერინის შემცირებას. სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს.

ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ასკილის ნაყოფის ნახარშებისა და ნაყენების სმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუშვებელია მათთვის, ვისაც თრომბოფლებიტები აქვს.

ასკილის ნაყოფის ნაყენის მოსამზადებლად ერთი სადილის კოვზი დაქუცმაცებული ნაყოფი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, თავზე მჭიდროდ დაახურეთ, დადგით წყლის ორთქლზე დაახლოებით 15 წუთით. გააჩერეთ ნაყენი ოთახის ტემპერატურაზე ერთი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ გაწურეთ და დალიეთ მეოთხედი ჭიქა დღეში ორჯერ.



ასკილის თესლის ნახარშის მოსამზადებლად ერთი ჩაის კოვზი დატეხილი თესლი ჩაყარეთ ჭურჭელში და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. ადუღეთ ნელ ცეცხლზე დაახლოებით 10-15 წუთით. გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ მეოთხედი ჭიქა დღეში ერთხელ, ჭამის წინ, თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ვინ არის ქალბატონი, ვის გამოც გოგი დოლიძემ სცენაზე იტირა და ვინ გაათენა ოცდაერთი ღამე მის საწოლთან

„...მაგონდება დედაჩემის ნამღერი იავნანა, რომლის გარეშეც გოგი ვერ იძინებდა. შეიძლება ითქვას, რომ გოგიმ დედას აკვნიდან მიუმღერა მეორე ხმა – ლამაზი ბგერების გაგონებაზე ალულუნდებოდა ხოლმე და ფართოდ გახელილი, მადლიერი თვალებით შესცქეროდა დედას. გადიოდა დრო. გოგიმ პირველი ნაბიჯები გადადგა, ცოტა ხანში სიარულიც დაიწყო. მე მაშინ სამუსიკო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ვიყავი და უკვე საკმაოდ გამართულად ვუკრავდი ფორტეპიანოზე. მახსენდება ბავშვის სრულიად ადეკვატური რეაქციები. იმხანად ეკრანზე გამოვიდა ქართული მხატვრული ფილმი „აბეზარა“.



კინოთეატრიდან დაბრუნებული, მივუჯექი ინსტრუმენტს და ის სიმღერა წავილიღინე, აბეზარა ფისოს რომ უმღერის. ბავშვისთვის ყურადღება არც კი მიმიქცევია. დავასრულე თუ არა მისამღერი, გოგიმ ტირილი მორთო. შევწუხდით ყველა, დავუწყეთ მოფერება. „რატომ ტირი?“ – ვეკითხებით გოგის. მან ძლივს ამოილუღლუღა: „ფისო ცოდო“. ყველა გაოცებული დავრჩით ბავშვის ასეთი რეაქციით...“ – ასე იხსენებს თავის წიგნში ლალი დოლიძე ძმას, გოგი დოლიძეს.



ოჩამჩირე – სტუმრად იროდიონ ყოლბაიასთან

ძნელია, გოგი დოლიძის პიროვნებაზე თავისუფლად ილაპარაკო. ის გამორჩეულად კარგი ადამიანი, ძალიან დიდი მომღერალი იყო და მასზე საუბარისას ყოველი სიტყვა ფრთხილად, სწორად უნდა გათვალო, ისე სწორად, როგორც იგი ცხოვრობდა. გოგი აღარ არის, დარჩა მხოლოდ მისი ხმა. გავა დრო და მოვუყვებით შვილებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა აქვს; რომ საქართველოს ჰყავდა ჰამლეტ გონაშვილი, გოგი დოლიძე და, სხვა თუ არაფერი გვეამაყება ამ ცოდვილ მიწაზე, ის მაინც ყოველთვის გვექნება საამაყოდ, რომ ჩვენ იმ ადამიანების გვერდით ვცხოვრობდით, რომლებიც ასე ალამაზებდნენ სამყაროს.

„გოგი 11 წლის იყო, როცა გავთხოვდი. მისი წყალობით, ეს ფრიად საპასუხისმგებლო მოვლენა ჩემს ცხოვრებაში, ნამდვილ სკეტჩად იქცა. ჩემი მეუღლის, ჯემალ ყოლბაიას მშობლები ოჩამჩირეში ცხოვრობდნენ. ექიმების ეს ოჯახი მთელ აფხაზეთში იყო ცნობილი და ქორწინების შემდეგ მათთან უნდა ჩავსულიყავით. გოგიმაც, დაასკვნა, რომ ჩვენთან ერთად ზღვაზე უნდა წამოსულიყო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ყველას გვაჩქარებდა. ბოლოს და ბოლოს, ჩავედით ოჩამჩირეში, სადაც უამრავი სტუმარი გველოდა. როცა ყველა წავიდ-წამოვიდა, დაღლილებმა ჩვენს საძინებელს მივაშურეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ კაკუნი შემოგვესმა, მოკრძალებით გაიღო კარი და გოგიმ ეშმაკურად მოციმციმე თვალებითა და მოღიმარი სახით გვისურვა „ღამე მშვიდობისა“. ჩვენ სიცილი წაგვსკდა. ასე გრძელდებოდა მთელი იქ ყოფნის განმავლობაში, რის გამოც ჩვენს თაფლობის თვეს „ღამე მშვიდობისა“ დავარქვით.

მოგეხსენებათ, ცხოვრება მხოლოდ სასიხარულო დღეებით როდია სავსე. საშინელ მოგონებად დამრჩა მეხსიერებაში გოგის ავადმყოფობა. 14 წლის იყო, როდესაც თირკმელებთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემა. დასჭირდა სასწრაფო ოპერაცია, რომელიც წარმატებით დასრულდა. მაგრამ, რა დამავიწყებს იმ საშინელ 21 ღამეს, რომლებიც მის საწოლთან მრგვალ, უზურგო სკამზე გავათენე. მაგრამ, ახლა ვიტყვი, რომ ეს უმძიმესი დღეებიც კი უბედნიერესი ყოფილა ჩემთვის – მე ხომ მაშინ მის სუნთქვას ვუსმენდი. საავადმყოფოდან გოგი სახლში საგრძნობლად გამხდარი დაბრუნდა, რის გამოც ძალიან მაღალი ჩანდა. შემდეგ, ორი თვის განმავლობაში,



მცხეთა, ჯვრის მონასტერში

რეაბილიტაციის კურსს გადიოდა...



ბილი ჯოელთან ერთად

„გოგი კლასში ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა ბიჭებისგან რაინდული თვისებებით, – იხსენებს თავისი თანაკლასელი თამუნა ომანიძე, – ასეთ დამოკიდებულებას ის მასწავლებლების მიმართაც ავლენდა, რაც ყველა ქალბატონს ძალიან მოსწონდა... მეექვსე კლასამდე ჩვენს ჩანთებს გოგი ატარებდა... მოგვიანებით ხშირად ხუმრობდა – თირკმელები სულ თქვენი ჩანთებით დავიზიანეო. ეს იყო საუცხოო წლები ჩვენს ცხოვრებაში.“

ეს მართლაც საუცხოო წლები გადიოდა. გაჩნდნენ ჩემი შვილები: ჯერ ირაკლი, შემდეგ მაკა, მაგრამ, გოგი ყოველთვის მთავარ ბავშვად რჩებოდა ჩემს ცხოვრებაში.

ხშირად მეკითხებიან, რატომ ტირის გოგი სცენაზე „ისევ მტკივა მორჩენილი იარას“ შესრულების დროს. ბევრ მათგანს თავისი ვერსიაც გააჩნია, ამიტომ, მინდა, ეს შემთხვევა ერთხელ და სამუდამოდ განვმარტო. ეს მოხდა ერთ-ერთ საქველმოქმედო ტელემარათონზე, რომელიც უმწეო მოხუცებულების დასახმარებლად გაიმართა. დარბაზში მსმენელთა უმრავლესობა სწორედ უმწეო ადამიანები იყვნენ. კულისებში გოგისთან მისულა ასაკოვანი ქალბატონი და უთხოვია – დამეხმარე, მშიაო. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის გოგის მდგომარეობა, არადა უკვე სცენაზე გასვლის დრო დგებოდა. რაც თან გააჩნდა, მისცა, მაგრამ, ამ თავზარდამცემი მომენტის მოსანელებლად დრო აღარ დარჩა. სახლში ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა, ისევ ცრემლი ახრჩობდა და ძლივს ამოღერღა: გავფუჭდი კაცი. სცენაზე სული ვერ მოვითქვი, ყელში ცრემლი გამეჩხირაო.



და-ძმა – ლალი და გოგი

ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ყოველთვის მოდური და პრესტიჟული სასწავლებელი გახლდათ... ინსტიტუტს ჰყავდა შესანიშნავი საესტრადო ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელი გიორგი შიოშვილი იყო და, გოგიც, რა თქმა უნდა, ამ ანსამბლის სული და გული გახდა... სულ მალე უცხო ენათა ინსტიტუტის ანსამბლი შესანიშნავ ჯგუფად ჩამოყალიბდა და პოპულარობაც სწრაფად მოიპოვა. მათ ხშირად იწვევდნენ კონცერტებზე, საღამოებზე, პრეზენტაციებზე, ამიტომ, გოგის იშვიათად ნახავდით სახლში. ამ პერიოდში შეიძინა უამრავი მეგობარი და ახალი გრძნობებით, ახალი განცდებით აღივსო. ალბათ, გამორჩეული სიფაქიზით მომიწევს ამ გრძნობაზე წერა, განსაკუთრებით იმ ერთზე, სიცოცხლის ბოლომდე გოგის ცხოვრების ნაწ-



დავით გოგიშვილთან და ზაურ ბოლქვაძესთან ერთად



გოგი და ბრინკლი კრისტი – ბილი ჯოელის მეუღლე

ილად რომ იქცა. 23 წლის გოგი თავისზე უფროს ქალბატონს შეხვდა... თავდაპირველად ყოველივე ეს ახალგაზრდულ გატაცებად ჩავთვალე, წლების მერე კი მივხვდი, რომ ეს ურთიერთობა მისი მარადიული ტრფობის, ტანჯვისა და მარტოობის საგანი გახდა. მახსოვს, როგორ აცდენდა სამსახურს, ავიწყდებოდა ყველა საქმე შეხვედრის მოლოდინში, როგორ განიცდიდა და ამ განცდებს მეც მიზიარებდა. თანდათან გამიჩნდა ამ ადამიანის ნახვისა და გაცნობის სურვილი, თუმცა, ჩვენი შეხვედრა სწორედ 8 მარტს მოხდა – გავა წლები და გაზაფხულის ეს მშვენიერი დღესასწაული გოგის გარდაცვალების თარიღად აღინიშნება. იმ ღამეს გოგი სახლში არ დაბრუნებულა. გვეგონა, სადღაც ქეიფობდა და, შესაბამისად, განგაში არ აგვიტეხავს. დილით დარეკეს საავადმყოფოდან და გვითხრეს, რომ გოგი იქ იყო. ყბაგატეხილი დაგვხვდა – ვიღაცას მისთვის კასტეტი ჩაერტყა, მხოლოდ თვალებიღა უჩანდა. ლაპარაკი არ შეეძლო. ორი თვის განმავლობაში ორჯერ გაუკეთეს ოპერაცია, რათა მეტყველება სრულყოფილად აღმდგარიყო. მის სიმღერაზე არავის უფიქრია, ამას მხოლოდ თვითონ განიცდიდა. სწორედ ასეთ ტრაგიკულ სიტუაციაში შევხვდი იმ ადამიანს, ვისი ნახვაც მაინტერესებდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან წერილი გადასცა გოგის. კითხვისას გოგის თვალებზე ცრემლი შევნიშნე. მან ბალიშის ქვეშ დამალა ფურცელი. გურმანით მივხვდი, რა ეწერა ამ წერილში და რატომ იყო იგი გოგისთვის ესოდენ ძვირფასი. გადიოდა წლები, დედის ჯანმრთელობა სულ უფრო უარედებოდა. გოგის მოუწყობელი პირადი ცხოვრება ჩვენი ნერვიულობის საგანი ხდებოდა. ყველას კარგად გვესმოდა, რა იყო ამის მიზეზი. დედას ძალიან უნდოდა, რომ ის ოჯახს მოჰკიდებოდა. ბოლოს გოგიმ გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ, ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვში გაემგზავრა. დაბრუნება რომ შეაგვიანდა, გავბედე და დავრეკე. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ღირსეულ ადამიანსა და მშვენიერ ქალს ვესაუბრებოდი. ქორწინების შემდეგ გოგი თითქოს ერთბაშად გაიზარდა. მთელი დღე საქმით იყო დაკავებული. ხშირად უწევდა უცხოეთში გასტროლებზე წასვლა. მალე ლევანიკოც დაიბადა. გოგის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი ძალიან დიდ დროს უთმობდა შვილს. როდესაც ბავშვი ავად ხდებოდა, არავის გვენდობოდა და ღამეებს მის გვერდით ატარებდა, ასეირნებდა, ამღერებდა, ეთამაშებოდა, ერთი სიტყვით, ძალიან ეამაყებოდა... ამ დიდი სიხარულის მიღმა მაინც ყოველთვის შეამჩნევდით იმ პირად ტკივილს, რომელიც სამუდამოდ დარჩა მის სულში და რომელთან განშორებაც მისთვის შეუძლებელი გახდა. არასდროს დამავიწყდება ის სიტყვები, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რომ მითხრა: „რატომღაც, არაფერი მოხდა ისეთი, რაც ცხოვრებას გამიადვილებს. ჩემი სიყვარული არ დამთავრებულა, არ შერყეულა, არ შენელებულა, ის ცოცხალია და ჩემშია, ხოლო მე მასში ვარსებობ სამუდამოდ”. სწორედ მისი სიტყვები მაძლევს უფლებას, ვთხოვო ამ ქალბატონს, მოიგონოს გოგი, რადგან ამ მოგონების გარეშე განქარდება მთელი ის მშვენიერება, რაც მის ცხოვრებას, სიმღერას გრძნობებს ახლდა თან და ჩვენი მონათხრობიც დაემსგავსება ყალბი ზნეობრივი კანონებით შელამაზებულ ზღაპარს, ეს კი მხოლოდ ჩრდილს მიაყენებს გოგის ხსოვნას.”

**ეკა პატარაია**



„ქართული ხმები”



გოგი და ლალი დოლიძეები



გოგი და მისი სიძე – ჯემალ ყოლბაია



გოგი შვილთან ერთად



გოგის მამა და შვილი

# ვინ იყო გენერალი ველიამინოვი, რომლის სახელსაც ატარებს თბილისის ცნობილი სახინკლე, რომელი ისტორიული მოვლენა მოხდა დეზერტირის ბაზრის ტერიტორიაზე და რომელ უბანში აშენდა ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე

(23-ე გვერდიდან)

კახეთის საერისთავოს ეკუთვნოდა. მეთვრამეტე საუკუნეში სოფელი ავჭალა თავად გურამიშვილების მამული იყო. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანამდე მოაღწია მტკვრის პირას მდგარმა თავად გურამიშვილის სასახლემ, რომელიც გალავნით იყო გარშემორტყმული. ავჭალისკენ მიმავალ გზას აჩვენებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის მიერ შედგენილ თბილისის პირველ გეგმაზე 1735 წელს. თბილისის ტერიტორიაზე იგი გარეთ ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის გადიოდა. იგივე გზაა აღნიშნული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ტიხონოვის მიერ შედგენილ თბილისის სიტუაციურ გეგმარზეც – სოფელ კუკიასთან, კვირაცხოვლის ხევის გადაღმა, სადაც ორად იყოფოდა. მტკვართან უფრო ახლოს გამავალ გზას გეგმაზე ეწოდება „ქვედა გზა სოფელ დიდი ავჭალისკენ”, ხოლო მეორეს „ზედა გზა”. ქვედა ავჭალის დასახლების დიდი ნაწილი ნაჩვენებია შემდგომშიც, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში შედგენილ თბილისის სიტუაციურ გეგმაზე. საბჭოთა დროს ავჭალა საყოველთაოდ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აქ 1927 წელს დამთავრდა საბჭოთა კავშირში პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. კომპლექსში ჩართული იყო ლენინის 16-მეტრიანი მონუმენტური ძეგლი, რომელიც მთავარი სადგურიდან 2 კილომეტრით იყო დაშორებული და რომლის ავტორიც მოქანდაკე ივანე შადრი გახლდათ. ზაჰესის მშენელობას მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკური აღდგენისა და განვითარებისთვის. ვლადიმირ ლენინის ინიციატივით, 1923 წლის 16 იანვარს, რსფსრ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც 1923 წლის პირველ კვარტალში თბილისის საბჭომ ზაჰესის მშენებლობისთვის საკავშირო სახსრებიდან მიიღო 750 ათასი ოქროს მანეთი. ჰესის პირველი რიგი 1927 წელს გადაეცა საექსპლუატაციოდ, სრული სიმძლავრით კი ზაჰესი 1938 წელს ამუშავდა. ამჟამად ჰესის მფლობელია უცხოური კომპანია, რომელმაც ზაჰესი 2007 წელს გამართულ აუქციონზე 41 მილიონ დოლარად შეიძინა.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: თ. კვირკველია. „ძველთბილისური დასახელებანი” (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1985).**



ზაჰესი და ლენინის მონუმენტური ქანდაკება (1930-იანი წლები)



ავჭალა 2000-იანი წლების დასაწყისში



**ინტუიციას ადამიანის მეექვსე გრძნობად მიიჩნევენ. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ინტუიციის კარნახით ერთხელ მაინც არ ემოქმედოს. თუმცა, ეს მეექვსე გრძნობა, რომელიც ადამიანის დამხმარედ ითვლება, ყოველთვის არ ამართლებს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტუიცია უმეტესწილად სიმართლეს გვკარნახობს, პარაფსიქოლოგების აზრით, ადამიანი თავისდაუნებურად აგროვებს ინფორმაციას მის გარშემო. შემდეგ ეს შეიძლება, გადაიზარდოს ისეთ გრძნობაში, თითქოს რაღაცა ინფორმაცია ვიცით, რომელიც წესით, არ უნდა ვიცოდეთ, ინტუიციის რეალურად შესწავლა ძალიან ძნელია, ფაქტობრივად, შეუძლებელი. თუმცა, წელიწადის განმავლობაში არის დღეები, როცა ადამიანებში ინტუიცია გამძაფრებულია და მის კარნახს ბევრი ენდობა. ამიტომ, საქმეშიც ადვილად აღწევს წარმატებას და შესაძლო საფრთხეებსაც უპრობლემოდ იცილებს თავიდან. ისევე, როგორც დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი, პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ელეონორა ამბობს, ნებისმიერი ადამიანის დაბადებისას დედამიწაზე ჩნდება ახალი წერტილი და სწორედ ის აგებს პასუხს ჩვენს წარმატება-წარუმატებლობაზე.**

# როდის მძაფრდება ინტუიცია და წინასწარმეტყველური უნარი ადამიანში და რაზე მეტყველებს ხასიათის ხშირი ცვლილება

**ელეონორა**: ადამიანების მიერ, იმ ამოუცნობი და მისტიკური ფაქტების უარყოფა, სირაქლემის პოზაში ყოფნას მაგონებს, როცა არ გინდა, დაინახო, ან გაიგო ის, რაც შენ გარშემო ხდება. ბევრს არ სჯერა, რომ წლის გარკვეულ პერიოდში ადამიანებში გამძაფრებულია ტელეპათიური და წინასწარმეტყველური ნიჭი. ამ დროს შეიძლება, ისეთი რამ თქვა რაც, შემდეგ ახდება და ამით თავად დარჩე გაკვირვებული. ვფიქრობ, მსგავსი რამ ბევრ თქვენგანს დამართნია, მაგრამ ეს უბრალო დამთხვევად ჩაგითვლიათ. ეს სწორი არ არის. უბრალოდ, ამ პერიოდში თქვენი წინასწარმეტყველური ნიჭი და ტელეპათიური უნარი ზენიტში იყო. თქვენ ვერ ამჩნევთ, მაგრამ ფაქტები თავად მიგანიშნებთ ამაზე და ეს აუცილებლად უნდა დაინახოთ. ასეთი პერიოდი ყველას აქვს და ამ დროს მეტად მგრძნობიარეა ადამიანი. ბევრი მეკითხება, როგორ მივხვდეთ, რომ ჩვენი წინასწარმეტყველური ნიჭი ზენიტშია ან ტელეპათიური ხედვა გვაქვს გამძაფრებულიო. ამის გაგება სულ ადვილია, თუ თქვენი ქცევებისა და ხასიათის ცვლილებას დააკვირდებით. ინტუიცია მაშინ არის მომატებული და წინასწარმეტყველური აღქმა გაძლიერებული, როცა გინდა, ყველასგან შორს იყო, განმარტოვდე, ფიქრობ განვლილ ცხოვრებაზე და აანალიზებ წარსულში მომხდარ დეტალებს. საკუთარ თავში იკეტები და სიმშვიდეს მხოლოდ ფიქრში განიცდი. ამ დროს კი როგორც წინასწარმეტყველური, ასევე, ტელეპათიური უნარიც გამძაფრებულია და ეს შეგრძნებები აშკარად შესამჩნევი ხდება.

**– ამბობენ, აზრი და ფიქრი, ეგრეთ წოდებული, ენერგეტიკული ინსტრუმენტებია, რომლის საშუალებითად ადამიანი თავად ქმნის საკუთარ ტელეპათიურ თუ წინასწარმეტყველურ ფონსო. ეს რეალურია?**

– დიახ, სავსებით რეალურია. ამ დროს ინტუიციაც მძაფრდება და ადვილად შეძლებთ მომავლის სასიკეთოდ შეცვლას. შექმნილი ფონის ხარჯზე ხდება ყოველივე ამის გაგზავნა სამყაროში ფიქრისა და აზრის დონეზე. შემდეგ კი ეს გზავნილი უკან, ინფორმაციის სახით გვიბრუნდება. ასე რომ, ემოციური გზავნილის სამყაროში გაგზავნა და შემდეგ მისი ტელეპათიურად აღქმა, ადამიანებისთვის სრულიად შესაძლებელი და რეალური ფაქტია. რატომ არის, რომ შეყვარებულები ერთმანეთის განცდებს, სიხარულს ან თუნდაც ტკივილსა და გაჭირვებას, მანძილის მიუხედავად, მაინც გრძნობენ. ამ დროს აფორიაქებულნი არიან და რაღაც არარეალურს განიცდიან. როდესაც გიყვარს, გული სხვანაირად ძგერს. თუ რაღაც პერიოდი რჩეულთან განშორება გიწევთ, ამ დროს კი დაგეუფლათ შფოთვა და აფორიაქება, ესე იგი, მის ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამ დროს გუნებაგანწყობა გიფუჭდებათ, ადგილს ვერ პოულობთ, ის, თქვენი მეორე ნახევარი კი, ამ დროს გასაჭირშია – რაიმე აწუხებს, ან გამოუვალ სიტუაციაშია. მისი უარყოფითი – წარუმატებლობაზე ფიქრი სამყაროშია გაგზავნილი და მას თქვენ ტელეპათიურად, ამავე სამყაროდან, ინფორმაციის სახით იღებთ. ასევე, თუ უეცრად, ამაღლებული განცდა დაგეუფლათ, მიხვდით, რომ ცხოვრება მშვენიერია და გარშემო ყველაფერს ვარდისფრად აღიქვამთ, ჩათვალეთ, რომ სწორედ ასეთი განწყობა აქვს თქვენგან შორს მყოფ საყვარელ ადამიანს. ზოგადად კი, განცდები სხვა არაფერია, თუ არა, ენერგეტიკული მუხტი, რომელიც ერთი ადამიანიდან მეორეზე გადადის და თუ ნამდვილი სიყვარულია, მაშინ ის უფრო მძაფრდება და ძლიერდება ტელეპათიური შეგრძნებების დონეზე. როცა სიყვარულზე სიყვარულით გპასუხობენ, იქ უკვე არსებობს უხილავი ტელეპათიური კავშირი და შესაბამისად, შეგრძნებებიც წინასწარმეტყველური ხდება.

> **ნებისმიერ ადამიანს დედამიწაზე აქვს თავისი წერტილი, რომელიც მისი დაბადებისას ჩნდება. ეს წერტილები კი იმისთვისაა საჭირო, რომ ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს დედამიწაზე**

**– რაც უფრო დიდხანს გრძელდება სასიყვარულო ურთიერთობა, მით უფრო მძაფრდება ეს შეგრძნებები და ტელეპათიური კავშირები?**

– რაც უფრო დიდხანს გრძელდება სასიყვარულო ურთიერთობა, მით მეტად იზრდება შეყვარებულებს შორის წინასწარმეტყველური და ტელეპათიური მოვლენები და შეგრძნებები. ამაში ორი აზრი არ არსებობს და თუ თავად დააკვირდებით, აშკარად მიხვდებით, რაზეც ვსაუბრობ.

**– ეზოთერიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ დედამიწაზე თითოეულ ადამიანს დაბადებისას თავისი წერტილი უჩნდება ვარსკვლავის სახით, რომელიც მის ბედ-იღბალსა და მომავალზეა პასუხისმგებელი.**

– ამ თემაზე, ერთგვარი გაურკვევლობაა ადამიანებში. დიახ, ნებისმიერ ადამიანს დედამიწაზე აქვს თავისი წერტილი, რომელიც მისი დაბადებისას ჩნდება. ეს წერტილები იმისთვისაა საჭირო, რომ ყველა ადამიანს თავისი ადგილი ჰქონდეს დედამიწაზე. ასევე, ასეთ ადგილებში ადამიანს ეცვლება აურა და ბიოველი. ეს წერტილები დადებითიც არის, უარყოფითიც და ნულოვანიც. ასეთ უარყოფით წერტილებში, ანუ ადგილებში, დიდხანს ყოფნისას, ადამიანს ბედისწერა უარყოფითისკენ ეცვლება. დადებით წერტილებში მოხვედრისას კი, ბედი გაგიღიმებთ. მაგალითად, დადებით წერტილში მოხვედრისას, თავს მშვიდად, კომფორტულად, დაცულად და ჰარმონიულად გრძნობთ. ამ დროს იმუხტებით დადებითი ემოციებითა და ენერგიით. უარყოფით წერტილებში კი ადამიანს ეწყება შფოთვა, აპათია, მოუსვენარი ხდება, ავიწყდება მოვლენები და არ არის გამორიცხული, ახლობელი ადამიანების სახელებიც კი ვერ გაიხსენოს. ასევე, ხდება შრომისუუნარო, ადვილად ღიზიანდება და კონფლიქტურია. აი, ნულოვან წერტილში კი მაშინ ხვდება ადამიანი, როცა სხვებთან კონტაქტი არ სურს, საკუთარ თავში იკეტება და ფიქრებში ეხვევა. ეს საშიში ზონაა, რადგან ადამიანს ენერგია ეყინება და ვერც წინ დგამს ნაბიჯს, ვერც უკან, უჭირს გადაწყვეტილებების მიღება ან მომავალში რაიმეს დაგეგმვა. ამიტომ, კარგად დააკვირდით გარემოს, სადაც დიდხანს გიხდებათ ყოფნა – სად გიჩნდებათ განმარტოების სურვილი, სად გრძნობთ თავს კომფორტულად და სად მშფოთვარედ, მოუსვენრად. ასევე, თუ გარკვეულ ადგილას ყოფნისას, თვალი ხშირად გიშტერდებათ, გეწყებათ მთქნარება, ესე იგი, ეს თქვენთვის საშიში ადგილია და უარყოფითი წერტილის ზონაში იმყოფებით. ასე ვთქვათ, ეს ანომალიური ზონაა თქვენთვის და მას აუცილებლად უნდა გაეცალოთ.

**ნონა დათეშიძე**

## ციყვი თუ ადამიანი?!

ქალები ხშირად იმაზე გაცილებით მეტს აკეთებენ, ვიდრე ფიზიკურად შეუძლიათ და, ბუნებრივია, ძალიანაც იღლებიან. შვებულებიდან შვებულებამდე ამოსუნთქვის საშუალება არ გაქვთ, ცხოვრების ფერხულში ჩაბმული, წუთით ვერ ისვენებთ. იმის თავიც კი არ გაქვთ, რომ დაიღალოთ, რომ აღარაფერი ვთქვათ დასვენებაზე. ნერვიულობთ იმაზე, რომ რაღაცას ვერ მოასწრებთ; ან ამ გადარბენაში, რაღაც ისე არ გამოგივათ... მაგრამ, ამის მიუხედავად, ტემპი არ უნდა დააგდოთ არავითარ შემთხვევაში! ჩაკეტილი წრიდან გამოსასვლელი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ქმარი ტელევიზორის წინ ნებივრობს, შვილი კომპიუტერს მისჯდომია, ანუ, ორივე „დაკავებულია“, თქვენ გაზქურასთან ფუსფუსებთ, თან სახლის დალაგებას ცდილობთ და, ამ დროს გესმით ფრაზები: „ვახშამი მალე იქნება?“, „ჩემი ჟურნალები მომიტანე?“, „ხომ არ გახსოვს, სათვალე სად დავდე!“, „ტელეფონი რეკავს, არ უპასუხებ?“, „დედა! ტუალეტში ქაღალდი გათავდა!“, „დღეს თევზებს აჭამე?“, „ჩემი ვარდისფერი პერანგი კიდევ არ დაგიუთოებია?“ – მოკლედ, ან ძალიან მშვიდი ნერვები უნდა გქონდეს, ამას რომ გაუძლო, ან, უნდა წაუყრუო, თორემ, ერთი აფეთქება განაღდებული გაქვს... ამბობენ, რომ, რაც მეტ პასუხისმგებლობას წამოიკიდებ, მით მეტს დაგავალებენ. ისწავლეთ, როგორ გახდეთ ეგოისტი და როგორ თქვათ „არა“. ჯობია თქვა, „ამას ვერ გავაკეთებ, ვერ შევძლებ“, ვიდრე მერე სკანდალი მოაწყო – ამდენ საქმეს მე რატომ მავალებთო. თქვენ ხომ ციყვი არ ხართ, რომ მბრუნავ რგოლში ირბინოთ. იზრუნეთ საკუთარ სიამოვნებაზეც და დაისვენეთ მაშინ, როცა იგრძნობთ, რომ დასვენება გჭირდებათ.

## ის ასეთია...

რატომ ხდება, რომ ზოგიერთ ქალს ყველა მამაკაცი ცოლის როლში მოიაზრებს, ზოგიერთებს კი ძალიან უჭირთ გათხოვება? ამბობენ, მამაკაცი ან ძალიან უნდა იყოს შეყვარებული, რომ ქორწინების უღელში ნებაყოფლობით გაყოს თავი, ან ქალმა უნდა იაქტიუროსო. შეიძლება, არის ამაში სიმართლის მარცვალი, თუმცა, ყველაფერი ასე მარტივი მაინც არ არის.

მამაკაცს, ისევე, როგორც ქალს, აქვს სურვილი, გვერდით ერთგული მეგობარი ჰყავდეს, რომელთანაც მარტო ღამეს კი არ გაატარებს სიამოვნებით, არამედ დღესაც. მამაკაცების უმრავლესობას არ უყვარს ვულგარული და „ცარიელი“ ქალები. ტყუილია, თითქოს მათ ჭკვიანი ქალები აფრთხობდეთ... და, კიდევ: მამაკაცს სჭირდება ქალი, რომელიც მას საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნებს; დაეხმარება საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში და აგრძნობინებს, რომ ის განსაკუთრებულია.

ზუსტად იგივე უნდათ ქალებსაც, მთავარია, არ მოხდეს ინტერესთა კონფლიქტი, თორემ, ჩხუბი გარდაუვალია. ქალმა უნდა იგრძნოს, როდის არის მისი ჩრდილში გადასვლის დრო – ცოტა ხნით მაინც, რომ კაცი არ დაითრგუნოს, რადგან, მამაკაცებს ქალებზე ხშირად სჭირდებათ საკუთარ თავთან განმარტოება.

შეიძლება თქვათ, რომ მამაკაცები მეტისმეტად ბევრს ითხოვენ ჩვენგან, მაგრამ წუწუნით არაფერი შეიცვლება – უნდა ვიცოდეთ, რომ ის ასეთია და ჩვენ ის გვჭირდება...

## სამსახოვანი მამრი

ასაკის მატებასთან ერთად ადამიანები იცვლებიან. მათ ხასიათში სერიოზული გარდატეხა ხდება და, ცხადია, გარეგნობაშიც შეინიშნება ცვლილებები – პოზიტიურიც და ნეგატიურიც. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ქალთან დამოკიდებულებაში მამაკაცებს სამი ასაკობრივი ეტაპი აქვთ.

პირველი 20 წელი: ახალგაზრდაა და საკუთარ შესაძლებლობებზე უზარმაზარი წარმოდგენა აქვს. ქალები ძირითადად ერთი კონკრეტული მიზნისთვის აინტერესებს და ვერც გაამტყუნებ. უფრო მკერდზე მოგაშტერდებათ, ვიდრე თქვენი სულის სიღრმეზე დაიწყებს ფიქრს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა უფრო თვითდამკვიდრებისთვის სჭირდება, თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შეუძლია, იყოს ერთგულიც.

30 წელი: საკუთარი თავის შეცნობის პერიოდია. ცოტათი უჭირს, რადგან, უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა. თუმცა, ხდება, რომ რაღაცით სხვებისგან განსხვავდება. ამიტომ, ზოგჯერ სიყვარულისთვის არც სცალია. ზოგჯერ რაღაც განსაკუთრებული უნდა. თუ რამე არ გამოსდის, ბრაზობს და დეპრესიაშიც ვარდება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქალს, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდება. ნუ გაუბრაზდებით იმის გამო, რომ, ახლის შეცნობის სურვილმა, შეიძლება, ღალატამდეც მიიყვანოს. რას იზამთ, ასაკია დამნაშავე...

40 წელი და ზემოთ: მამაკაცი აკეთებს უდიდეს აღმოჩენას – ეს არის ქალი და მისი ფენომენი. ის ხვდება, რა მნიშვნელობა აქვს მის ცხოვრებაში ამ არსებას. ცდილობს, მაქსიმალურად გაუგოს მას, აამოს და გაიხაროს მისი სიხარულით. ისეთი ეგოისტიც აღარ არის, როგორც ათი წლის წინათ იყო, მაგრამ, ვნებაც ნაკლები აქვს, ვიდრე მაშინ; სამაგიეროდ, გაცილებით სტაბილური და მიზანდასახულია.

## ქალური სისუსტე

გამოტყდით, რომ გიყვართ მაღაზიებში სიარული, თუნდაც ფული არ გქონდეთ. დადიხართ, დადიხართ, ათვალიერებთ ნივთებს, ბოლოს რაღაც „შემოგეყიდებათ“... არა უშავს, ამაში ტრაგედია არ უნდა დაინახოთ. თუ გაწუხებთ ის, რომ ზოგჯერ სრულიად გაუმართლებელი ხარჯი გაქვთ, შეეჩვიეთ თქვენი აუცილებელი საყიდლების სიის წინასწარ შედგენას, თუნდაც მაშინვე არ გარბოდეთ მაღაზიაში. არაფერია იმაში ცუდი, თუ გეცოდინებათ, რისი შეძენა მოგიწევთ უახლოეს მომავალში და რა თანხასთან იქნება ეს დაკავშირებული.

იყავით ყურადღებიანი კოსმეტიკის, ფეხსაცმელების ყიდვისას და, რაც მთავარია, არასოდეს იყიდოთ ნივთი, რომლის შეძენაც ეჭვს გიჩენთ, ანუ, თუ ყოყმანობთ, აჯობებს, წახვიდეთ სახლში და საბოლოო გადაწყვეტილება მეორე დღეს მიიღოთ.

ბიუჯეტი დაგეგმეთ და ხშირად დაითვალეთ სახარჯო თანხა. არაპრაგმატულობა ქალური სისუსტე არ არის – მოგონილია და მიწებებული. ყველაზე გონივრულია, თუკი, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ არ გაქვთ შესაძენი რამე, ერთ დღეს დაათვალიეროთ მაღაზიები, შეარჩიოთ რამდენიმე ვარიანტი, საყიდლად კი მეორე დღეს წახვიდეთ. დარწმუნებული იყავით, ჩანთა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ აღგაფრთოვანებდათ, დღეს უფერულად მოგეჩვენებათ და უაზრო დანახარჯსაც თავიდან აირიდებთ... ანუ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რის გამო აქვს ჩინეთის საზღვრის გადაკვეთა სამუდამოდ აკრძალული ბრედ პიტს და რომელი ორგანო დაიზიანა მან ფილმ „ტროას" გადაღებების დროს

***2013 წლის 18 დეკემბერს მსოფლიოს ნომერ პირველ სექს-სიმბოლოს, მილიონობით ქალისთვის სასურველ მამაკაცს, ჰოლივუდის მეგავარსკვლავ ბრედ პიტს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდება. ასაკის მიუხედავად, პიტი თამამად უწევს კონკურენციას მასზე გაცილებით ახალგაზრდა მსახიობებს და თავისი დროის საუკეთესო მსახიობად ითვლება.***

* უილიამ ბრედლი პიტი დაიბადა 1963 წლის 18 დეკემბერს ოკლაჰომის შტატში, ქალაქ შაუნიში. იგი რელიგიურ ოჯახში იზრდებოდა. მამა, უილიამ პიტი, ტვირთების გადამზიდავ კომპანიაში მუშაობდა მენეჯერად, ხოლო დედა ჯეინ ჰილჰაუსი, სკოლის მასწავლებელი იყო. ბრედს ჰყავს და-ძმა – დუგ და ჯულია პიტები. ბრედის დაბადებიდან რამდენიმე ხანში ოჯახი სპრინგფილდში გადავიდა საცხოვრებლად. სკოლაში სწავლის პერიოდში ბრედი ჩართული იყო სკოლის თვითმმართველობის მუშაობაში, ჩაწერილი იყო მუსიკალურ სექციაზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ბრედი მისურის შტატში, კოლუმბიის უნივერსიტეტში მოეწყო, სადაც ჟურნალისტიკასა და სარეკლამო საქმეზე სწავლობდა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კი ბრედმა ჰოლივუდში გამგზავრება და მსახიობობა გადაწყვიტა, რის გამოც მან ოფიციალურად შეიცვალა სახელი და გახდა ბრედ პიტი.



* სამსახიობო წარმატებამდე ბრედ პიტმა რამდენიმე პროფესია გამოიცვალა: ის მუშაობდა სატვირთო ავტომობილის მძღოლად; ავეჯის გადამზიდავად; რესტორანში მენეჯერად; ასევე, წიწილის ფორმაში გადაცმული იწვევდა სტუმრებს რესტორან „ელ პოლო ლოკოში". მუშაობის პარალელურად, ბრედი სამსახიობო კურსებზე დადიოდა და თავდაპირველად მხოლოდ ტელესერიალებში თამაშს ახერხებდა, მაგალითად, „დალასში". 1991 წელს რიდლი სკოტმა ბრედ პიტი გადაიღო გახმაურებულ ფილმში – „ტელმა და ლუიზა," რასაც მოჰყვა მსახიობის წარმატებული კარიერის დაწყება.

* 1995 წელს ჟურნალმა „ემფაირმა" ბრედ პიტი მსოფლიო კინოს ისტორიაში 25 ყველაზე სექსუალურ მსახიობს შორის მოიხსენია, ჟურნალმა „ფიფლმა" კი ის ორჯერ დაასახელა პლანეტის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად. მსგავსი პატივი ჯერჯერობით არც ერთ მსახიობ მამაკაცს არ ხვდომია წილად.

* 1997 წელს ბრედ პიტმა მთავარი როლი შეასრულა ჟან-ჟაკ ანოს ფილმში – „შვიდი წელი ტიბეტში", რომელშიც ასახულია ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაცია. ფილმის პრემიერიდან რამდენიმე ხანში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ბრედ პიტი „პერსონა ნონ-გრატად" გამოაცხადა და სამუდამოდ აუკრძალა ჩინეთის რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთა.

* ბრედ პიტის ფილმოგრაფიაში სამი ფილმია, სადაც ფიგურირებს ციფრი „7": „შვიდი", „შვიდი წელი ტიბეტში" და ანიმაციური „სინდბადი: შვიდი ზღვის საიდუმლო". მის ორ ფილმში კი ციფრი „12" ფიგურირებს: „12 მაიმუნი" და „ოუშენის 12 მეგობარი".

* სკოლაში სწავლის პერიოდში ბრედ პიტი გატაცებული იყო სპორტით, კერძოდ – ცურვით, ჩოგბურთითა და გოლფით.

* ბრედ პიტი ნეოს როლზე ისინჯებოდა გახმაურებულ ბლოქბასტერში – „მატრიცა", თუმცა, როლზე კიანუ რივზი დაამტკიცეს.

* ფილმ „ტროას" გადაღებების დროს, რომელშიც ბრედ პიტი ანტიკურ გმირს – აქილევსს ასახიერებდა, ბედის ირონიით, მან ერთ-ერთი სცენის გადაღების დროს „აქილევსის მყესი„ დაიზიანა.

* 1996 წელს ბრედ პიტმა მსახიობ კასანდრა პეტერსენისგან 1,6 მილიონ დოლარად შეიძინა უზარმაზარი სახლი, რომელიც გამვლელებს ვამპირის სახლს აგონებდა ფილმიდან „ინტერვიუ ვამპირთან".

* 1982 წელს ბრედ პიტმა მონაწილეობა მიიღო ჩიფსების – „პრინგლსის" სარეკლამო რგოლის გადაღებაში.

* ფილმ „ტროას" გადაღებების დროს ბრედ პიტს სიგარეტის მოწევისთვის თავის დანებება მოუხდა, რაც, მისი თქმით, ერთ-ერთი ყველაზე რთულად შესასრულებელი მისია იყო. გარდა ამისა, გადაღებების დაწყებამდე, პიტი ერთი წელი ემზადებოდა სპორტულ დარბაზში, პირადი მწვრთნელის ზედამხედველობის ქვეშ.

* ბრედ პიტმა 100 მილიონი დოლარი გადარიცხა „დისქავერი ცენტრის" მუზეუმის დასახმარებლად. მუზეუმი მის მშობლიურ ქალაქ სპრინგფილდში მდებარეობს.

* მსახიობ ქეით ბლანშეტის კონტრაქტში ჩაწერილია პუნქტი, რომ ის არასდროს არ ითამაშებს ფილმში: ბრედ პიტთან ერთად. ბლანშეტის თქმით, მას არ შეუძლია ურთიერთობა იმ მამაკაცთან, რომელსაც უზომოდ უყვარს ანჯელინა ჯოლი.

* ტიმ ბარტონი ბრედ პიტს განიხილავდა მთავარი როლების შემსრულებლად ორ ფილმში „მძინარე ღრმული" და „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა" – იკაბოდ კრეინისა და ვილი ვონკას როლებზე, რომლებიც, საბოლოოდ, ჯონი დეპმა ითამაშა.

* ბრედ პიტის საყვარელი ფილმებია: „მაიმუნების პლანეტა" და „ციებ-ცხელება შაბათ საღამოს".

* სკოლაში სწავლის პერიოდში ბრედ პიტის მეტსახელი იყო „პიტბული".

* წყალდიდობისგან დაზარალებულ ახალ ორლეანში ბერდ პიტმა 150-მდე სახლის მშენებლობა წამოიწყო საკუთარი ხარჯებით. პროექტზე მან 24 მილიონი დოლარი გამოყო და დაიქირავა დიზაინერებისა და არქიტექტორების ჯგუფი.

* ბრედ პიტი უპირატესობას ანიჭებდა „ქემელის" და „მარლბოროს" მარკის სიგარეტებს; საყვარელი მწერალია კორმაკ მაკარტი; აქვს ზვიგენებისა და ობობების შიში; უყვარს გაზიანი სასმელი „მაუნთინ დრიუ", მუსიკოსებიდან კი ბობ მარლისა და ჯიმი ჰენდრიქსის შემოქმედებას ანიჭებს უპირატესობას.

* ფილმ „შვიდის" გადასაღებ მოედანზე 1995 წელს ბრედ პიტმა გვინეტ პელტროუ გაიცნო, რომელიც, სცენარის თანახმად, მისი მეუღლის როლს ასრულებდა. მსახიობებს შორის რომანი დაიწყო, რასაც 1996 წლის დეკემბერში ნიშნობა მოჰყვა, თუმცა, 1997 წელს, ყოველგვარი სკანდალისა და ურთიერთობების გაფუჭების გარეშე ბრედი და გვინეტი დაშორდნენ.

* ბრედ პიტი და ჯენიფერ ენისტონი 2000 წლის 29 ივლისს დაქორწინდნენ და 2005 წლის 25 მარტს კი, ხუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ერთმანეთს დაშორდნენ. ამბობენ, რომ დაშორების მთავარი მიზეზი იყო ენისტონის უარი შვილების ყოლაზე. თუმცა, ბრედ პიტს ჯერ კიდევ ჯენიფერთან დაშორებამდე დაეწყო რომანი ანჯელინა ჯოლისთან, რომელიც ფილმ „მისტერ და მისის სმიტების" გადასაღებ მოედანზე გაიცნო. 2006 წელს წყვილს პირველი საერთო შვილი – შაილო ნუველი ეყოლა, ხოლო 2008 წელს – ტყუპები, ნოქს ლეონსი და ვივიენ მარშელინი. გარდა ამისა ბრედმა იშვილა ანჯელინას შვილები და ისინი ამჟამად ექვს შვილს ზრდიან: ბიჭებს – მედოქს შივანს, პაქს ტიენსა და ნოქს ლეონს და, ქალიშვილებს: ზახარი მარლის, შაილო ნუველს და ვივიენ მარშელინს. ექვსივე შვილი ჯოლი-პიტის გვარს ატარებს.

* ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის წყვილს ჰოლივუდში ხუმრობით „ბრენჯოლინას" უწოდებენ.

* საინტერესოა, რომ თავდაპირველად ფილმში „მისტერ და მისის სმიტები" ქალის მთავარი როლი ნიკოლ კიდმანს უნდა ეთამაშა, თუმცა, საბოლოოდ, როლზე ანჯელინა ჯოლი დაამტკიცეს.

* 2013 წელს ჟურნალ „ესქუაიერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრედ პიტმა აღიარა, რომ იშვიათი დაავადება – პროზოპაგნოზიის მსუბუქი ფორმა სჭირს. პროზოპაგნოზია ტვინის იშვიათი დაავადებაა, რომლის თანახმად, ადამიანს უჭირს სახეების დამახსოვრება და მხოლოდ ხმით ან ქცევებით ცნობს ადამიანებს.

**უშანგი რუხაძე**




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..........................

მარიკა 599 24 28 31

# რა ნივთები გააქრო ბერიამ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი სეიფიდან



### ომის დასაწყისი
*(1941 წლის 22 ივნისი)*

სტალინთან თანამშრომლობის ოცდაათწლიანი ყოველდღიური ურთიერთობები მაკავშირებს და შოკირებული, ან, თუნდაც, დაბნეული ბელადი მე არ მახსოვს. კარგად მახსოვს ომის დაწყება, მისი ყველა ნიუანსი და, რაც მთავარია, სტალინის გენიალური ფიგურა, რომელიც მთელი ომის განმავლობაში კიდევ უფრო განდიდდა და გასხივოსნდა...

21 ივნისს კრემლში მშვიდობიანი დღეების ბოლო, ომისწინა თათბირი გაიმართა, რომელსაც მთელი პოლიტბიურო და ყველა ძალოვანი უწყების მთავარი პირი ესწრებოდა. ეს მრავალრიცხოვანი შეკრება საკმაოდ ცოტა ხანს – სულ ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა და მისი დანიშნულება იყო წინასაომარი მზადყოფნის საბოლოო ანგარიში ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე. თითოეული მომხსენებელი მაქსიმუმ ხუთი წუთის განმავლობაში აცნობდა დამსწრეებს თავისი საპასუხისმგებლო უბნის მზადყოფნის ძირითად ასპექტებს. ბოლოს სტალინმა ათწუთიანი რეზიუმე გააკეთა და მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადასვლის განკარგულება გასცა.

### საიდუმლო რიტუალი აგარაკზე

თათბირი დასრულდა, პასუხისმგებელმა მუშაკებმა თავ-თავიანთ უწყებებს მიაშურეს. მოლოტოვსა და ბერიას კი სტალინმა კრემლში დარჩენა უბრძანა, ხოლო თავად, პოსკრებიშევთან ერთად, ჩვენი თანხლებით, კუნცევოში გაემგზავრა. აგარაკზე რომ მივედით, შუაღამეს გადაცილებული იყო და საათი პირველის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა. ჩვეულებისამებრ, სტალინი თავის ოთახისკენ გაეშურა, ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ და კუნცევოში ჩვეულებრივზე მეტმა სიჩუმემ დაისადგურა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ომის დაწყების ზუსტი თარიღი სტალინთან ერთად სულ ათამდე ადამიანმა იცოდა და მათ შორის – ბერიამ, მოლოტოვმა, ჟუკოვმა და პოსკრებიშევმა, ხოლო ყველა დანარჩენი, მზადყოფნა №10-ის რეჟიმში იყვნენ გადაყვანილები და, ბუნებრივია, ხვდებოდნენ, რომ დღედღეზე ომი დაიწყებოდა.

ძალიან საინტერესო და იდუმალებით მოცულია ღამის სამსაათნახევრიანი მონაკვეთი, რომელიც დიდმა ბელადმა ფაშისტური აგრესიის დაწყებამდე (ღამის 00.30-4.00 საათი) კუნცევოში, საკუთარ სამუშაო ოთახში გაატარა. ერთი შეხედვით, საკვირველი და დიდად საინტერესო არაფერი უნდა იყოს იმაში, რომ, რთული, ძალიან დაძაბული სამუშაოს შემდეგ, დიდი ბელადი დასასვენებლად განმარტოვდა, თუმცა... საქმე ისაა, რომ სტალინმა ეს ომის დაწყებამდე სულ რაღაც სამსააათ-ნახევრით ადრე მოინდომა (განმარტოება), მაშინ, როდესაც ზუსტად იცოდა საომარი მოქმედების დაწყების თარიღი, მაგრამ, არც ესაა ამ შემთხვევაში მთავარი. ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ სტალინის ეს განმარტოება წინასაომარი ძალების კონცენტრაციას, თუ გნებავთ, ერთგვარ რიტუალს წარმოადგენდა, რაშიც პირადად მე, რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო მტკიცედ ვრწმუნდები. სტალინი რომ გარდაიცვალა, ზუსტად ვიცი, რომ პირადად ლავრენტი ბერიამ მისი სეიფიდან (რომელიც სტალინის საძინებელში იყო ჩამონტაჟებული) რაღაც ნივთები გამოიღო და გაურკვეველი მიმართულებით წაიღო. როგორც გავიგე (სხვათა შორის, ეს პირველად ვასილ სტალინმა განაცხადა ახალგარდაცვლილი მამის ცხედართან და მისი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს განცხადება იყო), ბერიას მიერ სეიფიდან წაღებული ნივთები სტალინისთვის ციმბირში ჯერ კიდევ მისი გადასახლებისას უჩუქებია ტუნგუს შამანს. ესენი იყო: ქიქა, შანდლის მაგვარი დანადგარი, ტყავის დაწნილი ავგაროზი და მუნდშტუკი. მოგვიანებით დავინტერესდი ასეთი რაღაცეებით და გავარკვიე, რომ ეს ყოველივე სარიტუალო ატრიბუტებს წარმოადგენდა ციმბირის ზოგიერთ ტომში. საქმე ისაა, რომ ეს ნივთები პირველად სტალინის ოთახში გამთენიისას, ომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვნახე მაგიდაზე გაშლილი, მეორედ კი მაშინ, როცა ისინი ბერიამ წაიღო. ოთხს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა სტალინთან შევედი მისივე გამოძახების შემდეგ. იგი მორიგე ოფიცერს სპეციალური ზარით იძახებდა, რომელიც ღილაკზე ჰქონდა დამონტაჟებული თავის ოთახში. მან მე გასამგზავრებლად კორტეჟის მომზადება პირადად მიბრძანა და სწორედ ამ დროს შევნიშნე ის ზემოჩამოთვლილი ნივთები მის მაგიდაზე, ოთახში კი რაღაც განსხვავებული სუნი იდგა. ერთი სიტყვით, ეს ყოველივე მე მხოლოდ 12 წლის შემდეგ აღვიდგინე მეხსიერებაში.

### ომი დაიწყო

დილის 4 საათსა და 12 წუთზე კუნცევოში პირველი ზარი გაისმა, რომელსაც პოსკრებიშევმა უპასუხა. რეკავდა ჟუკოვი, რომელმაც გერმანული აგრესიის დაწყება პირადად სტალინს მას შემდეგ ამცნო, რაც პოსკრებიშევმა ტელეფონის აპარატი დიდი ბელადის კაბინეტში გადართო. ომის დაწყების შესახებ პირველად მაშინ შევიტყვე და ამ ცნობამ ჩემზე განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. 4 საათსა და 30 წუთზე სტალინი საკუთარი ოთახიდან გამოვიდა. იგი ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული იყო. მთელი აგარაკი სრულად ვიყავით მობილიზებულები და მის ბრძანებას ველოდით. სტალინმა გამგზავრების ნიშანი მოგვცა, ყველანი მანქანებში მოვთავსდით და მოსკოვისკენ დავიძარით. სტალინი და ვლასიკი უკან ისხდნენ, ხოლო მე, ჩვეულებისამებრ – წინ. მთელი გზა დიდ ბელადს ხმა არ ამოუღია. ლაპარაკი მას არც სხვა დროს უყვარდა მანქანაში, მაგრამ, იმ დღეს განსაკუთრებული სიჩუმე იდგა. კრემლში რომ მივედით, იქ უკვე მთელი პოლიტბიურო იყო შეკრებილი და მხოლოდ სტალინს ელოდებოდნენ. დიდი ბელადი მშვიდად, ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე შევიდა კაბინეტში და ცოტა ხანში იქ დანარჩენებიც მიიწვია. ჟუკოვმა და სიმოშჩენკომ ომის პირველი საათების ოპერატიული ინფორმაციები მიაწოდეს ბელადს. აღმოჩნდა, რომ, ჩვენი სამხედროების თავდაუზოგავი წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენიმე ადგილზე მტერს ჩვენი თავდაცვის გარღვევა და ღრმად შემოჭრა მოეხერხებინა. სტალინმა ყველაფერი ეს დინჯად მოისმინა და შესაბამისი დირექტივებიც გასცა. შემდეგ მოლოტოვს გერმანიის ელჩის – შულენბურგის გამოძახება მოსთხოვა კრემლში და მასთან შესახვედრად გაგზავნა. შულენბურგი დილის 6 საათზე გამოცხადდა, ცოტა ხანს ესაუბრა მოლოტოვს და კაბინეტში დაბრუნებულმა მოლოტოვმა ომის გამოცხადების ოფიციალური ნოტა მოიტანა. შემდეგ პოლიტბიუროს წევრებმა ომის დაწყების შესახებ რადიოში გამოსაცხადებელი ტექსტი შეადგინეს და შუადღეზე ეს ცნობა მოლოტოვმა წაიკითხა რადიოთი. დაახლოებით დილის 10 საათზე სტალინის კაბინეტში მხოლოდ ბერია, მოლოტოვი და ვოროშილოვი დარჩნენ, ხოლო დანარჩენები თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ამასობაში მეკავშირე სამხედრო ოფიცრებმა სტალინის კაბინეტში ოპერატიული კავშირის ტელეფონები დაამონტაჟეს, რათა მას წინა ხაზთან პირდაპირი საუბრის საშუალება ჰქონოდა. თითქმის ყოველ ნახევარ საათში სტალინი პირადად ურეკავდა მეთაურებს და უშუალოდ მათგან იგებდა იქ შექმნილ ოპერატიულ ვითარებას.

14 საათზე ჩვენი კორტეჟი ჯერ გენერალურ შტაბში მივიდა, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. ორივე უწყებაში სტალინი ცენტრალურ აპარატს შეხვდა და მათ მხნეობისა და სიმტკიცისკენ მოუწოდა. საღამოს, დაახლოებით 18 საათზე, სტალინმა, მოულოდნელად ხელოვანთა შეკრების ბრძანება გასცა და შეხვედრა დიდ დარბაზში დანიშნა. საათ-ნახევარში დიდი დარბაზი საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებით გაივსო. სტალინი მათ წინაშე ვრცელი სიტყვით გამოვიდა და ყველას მოუწოდა, დიდი ომის თემაზე აქტიურად ემუშავათ. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დაედო სათავე ეგრეთ წოდებული ომის თემას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენს დიად გამარჯვებაში. 22 საათისთვის სტალინს უკვე სხვადასხვა სახელმწიფოს ლიდერებმა დაურეკეს და ესაუბრნენ. მთელი იმ დღის განმავლობაში, ისევე, როგორც მთელი ომისა და, საერთოდ, სტალინის მოღვაწეობის განმავლობაში, დიდ ბელადს ექსტრემალურ სიტუაციებში (სხვა მისი თანამებრძოლებისგან განსხვავებით, რომლებიც დაბნეულები ჩანდნენ) ძარღვიც არ შესტოკებია სახეზე და მშვიდად, საღად გამოიყურებოდა. სხვათა შორის, ასეთივე მშვიდი იყო ლავრენტი ბერია, რომელსაც სრული მობილიზება და კონცენტრაცია ეტყობოდა. დიდი ბელადის სახეზე თუნდაც წამიერ შეშფოთებას ვერ შენიშნავდით. იგი, ჩვეულებისამებრ, ბევრს ეწეოდა, იყო დინჯი, მშვიდი და კონცენტრირებული.

23 საათსა და 30 წუთზე სტალინმა პოსკრებიშევს უხმო, მცირე ხნით ესაუბრა და, მას შემდეგ, რაც პოსკრებიშევი გაისტუმრა, თავადვე გამოვიდა კაბინეტიდან და, ვინც კი იქ (მისაღებში) ვიმყოფებოდით, თავისთან გვიხმო. შევედით. მან ხელით გვანიშნა, დავსხედითო, თავად კი უხმოდ სცემდა ბოლთას და ჩიბუხს აბოლებდა. ათიოდე წუთში ბერია, ვოროშილოვი, კალინინი და მარშალი შაპოშნიკოვიც დაბრუნდნენ, რომელთაც კრემლის სასადილოს პერსონალი მოჰყვა უკან. მათ წითელი ღვინით სავსე ბოკლები მოიტანეს, მაგიდაზე დაწყვეს და წასვლა დააპირეს. თუმცა, სტალინმა მათ დარჩენა უბრძანა. შემდეგ, დიდი ბელადის თხოვნით, ყველამ ღვინიანი ჭიქები მოვიმარჯვეთ, სტალინმა კი წარმოთქვა: „ამხანაგებო, მტერმა საშინელი ძალით, ვერაგულად შემოგვიტია, მაგრამ, მე მჯერა, რომ ჩვენი ხალხის გმირული სულისკვეთება ყველაფერს გადაწონის", – შემდეგ კი ამ ისტორიული ფრაზით დაასრულა თავისი სიტყვა: „მტერს დავამარცხებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ჩვენი გამარჯვებისა იყოს!" – და „საფერავით" სავსე ჭიქა გამოცალა. ასევე, მოვიქეცით ყველა. 22 ივნისი მიიწურა, სტალინი კაბინეტში განმარტოვდა, დიდი ომი კი უფრო და უფრო იკრებდა ძალას.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რომელ ეტაპზე რა ასტროლოგიური რჩევები უნდა გავითვალისწინოთ, პირადი ცხოვრების ასაწყობად

***თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება ჰარმონიული და იდეალური გახადოთ, პირად ურთიერთობებში ბედმა გაგიღიმოთ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში უპრობლემოდ განვლოთ გზა სასურველ სასიყვარულო პარტნიორთან ერთად, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ასტროლოგიური რჩევები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ.***

ყოველი ადამიანი, დაოჯახებამდეც და მას შემდეგაც, ურთიერთობათა ევოლუციას განიცდის, კერძოდ, ქალი და მამაკაცი, ერთად თანაცხოვრების დროს, ზოდიაქოს თორმეტივე ნიშანს გაივლის, თანაც, სხვადასხვა სახის მონაცვლეობით. ზოგისთვის ის, შეიძლება, ერთ თვეს გაგრძელდეს, ზოგისთვის – წლების განმავლობაში, ზოგისთვის კი – მთელი ცხოვრება.

**პირველი ეტაპია გაცნობა**. ეს პერიოდი უკავშირდება ვერძის ზოდიაქოს. კაცი აქ ნამდვილი ვერძის თვისებებს ატარებს – არის აქტიური, შეუპოვარი, მიზანმიმართული, იმპულსური, ენერგიული; ქალი კი ამ დროს თევზის ზოდიაქოს ნიშან-თვისებებს იძენს, ანუ, მეტად იდუმალია, მორცხვი და საკუთარ თავში ჩაკეტილი.

**განვითარების მეორე ეტაპზე** მამაკაცი გადის კუროს ზოდიაქოში. უფრო მომთმენია და ყურადღებას აქცევს დეტალებს; ქალი კი გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში – ხდება თავისუფლებისმოყვარე, ორიგინალური, ქალური, ამოუცნობი, სპონტანური.

**ურთიერთობის მესამე ეტაპზე** კაცი გადადის ტყუპების ზოდიაქოში. ის აგროვებს მეტ ინფორმაციას, არის უფრო კომუნიკაბელური, გონებამახვილი; ქალი კი ამ დროს გადაინაცვლებს თხის რქაში – ისახავს მიზანს და ეძებს მისკენ მიმავალ გზებს.

**ურთიერთობის მეოთხე ეტაპზე** მამაკაცი გადადის კირჩხიბის ზოდიაქოში. ის ქალისგან მეტ ყურადღებასა და სითბოს ითხოვს; ქალი კი ამ დროს მშვილდოსნის ზოდიაქოშია და მზად არის, მას ყველაფერი მისცეს, ოღონდ, ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმების შემდეგ.

**მეხუთე ეტაპზე მამაკაცი** გადადის ლომის ზოდიაქოში. მას სურს, დაემორჩილოს ქალი, ასევე, ზეგავლენა მოახდინოს რჩეულზე; ქალი კი ამ დროს ინაცვლებს მორიელის ზოდიაქოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ელოდება მეტ ვნებას, სიყვარულს და მზად არის ცხოვრებისეული გარდატეხისთვის.

**მეექვსე ეტაპზე კაცი** გადადის ქალწულის ზოდიაქოში და ხდება უფრო კრიტიკული, აკვირდება ყველა წვრილმანს, ყველაფერს პირდაპირ ამბობს; ქალი კი სასწორის ზოდიაქოს ნიშანს გადის – ამყარებს კავშირებს, ზრუნავს იმიჯზე, ფიქრობს როგორ გააფორმოს კავშირი იურიდიულად, ანუ, გააკეთოს ის, რაც ვერ მოასწრო წინა ეტაპებზე.

**ურთიერთობის მეშვიდე ეტაპზე** მამაკაცი სასწორის ზოდიაქოში იმყოფება. მზად არის ურთიერთობის დასაკანონებლად, კომპრომისზე წასასვლელად; ქალი კი გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში და მეტად აკვირდება წვრილმანებს, ხდება კრიტიკული, ხედავს ქაოსს და ელემენტარულ უწესრიგობებსაც კი.

**მერვე ეტაპზე მამაკაცი** მორიელის ზოდიაქოშია. მეტადაა მიდრეკილი ვნების, რისკისა და ღალატისკენ. ქალი კი ამ დროს მეტ პატივისცემას ითხოვს მისგან – უნდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებული დაფასება და აღიარება.

**ურთიერთობის მეცხრე ეტაპზე** მამაკაცი გადადის მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამ დროს მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება სოციუმი, იდეოლოგია, რელიგია და პოლიტიკა; ქალი კირჩხიბის ზოდიაქოშია და ხდება საკუთარ თავში ჩაკეტილი, მეტად ემოციური.

**მეათე ეტაპზე კაცი** ინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში, ანუ მიილტვის პროფესიული კარიერისკენ. ხდება მაქსიმალისტი ბიზნესში, სურს აღიარება; ქალი კი ტყუპების ზოდიაქოს გადის და მისთვის მთავარია ურთიერთობები.

**ურთიერთობის მეთერთმეტე ეტაპზე** მამაკაცი გადადის მერწყულის ზოდიაქოში. მას სჭირდება კონტაქტები, თავისუფლება, ახალი იდეები, ორიგინალური თვითგამოხატვა. ქალი ინაცვლებს კუროს ზოდიაქოში და მიილტვის ურთიერთობაში ჰარმონიის შენარჩუნებისკენ.

**ურთიერთობის მეთორმეტე ეტაპზე** მამაკაცი გადის თევზების ზოდიაქოს, ანუ, იკეტება საკუთარ თავში, ხდება ეჭვიანი, დეპრესიული; ქალი კი ვერძის ზოდიაქოს ნიშანშია და მეტად ენერგიული, აქტიური, იმპულსური, მებრძოლი და თამამი ხდება; ის მზად არის ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

ასეთია ურთიერთობათა ევოლუცია, და, თუ ამ ეტაპებს კარგად გააანალიზებთ, პირადი ცხოვრების აწყობა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **ჩემი შვილიშვილი დაიბადა 2002 წლის 25 მარტს, ღამის 3 საათსა და 30 წუთზე, სავსემთვარეობას, ორშაბათ დღეს. რა არის მისი კარმული მისია, რა უნდა გააკეთოს მან პრობლემების დასაძლევად და რომელი პროფესიები მოუტანს წარმატებას?**

**პასუხი**: სავსემთვარეობის დროს დაბადებულ ადამიანს ცხოვრებაში ყოველთვის აქვს გარკვეული პრობლემები და მიზნის მიღწევაც ცოტა ურთულდება, თუმცა, თუ გაითვალისწინებს რჩევებს და ზედმიწევნით შეასრულებს თავის კარმულ მისიას დედამიწაზე, ცხოვრებას გაცილებით გაიადვილებს. პირველ ყოვლისა, ის უნდა იყოს მომთმენი, სამშობლოს პატრიოტი, დაამყაროს სტაბილური საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები; ამასთან ერთად, უნდა იყოს აქტიური, ენერგიული, შემართული, კონტაქტური; შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება ადამიანებს შორის; უნდა დაეყრდნოს ინტუიციას, ისწავლოს ენაზე კბილის დაჭერა და საიდუმლოს შენახვა. ასევე, მოქმედებისას, მეტად უნდა დაეყრდნოს დიპლომატიას – ეს მისი კოსმიური მისიაა. რაც შეეხება წარმატებულ პროფესიებს, ასეთებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი; საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი; ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქიტექტურის სფეროები; პედაგოგიური მოღვაწეობა; მედიცინიდან – პედიატრია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, საბავშვო ბაღების ბიზნესი, სასტუმროების ბიზნესი, კვების მრეწველობა, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სალომბარდე საქმიანობის ბიზნესი.

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 2000 წლის 24 ივნისს, დილის 7-დან 8 საათამდე. რა არის მისი კოსმიური მისია დედამიწაზე და რომელი პროფესია უნდა აირჩიოს სამომავლოდ, რომ წარმატებებს ადვილად მიაღწიოს?**

**პასუხი**: დედამიწაზე თქვენი შვილის კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოს ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. უნდა შექმნას სტაბილური საოჯახო-სანათესაო კავშირი; სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია; უნდა დაეყრდნოს ინტუიციას, დაიცვას საიდუმლო; უნდა იყოს სამშობლოს პატრიოტი, ემსახუროს მას; დაიცვას ტრადიციები და ადათ-წესები; უნდა შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის; დაეყრდნოს ოპტიმიზმს, აქტიურობას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი; პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი; ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პედიატრია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო სფერო, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, იურისპრუდენცია, პროფესიონალური დიპლომატია ან ტურიზმი.

კითხვა: **დავიბადე 1978 წლის 20 თებერვალს, დილის საათებში. გთხოვთ, მიპასუხოთ, რა არის ჩემი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიური მისიაა, მუდმივი კავშირი გქონდეთ უცხოეთთან. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძლებთ იქ ცხოვრებას, ეს სასიკეთოდ წაგადგებათ მომავალში. სამშობლოში კი, გირჩევთ, იმუშაოთ უცხოურ ფირმაში ან გქონდეთ მუდმივი კონტაქტი უცხოეთთან – ეს თქვენთვის წარმატების მომტანია. ასევე, უნდა იყოთ აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი; შეგეძლოთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება; გამოავლინეთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები, მებრძოლი სულისკვეთება. დაეყრდენით ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს, კეთილშობილებას, იყავით კომუნიკაბელური. ეს ყოველივე თქვენი კოსმიური მისიაც არის და ცხოვრებაში წარმატების მომტანიც.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

5 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებულები"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თელავი. რეჟისორი თამარ პოპიაშვილი. მონაწილეობენ: ზურა ლომიძე, ვენერა ფეიქრიშვილი, ნონა ხუმარაშვილი, ნინო კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

5 ოქტომბერი, **შაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

6 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

30 სექტემბერი, **ორშაბათი** 18.00 - **„იდიოტი. დაბრუნება"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 10, 12, 15 ლარი), მასტერსკაია, რუსეთი. რეჟისორი გრიგოლ კოზლოვი. მონაწილეობენ: ევგენი პერევალოვი, მაქსიმ სტუდენოვსკი, ევგენი შუმეიკო, მარია ვალეშნაია, არინა ლიკოვა, სერგეი ალიმპიევი. ***ხანგრძლივობა: 4სთ.;***

1 ოქტომბერი, **სამშაბათი** 18.00 - **„ნოსფერატუ"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), ტიუმენის ახალგაზრდული თეატრი „ანგაგემენტ", რუსეთი. რეჟისორი ოლეგ ბორიოსოვიჩ გეთზი. მონაწილეობენ: იგორ კუდრიავცევი, ამალია ნოსფერატუ, ლეონიდ ოკუნევი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

3 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 18.00 - **„ძმები კარამაზოვები"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), თეატრი „პროვისორიუმ", პოლონეთი. რეჟისორი იანუს ოპრინსკი. მონაწილეობენ: თომას ბაზანი, ანასტასია ბერნადი, იასეკ ბრზეზინსკი, რომუალდ კრეზელი, ლუკაზ ლევანდოვსკი, მარიუს პოგონოვსკი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;***

3-4 ოქტომბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„ბრძოლის შემდეგ"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 15, 25, 40, 55 ლარი), ემილია რომანას თეატრი, პიპო დელბონოს დასი, იტალია. რეჟისორი პიპო დელბონო. მონაწილეობენ: დოლი ალბერტინი, ჯანლუკა ბალარე, ბობო, კრის კლადი, პიპო დელბონო, ილარია დისტანტე, სიმონე გოჯიანო. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

5 ოქტომბერი, **შაბათი** 13.00 - **„კედელი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), თითების თეატრი. რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

5 ოქტომბერი, **შაბათი** 15.00 - **„ხორუმი ქართული ცეკვაა"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4-10.50 ლარი), ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი ბადრი წერედიანი. მონაწილეობენ: ლევან შენგელია, ანდრო შამუგია, სოფო ხუციშვილი, სესე მიქავა, გოგი გუგუჩია, მერაბ კაკალია, ზურაბ ლამხია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

5 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„ჰოლანდ, ჰოლანდ"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი, ფოთი. რეჟისორი პაატა ციკოლია. მონაწილეობენ: მარიკა ბუკია, ნინო პაჭკორია, გიორგი სურმავა, გიორგი ჯანყარაშვილი, მარტინ ლამბარაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15წთ.;***

6 ოქტომბერი, **კვირა** 12.00 - **„სევილიელი დალაქი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - თოჯინების საოპერო თეატრი „პწკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

6 ოქტომბერი, **კვირა** 18.00 - **„მუუ..."** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), არასამთავრობო კავშირი „მეთოჯინეთა კლუბი". რეჟისორი ზურაბ ქიქოძე. მონაწილეობენ: მედეა ჯაფარიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, ქეთი ცხაკაია, ნატო გულისაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

6 ოქტომბერი, **კვირა** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

1 ოქტომბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„პლატეროს მოგზაურობა ვირთან ერთად"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 20 ლარი), მაიკ მარანისა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი პროდუქცია. რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობს: კრეიგ ოგდენი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

6 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

## თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

5 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ქეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

5 ოქტომბერი, **შაბათი** 18.00 - **„ჭექა-ქუხილი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ვანო ქურასბედიანი, სოფია ლომჯარია, ანა არუთუნიანი, ოლეგ მჭედლიშვილი, დმიტრი სპორიშევი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 ოქტომბერი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი ყვავილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ივანე ქურასბედიანი, სანდრო მარგალიტაშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ნანა დარჩიაშვილი, ანა არუთუნიანი, მარი კიტია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

6 ოქტომბერი, **კვირა** 18.00 - **„კატცელმახერი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მიხეილ ჩარკვიანი. მონაწილეობენ: გაგა შიშინაშვილი, სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია, ანი გულიაშვილი, მაგდა ლებანიძე, ანა წერეთელი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 2 99-63-14.**

6 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„დონ ჟუანი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. მონაწილეობენ: ა. შალიკაშვილი, ა. შალიკაშვილი ჯუნიორი, ლუკა ჩხაიძე, გიორგი გურგენიძე, მიხეილ ზაქაიძე, სალომე ფილიშვილი. ***ხანგრძლივობა: 35 წუთი;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

6 ოქტომბერი, **კვირა** 14.00 - **„ცეცხლსახოვანი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი დავით პაპავა-გურჯი. მონაწილეობენ: დათო ბეშიტაშვილი, ცისია მეტრეველი, ანა წერეთელი, სანდრო დავითაშვილი, გიგი ქარსელაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. თელ.: 262-59-73, 262-61-97.**

5 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

6 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„გასროლა"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

## თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27**

5-6 ოქტომბერი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ბავშვები და ძაღლები მოედნენ ქუჩას"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 30 ლარი), კომპანია 1927, დიდი ბრიტანეთი. რეჟისორი სუზან ანდრადე. მონაწილეობენ: სუზან ანდრადე, ესმე აპლეტონი და ლილიან ჰენლი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90.**

3, 6 ოქტომბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

4 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

5 ოქტომბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

## ილიაურის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

5 ოქტომბერი, **შაბათი** 18.00 - **„ევრიდიკე"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორები ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 35 წუთი.***

## ორშაბათი 30 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** მხ.ფ "**ოქროს კომპასი**" **12.40** მხ.ფ "ქალი კატა" (ჰ. ბერი) **14.30** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** საქართველოს გუნდური ჩემპიონატის ფინალი ქართულ ჭიდაობაში (პ/რ) **17.55** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **00.20** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**გოგონა წყლიდან**".

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00", 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**28.09.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** გათამაშება — კარფური (პ/ე) **00.35, 01.10** მხ/ფ "**მკვდარი პოეტების საზოგადოება**" (ე. ჰოუკი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50, 6.45** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00 სერიალი "ასი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტ-მეტრი" (გამ.).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ლომა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ცისფერი მთები**" **13.35** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "გელინო" I ნაწ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - "**შავი ზღვის პირას რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა**" **16.40** კონცერტი - გიზი ამირეჯიბის საღამო "ბრავო, მაესტრო" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ბატონი ავანტურისტები**" **20.40** ძილი ნებისა **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "იალაღობა აჭარაში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. II **23.40** დოკ/ფ "კადრს მიღმა" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**".

## სამშაბათი 1 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** მხ/ფ "**სურვილების ქვა**" **12.40** მხ/ფ "**უკანასკნელი საზღვარი**" **14.30** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.55** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. (პ/რ). შესვენებისას: "მოამბე" ღამის გამოშვება **00.40** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**გველები თვითმფრინავში**" ( ელ ჯექსონი)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05" 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25" 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30,13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი: "თამარ გვერდწითელი — ვარსკვლავის გახსნა" მე-**2** ნაწილი (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **12** სერ. **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00, 01.10** მხ/ფ "**მანკიერი ვნება**" (ტ. როტი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00 სერიალი "ასი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **6.45** ფარული კამერა.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.10** ნიამორი **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** სპექტაკლი - "**შავი ზღვის პირას რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. II **11.00** დოკ/ფ "კადრს მიღმა" **11.15** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ბატონი ავანტურისტები**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "გელინო" II ნაწ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05, 00.30** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ანს."რუსთავი" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკლემეტრაჟიანი ფილმი "**შნო**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი -ოთარ ჭილაძე I ნაწ. (მანანა კვაჭანტირაძე) **23.50** ფოტოგალერეა **01.00** მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**30 სექტემბერი – 6 ოქტომბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00 - **„თვითმფრინავები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00 - **„რანერ რანერ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

19.30, 22.30 - **„გრძელი ნათელი დღეები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.45, 17.15, 19.50, 22.15 - **„გრძელი ნათელი დღეები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30 - **„საზიზღარი მე 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.30, 20.00, 22.30 - **„ეს დასასრულია”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00, 16.00 - **„რანერ რანერ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00 - **„თვითმფრინავები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„რიდიკი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.30, 14.45, 17.00 - **„გრძელი ნათელი დღეები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„რანერ რანერ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.00, 15.50 - **„თვითმფრინავები”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.50, 20.00, 22.15 - **„ცისფერთვალება ჟასმინი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.30, 15.00, 20.00, 22.30 - **„გრძელი ნათელი დღეები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.15 - **„საზიზღარი მე 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# „ქველეზური“ სალათა








**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი მოზრდილი სტაფილო, 1 ცალი მოზრდილი ხახვი, 4-5 ცალი კვერცხი, 300 გრამი მოხარშული საქონლის ხორცი, 150 გრამი დამწნილებული კომბოსტო, მაიონეზი, ზეთი, 1 ქილა მწვანე ბარდა („გაროხი“) – ამის გარეშეც შეიძლება, თუ არ გიყვართ, მარილი.

**მომზადების წესი:** მოხარშეთ და კუბიკებად დაჭერით სტაფილო. შეგიძლიათ, წინასწარ ხახვთან ერთად მოშუშოთ, ან, ცალკე ხახვი და ცალკე სტაფილო და მერე სასალათეში შეაერთოთ. დაწურეთ კომბოსტოს მწნილი, ისიც დაჭერით და ცოტა ზეთში მოშუშეთ, რომ დარბილდეს. მოხარშული ხორცი დაჭერით კუბიკებად. ათქვიფეთ ოთხი კვერცხი. უყავით მარილი და გამოაცხვეთ ზეთიან ტაფაზე ორივე მხრიდან. როცა გაცივდება, დაჭერით წვრილ ჩხირებად და შეურიეთ სასალათეში მოთავსებულ დანარჩენ ინგრედიენტებს, მოასხით მაიონეზი და აურიეთ (მარილი აღარ დასჭირდება). სურვილისამებრ, ზემოდან მოაყარეთ ბარდა.

ძალიან მოგეწონებათ.

# გამომცხვარი ქათამი









**საჭირო ინგრედიენტები:** 12 ცალი ქათმის ბარკალი, 3-4 სადილის კოვზი მაიონეზი, 1-2 ცალი პომიდორი, 100 გრამი მაგარი ყველი, 2-3 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ქათმის ბარკლები მჭიდროდ ჩააწყვეთ გამოსაცხობ ფორმაში და მოაყარეთ ცოტა მარილი და პილპილი. მაიონეზში შეურიეთ დანაყილი ნიორი და გააჩერეთ ათი წუთი. პომიდორი დაჭერით თხელ რგოლებად და სათითაოდ დააწყვეთ ქათმის ბარკლებზე (თუ გიყვართ, შეგიძლიათ, სოკოს ფირფიტებიც დაუმატოთ, თუ არა, ისედაც კარგია).

კერძს ზემოდან წაუსვით ნივრიანი მაიონეზი, მოაყარეთ დაფხვნილი ყველი და გამოაცხვეთ 200 გრადუსზე, 50-60 წუთის განმავლობაში.

ცალკე მოამზადეთ გარნირი – კარტოფილის პიურე ან ცოცხალი ბოსტნეულის სალათა.

# კომბოსტო ფარშით










**საჭირო ინგრედიენტები:** 2 სადილის კოვზი პირშუშხა, 2 სადილის კოვზი მდოგვი, 800 მილილიტრი არაჟანი (აქედან 200 მილილიტრი – სოუსისთვის), 150 გრამი კარაქი, 300 გრამი ხორცის ფარში, 1 კონა ოხრახუში, 1 ჭიქა მოხარშული ბრინჯი, 3 ცალი სტაფილო, 1 პატარა თავი კომბოსტო, 4 ცალი ხახვი.

**მომზადების წესი:** კომბოსტოს ამოაჭერით შუაგული, ჩაუშვით მდუღარე მარილწყალში და ხარშეთ დარბილებამდე. გააგრილეთ ოთახის ტემპერატურამდე და დაშალეთ ფურცლებად.

ხორცის ფარშში შეურიეთ წვრილად დაჭრილი მოშუშული ხახვი. იმავე ტაფაზე მოშუშეთ დაჭრილი სტაფილო, მწვანილი და გააცივეთ. ცალკე მოშუშეთ ხახვიანი ფარში, ჩაუმატეთ ბრინჯი, სტაფილო მწვანილით და კარგად ამოურიეთ. კომბოსტოს ერთ ფურცელზე შუაგულში მოათავსეთ ცოტა ფარში, დააფარეთ მეორე ფურცელი და ასე განაგრძეთ, სანამ ფარში დამთავრდება. ბოლოს ძაფით შეკარით ბურთივით და მოათავსეთ ღრმა ტაფაში. მოასხით არაჟანი და შედგით აირღუმელში. რომ გაგრილდება, მოხსენით ძაფი, დაჭერით ულუფებად და სუფრაზე მიიტანეთ არაჟანში ან მაიონეზში შერეულ მდოგვიან და პირშუშხიან სოუსთან ერთად.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ტორტი შესქელებული რძის კრემით

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი მარგარინი, 3 ცალი კვერცხის გული, 1 ჭიქა შაქარი, 3 ჭიქა ფქვილი, 1 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი, 2 ქილა მოხარშული შესქელებული რძე.

**მომზადების წესი:** კვერცხის გულები და შაქარი კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ შერბილებული მარგარინი, ფქვილში არეული გამაფხვიერებელი ფხვნილი, მოზილეთ ცომი და დაყავით 4 ნაწილად. ფენები გამოაცხვეთ ქაღალდჩაფენილ, ცხიმწასმულ ფორმაში 180 გრადუსზე გახურებულ აირღუმელში. თითოეულ ფენას წაუსვით შესქელებული რძე. შესქელებულ რძესთან ერთად, სურვილისამებრ, შეგიძლიათ, მოაყაროთ დაფქული თხილი ან ნიგოზი.



# თევზი ოსპით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი ხმელი ბეგქონდარა და თავშავა, 200 გრამი ახალი თევზის ფილე, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 300 მილილიტრი პომიდვრის წვენი, 200 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 1 პატარა ღერი პრასი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 100 გრამი წითელი ოსპი, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი და პილპილი – გემოვნებით, ზეთი.



**მომზადების წესი:** თევზი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ნიორი და ხახვი წვრილად დაკეპეთ. ნახევარ ხახვსა და ნიორს შეურიეთ 1 სადილის კოვზი ზეთი, თავშავა, ბეგქონდარა, ლიმონის წვენი, მარილი და პილპილი. ეს ნაზავი მოასხით თევზის ნაჭრებს და 30 წუთი გააჩერეთ. ამასობაში რგოლებად დაჭერით პრასი. დარჩენილი ხახვი მოშუშეთ ზეთში, დაასხით პომიდვრის წვენი და ბოსტნეულის ბულიონი, შემდეგ ოსპი, დაფნის ფოთოლი და პრასი დაუმატეთ და 10 წუთი ხარშეთ. როცა წამოდუღდება, ამოიღეთ დაფნის ფოთოლი, წვნიანში კი მოათავსეთ მარინადში ჩადებული თევზი და 5-10 წუთი კიდევ ხარშეთ.

# ბოსტნეულის „მილფეი“

**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი თხის ყველი, 1 ნაჭერი ყველი „პარმეზანი“, 1 ცალი საშუალო ზომის ბადრიჯანი, 200 გრამი ბულგარული წიწაკა, 100 გრამი ყაბაყი, 100 გრამი პომიდორი, 1 კბილი ნიორი, 2 ღერი ნიახური, 4 ღერი შაშკვლავი, 2 ღერი ოხრახუში.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი და ყაბაყი თხლად დაჭერით და აირღუმელში შეწვით. ცალკე შეწვით ფოლგაში გახვეული წიწაკა და მერე მოაშორეთ თესლი და კანი. პომიდორსაც მოაშორეთ კანი და თესლი და თხლად დაჭერით. ბოსტნეული ფენა-ფენა დაალაგეთ ყველში აზელილ ნიორთან და მწვანილთან ერთად. პირველ ფენად ბადრიჯნის ნაჭრები ეფინება, მერე – დანარჩენი ბოსტნეული და მწვანილი. მზა კერძი გააცივეთ, ამოატრიალეთ თეფშზე და ტორტივით დაჭერით.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 2 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** მხ/ფ **"ფიქრები თავისუფლებაზე"** **12.40** მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "მარი კიური" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.00** "ჩვენი ეზო" **19.30** დ/ფ **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. (პ/რ) შესვენებისას: "მოამბე" ღამის გამოშვება **00.40** მხ/ფ **"ჰაზარდელი დიუკები"**.

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ღამის შოუ (**29.09.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50" 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **13** სერ. **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **00.00, 01.10** მხ/ფ **"ჰორიზონტი"** (ს. ტომპსონი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (კვ. გ/ჩ) **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** "ნანუკას შოუ" - დაწყება **0.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **6.45** ფარული კამერა.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ **"ბაში-აჩუკი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.15** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკლემეტრაჟიანი ფილმი **"შნო"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "ერთი ჭორონხის შვილები" I ნაწ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.50** კონცერტი - ფრიდრიჰ გულდა **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ძმა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ცამეტი ასურელი მამის ნამოღვაწარი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ჩრდილი გზაზე"**.

## ხუთშაბათი 3 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** მხ.ფ **"მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ"** **12.40** მხ.ფ **"დომბე და ვაჟი"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.00** "სამხედრო გადაცემა" **19.20** დ/ფილმი **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ **"პოსეიდონი"** (კ.რასელი).

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კაცების შოუ (**28.09.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **8** სერ. **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00, 01.00** მხ/ფ **"რომაული თავგადასავალი"** (ალ. ბოლდუინი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** გააცინე და მოიგე გ/ჩ **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.).

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **6.45** ფარული კამერა.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ **"ჩრდილი გზაზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05, 18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "ცამეტი ასურელი მამის ნამოღვაწარი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ძმა"** **13.25** ქართული მულტფილმი **13.50** დოკ/ფ "ერთი ჭორონხის შვილები" II ნაწ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05, 00.30** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - გივი მუნჯიშვილის საიუბილეო საღამო **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "ჩაკლული სული" **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ. ფ **"ნისლა"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "თავშესაფარი" **01.00** მხ/ფ **"მაია წყნეთელი"**.

## პარასკევი 4 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** მხ.ფ **"ბუს ძახილი"** **12.40** მხ.ფ **"დომბე და ვაჟი"** **14.30** ტ.სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.55** ტ.სერ. **"ზღვარს მიღმა"** **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.15** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ **"როკენროლა"** **00.20** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ **"კიბორჩხალა სადილზე"**.

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**29.09.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ გააჩერე (**29.09.13** გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ. **"კამორას კლანი"** მე-**7** სერ. **01.10** მხ/ფ **"სულების სახლი"** (ა. ბანდერასი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30**

ეკი ვოკი (კვ. გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მალვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები" **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **6.45** ფარული კამერა.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **07.30** მხ/ფ "**მაია წყნეთელი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "თავშესაფარი" **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ჩაკლული სული**" **13.35** დოკუმენტური ფილმი "ლაზეთის ბულბული" **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05, 00.30** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე - მარინე იაშვილი **17.00** კვირიაკე **18.10** "ჩვენი ფონდი" **18.25** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** მხ/ფ "**არდადეგებზე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.50** მხ/ფ "**ვალსი პეჩორაზე**".

## შაბათი 5 ოქტომბერი

**08.00** საბ/ფ. "ავტომრბოლელი" **10.00** "პეპე და მეგობრები" **11.00** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **12.00,16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – "ღამის სერენადები – **2013**" – ლიანა ისაკაძე **14.00** ფილმი ნოსტალგია: "**ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ**" **16.30** ქართული ტ.ფილმები: 1) "**მაისის თოვლი**" 2) "**ბზიანეთი**" **18.00** "ეტალონი" **18.55** "გურმანია" **19.30** დ/ფ **20.50** "სოციალური თოქ შოუ" **22.20** "წითელი ზონა" **23.20** მხ/ფ "**საშუალოდ გულგრილი**" **01.20** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი".

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** მხ/ფ "**სავსე მთვარის სამეფო**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე-**6** სერ. (**29.09.13** გ/ჩ) **13.00** სერ. "**ჰანა მონტანა**" **14.30** ახალი ქართული ხმა (**01.10.13** გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **20.55** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე-**7** სერ. **23.00** კაცების შოუ **00.00** სერ. "**კამორას კლანი**" მე-**8** სერ. **01.00** მხ/ფ "**ბრაზის გამართლება**" (ჯ. ალენი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები. **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **00.00** პოკერი **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**7.00, 0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00** **სერიალი "ასი"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "სკანდალი"** **0.30, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა"**07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10 , 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**არდადეგებზე**" **13.30** სათავეებთან **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - ვერდი "**აიდა**" გია გაგნიძე **18.05** დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** მოკლემეტრაჟიანი ფილმი "**ბურთი და მოედანი**" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" I სერია.

## კვირა 6 ოქტომბერი

**08.00** საბ/ფ. "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა" **10.00** "ეტალონი" **10.55** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი: "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **15.00** დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **16.30** დ/ფ **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**სიონი**" – "**ბოლნისი**" (პ/რ) **20.30** "პროფესია რეპორტიორი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.30** მხ/ფ **23.00** მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში**".

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** მხ/ფ "**ჯადოქარი ტყუპები**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე-**7** სერ. **13.00** ბგერებს შორის დუმილი **14.30** ქ.მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" **17.40** იმედის გმირები **18.00** ცეკვავენ ვარსკვლავები (**03.10.13** გ/ჩ) **19.05** ცეკვავენ ვარსკვლავები (გაგრძელება) **20.55** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე-**8** სერ. **23.00** რომ გადახვალ გააჩერე **00.00** სერ. "**კამორას კლანი**" მე-**9** სერ. **01.00** მხ/ფ "**შავი ხვრელი**" (დ. სელბი) **02.40** მხ/ფ "**პირდაპირი მოქმედება**" (დ. ლუნდგრენი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **14.00** შერეკილები. **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ.

**7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "ასი** **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.30, 0.00** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება(გამ) **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "სკანდალი"** **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.40** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი)) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ლომა,დავიწყებული მეგობარი**" **13.15** ქრისტიანული ხელოვნება **13.55** სათავეებთან **14.20** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.45** მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" II სერია.

## ვერძი

გაზრდილი სასიცოცხლო ენერგიითა და შრომისუნარიანობით გაგიადვილდებათ მიზნის მიღწევა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები დამოკიდებული იქნება სასიყვარულო პარტნიორის ქცევებზე. ეცადეთ, არ დაარღვიოთ წესები და კანონები.

## კურო

კარგია სამომავლო გეგმების დასახვა. ნუ გადაიღლებით ზედმეტად. არ გირჩევთ ფინანსურ გარიგებებს; ასევე, მოერიდეთ უცხოელებთან კონტაქტს. სიტყვაზე ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს. ადვილად შეძლებთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლების მოხიბვლას, ამიტომ, ეს პერიოდი გამოიყენეთ პირადი ცხოვრების მოსაწყობად.

## ტყუპები

საქმეებში აქტიურობა კიდევ უფრო აამაღლებს თქვენს ავტორიტეტს. ეცადეთ, საქმიან პარტნიორებთან კამათს აარიდოთ თავი. კარგია პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობა. პირად ცხოვრებაში კი უფრო მეტად გაითვალისწინეთ საყვარელი ადამიანის რჩევები.

## კირჩხიბი

გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი და პრესტიჟი. შეიცვლება თქვენი მიზნები და გეგმები. ნუ გარისკავთ და, ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი. ეცადეთ, ეს პერიოდი მშვიდად განვლოთ და ნუ გადაიღლებით, საყვარელ ადამიანთან ხშირი კონტაქტი კი სიმშვიდეს მოგანიჭებთ.

## ლომი

თქვენი ენერგოპოტენციალი გაიზრდება. მოსალოდნელია კარიერაში ცვლილებები. მოერიდეთ ფულის უმიზნოდ ხარჯვას. ბევრი გადაადგილება და შეხვედრები დამღლელი აღმოჩნდება. საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან ურთიერთობაში გაითვალისწინეთ მათი აზრი.

## ქალწული

ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული. განსაკუთრებით ერიდეთ აზარტულ თამაშებსა და მაქინაციებს. გაგიადვილდებათ უცხო ენების შესწავლა. ასევე, გაიზრდება ენერგიულობა, ვნება და სიყვარულის მოთხოვნილება. ეცადეთ საყვარელი ადამიანის მიმართ არ იყოთ მომთხოვნი, რათა არ დაიძაბოს სიტუაცია თქვენ შორის.

## სასწორი

გაძლიერდება ინტუიცია და გაუმჯობესდება გუნება-განწყობა. საქმეებში კონკურენტულ ბრძოლას ადვილად მოიგებთ და მიიღებთ მოგებას. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება და კაპიტალდაბანდება. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო რომანი ხანგრძლივი არ იქნება.

## მორიელი

ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გამოსწორება თქვენი მთავარი საზრუნავი იქნება. გაიზრდება თაყვანისმცემელთა რიცხვი. უჩვეულო ემოციური მდგომარეობა ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება, ამიტომ, აკონტროლეთ ნებისმიერი ემოცია. იყავით მეტად ყურადღებიანი და გამონახეთ დრო დასვენებისთვის.

## მშვილდოსანი

უცხოელებთან კონტაქტი კარგი შემოსავლის მომტანი აღმოჩნდება, ოღონდ, ეცადეთ, საბუთები კარგად გადაამოწმოთ. გაგიჭირდებათ მარტოობა, ამიტომ, კარგია, თუ მეგობრებთან უფრო ხშირი ურთიერთობა გექნებათ, სასიყვარულო პარტნიორთან ერთად გართობას კი არ გირჩევთ.

## თხის რქა

საქმეებში წარმატება და კარგი განწყობა სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. ადვილად დაამყარებთ ახალ კონტაქტებს. ხშირი შეხვედრები და მოლაპარაკებები ფინანსურ სარგებელს გპირდებათ. სასიყვარულო ურთიერთობაში მოერიდეთ ეჭვიანობის გამოხატვას.

## მერწყული

გაიზრდება თქვენი ენერგიულობა, კომუნიკაბელურობა და გაგიჩნდებათ გარეგნობის შეცვლის სურვილი. გახშირდება გადაადგილებები და მოიმატებს შემოსავალი. ერიდეთ კოლეგებთან კონფლიქტებსა და გაუგებრობებს. გირჩევთ, დროულად გააოფიციალუროთ სასიყვარულო კავშირი, რათა მომავალში გაუგებრობები აიცილოთ თავიდან.

## თევზები

სახლის საქმეები ბევრ დროს წაგართმევთ და, შესაძლოა, პროფესიონალურ სფეროში უკან დაგხიოთ. ამ პერიოდში თქვენი ენერგობალანსი დაბალია, ამიტომ, არ გადაიღალოთ. პირად ურთიერთობებში იყავით უპრეტენზიო და ამით უფრო მეტად მოიგებთ საყვარელი ადამიანის გულს.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 5 ოქტომბერი, 00 სთ: 31 წთ.**

### ორშაბათი

აკონტროლეთ სიზარმაცე, ამბიცია და სულსწრაფობა. მოერიდეთ უყაირათობასა და პრეტენზიების გამოხატვას. კარგია თმის შეჭრა, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა, ახალი სამსახურის დაწყება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ყვითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ჩალისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ადგილსამყოფლის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### სამშაბათი

მოიმატებს სექსუალური ენერგია. აკონტროლეთ ხასიათში პატივმოყვარეობა, სიამაყე, პრეტენზიულობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი, შავი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი, ყვითელი იასპი, ან მთის ბროლი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, სასიყვარულო კავშირებს, ვაჭრობას. კარგია იურიდიული საქმიანობა, გართობა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას, გამოცდების ჩაბარებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ზურმუხტი, ოპალი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები; კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოიმატებს სულსწრაფობა. იმოქმედეთ ფრთხილად და წინდახედულად. ატარეთ მწვანე, ნაცრისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, მალაქიტი ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს მიღებულ ინფორმაციას ნუ ენდობით. არ აჩქარდეთ გადაწყვეტილებების მიღების დროს. ხვალინდელი ახალმთვარეობის წინა დღეს, მოიმატებს კონფლიქტების ალბათობა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჰელიოტროპი, ჟადეიტი ან ლაბრადორი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, მეგობრული ურთიერთობები, გართობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთვარეობაა. მოჭარბებულია კოსმიური უარყოფითი ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, ტრავმებს, ავარიებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, შეცდომების დაშვებას, დეპრესიას, ცდუნებებსა და სხვა უსიამოვნო მოვლენებს. ამიტომ, იყავით ფრთხილი და წინდახედული. ნუ დადებთ ხელშეკრულებებს, ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, მოერიდეთ მოლაპარაკებებს. აკონტროლეთ სიტყვები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, გიშერი ან ფირუზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილებები. მეტი დრო დაუთმეთ სულიერ ფასეულობებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, წითელი, მწვანე, ყვითელი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, ოპალი, ლაზურიტი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**წერეთელი**

ქართველებს შორის პირველი მხედრიონი **წერეთლებს** ჰყავდათ, რომელიც მათ იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე შეინარჩუნეს. მხედრიონი აზნაურებისგან შედგებოდა. ისინი მუდმივად სამხედრო ვალდებულები იყვნენ და უნდა ემსახურათ მანამ, სანამ ცხენზე ჯდომა შეეძლებოდათ...

იმერეთში **წერეთელი** წარჩინებული თავადური საგვარეულოა. ისტორიაში ეს გვარი მეცამეტე საუკუნიდან არის ცნობილი.

მეცხრე საუკუნეში ლეონ მეორის ვაჟი, გიორგი პირველი (861-868), აფხაზეთის მეფე, რომელსაც ქუთაისში ჰქონდა რეზიდენცია, ფლობდა საუფლისწულო ციხესიმაგრე **წერეთსა** და მის მიდამოებს, რის გამოც ის და მისი შთამომავლები **წერეთლის** გვარს ატარებდნენ... **წერეთლებმა** პირველებმა შემოიღეს სამხედრო საქმეში წერილობითი შეტყობინება, რაც მათ ციხესიმაგრეში ხორციელდებოდა. **„წერეთი"** უკავშირდება სიტყვა **„წერას"** და ძველქართულად „კვალის გაყვანას" ნიშნავს. თემურ-ლენგის ლაშქრობებით შევიწროებული **წერეთლების** წინაპრები საბოლოოდ იმერეთში დასახლდნენ. 1395 წელს იმერეთში დამკვიდრებულ **წერეთლებს** მეფე კონსტანტინესაგან ებოძათ თავადის წოდება და საჩხერე.

**წერეთელი** წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოა ზემო იმერეთში. გვარად ქცეული სადაურობის სიტყვა – **წერეთი** – სოფელია გორის რაიონში.

„წერეთლების უძველესი სამკვიდრებელი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ვეძიოთ. ამ გვარის წინაპრები, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ზემო ქართლში მოსახლეობდნენ. გორის სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილო მხრიდან მიემართება ქედი, რომელიც ახლაც ატარებს **წერეთის** ქედის სახელწოდებას, ხოლო, იმავე რაიონში მდინარე ტანას შემდინარეთა ხეობაში მდებარეობს სოფლები – დიდი **წერეთი** და პატარა **წერეთი**. ჟამთა განმავლობაში **წერეთლებს** ბინადრობა უცვლიათ: ნაწილი გადასულა იმერეთში, ნაწილი კი დასახლებულა მდინარე ფრონეს ხეობაში, ცხინვალის მახლობელ მიდამოებში. ეს სანახები რომ ძველი საცხოვრებელი ადგილი ყოფილა **წერეთლებისა**, ამას კარგად მოწმობს ერთი სიგელი როსტომ მეფისა (1634-1653), ბოძებული მის მიერ 1648 წელს ვინმე ზაალ **წერეთლისათვის"**.

**წერეთლების** სათავადო სამფლობელოს **საწერეთლო** ეწოდებოდა.

**კოკაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კოკა**. 1721 წელს საბარათიანოში, ბატონის მეფის სახასოში, მოიხსენიება ყაზარა **კოკაშვილი**.




ამავე ძირისაა გვარები: **კოკაია, კოკაური, კოკელაშვილი, კოკელაძე, კოკიაშვილი, კოკილაური, კოკილაშვილი.**

საქართველოში 98 **კოკაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 40, რუსთავში – 34, მცხეთაში – 6. არიან სხვაგანაც.

642 **კოკაია**: მარტვილში – 357, სენაკში – 285.

**ჩაკვეტაძე**

**ჩაკვეტაძე** ლეჩხუმური წარმოშობის გვარია. დღესდღეობით ცხოვრობენ ცაგერის რაიონის სოფლებში: ლახეფაში, ტვიშსა და ზუბში; ასევე, წყალტუბოსა და ხონის რაიონებში, რამდენიმე ოჯახი თელავშიცაა. უნდა იყვნენ სამეგრელოსა და მარტვილის რაიონშიც. ცხოვრობდნენ აფხაზეთშიც. მათ თავდაპირველ სამოსახლოდ ითვლება სოფელი ლახეფა (ცაგერის რაიონში). სოციალური სტატუსი – თავისუფალი გლეხები. პირველად ეს გვარი ვინმე თინა **ჩაკვეტაძის** მიერ სოფელ ოყურეშის ეკლესიისადმი შეწირულ თასზე გაკეთებულ წარწერაში მოიხსენიება, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს უნდა მიეკუთვნებოდეს. გვარის წარმოშობას, შეიძლება, საფუძვლად დასდებოდა ეპონიმი **ჩაკვეტა**. ასეთი საკუთარი სახელი არსად გვხვდება.

ამ გვარის წევრებს შორის არსებობს რამდენიმე გადმოცემა მათი გვარის წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთის მიხედვით, ისინი თავს ხვამლის განძთსახიზართა მცველებად მიიჩნევენ (სოფელი ლახეფა ხვამლიდან უახლოესი დასახლებული პუნქტია). უფრო მოგვიანებით არქეოლოგიურ-ალპინისტურმა ექსპედიციამ მთლიანად დაადასტურა წერილობითი წყაროებისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ცნობები ხვამლის მთაზე ქვაბ-განძსაცავის არსებობის შესახებ (გ. ლომთათიძე, „ხვამლის ციხე-ქვაბის არქეოლოგია," 1967). მეორე გადმოცემის თანახმად, ისინი მეციხოვნეები იყვნენ. სოფელ ლახეფის თავზე მდებარეობს ძველი ციხის ან სადარაჯო კოშკის ნანგრევები. ადრე ის, ალბათ, იმ გზას კეტავდა, რომელიც რიონის ხეობის ლეჩხუმს ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმთან აერთებდა. ხალხი მას „უწვაშის ციხეს" უწოდებს. ციხე ნათალი დიდი ლოდებით უნდა ყოფილიყო ნაშენი. იქ მშენებლობის ორი ფენა უნდა იყოს: ერთი, რომელიც დიდი, დამუშავებული ლოდებისგან შედგება, არაუგვიანეს შუა საუკუნეების ფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს (შეიძლება, ადრეფეოდალურიც იყოს); მეორე, შედარებით მომცრო ლოდებით ნაშენი, უფრო გვიანდელია.

**მწყერაძე-ბერუკაშვილი-მწყერაული**

**ბერუკაშვილი** აზნაურ **მწყერაძეთა** გვარიდანაა გამოყოფილი. „აზნაურ **მწყერაძეთა** წინაპარნი არიან იმერეთიდან მოსულნი, რომელნიც ესახლენ ლოსიათ ხევს, **მწყერის** ციხე-ადგილსა წოდებულსა და ადგილისა გამო გაუგვარდათ **მწყერაძეობა**. არიან ესენიცა აზნაურნი და ცნობილნი ლუარსაბ მეფისა დროსა და მოიხსენებულ ტრაქტატსა შინა" (იოანე ბატონიშვილი, „შემოკლებითი აღწერა").

**მწყერაძე** მოიხსენიება მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში.

საქართველოში 79 **მწყერაძე** ცხოვრობს: თელავში – 26, თბილისში – 24, გორში – 9. არიან სხვაგანაც.

432 **მწყერაული.**

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**




**მობრძანდით ჩვენთან, არ ინანებთ!**

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტთან იქმნება საჯარო სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი (როგორც თბილისის, ისე რაიონების) კურსები. კურსების ხანგრძლივობა 3 თვეა, მაგრამ, ფიზიკა-მათემატიკაში, შესაძლოა, გახანგრძლივდეს მსმენელთა მოთხოვნით. კურსების გავლის შემდეგ მასწავლებლები გარანტირებული იქნებიან, წარმატებით გადალახონ სასერტიფიკაციო გამოცდები. პირველ ყოვლისა, იხსნება ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, რომელთა გავლა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე. სწავლება ჩატარდება პედაგოგისთვის მოსახერხებელ დროს, სკოლაში სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ, საღამოს საათებში. აღნიშნულ კურსებზე სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია. სწავლა დაიწყება ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ამასთან, უნივერსიტეტში გრძელდება დამამთავრებელ (III, IV) კურსებზე სტუდენტთა მიღება გადმოყვანის წესით, ხოლო, ტურიზმის აკადემიაში – აბიტურიენტთა ჩარიცხვა.

უნივერსიტეტთან, აგრეთვე, იხსნება მოსამზადებელი კურსები (სხვადასხვა საგანში) საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, კოსტავას ქუჩა №47.**

**ტელეფონები: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24; 2-98-86-82; მობ: 599-18-89-24.**

**რექტორატი**

## როგორ მოვუაროთ თავს ხმაურიანი წვეულების შემდეგ

მხიარული და თუნდაც ხმაურიანი წვეულება, რომელიც, ცხადია, გარკვეული დოზით ალკოჰოლის მიღებასაც გულისხმობს, ხშირად აუცილებელი ხდება ჩვენი ყოველდღიურობის გასალამაზებლად, უარყოფითი ენერგიის დასაცლელად და, უბრალოდ, სიამოვნების მისაღებად. განტვირთვა აუცილებელია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, მეორე დღე წინა საღამოს მიღებულ მთელ სიამოვნებას, მსუბუქად რომ ვთქვათ, წყალში გვიყრის: მოთენთილობა, თავის ტკივილი, გულძმარვა, „მორღვეული“ თვალები და გამომშრალი, მოშვებული სახის კანი, შესაძლოა, სერიოზული სტრესების მიზეზი გახდეს. ეს რომ არ მოხდეს, უნდა იცოდეთ, როგორ მოუაროთ თავს მეორე დღეს, რომ წვეულებაზე მიღებული სიამოვნებაც შეიგრძნოთ და მთელი მომდევნო კვირაც მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდეთ.



უპირველეს ყოვლისა – შხაპი! გამოიყენეთ ციტრუსის არომატის შემცველი გელი – ის გამოგაცოცხლებთ და ენერგიას შეგმატებთ. მანამდე კი 100 გრამ ოხრახუშს დაასხით 1,5 ჩაის ჭიქა წყალი, დაბალ ცეცხლზე წამოადუღეთ და აცადეთ, გაგრილდეს, გადაწურეთ და შხაპის მიღების შემდეგ პატარა ყლუპებით დალიეთ 1 ჭიქა – თვალების გარშემო შეშუპება 10-15 წუთში დაცხრება. ამის პარალელურად, დახუჭულ თვალებზე დაიფინეთ მწვანე ჩაის ნაყენში (ცივი უნდა იყოს) დასველებული დოლბანდის ტამპონი.

თუ თქვენი მზერა უსიცოცხლოდ გამოიყურება, გაიკეთეთ შემდეგი სახის მასაჟი: ჩაის ან სადილის კოვზი 5 წუთით მოათავსეთ საყინულეში, შემდეგ კი გამოზნექილი მხრიდან წრიული მოძრაობით მსუბუქად დაიმასაჟეთ თვალების გარშემო (თვალების შიდა კუთხეებიდან საფეთქლის მიმართულებით – ზედა ქუთუთო და საფეთქლის მხრიდან ცხვირისკენ მიმართულებით – ქვედა ქუთუთო).

როგორი მძიმე ბახუსის („პახმელიის“) შეგრძნებაც არ უნდა გქონდეთ, არავითარ შემთხვევაში არ დალიოთ არანაირი ალკოჰოლი, თუნდაც მსუბუქი და მცირე რაოდენობით – ეს, შეიძლება ითქვას, ბომბია ღვიძლისთვის. მდგომარეობიდან გამოსასვლელად დილის საუზმეზე მიირთვით ისეთი საკვები, რომელიც მდიდარია ნახშირწყლებით, მაგალითად, ფაფა ან, თუნდაც, ბანანი – ის აწყნარებს „აბობოქრებულ“ კუჭს.

რაც შეეხება სახის კანს, წვეულების შემდეგ ის კარგავს ბევრ სითხეს და იფიტება. ამიტომ, უნდა გაიკეთოთ დამატენიანებელი ნიღაბი: კარგად აზილეთ ერთმანეთში 1 ჩაის კოვზი ცხიმიანი ხაჭო, 1 ჩაის კოვზი თაფლი და 1 ჩაის კოვზი ფორთოხლის წვენი და წაისვით სახეზე, ყელზე და დეკოლტეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ მწვანე ჩაის ოდნავ შემთბარი ნაყენით და წაისვით მკვებავი.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კაკაო და მწარე შოკოლადი ძალიან შველის დილით გამოყოლილ თავის ტკივილს. კაკაო შეიცავს ანტიდეპრესანტებს, რომლებიც ხსნის სიმძიმესა და ცუდ განწყობას. გარდა ამისა, მასში შემავალი მაგნიუმი სწრაფად აღადგენს ორგანიზმში წინა საღამოს დაკარგულ ელემენტებს.

ბახუსის, ან, უბრალოდ, წვეულების მეორე დღეს დისკომფორტისა და დაღლილობის მოსახსნელად სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებენ: ამერიკელები ასპირინს სვამენ; ფრანგები – მაგარ ყავას მარილით; ინგლისელები – ჩვეულებრივ ქერის ან ჭვავის ფაფას (წყალზე მოხარშულს) ან ისპანახს (რა თქმა უნდა, ნიგვზიანს არა); თურქები – რძემჟავა პროდუქტებს მიირთმევენ, სკანდინავიის ქვეყნებში კი – ქაშაყს.

ამ ყველაფრის გათვალისწინების პარალელურად, აუცილებელია, შეასრულოთ კიდევ ორი პირობა: მეორე დღეს აუცილებლად გამოიძინოთ, გაღვიძების შემდეგ კი სუფთა ჰაერზე გაისეირნოთ. დაძინების წინ ჩამოაფარეთ სქელი ფარდები, რომ დღის შუქმა არ შეგაწუხოთ და გამოაღეთ ფანჯარა ან სარკმელი. გვერდით კი დაიდგით გაზგასული მინერალური წყალი – ის აღადგენს თქვენს ორგანიზმში წყლის ბალანსს. ხოლო სეირნობის დროს ისუნთქეთ ნელა და ღრმად – სუფთა ჰაერი სუნთქვის მეშვეობით გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებს. თავიდან სეირნობა დაიწყეთ ნელი ნაბიჯით, მერე კი თანდათან მოუმატეთ ტემპს, ოღონდ, არავითარ შემთხვევაში არ ირბინოთ.

***რჩევა სამომავლოდ:*** თუ დაგეგმილი წვეულება გელით, წასვლის წინ აუცილებლად მიირთვით ბოსტნეული და ხორცი – ეს პროდუქტები ნელა გადამუშავდება და აფერხებს სისხლში ალკოჰოლის შეწოვას. წვეულებაზე კი სვით მეტი სითხე და ნაკლები ალკოჰოლური სასმელი. და, რაც მთავარია – ყოველთვის გახსოვდეთ ზომიერების გრძნობა!

## დიეტა ბახუსის დროს, რომელიც ხანდახან ქალებსაც სჭირდებათ

ბევრს ჰგონია, რომ წვეულების შემდეგ უსიამოვნო შეგრძნებებს რაიმე საშუალებით მოიხსნის და ეს ორგანიზმისთვის საკმარისია, ანუ, მისი ფუნქციები აღდგენილია. სინამდვილეში კი, აუცილებელია 3 დღის განმავლობაში სპეციალური დიეტის დაცვა, რათა გამოდევნოს წიდები, აღდგეს სითხის და, შესაბამისად, ენერგეტიკული ბალანსი.

დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ: 1 ფინჯანი უშაქრო ყავა, 1 კილოგრამი კიტრი, 500 გრამი პომიდორი (ერთად ან ცალ-ცალკე), 1 დიდი კონა სალათის ფოთლები, ყველანაირი მწვანილი, 2-3 ცალი გრეიპფრუტი, 1 ქილა უცხიმო მაწონი, 100 გრამი წიწიბურის ან „ჰერკულესის“ ფაფა (უცხიმოდ და უშაქროდ, ძალიან ცოტა მარილით ან ცოცხალი ხილით), 100 გრამი მოხარშული მჭლე საქონლის ხორცი, 1 ლიტრი გაზგასული მინერალური წყალი, 1 ჭიქა წყალში გახსნილი პომიდვრის წვენი ან ტომატ-პასტა, 2 ჩაის ჭიქა მწვანე ჩაი (უშაქროდ), 50 გრამი მწარე შოკოლადი, 2 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული, უშაქრო ხილის წვენი (გააზავეთ 1/3 ჭიქა წყალში), 1 ულუფა ბოსტნეულის წვნიანი (მაქსიმალურად ცოტა მარილით).



შეადგინეთ საკვების მიღების რეჟიმი და პროდუქტების თანმიმდევრობა.

ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ ჯერზე 100 გრამს (ან 1 ჩაის ჭიქას), შუალედები კი – 1,5-2 საათს.

აუცილებელია დილა-საღამოს შხაპის მიღება და სუფთა ჰაერზე სეირნობა: დილით – ნახევარი საათი, საღამოს – 1 საათი.

3 დღის შემდეგ, გარდა იმისა, რომ უკვალოდ გაქრება ბახუსით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებები, 1-2 ზედმეტ კილოგრამსაც მოიშორებთ თავიდან.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაკიაჟის გაკეთების დროს რა შემთხვევაში უნდა დავიტუშოთ ქვედა ქუთუთოებზე წამწამები?**

**პასუხი:** მარტო ქვედა ქუთუთოებზე წამწამების დატუშვა ლამაზ თვალებს არ გამოგიჩენთ (ანუ, ზედა წამწამებიც უნდა დაიტუშოთ). მაგრამ, ქვედა ქუთუთოების დატუშვას გირჩევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ გამხდარი, მოგრძო სახე და წვრილი თვალები, რადგან, ქვედა წამწამების დატუშვა ამრგვალებს და ადიდებს თვალებს და ვიზუალურად სახესაც აფართოებს. იმისთვის, რომ თვალები ძალიან არ გაადიდოს და დაამრგვალოს, დაიტუშეთ ქვედა წამწამების მხოლოდ შუა ან მხოლოდ გარეთა კუთხის მონაკვეთი.

**კითხვა: რა განსხვავებაა თმის ნიღაბსა და ბალზამს შორის და, შეიძლება თუ არა, ბალზამი ნიღბის ნაცვლად გამოვიყენო?**

**პასუხი:** ბალზამი მოქმედებს თმის ღერის ზედაპირზე, კვებავს მხოლოდ ღერის გარეთა მხარეს და ხსნის სტატიკურ ეფექტს; ნიღაბი აღწევს ღერის შიგნით და ახდენს მის სიღრმისეულ აღდგენას. ბალზამის გამოყენება ნიღბის ნაცვლად არ არის რეკომენდებული, მაგრამ, ნიღაბი, თუკი მას მხოლოდ 1-2 წუთით გაიჩერებთ თმაზე, შეგიძლიათ, ბალზამის ნაცვლად გამოიყენოთ.

**კითხვა: რა ფერის პომადის წასმის დროს არის აუცილებელი კონტურის გაკეთება?**

**პასუხი:** კონტური აუცილებლად უნდა გაიკეთოთ მკვეთრი ან მუქი ფერის პომადის წასმის შემთხვევაში. კონტურის გარეშე ტუჩები გადღაბნილი და უფორმო გამოჩნდება.

**კითხვა: ხშირად მისკდება და მექერცლება ტუჩები (ზაფხულშიც კი). როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოთ მიზეზი, რადგან, შესაძლოა, მხოლოდ გარეგანი ფაქტორი არ იყოს აქერცვლისა და დასკდომის გამომწვევი. ზოგადად კი, ტუჩების მოვლა შეგიძლიათ შემდეგნაირად: პერიოდულად წაისვით ბალზამი A და B ვიტამინების შემცველობით; გაიკეთეთ ფიჭის სანთლის (ცვილის), ვაზელინის, ავოკადოს, ასკილის, ქაცვის ან ზეითუნის ზეთის ნიღბები.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ იძია შური ქმრის მკვლელებზე ცნობილმა მსახიობმა

კრემისფერი ფურგონიანი „მოსკვიჩი“ ბარნოვის ქუჩის კუთხეში იდგა შუქნიშანთან და მწვანის ანთებას ელოდა. ზემოდან მომავალი მანქანების ნაკადიდან, მოულოდნელად თეთრი ფერის „სამარა“ გამოვარდა. მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მოყინულ გზაზე მოცურდა და შუქნიშანთან მდგომ „მოსკვიჩს“ ცხვირით შეასკდა. „სამარას“ ახალგაზრდა მძღოლმა მანქანის წინა მინა ცხვირ-პირით გაიტანა, გარეთ გადმოფრინდა და ყინულზე გასრიალდა. თუმცა, მსუბუქად დაზარალდა და მალევე წამოდგა ფეხზე. „მოსკვიჩის“ მძღოლი მხოლოდ

## საბარგულში სამი მამაკაცის ცხედარი იდო. ორს სახე ჰქონდა გალურჯებული, მესამე კი – ტყვიით შუბლგახვრეტილი იყო

წამით შეყოვნდა მანქანაში, შემდეგ კაბინიდან გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა ქვევით. ამ ავარიამ მოძრაობა შეაჩერა და ქუჩა ხალხით აივსო. შემთხვევის ადგილზე სულ მალე „გაის“ თანამშრომლებიც მივიდნენ.

– ვისია „სამარა“? – იკითხა ულვაშიანმა მაიორმა და ირგვლივ მიმოიხედა.

– ჩემია, ამხანაგო მაიორო, – უპასუხა ავტოინსპექტორს „სამარას“ მძღოლმა.

– ამ ფურგონის მძღოლი სადღაა?

– ამის მძღოლი მანქანიდან გადახტა და გაიქცა, უფროსო, – უთხრა მაიორს შავტუხა ტაქსისტმა, რომელიც „მოსკვიჩის“ დაზიანებულ ნაწილს მისჩერებოდა.

– გაიქცა? – გაუკვირდა მაიორს.

– ჰო, უფროსო, გაიქცა, – გაიმეორა ტაქსისტმა, – რამე აკრძალული გადაჰქონდა და მილიციის შეეშინდა, ან მოპარულ მანქანაში იჯდა.

– აბა, ერთი, საბარგული გააღე, ბონდო, ვნახოთ, შიგნით რა არის, – გასძახა მაიორმა თავის მეწყვილე კაპიტანს და საბარგულისკენ გაემართა.

ირგვლივ შეკრებილი ხალხი დიდი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს ავტოინსპექტორთა მოძრაობას, რომლებიც საბარგულს ხსნიდნენ.

საბარგული რომ ახადეს, იქ შეკრებილ ადამიანებს გმინვა აღმოხდათ. ფურგონში სამი გვამი იყო, ორს სახე ჰქონდა გალურჯებული, მესამე კი შუბლგახვრეტილი ეგდო და ერთიანად სისხლში იყო ამოსვრილი.

– როგორც ეტყობა, ეს ორი მოწამლეს, მესამეს კი კეფაში ესროლეს, – უთხრა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა გამომძიებელს, როცა საბარგულში აღმოჩენილი გვამები პროზექტურის მანქანაში გადაასვენეს.

– არ დაიშალოთ, თვითმხილველებისგან ჩვენებები უნდა ავიღოთ, – მოუწოდა გამომძიებელმა ხალხს და შავტუხა ტაქსისტი ხელით მოიხმო.

### ორუცნობიანი განტოლება

„მოსკვიჩის“ საბარგულში ნაპოვნი გვამების გაკვეთამ სრულად დაადასტურა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის წინასწარი ვარაუდი. ორი ადამიანი კალიუმციანიდით იყო მოწამლული, მესამეს კი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან ჰქონდა მიყენებული სასიკვდილო ჭრილობა. სისხლის სამართლის საქმე ორჯონიკიძის (ვაკის) რაიონის პროკურატურაში აღიძრა განზრახ მკვლელობის მუხლით და მას იასონ ცინცაძე იძიებდა.

ტყვიით მოკლული მამაკაცის ვინაობა გამომძიებლებმა მალევე დაადგინეს – ის აღმოჩნდა ვინმე მირიან პატარიძე, რომელიც გლდანში ცხოვრობდა. მასვე ეკუთვნოდა კრემისფერი „მოსკვიჩიც“. ვერ მოხერხდა დანარჩენი ორი გარდაცვლილის ვინაობის დადგენა, მათ არანაირი საბუთი არ აღმოაჩნდათ და ივარაუდეს, რომ საქართველოს ფარგლებს გარედან იყვნენ ჩამოსულები, რადგან არაქართული გარეგნობა ჰქონდათ. ერთ-ერთი აშკარად აზიელი იყო, მეორეს კი სლავური ჰაბიტუსი ჰქონდა. გამომძიებლებმა მიცვალებულების სურათები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში გაგზავნეს.

– სავარაუდოდ, „მოსკვიჩის“ მძღოლია მკვლელი, ან თანამონაწილე, – განუცხადა თავის კოლეგებს იასონ ცინცაძემ, – ფოტორობოტის საქმე როგორაა, მალხაზ? – ჰკითხა ცინცაძემ ლეიტენანტ გოცირიძეს.

– ამხანაგო მაიორო, – მიუგო გოცირიძემ, – ყველაზე სრულყოფილ დახასიათებას „მოსკვიჩის“ მძღოლზე ტაქსისტი ოვანეს კარაპეტიანი იძლევა. თუმცა, ვერც ეს ინფორმაციაა სრულყოფილი. ჩვენ მხოლოდ ის ვიციით, რომ „მოსკვიჩის“ მძღოლი შავწვერა კაცია, რომელსაც მუქი სათვალე ეკეთა, შავი „უშანკა“ ეხურა და თეთრი „დუბლიონკა“ ეცვა. ამ ზამთარში ყოველი მეორე მამაკაცი ასეა გამოწყობილი და მაშინ ნახევარი თბილისი უნდა დავაპატიმროთ. მძღოლს ტყავის ხელთათმანები ეკეთა და არც მისი თითების ანაბეჭდები გვაქვს.



– გამოდის, რომ არაფერი გვცოდნია, – თავი გააქნია ცინცაძემ.

– თითქმის ასეა, ამხანაგო მაიორო, – დაეთანხმა მახლაზი, – წვერის გაპარსვას, სათვალის მოხსნას და ტანსაცმლის გამოცვლას დიდი სიბრძნე არ სჭირდება და ჩვენ, ფაქტობრივად, ნემსს ვეძებთ თივის ზვინში.

– ადვილი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე, – თქვა მაიორმა, – სულ რაღაც ორუცნობიანი განტოლებაა და ჩემი ღრმა რწმენით, თუ მას ამოვხსნით, მაშინ მკვლელსაც ვიპოვით. ჯერჯერობით რეალური ხელჩასაჭიდი მირიან პატარიძეა და მისი პიროვნება უნდა შევისწავლოთ.

### ბოროტმოქმედთა ტრიო

39 წლის მირიან პატარიძე წარსულში ორჯერ ნასამართლევი აღმოჩნდა. პირველად ის ქურდობისთვის იჯდა, მეორედ კი ყაჩაღობისთვის. მილიციამ დანარჩენი ორის ვინაობაც დაადგინა. სლავური გარეგნობის მოწამლული, 41 წლის ვასილ პროკოპენკო, მეტსახელად „სტილეტი“ აღმოჩნდა, ხოლო აზიური გარეგნობის – 38 წლის ნურადინ მუჰამედოვი. პროკოპენკოც და მუჰამედოვიც საშიში რეციდივისტები იყვნენ. პროკოპენკო ხუთჯერ იყო ნასამართლევი და აქედან ოთხჯერ – ყაჩაღობისთვის. ხოლო მუჰამედოვი კი სამჯერ იყო ყაჩაღობისთვის ნასამართლევი.

სამივე მოკლულს აერთიანებდა ის, რომ ყველანი, ხუთი წლის წინ, კოლიმაზე, ერთ-ერთი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ერთად იხდიდნენ სასჯელს და თითქმის ერთდროულად გათავისუფლდნენ. პატარიძე თბილისელი იყო, მუჰამედოვი – ტაშკენტელი, პროკოპენკო კი მოსკოვში ცხოვრობდა.

– გარდა იმისა, რომ სამივე ერთად იჯდა, სხვა კავშირს მათ შორის ვერ ვხედავ, – თქვა მალხაზ გოცირიძემ, – და საინტერესოა, ვინ შეჰყარა ისინი თბილისში და რის გამო დახოცეს.

– ეს რომ ვიცოდეთ, მაშინ ხომ საქმესაც გავხსნიდით, – გაეცინა ცინცაძეს, – უფრო მეტი ინფორმაციაა საჭირო. მათი პატიმრობის ადგილზე გაემგზავრე და ადგილზე იმუშავე.

მალხაზ გოცირიძეს ცინცაძემ ორკვირიანი მივლინება გამოუწერა და ახალგაზრდა ლეიტენანტი რუსეთსა და უზბეკეთში გაემგზავრა.

– აბა, ყმაწვილო, რა ამბები ჩამოგვიტანე? – ჰკითხა ცინცაძემ, მივლინებიდან დაბრუნებულ გოცირიძეს.

– როგორც კოლიმაზე გავარკვიე, თურმე პატარიძე, მუჰამედოვი და პროკოპენკო ვინმე ზეზვა სისაურთან ერთად ცხოვრობდნენ ერთ ბარაკში. სისაური თბილისელია და ათწლიან სასჯელს იხდიდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის. მან სასჯელი სანახევროდ მოიხადა და სამშობლოში დაბრუნდა. როგორც კოლონიის ხელმძღვანელობამ მითხრა, თურმე, სისაურის ფულით გაჰქონდა თავი სამივე მოკლულს. სისაური მათ პატიმრობიდან გათავისუფლების მერეც ეხმარებოდა. შეიძლება, დიდი ვერაფერი შევიტყვე, მაგრამ ვფიქრობ, რომ სისაურს უნდა გავესაუბროთ, – თქვა გოცირიძემ.

– მიდი, ბოლომდე მიჰყევი, – წააქეზა ცინცაძემ.

### გაუჩინარებული „ცეხავიკი“

ზეზვა სისაურთან გასაუბრებამდე მალხაზ გოცირიძემ აღმოაჩინა, რომ სისაური უგზო-უკვლოდ დაკარგული იყო.

– ამხანაგო მაიორო, – მოახსენა ცინცაძეს ლეიტენანტმა, – ზეზვა სისაური 6 წლის წინ

გათავისუფლდა პატიმრობიდან და თბილისში დაბრუნდა. თუმცა, 2 წლის შემდეგ, ანუ 4 წლის წინ ის სექტემბრის ერთ-ერთ სალამოს შინიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. მას ამქვეყნად მხოლოდ მეუღლე დარჩა, რომლისგანაც შვილი არ ჰყოლია.

– მისი გაუჩინარების დეტალები თუ გაარკვიე?

– მისი გაუჩინარების საქმეში ერთადერთი ჩვენება დევს, რომელსაც სისაურის მეზობელი აწერს ხელს. იქ წერია, რომ 2 სექტემბერს, დაახლოებით 19 საათზე, მან თავისი ფანჯრიდან დაინახა, თუ როგორ ჩაჯდა სისაური ტაქსიში და სადღაც წავიდა.

– ეს არაფერია. თბილისში ათასობით ტაქსია და ვინ იცის, რომელში ჩაჯდა, – ხელი ჩაიქნია მაიორმა.

– არც მასეა საქმე, ამხანაგო მაიორო. იმ

## ქალმა რომ თხრობა დაასრულა, ოპერებმა ის გაუშვეს და „ვოლგა“ ადგილიდან დაძრეს

მეზობელმა ტაქსის ნომერიც დაიმახსოვრა და ტაქსისტიც გამოჰკითხეს, მაგრამ მან არ იცოდა, სად წავიდა სისაური.

– სისაურის გაქრობის დღეს მეუღლე სად იყო?

– ბათუმში ისვენებდა და მეუღლის „ჟიგული“ ჰყავდა წაყვანილი.

– რას წარმოადგენს სისაურის ცოლი?

– ერთ-ერთი თეატრის მსახიობია და საკმაოდ ცნობილია კოლეგებს შორის.

– მოკლედ, ჩემო მალხაზ, თუ ცოცხალია, მაშინ ის ტაქსისტი მოძებნე და ხელახლა დაჰკითხე. მეუღლეს კი ჯერ არ გაეკარო. გაარკვიე, რას საქმიანობს ის ქალი თეატრის გარდა. ერთი სიტყვით, ყველა ინფორმაცია შეკრიბე და მის შესახებ შემდეგ ვიმსჯელოთ, – დაავალა მაიორმა ლეიტენანტს.

### პროვოკაციული წერილი

გოცირიძემ ის მძღოლი დაკითხა, ვინც სისაური წაიყვანა.

– ის კაცი ვაგზალზე ჩამოვსვი, – უთხრა ტაქსისტმა ლეიტენანტს, – შემდეგ ცოტა ხნით „სტაიანკაზე“ შევჩერდი, რომ კლიენტი ამეყვანა. რომ დავიძარი, დავინახე, ის კაცი სამ ადამიანს ელაპარაკებოდა. ორი მათგანი ზურგით იდგა და ვერ დავინახე, ერთი კი „უზკაგლაზი“ (ვიწროთვალება) იყო.

გოცირიძემ ტაქსისტს მუჰამედოვის სურათი უჩვენა, რომელშიც მან „უზკაგლაზი“ ამოიცნო.

– მეუღლეზე რა გაარკვიე?

– მას ყველა დადებითად ახასიათებს. ძალიან ცოტა ახლობელი ჰყავს და კარჩაკეტილად ცხოვრობს.

– რა ჰქვია?

– ეკა სიხარულიძე.

– მე ამ საქმესთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება მაქვს. თუკი ჩემი ფანდი არ გაამართლებს, მაშინ მკვლელი ხელიდან გაგვისხლტება, – თქვა ცინცაძემ.

– ფიქრობთ, რომ მკვლელი სისაურის მეუღლეა? მეც ასე ვფიქრობ, უთხრა მაიორს ლეიტენანტმა.

– ჩვენი ვარაუდი არ კმარა. აი, ამ წერილით თუ შევძლებთ მის მოტყუებას, – თქვა მაიორმა და გოცირიძეს ფურცელი მიაწოდა, რომელზეც ეწერა: „დიდი ხანია, გითვალთვალებ, ჩემო გოგონა. ეჭვი მქონდა, რომ რაღაც დიდ საიდუმლოს მალავდი. ხოლო, როდესაც გარეგნობაშეცვლილი მიუჯექი „მოსკვიჩს“ და ქალაქისკენ გაემგზავრე, მივხვდი, სუფთა საქმეზე არ მიდიოდი. მე შენ ჩუმად აგედევნე მანქანით და ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი ავარიის შემდეგ რომ გაიქეცი, მანქანის ბაგაჟნიკში კი სამი ტრუპი იპოვეს, მივხვდი, ის ადამიანები შენ დახოცე. თუ გინდა, ამ საქმიდან სუფთად გამოხვიდე, მაშინ 10 ათასი მანეთი მომიტანე. შენი მეგობარი“.

– რას მოგვცემს ეს ? – იკითხა გოცირიძემ.

– ქალს დავაკვირდებით და იმას მაინც მივხვდებით, მართლები ვართ თუ არა.

წერილის მიღებიდან მეორე დღესვე გოცირიძემ და ცინცაძემ ეკა სიხარულიძე ალექსანდრეს ბაღში დააკავეს პისტოლეტით. მას ხელბორკილები დაადეს და „ვოლგაში“ ჩასვეს.

– სად მივდივართ? – იკითხა ქალმა.

– სამი ადამიანის მკვლელობაში გედებათ ბრალი. თანაც ფაქტზე დაგაკავეთ, – უპასუხა გოცირიძემ.

– მე მკვლელი კი არა, შურისმაძიებელი ვარ. მათ მე ქმარი მომიკლეს და შური ვიძიე, – მშვიდად თქვა ქალმა.

ცინცაძემ „ვოლგა“ შეაჩერა და მერე ქალს უთხრა:

– მოგვიყევი, რა მოხდა, გისმენთ.

ქალმა სიგარეტი გააბოლა და თქვა:

– მე და ზეზვა სკოლის მერხიდან დავქორწინდით და მიუხედავად იმისა, რომ უშვილო ვარ, მას სიგიჟემდე ვუყვარდი. ზეზვას ნაკეთობების ცეხი ჰქონდა და დიდ ფულს შოულობდა. თუმცა, კონკურენტებმა ის ციხეში გაისტუმრეს. ამის მიუხედავად, ზეზვა 5 წელიწადში გათავისუფლდა. როგორც თავად მიამბო, მან ეს ნაძირლები იქ გაიცნო და დაუახლოვდა. ჩემი მეუღლე მათ კოლონიაშიც აჭმევდა და გათავისუფლების მერეც ეხმარებოდა. მაგრამ, ამ ნაძირლებმა ჩემი აქ არყოფნით ისარგებლეს, ზეზვა სახლიდან გაიტყუეს და ვერაგულად მოკლეს. ბათუმიდან რომ დავბრუნდი, სახლი გადაბრუნებული დამხვდა, თუმცა სამალავისთვის ვერ მიუგნიათ. ზეზვას მკვლელებს ოთხი წელი ვეძებდი და პირველად პატარიძეს მივაგენი. მე მასთან ინტიმური კავშირი დავამყარე და ყველაფერში ოსტატურად გამოვტეხე. შემდეგ მუჰამედოვი და პროკოპენკოც გავიცანი და ორივე თბილისში ჩამოვიყვანე საახალწლოდ. არც ერთმა არ იცოდა, თუ ვისი ცოლი ვიყავი. ყველაფერს მაშინ მიხვდნენ, როცა ისინი ერთად შევყარე ჩემს აგარაკზე, წყნეთში. პროკოპენკოს და მუჰამედოვს პისტოლეტის მუქარით მოწამლული შამპანური დავალევინე, პატარიძეს კი შევპირდი, რომ ვაპატიებდი და გვამები „მოსკვიჩის“ საბარგულში ჩავაწყობინე, შემდეგ მასაც გავასხმევინე ტვინი და სამივე მანქანით წამოვიყვანე, რომ მტკვარში გადამეყარა...

მას შემდეგ, რაც ეკა სიხარულიძე „ვოლგიდან“ გადავიდა, მაიორმა მანქანა დაქოქა და წავიდა...

***P.S. ეკა სიხარულიძე კანადაში ცხოვრობს სხვისი გვარით, მილიციის ყოფილი ოფიცრები კი პენსიაზე არიან...***

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**30 სექტემბერი**

1452 – გერმანიაში, მაინცში, იოჰან გუტენბერგმა დაბეჭდა პირველი ბიბლია.

1791 – ვენაში შედგა მოცარტის ოპერის – „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერა.

1846 – მასაჩუსეტსელმა ექიმმა მორტონმა პირველად გამოიყენა გაუტკივარება – ანესთეზია კბილის ამოღების დროს.

1882 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეპლტონში, მდინარე ფოქს-რივერზე ამუშავდა პირველი ჰიდროელექტროსადგური.

**1 ოქტომბერი**

1661 – ინგლისში მოეწყო იახტების პირველი შეჯიბრება.

1869 – ვენაში გამოუშვეს პირველი საფოსტო ღია ბარათები.

1946 – დასრულდა ნიურნბერგის პროცესი, სადაც გაასამართლეს ფაშისტი სამხედრო დამნაშავეები.

1977 – პელემ დატოვა დიდი ფეხბურთი.

**2 ოქტომბერი**

1187 – ეგვიპტის სულთანმა სალაჰ-ადდინმა ჯვაროსნებს წაართვა იერუსალიმი.

1555 – ივანე მრისხანეს ჯარებმა შტურმით აიღეს თათრეთის სახანოს დედაქალაქი ყაზანი.

**3 ოქტომბერი**

1929 – სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფომ მიიღო ოფიციალური სახელი „იუგოსლავია“.

1932 – გაზეთ „თაიმსის“ დიზაინერმა შეიმუშავა ცნობილი შრიფტი „Times New Roman“.

1935 – იტალიის ჯარები შეიჭრნენ ეთიოპიაში.

1990 – გაერთიანდა გერმანია.

**4 ოქტომბერი**

1675 – ჰოლანდიელმა მეცნიერმა კრისტიან ჰიუგენსმა დააპატენტა ჯიბის საათი.

1830 – გამოცხადდა ბელგიის დამოუკიდებლობა.

1957 – კოსმოსში გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

1993 – სამთავრობო კრიზისი და „თეთრი სახლის“ შტურმი მოსკოვში.

**5 ოქტომბერი**

1908 – ბულგარეთი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1914 – მსოფლიოში პირველ საჰაერო ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახნენ ფრანგული და გერმანული თვითმფრინავები.

1921 – ლონდონში გაიხსნა პირველი საერთაშორისო პენ-კლუბი.

**6 ოქტომბერი**

1889 – პარიზში გაიხსნა კაბარე „მულენ რუჟი“.

1917 – საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სიტყვა „ჯაზი“.

1948 – ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა ქალაქი აშხაბადი (თურქმენეთი).

**მომღერალმა ნუკა გვალიამ გვარი შეიცვალა და კვალიაშვილი გახდა. ნუკა და მისი მეუღლე, ნიკუშა კობახიძე, ვაჟს ელოდებიან, რამაც, მომავალი დედის თქმით, ახალგაზრდა წყვილი ძალიან გაახარა**

# რა სურპრიზი გაუკეთა ნუკა გვალიამ მეუღლეს და რატომ გადავიდა ის დედის გვარზე

**– როგორც ვხედავ, შენთან სიახლეა – დედის გვარზე გადახვედი. რატომ გადაწყვიტე ასე და აქამდე თუ გიფიქრია ამაზე?**

– ფიქრით ყოველთვის ვფიქრობდი, მაგრამ, სრულწლოვანებამდე გვარის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც მშობლები რთავენ უფლებას და, მე რა ვიცი, მამაჩემი სად უნდა მეპოვნა?! როდესაც 18 წლის გავხდი, დედაჩემს სულ ვეუბნებოდი, რომ გვარის შეცვლა მინდოდა, ეკა კი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ არ გადამედგა ეს ნაბიჯი, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანს შანსი უნდა მისცე... ჰოდა, ასე გავიდა „შანსების მიცემაში“ კიდევ სამი წელი, მაგრამ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ერთი სიტყვით, მინდა ვატარო იმ ადამიანის გვარი, ვინც ჩემზე ამაგი გასწია და გამზარდა, თორემ, ეგრე ავიღებ და სრულიად უცხო ადამიანის გვარს ვატარებ – რა მნიშვნელობა ექნება, გვალია ვიქნები თუ წისქვილაშვილი...

**– ეკა როგორ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას?**

– როგორც იცით, უკვე აღარ ვარ პატარა ბავშვი, გათხოვილი ვარ და თვითონ ველოდები შვილს; ამასთანავე, როდესაც რაიმე ყელში ამომდის, უკვე არავის აზრი აღარ ნიშნავს არაფერს, არადა, ძალიან ბევრჯერ შემიძლია ადამიანების პატიება და შანსების მიცემა, მაგრამ, თავზე არავის არასდროს დავისვამ, ვინც არ უნდა იყოს. ეკამ იცოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა.



**სულ მარტო ყოფნა მინდოდა და არავის დანახვა არ მსიამოვნებდა, მომწონდა განმარტოება ჩემს ჩაბნელებულ ოთახში და მუსიკის მოსმენა, რაც იმ მომენტში მიზიდავდა, ანუ, გოთიკ მეტალის**

**– როდის შეიტყვე, რომ ბიჭის დედა ხდები და რა რექაცია გქონდა ამაზე? შენ რომელი გინდოდა – ბიჭი თუ გოგო?**

– 19 სექტემბერს გავიგე, რომ ბიჭი უნდა გვეყოლოს. 13 კვირის ვიყავი, როდესაც ექოსკოპიაზე მივედი – უკვე მაინტერესებდა, ბიჭი იყო თუ გოგო, მაგრამ, ბავშვს ფეხები ისე ჰქონდა დალაგებული, რომ ვერ გავარკვიეთ, გოგონა იყო თუ ბიჭი. დიდი ხნის ცდების ჩატარების მიუხედავად, მაინც არ გამოუჩნდა კარგად არაფერი და ექიმმა მითხრა, სავარაუდოდ, გოგონა არისო. მეც და ჩემი მეუღლეც შევეჩვიეთ, რომ გოგოს მშობლები ვხდებოდით. როდესაც 19 კვირის გავხდი, ისევ წავედი ექოსკოპიაზე და, სანამ მე და ჩემი მეუღლე ოთახში შევიდოდით, დერეფანში ვიდექით და ვხუმრობდი – ახლა რომ ბიჭი იყოს-მეთქი? როდესაც ჩვენი რიგი მოვიდა და შევედით ექოზე, დავწექი და დიდ ეკრანს კარგად დავაკვირდით – გამოჩნდა ფეხები და ექიმმა მითხრა, ბიჭი გყავთო. ჩემს მეუღლეს ძალიან უნდოდა, პირველი შვილი ბიჭი ჰყოლოდა და სიხარულისგან რამდენიმე ცრემლი გადმოუვარდა თვალებიდან; მეც, ანალოგიურად, სიხარულისგან აღვფრთოვანდი და ისტერიული სიცილი ამიტყდა, ეს არის სრული შოკი, როცა ამდენი ხანი იცი, რომ გოგონა უნდა გეყოლოს და უცებ ბიჭს გეუბნებიან *(იცინის).*

**– ნიკუშა როგორ შეხვდა იმ ამბავს, რომ ბიჭის მამა ხდება?**

– ნიკუშა ამბობდა, ბიჭი თუ გაჩნდა, ჩემზე ბედნიერი ადამიანი მთელ სამყაროში არავინ იქნებაო. რომ გაიგო, ბიჭიაო, სიხარულისგან ცრემლები წამოუვიდა და ხელები უკანკალებდა, ერთი სიტყვით საჩუქარი გამომივიდა *(იცინის).*

**– რით განებივრებს მეუღლე და თუ ცდილობს, ხელი შეგიწყოს?**

– რაც არ უნდა ვთხოვო ნიკუშას – დავუშვათ, ეს მინდა ან ის მინდა, – გამორიცხულია, არ შემისრულოს, მზად არის, ყველანაირად გვერდში დამიდგეს და ხელი შემიწყოს თუნდაც იმით, რომ სახლი დაალაგოს, საჭმელი გააკეთოს... მაგრამ, ჭურჭლის რეცხვას ვერ იტანს და ამას მე ვაკეთებ *(იცინის).*

**– თქვენი ოჯახის შესახებ ყოველთვის ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. ამას როგორ ეგუებოდი, ან ახლა როგორ ეგუები?**

– ვინც რა საზიზღრობა არ უნდა თქვას, ჩემთვის მთავარი ის არის რომ მე, ჩემმა ოჯახმა და უფალმა ვიცით, რეალურად რა და როგორ არის, ასე რომ, სრულიად უინტერესოა, გარშემო ვინ რას ყბედობს. ასეთებს ვურჩევდი, თავიანთი უინტერესო ცხოვრება გახადონ საინტერესო, რომ სხვისი ცხოვრებით აღარ დაინტერესდნენ.

**– მძიმედ რეაგირებ ჭორებზე? რა ჭორი გსმენია შენ შესახებ ყველაზე გამაღიზიანებელი?**

– მძიმედ თუ მსუბუქად, არ ვიცი, მაგრამ, ყველა უაზრო მითქმა-მოთქმისთვის პირადად მოვთხოვ იმ ადამიანს, პასუხი გამცეს, თუ, რა თქმა უნდა, ვიცი, ვინ გაავრცელა. იმ შემთხვევაში კი, თუ არ ვიცი მისი ვინაობა, არც მაინტერესებს, ანუ, იმ ადამიანის ძებნით ნამდვილად არ დავიღლი თავს. ყველაზე მეტად იმან გამაღიზიანა, როდესაც ჩემზე გაავრცელეს ჭორი, მუცელი მოეშალაო. ასეთი საზიზღრობა რომ მოიფიქრო, ჩამპალი სულის პატრონი უნდა იყო. ასეთებს შევახსენებ, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და საბოლოოდ ყველას მოგეკითხებათ სიბოროტეები, თორემ, მაგ ბოლმა გულით მე არაფერი მაკლდება, თქვენ კი საშინლად დაგაკლდებათ, რადგან, ბოლმას რომ გაუშვებ, უკანვე მოგიბრუნდება ბუმერანგივით.

**– ალბათ, ყოველთვის ცდილობდი, ეკასგან განსხვავებული ყოფილიყავი, თუ, ჰბაძავდი დედას? რთულია ცნობილი დედის შვილობა?**

– რთული რატომ უნდა იყოს, როდესაც უნიჭიერესი ადამიანის შვილი ხარ? პირიქით ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეკა არის ჩემი მშობელი. ის თუ ვინმესთვის არის „ეკა კვალიაშვილი, აღიარებული მომღერალი,“ ჩემთვის არის დედიკო და, დავამატებ იმასაც, რომ არასოდეს მქონია იმის შეგრძნება – „რა რთულია ეკას შვილობა.“ მე და დედა რაშიც ვგავართ ერთმანეთს და რაც შინაგანად გვაქვს ორივეს, არის პირდაპირობა და სიმართლის თქმა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ვინმეს არ მოსწონს; ვერც ერთი ვერ ვიტანთ პირფერობასა და ადამიანების გამოყენებას.

**– ვიცი, რომ გარდატეხის ასაკი რთულად გადაიტანე და დედას უჭირდა შენთან ურთიერთობა. როგორ შეძელი, გადაგელახა ეგ პერიოდი?**

– 14-დან 16 წლამდე ვიყავი ძალიან აუტანელი ბავშვი იმ მხრივ, რომ, მეგონა, ჩემი არავის ესმოდა, ყველას ცუდი უნდოდა ჩემთვის და ასე შემდეგ. იმ მომენტში სულ მარტო ყოფნა მინდოდა და არავის დანახვა არ მსიამოვნებდა. მომწონდა განმარტოება ჩემს ჩაბნელებულ ოთახში და მუსიკის მოსმენა, რაც იმ მომენტში მიზიდავდა, ანუ, გოთიკ მეტალის; მაღიზიანებდა თითოეული ადამიანის მოსაზრება ამ ყველაფერთან დაკავშირებით... მეგობრები მაინც რაღაცნაირად ცდილობდნენ, დამხმარებოდნენ, რომ ამ უაზრო სიბნელიდან გამოვეყვანე, მაგრამ, იმ მომენტში ამას დახმარების ნაცვლად სხვა რამედ აღვიქვამდი – მეგონა, რომ ჩემი შეცვლა უნდოდათ და ჩემი არ ესმოდათ, მაგრამ, ღმერთის წყალობით, მათ ეს შეძლეს – 17 წლის რომ გავხდი, უკვე დალაგებული აზროვნება და ქცევები მქონდა და, დედასთანაც აღმიდგა ურთიერთობა.

**– როგორ ფიქრობ, მკაცრი დედა იქნები?**

– მკაცრი ადამიანი არ ვარ, ერთი ის ვიცი, რომ, რამეს თუ ავუკრძალავ ჩემს შვილს, იმის პასუხიც მექნება, რატომ ვუკრძალავ, რომ ბავშვი გაურკვევლობაში არ იყოს და არ დაებადოს კითხვა – რატომ ამიკრძალა, რას ვაშავებო. მინდა, ისე გავზარდო, როგორც დედამ მე გამზარდა. ეკა მკაცრი არასდროს ყოფილა, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა, ისე მომდგომოდა, რომ ჩემში აგრესია და პროტესტი არ გამოეწვია.

**– ბავშვის სახელი თუ გაქვთ უკვე მოფიქრებული?**

– ჯერჯერობით, 99 პროცენტით ვფიქრობთ, რომ ნიკოლოზს დავარქმევთ, მაგრამ, ჯერ დაიბადოს, შევხედავთ პატარა, ლამაზ სახეზე და, ჩემი აზრით, თავისით მოვა იდეა, რა სახელი უფრო შეეფერება ჩვენს პატარა ბიჭს.

**– თუ ფიქრობ უცხოეთში კარიერის გაგრძელებაზე?**

– ამაზე ყოველდღე ვფიქრობ, თან, ჩემს გეგმებს ნელ-ნელა ვაუმჯობესებ და ვხვეწ. რა თქმა უნდა, აუცილებლად მინდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობა.

**– ალბათ, პროექტის განმავლობაში ფეხმძიმეს ძალიან გიჭირდა სცენაზე დგომა. თუ შეგიშალა ამან რამეში ხელი?**

– ორი კვირის ვიყავი, როდესაც ფეხმძიმობის შესახებ შევიტყვე. თურმე, ისეთი ცუდი მდგომარეობა მქონდა, რომ, ფაქტობრივად, მწყდებოდა მუცელი, რაც ჩემმა ექიმმა არ მითხრა და ბავშვის შესანარჩუნებლად ძალიან ბევრი წამალი გამომიწერა, წოლითი რეჟიმი დამინიშნა, მაგრამ, ვის ახსოვდა წოლითი რეჟიმი, როცა ყოველდღე რეპეტიცია გვქონდა, თან, ზუსტად მაგ პერიოდს დაემთხვა დიფ ფარფლის „ჰაივეი სთარ,“ რომელსაც დიდი ენერგია სჭირდებოდა შესასრულებლად. როდესაც სცენაზე ვიმღერე და შევედი კულისებში, ჩემმა გინეკოლოგმა დამირეკა ტელეფონზე და მკითხა, თავს როგორ გრძნობო. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, ეს რატომ მკითხა-მეთქი, მაგრამ, მე ხომ არ ვიცოდი, როგორი მძიმე მდგომარეობა მქონდა? თავს კარგად ვგრძნობდი, თუმცა, დაღლილობა და სისუსტე მაინც გამოიკვეთებოდა ამ კარგად ყოფნაში, რამდენიმე დღეში კი ტოქსიკოზიც დამეწყო და, ერთი სიტყვით, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ, მე ძლიერი ადამიანი ვარ და, არც ვაპირებდი, ვინმეს

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მსურს, შევიძინო „ჯიპის“ ტიპის ავტომობილი, ბენზინის ძრავით, ორხიდიანი. მინდა, ავტომობილი იყოს პრაქტიკული, გამძლე და ჰქონდეს დიდი, ტევადი საბარგული. საბარგულში 17-22-კუბიანი გაზის ავზი ჩავდგა და მის გარდა კიდევ დარჩეს დამატებითი სივრცე ბარგისთვის. რომელ მოდელს მირჩევთ ამ პარამეტრების მიხედვით?**

**პასუხი:** გირჩევთ, შეიძინოთ „ტოიოტას“ მარკის „ჯიპი,“ უფრო კონკრეტულად „ტოიოტას“ „ფორრანერი“. ეს ზუსტად ის ავტომობილია, თქვენ მიერ ჩამოთვლილ პარამეტრებს რომ სრულად აკმაყოფილებს.

**კითხვა: მსურს, შევიძინო მექანიკური გადაცემის კოლოფით აღჭურვილი მანქანა, წინა წამყვანი თვლებით და თან, ეკონომიური. ამ მონაცემებით „ოპელის“ გარდა, ვერაფერი მოვიფიქრე, მაგრამ ეს მარკა არ მინდა. იქნებ მირჩიოთ, სხვა ისეთი მოდელი, კლირენსი ძალიან დაბალი რომ არ ჰქონდეს. მე მომწონს „ცე“ კლასის „მერსედესი“ დიზელის ძრავით და „ბეემვეს“ ეგრეთ წოდებული „ტროიკა“, ასევე დიზელის ძრავით. არ მინდა, ავტომობილი ბევრს წვავდეს და თან ძალიან ძვირი იყოს. ამ მოდელებიდან უპირატესობას რომელს ანიჭებთ, იქნებ მირჩიოთ?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი:** ჩამოთვლილი ავტომობილებიდან წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი მხოლოდ „ოპელია“. შესაბამისად, თუ წინა წამყვანზეა ლაპარაკი, „მერსედესსა“ და „ბეემვეზე“ არც უნდა შევჩერდეთ. მაგრამ, „ოპელის“ გარდა, არსებობს უამრავი მოდელი, მით უმეტეს, თუ მაღალი კლირენსით ეძებთ. მაგალითად, მაღალიც არის და ეკონომიურიც: „სიტროენ“ „ცე3“, „ეიჩდიაი“ ძრავით.

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი „მერსედესი“ ე-200, 1996-2001 წლების გამოშვება, რათა გამოვიყენო როგორც ტაქსი. მირჩევთ თუ არა ამ მოდელს ამ დანიშნულებით „გამოყენებისთვის,“ გამძლე „მერსედესის“ ამ მოდელს ქვეკლასიფიკაციები აქვს, როგორიცაა: „ელეგანსი,“ „ავანგარდი,“ „კლასიკი.“ რა განსხვავებაა ამ ქვემოდელებს შორის და რომლის ყიდვას მირჩევთ?**

**პასუხი:** ეს მოდელი ტაქსად თავის დროზე თვითონ გერმანელებმა შეარჩიეს, იმდენად პრაქტიკულია. რაც შეეხება განსხვავებებს, „ელეგანსი,“ „ავანგარდი“ და „კლასიკი“, ძირითადად კომფორტის დეტალებზეა აქცენტირებული და არა გამძლეობაზე. თუმცა, განსხვავება მაინც არის და უმეტესად, დაკიდების სისტემაში. როგორც ტაქსისთვის, ისე ზოგადად, მაქსიმალური კომფორტისთვის, „ავანგარდი“ ჯობია, მაგრამ არსებით განსხვავებას ვერ იგრძნობთ, თუნდაც „კლასიკი“ რომ შეიძინოთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ პასატი“, ამერიკული ვერსია, 2003 წლის მოდელი, მართვის ავტომატური კოლოფით, 1.8-იანი ბენზინის ძრავით. მინდა, გაზის ჩაყენება და მაინტერესებს, მიზანშეწონილია თუ არა, შეიძლება, ამან უარყოფითად იმოქმედოს, რას ველოდო?**

**პასუხი:** გაზის სისტემების ძირითადი უარყოფით თვისება ძრავის არასტაბილური მუშაობაა, რაც ძირითადად, გამოწვეულია ინსტალაციის შემდეგ ცუდი დარეგულირებით. თუ გაზის სისტემას აყენებთ, უმჯობესია, პროფესიონალებს მიმართოთ, ან „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ოფისს დიღომში, ან „სუბარუს“ ცენტრს ნუცუბიძის პლატოზე.

**კითხვა: ვარ დამწყები მძღოლი და მაინტერესებს, 6 000 დოლარის ფარგლებში, 1998-2001 წლების „ცე“ და „ე“ კლასის „მერსედესებიდან“ რომლის ყიდვას მირჩევთ? რომელია უფრო კომფორტული, ადვილად სამართავი და დასამორჩილებელი?**

**პასუხი:** როგორც წესი, „ე“ კლასი უფრო კომფორტული და მასიურია. რაც შეეხება, თუ როგორი სამართავია ერთი ან მეორე, რეალურად, არსებითი სხვაობა არც კია. უბრალოდ, „ცე“-კლასი უფრო მოქნილია ზომის სიმცირის გამო და როგორც დამწყებ მძღოლს, გაბარიტების აღქმა გაგიადვილდებათ.

**კითხვა: მყავს „მერსედესი ე-190,“ 1991 წლის გამოშვება, მართვის ავტომატური კოლოფით. მანქანის ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ანტიფრიზში რაღაც ზეთოვანი, შესქელებული მასა გროვდება. ამოვაწმენდინე და ნახევარი წლის შემდეგ ისევ გაჩნდა. მიზეზად სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? მანქანა ძალიან მოსახერხებელია და მიყვარს, მაგრამ ასაკიც აქვს. თქვენ როგორ მირჩევთ, შეკეთება ჯობია, თუ სხვა მანქანის ყიდვა? როგორც ქალბატონების უმრავლესობას, მეც მართვის ავტომატური კოლოფით აღჭურვილი მოდელი მირჩევნია. თქვენ რომელი მანქანის ყიდვას მირჩევდით? მინდა, გაითვალისწინოთ საწვავის ეკონომიურობა და გამძლეობა.**

**პასუხი:** „ე-190“ ლეგენდარული მოდელია, თავისი ისტორიული პრობლემით, რომელიც წლების შემდეგ იჩენს თავს. ეგ პრობლემა მოგეხსნებათ თუ ძრავას ზედა ნაწილს, ეგრეთ წოდებულ „გალოვკას“ მოახსნევინებთ, „გააშლიფოვკებთ“ და ახალ სადებს, ეგრეთ წოდებულ „გალოვკის პრაკლადკას“ ჩადებენ. რაც შეეხება შეცვლას, „მერსედესზე“ მიჩვეულ მძღოლს, სხვა მოდელს ვერც შევთავაზებ, მით უმეტეს, რომ ავტომატური კოლოფი ყველაზე გამძლე სწორედ „მერსედესს“ აქვს. შეეცადეთ, თქვენთვის ხელმისაწვდომ ფასში ისევ „მერსედესის“ რომელიმე მოდელი შეიძინოთ.

**კითხვა: მყავს 1999 წლის გამოშვება „სუზუკი გრანდ ვიტარა”. ჩემდა გასაკვირად, ორი დღის წინ, დილით აღმოვაჩინე, რომ საჭე ძალიან რთულად დასამორჩილებელი, უხეში გახდა. შესაბამისი ღვედი დასუსტებული არ არის, საბურავებში წნევა ნორმალურია, ჯვარედინი გადამცემი, ეგრეთ წოდებული „კრესტავინა,“ დაზიანებული არ არის, ჰიდრავლიკას ზეთი არ აკლია. როგორც მეუბნებიან, ყველა სიმპტომით პრობლემა ჰიდრავლიკის ტუმბოშია. რას შეეძლო ამის გამოწვევა, ვის მივმართო და როგორ ავიცილო მსგავსი პრობლემა შემდგომში?**



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**პასუხი:** ამ შემთხვევაში, ორი მიზეზი შეიძლება იყოს, რომელიც თქვენს პრობლემას იწვევს. პირველი, ეს არის ჰიდრავლიკის ტუმბო, რომელიც წნევას ქმნის. ალბათ, ის დაზიანდა და საჭირო წნევას ვერ, ან საერთოდ არ ქმნის და მეორე – დაზიანდა ეგრეთ წოდებული „რულევაია კალონკა” – მოწყობილობა, რომელიც საჭის მართვას უზრუნველყოფს. ანუ, შესაძლებელია, ტუმბოსთვის საჭირო წნევა „რულევოის” მოეწოდებოდეს, მაგრამ ის სათანადოდ არ რეაგირებდეს, არ გადმოჰქონდეს წნევა საჭეზე. საჭის მექანიზმის გადამოწმება და შეკეთება შეგიძლიათ დიღომში, ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოსთან. იქ, დაახლოებით 40-50 მეტრში, მარჯვენა მხარეს შედის ვიწრო ქუჩა, რომლის სიღრმეშიც საჭის ხელოსნები არიან. რაც შეეხება პრობლემის მომავალში თავიდან აცილებას, ის თქვენგან არ მომდინარეობს და შესაბამისად, ვერც თავიდან აიცილებთ. ერთადერთი, რითაც საჭე ზიანდება, ჰიდრავლიკის ზეთის დაკლებაა. ის რომ იცლება, სხვადასხვა ზეთს ასხამენ. ამით ის ადგილი კი არა, სხვა დეტალებიც ზიანდება. ამიტომ, ზეთის დაკლების შემთხვევაში, ყოველთვის კარგი ხარისხის და ზუსტად ისეთი ჩაასხით, რაც საჭიროა.

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

---

გაეგო ჩემი პრობლემების შესახებ პროექტის მსვლელობის პერიოდში. მეზიზღება, როცა ვინმეს ან ვეცოდები ან მიბრალებს. მოკლედ, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ, იმაზე მეტი გავაკეთე, რაც იმ მომენტში შემეძლო.

**– დედის რჩევებს თუ ითვალისწინებ ხოლმე ხშრად?**

– როდესაც რჩევას ვეკითხები, რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში ვითვალისწინებ, მაგრამ, ეკა ჩემზე ბევრად რბილი ხასიათის ადამიანია – არის რაღაცეები, რასაც მე სხვას არ ვაპატიებ, ეკა კი აპატიებს და, შეიძლება, აი, ამ რაღაცეებში არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს, თუნდაც, „გოლდენ თალენტის“ მეორე ტურიდან წამოსვლა რომ დავაპირე, ეკა მთხოვდა, რომ იქნება მემღერა, მაგრამ, რომ დავინახე სიბინძურე, ერთხელ ვთქვი „არა“ და ეს „არა“ იყო მყარი, ალბათ, იმიტომ, რომ ზოდიაქოთი „სასწორი“ ვარ და, გადაწყვეტილებამდე თუ მივედი, ეს გადაწყვეტილება აღარ იცვლება; მაგრამ, რა თქმა უნდა, სანამ გადაწყვეტილებამდე მივალ, მანამდე იმდენს ვფიქრობ, რომ ბოლოს ფიქრით ვიღლები.

**– მამასთან საბოლოოდ გაწყვიტე ურთიერთობა?**

– ჯერ ის მითხარით, რომელ ურთიერთობაზეა საუბარი და მერე მე გაგცემთ პასუხს. რაც არ ყოფილა, ის როგორ უნდა გამეწყვიტა?!

**ქეთი დიდებულიძე**

თბილისის უბანი / განის დედაქალაქი

სადაურია ანა კალანდაძის ხეიარა?

პოლონეთის მდინარე

თავისუფალი / ნაწნავი, კულული

ერთ-ერთი ველური კატა

სასცენო ხელოვნება

VIII ს ქართლის ერისთავი



იხილე ფოტო / პატარა ცხენი

სოფლის საზოგადოება

(....)-ბურანი / ორესტეს მამა

მატყუარა / ბებიაქალი

ოპერის სიმღერა

ძვ.ირან. რელიგიის ბოტროტი ძალა

გულგრილობა

აღმოსავლელი კილერი

მუსიკ. საკრავი / რატომ?

იტალიელი მოდელიორი

ვინ არის იანკი?

ოინი, ფანდი

ვარდობისთვე

ბულგარეთის ქალაქი

ინგლისელი "ძველი ბიჭი"

აღმოსავლეთის უძვ.სახელმწიფო

ესქილეს ტრილოგია

ტყის მონაკვეთი

ნაბოკოვის რომანი

პიონერი სულ არის....

ზნეობა

ცისარტყელის ქალღმერთი

ცელქი და ანცი

უამური პროცესი

ქალს ეუბნებიან

ქალაქი პერუში

ალჟირის ქალაქი

უნგრელი ფეხბურთელი

ევროპელი მეზარბაზნე

ქალ-ლების მეცნიერება

ჭადრაკ. გამბიტი

მაუგლის გადია / თავის ტკივილი

დიდი მუცელი

ფრანგი ფანტასტი პიერ....

ესპანეთის რეგიონი / ხარის სახელი

ველორბოლის სახეობა

ნარდის ცნება / ზონარი ანუ?

სოფელი ზუგდიდთან

ოდნავ ღია / სასიმინდე

ჩუკოვსკისეული ექიმი

ფრანცისკოს წინაა

ძირითადი ვალი / პუშკინის გადია

იტალიის რეგიონი ემილია....

წყლის ორმო / მაუგლის დათვი

სწრაფი „ჩიტის რძე“

სანონი

წვეთის ხმა

თეფში / პერუელი მწერალი

სპორტული ფირმა

ცურვის სტილი

თიხის ჭურჭელი

ისრაელის სპორტ. საზოგადოება

იტალიის ქალაქი

რუსი პოეტი

არაბული ქვეყანა / ჩვენი ცისე

ქართ. გაზეთი / ბალზაკის „მამა“

თანატოლი

აკვიატებული ჩვევა

რობერტი მოკლედ

გორის სოფელი

ქალაქი რუმინეთში

წვრილმანებით მოვაჭრე

კათოლიკ. მღვდელი / სსრკ-ს მანქანა

პოლივუდის ბრედი

ფორტეს ანტონიმი

აი ... / ერთ-ერთი ქართველი

ე.წ. ეშმაკის ქვა

სპორტული ქმედება

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | 6 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | 3 | 8 | | | 1 | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | 1 | | | | | | 9 | 1 | 3 | 3 | 13 | 9 | | | | | 2 | | 3 | 5 | | |
| | | | 9 | 12 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 | 1 | 8 | 3 | 1 | 12 | 12 | 1 | 3 | 9 | 9 | 9 | 8 | 5 | 7 | 2 | 1 | 3 | |
| 2 | 4 | 5 | 1 | 2 | 13 | 14 | 15 | 16 | 16 | 17 | 18 | 18 | 5 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | 3 | 3 |
| | | | | 3 | 3 |
| | | | | 3 | 3 |
| | | | | 3 | 2 |
| | | | | 3 | 3 |
| | | 3 | 3 | 2 | 6 |
| | | | 3 | 5 | 13 |
| | | 2 | 7 | 8 | 4 |
| | | | | 10 | 15 |
| | | | | 24 | 2 |
| | | | | | 26 |
| | | | | | 26 |
| | | | | | 24 |
| | | | | 23 | 1 |
| | | 2 | 17 | 1 | 1 |
| | | | 15 | 3 | 1 |
| | | | 11 | 3 | 6 |
| | | | 8 | 1 | 8 |
| | | | | 11 | 5 |
| | | | | | 13 |
| | | | | | 10 |
| | | | | 7 | 1 |
| | | | | 5 | 1 |
| | | | | | 6 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 8 | 4 | 3 | | 9 | | 6 |
| | 9 | | 1 | | | | 2 | |
| 6 | 4 | | 2 | 5 | 9 | 7 | 1 | 8 |
| 1 | | | | 9 | 3 | 8 | 4 | |
| 8 | | 4 | | | | 1 | | 9 |
| | 7 | | 8 | 4 | 1 | | 3 | 5 |
| 7 | | 1 | 3 | | 5 | 4 | 9 | 2 |
| 3 | 8 | 5 | | 2 | | | | 1 |
| 4 | | 9 | 7 | 1 | | 5 | 8 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 2 | 9 | | | 6 | |
| | 2 | | | 7 | | | | 8 |
| 5 | 6 | | | | | 7 | 9 | |
| | | | | 5 | | | | |
| | | 5 | | | 3 | 2 | | 9 |
| 3 | | | 9 | | | | 4 | |
| | | | 7 | 3 | 2 | 9 | | 4 |
| 7 | | 4 | | 6 | | 8 | | |
| | 3 | 2 | | 4 | | | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ორი ერთიანით დაიწყეთ ლომის ხატვა



2. მიახატეთ ორი სამკუთხედი და წრე



3. ლომის თავს მიახატეთ თვალები, პირი და ნიკაპი



4. მიახატეთ ცხვირი და ულვაში



5. ფაფარი არ დაგავიწყდეთ



6. თავს მიახატეთ წინა თათები



7. შემდეგ — უკანა თათები და კუდი



8. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სახატავი სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## როგორ უნდა მივიდეს დათუნია ბავშვებთან



## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



# კაცი და ძაღლი

## (იგავ-არაკი)

ერთმა კაცმა ნადიმი გადაიხადა. ნათესავ-მეგობრები იწვია. ამ კაცის ძაღლმაც სატრაპეზოდ მეგობარი ძაღლი იხმო. ძმობილოო, – უთხრა, მოდი, ერთი ჩვენც მოვილხინოთო.

სტუმარი ძაღლი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ეს რა ბედნიერებას ვეწიე, დღეს იმდენი უნდა ვჭამო და ვსვა, რომ ხვალაც მეყოსო, – ფიქრობდა გულში ამოდენა ლხინის შემყურე და თან კუდს სიამოვნებით აქიცინებდა. მზარეულმა რომ დაინახა, ვიღაცის ძაღლი კუდს აქიცინებსო, ბევრი არ უფიქრია, ფეხში ხელი სტაცა და ფანჯრიდან გადაუძახა. ძაღლი ერთი ყეფითა და წკავწკავით გავარდა ეზოდან. გზად რომელიღაც ძაღლი შემოხვდა და ჰკითხა:

– როგორ იპურმარილე, მეგობარო?

– ძალიან კარგად, ისე დავთვერი, გზა-კვალი ამერია და რომელი კარიდან გამოვედი, აღარ მახსოვსო, – უთხრა ძაღლმა.

ნუ მიენდობი იმას, ვინც სიკეთეს სხვის ხარჯზე გპირდებაო.

## რიცხვრებუსი

,,,7, 10,, 8,, ,,,7



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა**: **თუ შეიძლება, მოკლე ინფორმაცია მომაწოდეთ ტრიქოფიტოზზე.**

**პასუხი**: ტრიქოფიტოზი ძაღლებში ხასიათდება კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული ლაქების გაჩენით, სადაც საერთოდ არ არის თმის საფარველი ან ძალიან უმნიშვნელოა. კლინიკური ნიშნებით მიკოსპოროზისგან იმით განსხვავდება, რომ ხასიათდება განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩირქოვანი ექსუდაციით, რისგანაც წარმოიშობა ფუფხის საკმაოდ სქელი შრე, რის გამოც ღრმად ზიანდება კანის საფარველი და გამოჯანმრთელების შემდეგ საერთოდ არ ამოდის ბეწვი ან რჩება დეპიგმენტირებული კანის ლაქები. აღნიშნული სიმპტომების გამოვლინების დროს, აუცილებლად უნდა მიიყვანოთ ძაღლი ვეტერინართან, რომელიც კლინიკური ნიშნების დაავადების ეპიზოოტიური მონაცემების მიხედვით და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად, დასვამს ზუსტ დიაგნოზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას. სამკურნალოდ გამოიყენება დერმატო ფიტოზების სამკურნალო და პროფილაქტიკური ვაქცინები; სოკოს საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები; იმუნოსტიმულატორები და ვიტამინები. მკურნალობის სქემა აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს და მისივე მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესი, რადგან, აღნიშნული პრეპარატები გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობით და ახასიათებს მთელი რიგი უკუჩვენებები. დერმატომიკოზების პროფილაქტიკისთვის, სასურველია, ძაღლს ყოველწლიურად ჩაუტაროთ დერმატომიკოზების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია; უზრუნველყოთ ის სრულფასოვანი, დაბალანსებული საკვებით, რომელიც მდიდარი იქნება ვიტამინებით; ასევე, მკაცრად უნდა დაიცვათ სანიტარული და ზოოჰიგიენური წესები მოვლა-შენახვისას და მოარიდოთ თქვენი ძაღლი ქუჩის მაწანწალა ძაღლებთან და კატებთან კონტაქტს.

**კითხვა**: **რომელი ცხოველები ავადდებიან ყველაზე ხშირად ცოფით?**

**პასუხი**: გარეული ცხოველებიდან ცოფით ყველაზე ხშირად ავადდებიან მელიები და მგლები, ხოლო შინაური ცხოველებიდან – ძაღლები და კატები, რომლებიც ინფიცირდებიან გარეული ცხოველებისგან დაკბენით, ან, დაზიანებული კანის ნაწილზე ნერწყვის მოხვედრით. რამდენიმე ხნის განმავლობაში ვირუსი იმყოფება დასნებოვნების ადგილას, შემდეგ მიჰყვება ნერვულ დაბოლოებებს და ნერვული გზით ხვდება ჯერ ზურგის, შემდეგ კი თავის ტვინში. დაავადების სიმპტომები ვლინდება მას შემდეგ, რაც ვირუსი გავრცელდება მთელ ორგანიზმში. დაავადების კლინიკური სურათის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს მისი ფარული, ანუ ინკუბაციური პერიოდი. ცხოველი აღნიშნულ პერიოდშიც საშიშია. ხშირად ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 10-14 დღის განმავლობაში, ხოლო ადამიანში მისი ხანგრძლიობა, შეიძლება, ერთ წლამდეც კი გაგრძელდეს. მოხვდება რა ცოფის ვირუსი თავის ტვინში, იქიდან ისევ ნერვის გავლით ხვდება სანერწყვე ჯირკვალში, სადაც ხდება მისი აქტიური პროდუცირება და გამოყოფა ნერწყვთან ერთად. დასნებოვნებულმა ცხოველმა ვირუსის გამოყოფა შეიძლება კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 10 დღით ადრე დაიწყოს.

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა**: **როგორ მოუვარო წყლის დუმფარას და როგორი მცენარეა ის?**

**პასუხი**: დუმფარა ბევრი სახეობისაა, მისი ყვავილის ფერიც მრავალნაირია. არსებობს როგორც ყვითელი, ასევე თეთრი, ნაცრისფერი, წითელი და, ძალიან იშვიათად – ცისფერიც, რომელიც დეკორატიული და უიშვიათესი მცენარეა. ეს მრავალწლიანია და ძირითადად იზრდება ტბებსა და მდორე წყლებში; მრავლობს თესლით. ეს მცენარე ლამაზია აუზების გასაფორმებლად, თუმცა, მისი ბევრი ჯიში არ მოიპოვება საქართველოში და, შეიძლება ითქვას, გადაშენების პირასაა.

**კითხვა**: **როგრ მოვუაროთ ყოჩივარდას და რატომ აღარ არის დღეს მისი კოლხური სახეობები?**

**პასუხი**: კოლხური ყოჩივარდა მრავალწლიანი მცენარეა. ის გამოიყენება სამკურნალოდ. ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. იზრდება ქვიან ნიადაგებში, კლდეებზე, ტყეებში. მცენარე მრავლდება თესლით. მისი შემცირების მიზეზი მოსახლეობაა, რადგან, ხშირად ხდება ამ მცენარის მიწიდან დაუდევრად ამოთხრა და განადგურება. კოლხური ყოჩივარდა არ არის პრეტენზიული მოსავლელი და მისი გაზრდა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

**კითხვა**: **არსებობს თუ არა ქოთნის ბროწეული?**

**პასუხი**: ქოთნის ბროწეული დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს და მას სამკურნალო თვისებები აქვს. მისი ნაყოფი საჭმელად ვარგისია. ბროწეული მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად, ფესვის ამონაყრითაც. მცენარე კარგად გრძნობს თავს როგორც ქოთანში, ასევე ღია გრუნტში. ამიტომ, თუ გსურთ, რომ ბროწეული გქონდეთ ოთახის პირობებში, შეგიძლიათ, გაახაროთ. ის არის ყინვაგამძლე და არ ეშინია დაბალი ტემპერატურის. მცენარე ყვავილობს ივლისის შუა რიცხვებიდან, ნაყოფი კი მწიფდება სექტემბრის ბოლოდან. რაც შეეხება მორწყვას, ზაფხულში სჭირდება კვირაში ერთხელ, ხოლო ზამთარში – ორ კვირაში ერთხელ.

**კითხვა**: **როდის უნდა ამოვიღოთ ნიადაგიდან მცენარის ბოლქვები?**

**პასუხი**: ნიადაგიდან ბოლქვების ამოღება ხდება მხოლოდ შემოდგომით – სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის შუა რიცხვებში. საერთოდ, ბოლქვებს არ უნდა მოხვდეს ყინვა, რომ შემდგომი დარგვისთვის არ იყოს მოყინული. მცენარეები იყოფა ორ ჯგუფად: გორგლოვანებად და ბოლქვოვანებად. ბოლქვოვანი ადრე ამოდის, გორგლოვანები კი – გვიან. მცენარის ბოლქვებს ინახავენ მშრალ და გრილ ადგილას, სადაც მისი სრულყოფილი ტემპერატურა +8-10 გრადუსია, ადრე გაზაფხულზე კი ისევ ვაბრუნებთ ნიადაგში. ნიადაგიდან ადრე ამოგვაქვს მხოლოდ ტიტებისა და ლილიების სახეობები, რომლებიც ნახერხში ინახება. თუ გსურთ, რომ მცენარემ უხვად იყვავილოს, აუცილებელია, ბოლქვები სიგრილესა და სიბნელეში იყოს, სადაც ნესტი არ იქნება. თუ ბოლქვებს შეინახავთ სარდაფში, კარგად შეინარჩუნებს ბიოლოგიური აღმოცენების უნარს და ჯანსაღი იქნება.

**კითხვა**: **რამდენ ხანს შეიძლება იყვავილოს კუფეამ?**

**პასუხი**: ეს მცენარე გაზაფხულიდან შემოდგომამდე ყვავის. მას წვრილი, მილისებრი წითელი ყვავილები აქვს, წვეროებზე მოთეთრომოიისფრო ლაქებით. ის ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება. თუ გაზაფხულზე სიმაღლეში გადაჭრით, ახალ საყვავილე ღეროს ამოიყრის.

**კითხვა**: **სად დავდგა კალათეა, თავი კარგად რომ იგრძნოს?**

**პასუხი**: კალათეა თავს კარგად გრძნობს ჩრდილიან გარემოში. ეს მცენარე მზის გულს უნდა მოარიდოთ და შეურჩიოთ ისეთი ადგილი, სადაც ჩრდილი იქნება, მაგალითად, უმზეო სასტუმრო ოთახი ან სააბაზანო.

მოამზადა
**თეონა გოჩალიშვილმა**

# სასიყვარულო სამკუთხედი მამაკაცის 8-წლიანი პატიმრობით დასრულდა



25 წლის ზაირა გ-ს გაუპატიურებისა და სასტიკი წამებისთვის მალხაზ ს-ს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა. როგორც გამოძიებით გაირკვა, ბრალდებული და დაზარალებული წარსულში, დაახლოებით ხუთი წლის წინ, საყვარლები იყვნენ, ანუ, მათი ურთიერთობა დასრულებული იყო მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ბრალდებულმა ყოფილ საყვარელზე შური დის გამო იძია...

ვიდრე გაირკვეოდა, რა მოხდა რეალურად, გამოძიება სრულიად სხვა მიმართულებით წარიმართა. სამართლადამცველებმა ჩათვალეს, რომ საქმე ეხებოდა ეჭვიანობას, კერძოდ იმას, რომ, ოჯახის შექმნის მიუხედავად, მალხაზ ს-ს ზაირა მაინც უყვარდა, სხვა კაცთან ურთიერთობის გამო კი ეჭვიანობდა და შური ამიტომ იძია.

აღსანიშნავია, რომ სამართლადამცველებს ამ ვერსიაზე თავად დაზარალებულმაც უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა, მან დუმილის უფლება გამოიყენა, რითაც გამოძიებას ვერსია გაუმყარა. თუმცა, საბოლოოდ გაირკვა, რომ მიზეზი არა სიყვარული, არამედ რევანში იყო და არა მხოლოდ ბრალდებულის, თვით დაზარალებულის მხრიდან: ქალმა მას წარსულში მიყენებული ტკივილი არ აპატია, კაცმა კი შური დის ოჯახის დანგრევის გამო იძია.

### 4 წლით ადრე მომხდარი გაუმჟღავნებელი გაუპატიურება

მალხაზ ს-მ და ზაირა გ-მ რაიონში ერთი სკოლა დაამთავრეს. ზაირა მალხაზის უმცროსი დის – ხათუნას თანაკლასელი იყო და მათთან სახლში ხშირად დადიოდა სტუმრად. წლების განმავლობაში იმდენად დაახლოვდნენ, მათი ურთიერთობა თბილისში სტუდენტობის პერიოდშიც გაგრძელდა. მეტიც, მალხაზის დამ, ხათუნამ და ზაირამ ერთად დაიქირავეს ბინა. სწორედ ამ წლებში, ჯარში მყოფი მალხაზი ხშირად აკითხავდა გოგონებს. ერთ ღამეს კი ყველაფერი შეიცვალა – მალხაზი ზაირასთან დარჩა და მათ შორის ინტიმური კავშირი დამყარდა...

როგორც ჩვენებებით ირკვევა, იმ დღეს ხათუნა ჯგუფელთან დარჩა, ღამით კი მასთან ძმა მივიდა, რომელსაც სახლში მხოლოდ ზაირა დახვდა. როგორც ბრალდებული ამბობს, ზაირამ მოატყუა, რომ ხათუნა მალე დაბრუნდებოდა და ამიტომ დარჩა დის სახლში, მაგრამ, ხათუნა არ დაბრუნდა. შესაბამისად, კაცი ამბობს, რომ, რაც იმ ღამეს მოხდა, მხოლოდ ზაირას ბრალი იყო...

ბრალდებულის თქმით, იმ ღამის შემდეგ მას ზაირა შეუყვარდა და მის ცოლად მოყვანაზეც ფიქრობდა, მაგრამ, არ უნდოდა, ეს ამბავი მათ ოჯახებს გაეგოთ და მომხდარი ორივემ დამალა. სიტუაცია კი ისე აეწყო, რომ თითქმის სამი წელი წყვილს ურთიერთობა არ შეუწყვეტია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზაირა დაფეხმძიმდა, მაგრამ, ვინაიდან სხვა გამოსავალი ვერ იპოვეს, ორსულობა არა ქორწინებით, არამედ, აბორტით დასრულდა...

ზაირა გ-ს თქმით, აბორტის შემდეგ მათი შეხვედრები, ფაქტობრივად, დასრულდა. მალხაზი ყველანაირად ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა ის და გასაბრაზებლად მათთან სახლში უკვე სხვა გოგონებთან ერთად მოდიოდა. ამიტომ, ზაირა იძულებული გახდა, მომხდარის შესახებ მალხაზის დისთვის, ხათუნასთვის მოეთხრო, მაგრამ ხათუნამ ეს ამბავი თავიდან არ დაიჯერა, შემდეგ კი თავი შორს დაიჭირა და მეგობარს უთხრა, რომ მათ საქმეში ვერ ჩაერეოდა, რადგან, მის მშობლებს ეს ამბავი რომ გაეგოთ, მასაც და მის ძმასაც სოფელში წაიყვანდნენ. ამიტომ, მეგობარს ურჩია, მალხაზისთვის დრო მიეცა, რადგან, ის ცუდი ადამიანი არ იყო და აუცილებლად სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

დაზარალებულის თქმით, რამდენიმე თვეში ხათუნა მისი ბინიდან გადავიდა, რადგან, მშობლებმა და-ძმას ბინა უყიდეს, თანაც, მათი ურთიერთობა გაფუჭდა და ცალ-ცალკე ცხოვრება ყველასთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. მისივე თქმით, ის და ხათუნა ზოგჯერ ხვდებოდნენ კიდეც, რადგან, საერთო მეგობრები ჰყავდათ და სხვანაირად არ გამოდიოდა. საბოლოოდ კი, სამი წლის ლოდინის შემდეგ მალხაზმა ცოლი მოიყვანა, რაც მისთვის უზარმაზარი დარტყმა იყო...

ზაირას ჩვენებით ირკვევა, რომ მასა და მალხაზს შორის მომხდარის შესახებ მხოლოდ ხათუნამ იცოდა და ძალიან ნანობდა, რომ მას უთხრა, რადგან, ამის გამო ზემოდან უყურებდა და ყველანაირად ცდილობდა, საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა...

### გაუპატიურებისა და წამების მიზეზი

როგორც ზაირა გ-ს, ასევე ხათუნა ს-ს ჩვენებით დადასტურებულია, რომ ორივე მათგანს მეგობრული და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ნიკოლოზ ბ-სთან. ბიჭი ორივესთან მეგობრობდა, მაგრამ, აშკარად ზაირა მოსწონდა და არც იყო გასაკვირი – ზაირა, ხათუნასგან განსხვავებით, გარეგნულად ლამაზი იყო. ნიკოლოზი დიდხანს ცდილობდა ზაირას ყურადღების მიპყრობას, მაგრამ, ვინაიდან მას მალხაზი უყვარდა, ნიკოლოზთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარი თქვა, რითაც ისარგებლა ხათუნა ს-მ და იმდენი მოახერხა, საბოლოოდ ყველაფერი ქორწინებით დასრულდა – ზაირას უარის შემდეგ ნიკოლოზმა ცოლად ხათუნა მოიყვანა.

ზაირას თქმით, პირველ ეტაპზე ის დარდს უმკლავდებოდა, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ, დარდის გასაქარვებლად, ჯერ ერთი მეგობარი ბიჭი გაიჩინა, მერე – ცუდ გზას დაადგა. მამამისის ასაკის კაცი გაიცნო და მასთან გააბა რომანი, რომელმაც, მალხაზის მსგავსად, მიატოვა, რამაც ზაირა საბოლოოდ ჩააგდო დეპრესიაში, ცუდ წრეში მოხვდა და არც ნარკოტიკზე ამბობდა უარს. ზაირა გ-ს თქმით, ამ ყველაფერმა იმდენად გააბოროტა, გადაწყვიტა, და-ძმაზე შური ეძია, თუმცა, დაზარალებული თავად გახდა, რადგან მალხაზ ს-მ გაიგო მისი ჩანაფიქრი, გააუპატიურა და თან სასტიკად სცემა...

შურისძიების მოტივით ზაირა გ-მ შემდეგი მოიმოქმედა: მის ერთ-ერთ საყვარელს ხათუნას ქმართან, ნიკოლოზთან დაარეკინა და დაარწმუნა, რომ სტუდენტობისას ხათუნა მისი საყვარელი იყო; გარდა ამისა, ვინაიდან ზაირამ ზუსტად იცოდა, რომ ხათუნას ინტიმურ ადგილას დიდი ხალი ჰქონდა, ქმრისთვის ესეც ათქმევინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახი დაინგრა და ხათუნა სახლში დაბრუნდა, თუმცა, სატელეფონო ზარები საბაბი იყო, სინამდვილეში, ნიკას ხათუნა არ უყვარდა...

სატელეფონი ზარის ავტორი რომ ზაირა იყო, ამას ვერავინ წარმოიდგენდა, თუმცა, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ზაირა გ-მ ხათუნას თავად დაურეკა და ჯერ აგინა, შემდეგ კი ნიშნის მოგებით უთხრა, შენს ქმართან მე დავარეკინეო; ბოლოს კი დაემუქრა, რომ მასაც და მის ძმასაც ისე გაუმწარებდა ცხოვრებას, როგორც თავად გაუმწარეს.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ხათუნას ოჯახის დანგრევის მიზეზი ზაირა გახდა, მან ძმას მიუტანა ამბავი, რის შემდეგაც, მალხაზ ს-მ ზაირა ფაქტობრივად, მოიტაცა – მოტყუებით ჩაისვა მანქანაში და ტყეში წაიყვანა. როგორც ზაირა, აცხადებს ჩვენებაში, მალხაზმა ის ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი სასტიკად აწამა. როგორ გადაურჩა სიკვდილს, ეს თავადაც უკვირდა...

სასამართლოზე მალხაზ ს-მ ზაირა გ-ს მიერ მიცემული ჩვენება დაადასტურა, თუმცა, ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ბრალდებულისა და დაზარალებულის წარსული მათმა ახლობლებმა პირველად პროცესზე შეიტყვეს... რეალურად, მალხაზმა აღიარა, რომ 20 წლის ასაკში ზაირა გააუპატიურა და მიატოვა.

რაც შეეხება ხათუნა ს-ს, მანაც დაადასტურა, რომ ეს ამბავი იცოდა და მეგობარი განსაცდელში მიატოვა. მას არც ის დაუმალავს, რომ მის ქმარს, ნიკას, რეალურად ზაირა უყვარდა, მან კი ზაირას უარით ისარგებლა და თავად გაჰყვა ცოლად ნიკას.

რაც შეეხება თავად ნიკოლოზ ბ-ს, მან სასამართლოზე განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ურეკავდნენ და მისი ცოლის შესახებ პერიოდულად უყვებოდნენ ინტიმურ დეტალებს, რაც მათი ოჯახის დანგრევის მიზეზი გახდა. რაც შეეხება ზაირა გ-ს, ნიკოლოზმა მასზე განაცხადა, რომ ზაირა ძალიან უყვარდა და, რომ სცოდნოდა მისი უარის მიზეზი, ყველაფერს გააკეთებდა, რომ თავის სიყვარულში დაერწმუნებინა და ცოლად მოეყვანა...

ვინაიდან სახეზე იყო გაუპატიურება და ადამიანის სასტიკი წამება, რასაც თავად ბრალდებულიც არ უარყოფდა, სასამართლომ გაითვალისწინა ყველა გარემოება და მალხაზ ს-ს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-39(665)

– რა ვიცი, – ავიჩეჩე მხრები, – მე მეგონა, წაკითხული გქონდა.

– არა, ძმაო, შენ და თათიას წერილების კითხვა ჩემი საქმე არ არის, მე ჩემი საკითხავი წერილები და დანოსებიც მეყოფა, – მითხრა ხუჭუჭამ, წერილი გამომართვა, ჩემ წინ დაწვა და დაამატა: მოკლედ, ასე: სროკიდან რომ გამოხვალ, ერთ კვირაში უკვე შენებთან იქნები და ამ საქმეს ჩემს თავზე ვიღებ. მთავარია, ისეთი გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს, რაც ამ გეგმებს ჩაგვიშლის. ისე კი, გირჩევ, დამთანხმდე შენს აქედან გაყვანაზე და მაქსიმუმ ერთ თვეში მოგვარდება ყველაფერი.

– არა, ხუჭუჭ, მე ქურდი ვარ და ვერავის ვათქმევინებ, კობრა გაპრასტიტუტკდაო. მირჩევნია, კიდევ ორი წელი მოვიცადო.

– კარგი, ასე იყოს, – გაეცინა ხუჭუჭას, – ისევ ისეთი ჯიუტი ხარ, შენ რა გამოგასწორებს. აქედან ისე სუფთად გაგიყვან, რომ არავის არაფერი ექნება სათქმელი.

– არა, კიდევ ორი წელი.

– კარგი, – მითხრა ხუჭუჭამ და მკითხა: შენს გათავისუფლებამდე მეტად ველარ შევხვდებით და, თუ რამე თხოვნა გაქვს, მითხარი და შეგისრულებ.

– მაქვს, – ვუთხარი ხუჭუჭას.

– გისმენ.

– ხუჭუჭ, იქნებ, საცოდავი ვაჟას საქმე გააიასნო და მის მკვლელებს მიხედო. მართალია, მას მერე დიდი დრო გავიდა, მაგრამ, იქნებ ეს მოახერხო, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ცოცხლები არიან.

– ვაჟა, ვაჟა... ღმერთმა აცხონოს. გახსოვს, კონსერვის ბანკა რომ მოვარტყი თავში ობოლაძის კუთხეში?

– როგორ არ მახსოვს.

– მისი ვაჟი შენი კოლეგაა, ქალიშვილი – ექიმი, ცოლი კი პენსიაზეა, – მითხრა ხუჭუჭამ, – რაც შეეხება ჩვენი ვაჟას მკვლელებს, ოთხივე ნაძირალა კარგა ხანია, იმქვეყნიურები არიან და ჯოჯოხეთში იხარშებიან.

– ეგ როგორ?

– მე ვიცოდი, რომ ჩვენი საუბრის დროს ამ თემას შეეხებოდი და პასუხისთვის წინასწარ მოვემზადე, – მითხრა ხუჭუჭამ და ექვსი ცალი ფოტო მომაწოდა, რომელზეც ოთხი თავმოკვეთილი მამაკაცი იყო აღბეჭდილი, – აი, ამათმა მოკლეს ჩვენი ვაჟა ტყუილუბრალოდ. სულ მალე კი ისინი ვილაცამ მოიხელთა ერთ-ერთის ბინაში და ასე სასტიკად გაუსწორდა.

ნათელი იყო, რომ ვაჟას მკვლელების დასჯა ხუჭუჭას ნამოქმედარი იყო, მაგრამ ამის შესახებ არაფერი მითქვამს. მე კმაყოფილმა გავიღიმე და ვთქვი:

– ძალიან კარგი. ნაძირლებმა საკადრისი მიიღეს. მეტი თხოვნა არ მაქვს. გულიდან მძიმე ტვირთი მომეხსნა.

– ახლა კი ორი წლით გამოგემშვიდობები, ნახვამდის, – მითხრა ხუჭუჭამ და გადამეხვია. თუხთმეტი წუთის შემდეგ კი უკვე ჩვეულებრივ საკანში ვიმყოფებოდი, სადაც ჩემ გარდა კიდევ ხუთი ჩემი კოლეგა იჯდა.

იმ დღიდან მოყოლებული, ორი წლის განმავლობაში, თათიასთან და გიორგისთან შეხვედრაზე ვფიქრობდი, რაც ჩემს ძალებს აასკეცებდა. ხუჭუჭა რომ არ გაქცეულიყო და „სოდი" რომ არ შემომვარდნოდა სახლში, ახლა უკვე ჩემს ცოლ-შვილთან ვიქნებოდი. „სოდსაც" იმიტომ გავექეცი, რომ ცოლ-შვილთან შეხვედრის შანსი შემენარჩუნებინა და არა სროკზე წასვლის შიშის გამო. სვაბოდაზე ყოველთვის მეტი შანსი გაქვს, თავისუფლება ამჟამად ჩემთვის ჰაერივით აუცილებელი იყო.

მართალია, ციხე ქურდების მშობლიური სახლია და იქ თავს ისე ვგრძნობთ, როგორც თევზი წყალში, მაგრამ, სვაბოდას არაფერი შეედრება. ჩვენზე უკეთ არავინ იცის თავისუფლების ფასი და, მიუხედავად იმისა, რომ, ქურდული კანონების თანახმად, ქურდს შეწყალებით, დროზე ადრე გამოსვლის უფლება არ აქვს, თითოეული ჩვენგანი დიდი სიხარულით ელოდება სროკის დამთავრებას და ციხიდან გათავისუფლებას.



კარგად მახსოვს, პირველი სროკიდან რომ ვთავისუფლდებოდი, რა მოუთმენლად ველოდი გარეთ გასვლას და, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში ჯდომა არ გამჭირვებია, უკან დაბრუნების სურვილი ნამდვილად არ მქონია. მაშინ ჩემი მშობლები ცოცხლები იყვნენ. სწორედ ისინი დამხვდნენ ციხის კართან. ტაქსით მიმიყვანეს სახლში და იმედი ჰქონდათ, რომ ციხეში აღარ დავბრუნდებოდი. თუმცა, მე მათ იმედი გავუცრუე და ისევ ციხეში მოვხვდი. მეორე სროკიდან რომ გამოვედი, ციხის კართან არავინ შემგებებია. ჩემი მშობლები უკვე გარდაცვლილები იყვნენ და დაცარიელებულ სახლში მარტო დავბრუნდი. ჩემს ბინაში ღამით, უცხოსავით შევიპარე, რომ არავის დავენახე, საწოლზე მივეგდე და მწარედ ავტირდი... ჩემი ცხოვრების წესმა ჩემი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მშობლების სიცოცხლე შეიწირა და, მართალია, საკმაოდ გამოცდილი და ცნობილი ადამიანი ვიყავი, მაგრამ, იმ მომენტში ნამდვილად არ ვიცოდი, როგორ უნდა მეცხოვრა დედ-მამის გარეშე.

– დედიკო, შვილო, ციხეში ხომ არავინ გჩაგრავდა? ციხეზე ისეთ საშინელებებს ყვებიან, კაცს თმა ყალყზე დაგიდგება, – მითხრა ცხონებულმა დედაჩემმა, როდესაც სახლში მივედით და სასადილოდ დავსხედით.

– არა, დედი, ვის უნდა დავეჩაგრე, – ღიმილით მივუგე დედას და მკერდზე მივეკარი.

„ეეჰ, ჩემო საყვარელო დედიკო, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ. მაპატიე, რომ სიცოცხლე მოგისწრაფე", – ვიმეორებდი გუნებაში, საწოლზე ვიწექი და ვერ ვმშვიდდებოდი, რადგან, სულსა და გულში უზარმაზარ სიცარიელეს ვგრძნობდი და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორჯერ ნასროკალი ვიყავი და ციხეში შვიდი წელი მქონდა გატარებული, უდედმამობა გულს მიკლავდა და ძალიან მიჭირდა.

კედლის საათმა ორჯერ ჩამოჰკრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღამის ორი საათი იყო, მაგრამ, ძილი არ მეკარებოდა და კვლავ ჩემს გარდაცვლილ მშობლებზე ვფიქრობდი. უცებ ჩხაკუნის ხმა გაისმა, შემდეგ ბინის კარი უხმაუროდ გაიღო და სახლში ორი ადამიანი შემოვიდა. მეც უხმაუროდ ავდექი საწოლიდან, ძველებურ კარადას ამოვეფარე და მივაყურადე. როგორც ახალმოსულების ჩუმი საუბრიდან შევიტყვე, ისინი მოჩალიჩეები იყვნენ, თანაც, ძალიან ახალგაზრდები და არ იცოდნენ, ვის სახლში შევიდნენ. მართალია, იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ ვიყავი ქურდი, მაგრამ, შავ სამყაროში კარგად მიცნობდნენ და ნაცნობი ჩემს ბინაში არ შემოვიდოდა. „როგორც ეტყობა, ახალბედები არიან. აბა, ერთი

ვნახოთ, რა უნდათ“, – გავიფიქრე გუნებაში, შემდეგ ჩამრთველს ხელი მივაჭირე და სინათლე ავანთე, სამალავიდან გამოვედი და სახტად დარჩენილ წყვილს მშვიდად ვუთხარი:

– მშვიდად იყავით, თორემ, ვერსად გამასწრებთ.

ახალმოსულები გოგო და ბიჭი იყვნენ, რომლებსაც ეტყობოდათ, რომ თბილისელები არ უნდა ყოფილიყვნენ.

– ხმა არ ამოიღო, აქვე გაგათავებ! – დამემუქრა ვაჟი და ქამრიდან უზარმაზარი ხანჯალი ამოაცურა, გოგონამ კი დაამატა:

– ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებთ, ოღონდ არ იყვირო და აქედან მშვიდობიანად გაგვიშვი.

„ერთი ამათ დამიხედე“, – ვთქვი გუნებაში, დაუპატიჟებელ სტუმრებს კი ვკითხე:

– რომ ვიყვირო, რას იზამთ?

ვაჟმა კოპები შეკრა, ხანჯალი მომიღერა და მომიგო:

– გტაკებ ამ ხანჯალს, დაგბრიდავ და გავიქცევით.

– დამბრიდავ? – ვკითხე ვაჟს, მაგრამ მას გოგონამ დაასწრო და მიპასუხა:

– აბა, მილიციაში ხომ არ წამოგყვებით?

„რა ნაგლები არიან“, – გამეცინა გუნებაში და ვუთხარი:

– ჩემს სახლში უკითხავად შემოხვედით და მე მემუქრებით, დაგბრიდავო?

– მილიციას გამოვუძახებო, ამბობ და აბა, რას ვიზამ? – მითხრა ვაჟმა.

– გეშლება, ეგ მე არ მითქვამს.

– ვიყვირებო, თქვი და, იგივე არაა?

– არც ეგ მითქვამს. მე გკითხე, რომ ვიყვირო, რას იზამ-მეთქი.

– იგივე არაა? – მითხრა ხანჯალშემართულმა ვაჟმა, – მკითხე და პასუხიც მიიღე.

– მერე, ადამიანის მოკვლა შეგიძლია?

– თუ ღირსია, რატომაც არა!

– შენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ბინაში საქურდავად შესულს პატრონი რომ დაგადგეს თავზე, უნდა მოკლა?

– აბა, სროკზე ხომ არ წავალ?

– რა გაგების კაცი ხარ შენ, ვერ გავარკვიე. ბინის პატრონს დავბრიდავო, სროკზე წასვლა არ მინდაო. აბა, რა გინდა?

– ქურდობა მინდა, ძმაო, რამე პრეტენზია გაქვს?

– ქურდობა გინდა?

– ჰო, ქურდობა მინდა. რა პრეტენზიები გაქვს? – შემომიღრინა ხანჯალშემართულმა ვაჟმა, რომელიც უკვე კარგა ხნის განმავლობაში არ იცვლიდა პოზას.

– ჯერ ერთი, ეგ ხანჯალი შეინახე, კაზაკივით რომ მოგიღერებია და მებლატავები. თუ ქურდობა გინდა, ისიც უნდა იცოდე, რომ ცარიელ ბინაში უნდა შეხვიდე, თანაც მხოლოდ ქურდული ინსტრუმენტები უნდა გქონდეს თან და შენიანს არ უნდა მოჰპარო. შენ კი ელემენტარული არ იცი და ქურდობას როგორ აპირებ?

ბიჭი ისევ არ შემეპუა. მას არც ხანჯალი დაუშვია ძირს და კვლავ შემომიღრინა:

– სიტყვები შეარჩიე, თორემ...

დაუპატიჟებელ სტუმართან დიალოგი საკმაოდ სახიფათო ხდებოდა, რადგან, ის უკვე ზღვარს გადადიოდა და, შეიძლებოდა, მისსავე ხანჯალზე წამომეგო, ამიტომ, სიტყვა გავაწყვეტინე და იქით შევუტიე:

– ხმა აღარ ამოიღო და მშვიდობით წადით აქედან. კობრა ვარ. წადით და გაიკითხეთ ჩემზე. ასეთი საქციელით კი რას მიაღწევთ, მერე ნახეთ და გამიხსენეთ. ახლა კი, აჩუ აქედან!



ქალ-ვაჟი უხმოდ გამეცალა. რამდენიმე წლის მერე კი, როდესაც გუბერნსკში ვიჯექი და რუსეთში ეტაპირებას ველოდი, ციხეზე სწორედ ის ბიჭი მოიყვანეს, რომელიც ჩემსავე ბინაში ხანჯლით მოკვლას მიპირებდა. ის ჯერ ქათმებში შეაგდეს და „გააპრავეს“, შემდეგ კი ადინოჩკა კამერაში გამოკეტეს და, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, ბოლოს კი დახვრიტეს...

მერე გავიგე, რომ, ვაჟი, რომელიც მიმტკიცებდა, რომ ქურდი უნდა გამხდარიყო, თავის კრეტინ მეწყვილესთან ერთად, ვიღაც ნუმიზმატი პროფესორის ბინაში შევიდა მას ოქროს ფულებს სთხოვდნენ და წამებით ამოხადეს სული. იმ საცოდავს კი ბრინჯაოს რამდენიმე მონეტისა და თავისი ნაშრომების გარდა, სხვა ფასეულობა არ გააჩნდა და ამ ნაძირლებმა ტყუილად მოკლეს. როგორც შემდეგ მომიყვნენ, სასამართლო სხდომებზე ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ დანაშაულს და, რადგან ის მოხუცი პროფესორი ორივემ აწამა, ქალიც სიკვდილს იმსახურებდა. თუმცა, საბჭოთა კანონებით, ქალს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სჯიდნენ სიკვდილით და მას მხოლოდ თხუთმეტწლიანი სროკი აჰკიდეს. ჩემი ქურდული კარიერის განმავლობაში მსგავსიც ბევრი მინახავს, ბევრად უარესიც და, რომ არა ჩვენ – ქურდები, იმის წარმოდგენაც კი საშინელებაა, თუ რას დაატრიალებდნენ ეს ნაძირლები ციხეებსა და ზონებში და რამდენ წესიერ ადამიანს დაჩაგრავდნენ და მოუღებდნენ ბოლოს.

მავანმა, შეიძლება, თქვას: საპყრობილეებში წესრიგს ადმინისტრაცია უნდა ამყარებდეს და არა ქურდებიო, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს სწორიცაა, ასე ხდება, თანაც მეტ-ნაკლებად, ევროპაში; საქართველოში კი ჯერ კიდევ ძველი სისტემა მოქმედებს, ქურდული მენტალიტეტი საკმაოდ მყარადაა ხალხში გამჯდარი და მისი ასე ადვილად ამოძირკვა შეუძლებელია. ასეთი რამ საქართველოს ვარდოსანთა რევოლუციურმა მთავრობამ უკვე სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სხვათა შორის, რუსეთში, სროკზე ყოფნისას, არა ერთი ჩემი კოლეგა შემხვედრია, რომელიც სტალინს აღმერთებდა და მასზე ცუდის თქმას არავის პატიობდა.

ერთხელ, მოსკოვის მახლობლად, ეგრეთ წოდებული 101-ე კილომეტრზე, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ვიხდიდი სასჯელს და სწორედ იქ გავიცანი კრიმინალური სამყაროს უხუცესი, 92 წლის პავლე როგოვი, მეტსახელად „რეშკა“. ის, იქვე, დასახლებაში ცხოვრობდა, მაგრამ, თითქმის სულ ზონაში იყო. მართალია, ჩვენი კოლონია მკაცრი რეჟიმის იყო და იქ უმკაცრესი კონტროლი სუფევდა, მაგრამ, რეშკა გამონაკლისი იყო, ზონაში თავისუფლად უშვებდნენ და მას უბატონოდ ხმას არავინ სცემდა. პავლე როგოვი ეგრეთ წოდებულ „ციხის კაცთა“ კატეგორიას ეკუთვნოდა. ციხის კაცს კი იმ ადამიანებს ეძახიან, ვისაც თავისი ცხოვრების სამი მეოთხედი სროკზე აქვს გატარებული და არც სახლი გააჩნია და არც ნათესავები, ანუ, ვისი სახლიც მართლა ციხეა, ნათესავები კი – პატიმრები. ძია პაშა სტატუსით ქურდი არ იყო, მაგრამ, იმდენი რამ ენახა და გადახდომოდა თავს, რომ ათი ადამიანის სიცოცხლეს ეყოფოდა. 92 წლის მიუხედავად, რეშკა მშვენივრად გამოიყურებოდა: არც სიარული უჭირდა, არც მეხსიერება ღალატობდა და ენაც მშვენივრად უჭრიდა. პავლე როგოვი ის ერთადერთი ცოცხალი ადამიანი იყო, რომელიც, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, სტალინთან ერთად იჯდა და რვა თვე მის საკანში გაატარა. ძია პაშა სტალინს ეთაყვანებოდა. აქედან გამომდინარე, ქართველები ძალიან უყვარდა და რომ გაიგო, ზონაში ქართველი მოიყვანესო, თვითონ მოვიდა და გამეცნო:

– პავლე როგოვი, მეტსახელად რეშკა. თუმცა, შეგიძლია, ძია პაშა დამიძახო. შენი სახელი მიბოძე, გეთაყვა.

– გიორგი გველესიანი, მეტსახელად კობრა. სასურველია, მეტსახელით მომმართოთ, თუმცა, შეგიძლიათ, გოგიაც დამიძახოთ, – მისსავე სტილში მივუგე ძია პაშას და გავულიმე.

რეშკა ძველი ოდესური კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი იყო და, როგორც იმ წრის ყველა კაცი, ისიც დახვეწილი, ელეგანტური და მაღალფარდოვანი მე-



ტყველებითა და მანერებით გამოირჩეოდა. ის ინგლისელ ლორდს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე ბოროტმოქმედს, რაშიც გარეგნობაც უწყობდა ხელს.

– ქართველებს დიდ პატივს ვცემ. ნიჭიერი და საქმიანი ხალხი ხართ და, რაც მთავარია, სტალინიც ქართველი იყო, – მითხრა რეშკამ, პაუზა გააკეთა და დაამატა – ახლა სტალინს ბევრი ლანძღავს. შენ რა აზრის ხარ მის შესახებ?

სიმართლე რომ ვთქვა, სტალინით მაინცდამაინც არასდროს დავინტერესებულვარ და მასზე ჩამოყალიბებული აზრი არ გამაჩნია. თუმცა, რა ძნელი მისახვედრი იყო, რომ რეშკა მას აღმერთებდა და ვუთხარი:

– კაცური კაცი იყო, ძალიან ძლიერი პიროვნება.

– უძლიერესი, ჩემო კარგო, უძლიერესი, – მტკიცედ თქვა რეშკამ, – სრულიად ჭაბუკი ვიყავი, როცა ოდესელი კონტრაბანდისტების მარაქაში გავერიე და მათი დავალებით კავკასიიდან დედა-ოდესაში ძველებურ, ძვირფას სამკაულებს ვეზიდებოდი. შემდგომ კი ამ ბარახლოს გემით ევროპაში გზავნიდნენ და პარიზის, ამსტერდამისა და ლონდონის საიუველირო მაღაზიებში ასუხარებდნენ. მორიგი ვოიაჟის დროს, ამ ძვირფასეულობით დახუნძლული ბავშვი, თბილისის ჟანდარმერიამ ფაქტით ამაგდო და ჟანდარმერიის მთავარ სამმართველოში მიმიყვანეს, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ანჩისხატის ეკლესიის გვერდით მდებარეობდა.

– რამდენი წლის იყავი, ძია პაშა? – ვკითხე რეშკას.

– არასრული ჩვიდმეტის. ჩვიდმეტი წელი დაკავების მეორე დღეს შემისრულდა, – მითხრა რეშკამ და გაეცინა, – სხვათა შორის, მაშინდელი ჟანდარმები დღევანდელ მილიციელებზე ბევრად ჰუმანურები იყვნენ და სამდღიანი განუწყვეტელი დაკითხვების შედეგად ვერაფერს გახდნენ ჩემთან. უნდა აღვნიშნო, რომ თითიც არ დაუკარებიათ, მეტეხის ციხეში ისე მიკრეს თავი. მაშინ იქ, ძირითადად, რევოლუციური იდეებით შეპყრობილი სოციალ-დემოკრატები და მარქსისტები ისხდნენ და სწორედ მათთან, 33-ე საკანში გამომამწყვდიეს. ორმოცკაციან კამერაში თითქმის ასი ადამიანი იყო შეყრილი და პატიმრებს იატაკზე ჰქონდათ გაშლილი ბუშლატები. ყველაზე საუკეთესო ადგილზე, ფანჯარასთან მიმაგრებულ კოიკაზე, ოცდაათ წელს მიღწეული, საშუალო სიმაღლის, მკვრივი აღნაგობის ახალგაზრდა კაცი იწვა. მას ნაყვავილარი სახე ჰქონდა და მარცხენა ხელის ხმარება უჭირდა. მას კობას ეძახდნენ და ყველა პატივს სცემდა. თავდაპირველად ის ქურდი მეგონა, შემდეგ კი შევიტყვე, რომ რევოლუციონერი იყო, მთელ ციხეში დიდი გავლენით სარგებლობდა და თვით ავტორიტეტული ქურდებიც კი დიდ პატივს სცემდნენ. კობა მოგვიანებით სტალინი გახდა და მსოფლიო უწევდა მას ანგარიშს. მან დაამარცხა ტროცკისტები, ფაშისტები და დიადი ქვეყანა ააშენა. მაშინ კი, იმ შორეული მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, კობა ჯერ კიდევ ემზადებოდა დიადი საქმეებისთვის და უკვე მაშინ შევატყვე, რომ მას დიდი მომავალი ჰქონდა.

რეშკამ პაუზა გააკეთა. მე ამით ვისარგებლე და ვკითხე:

– ძია პაშა, როგორ შეატყვეთ, რომ სტალინს დიდი მომავალი ჰქონდა?

– კობას, – შემისწორა რეშკამ, – მაშინ ის ჯერ კიდევ კობა იყო. როგორ შევატყვე და გამოხედვით. მის მზერაში ნება, ჭკუა და ეშმაკობა გამოსჭვიოდა. მშვიდი და შემპარავი საუბარი იცოდა და ვერაფერს გამოაპარებდი. ციხეში ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება და, რომ დამინახა, მივხვდი, რომ ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა. მან თავისთან მიხმო და რუსულად, მაგრამ, ძლიერი ქართული აქცენტით მკითხა:

– ეს შენ ხარ ის ყმაწვილი, რომელმაც ასი ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა იპოვა? ყოჩაღ, რომ არ გატყდი, ასე გეჭიროს თავი. კიდევ რამდენიმე თვე გაგაჩერებენ აქ და, თუ რამე სამხილი ვერ მოიპოვეს, ან მოწმე ვერ ნახეს, გაგიშვებენ. მით უმეტეს, რომ არასრულწლოვანი ხარ. ყოჩაღ!

კობა მართალი აღმოჩნდა. მართალია, ციხეში რვა თვე გამაჩერეს, მაგრამ, მაინც გამიშვეს, რადგან, ჯიუტად ვამტკიცებდი, რომ ძვირფასეულობა ვიპოვე და, რადგან მისი პატრონი არ გამოჩნდა, ციხიდან გამათავისუფლეს. თანაც, სამასი ოქროს მან-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | | | | | | ა | | ა | ნ | ო | ნ | ი | მ | ი | |
| | | | | | ი | პ | ა | პ | | კ | | ნ | | ს | |
| | | | | | დ | ა | ნ | ა | მ | ა | | ა | ბ | ი | ბ |
| | | | | | | დ | ა | რ | ი | | ა | მ | უ | რ | ი |
| | | | | | მ | ა | რ | ა | ნ | ი | | ი | დ | ო | ლ |
| | | | | | | ნ | ე | ტ | ო | | ა | ტ | ა | მ | ი |
| | | | | | | ა | კ | ი | რ | ა | მ | | რ | | კ |
| ა | ქ | ე | მ | | ბ | | ლ | | ი | | ა | ლ | ი | ზ | ი |
| | უ | | ა | ს | ა | რ | ი | კ | | კ | რ | ა | ხ | ი | |
| ბ | ლ | ო | კ | ა | დ | ა | | ვ | | | ა | ბ | ა | ნ | ო |
| | ა | რ | ა | ბ | ე | ს | კ | ა | | ო | | ა | | ა | |
| ი | | ა | რ | ა | | ა | | ლ | ე | კ | ი | | გ | | ო |
| მ | ა | გ | ი | დ | ა | | ა | ი | ტ | ე | პ | ი | რ | ე | პ |
| პ | | უ | | ო | ე | ლ | | | ლ | ი | ო | ს | ა | | ე |
| ე | უ | ლ | ი | | ც | ი | ა | ლ | ი | | ნ | ე | მ | ო | რ |
| რ | | ი | ს | ლ | ა | მ | ი | | | თ | ი | თ | ო | | ა |
| ი | | | ა | | ნ | ა | რ | თ | ი | | | ი | ფ | უ | ტ |
| ა | ნ | ე | ნ | | ა | | ი | რ | ა | | უ | | ო | | ო |
| | ი | ლ | ი | რ | პ | ა | | ი | ნ | ე | გ | ტ | ნ | ე | რ |
| ა | ლ | ო | | ა | | ი | ც | ა | კ | | ნ | | ი | ს | ი |
| | ს | | ა | ბ | ა | ს | ი | | ი | ს | უ | ს | | მ | |
| ლ | ე | კ | ვ | ი | | ო | ც | ი | | ი | რ | ე | ტ | ა | კ |
| | ნ | | ე | ნ | ი | რ | ი | | | მ | ი | ნ | ა | | |
| რ | ი | ონ | | ი | | ი | ა | რ | დ | ი | | ი | ო | ბ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 2 | 9 | 4 | 8 | 6 | 1 | 5 |
| 1 | 8 | 4 | 5 | 6 | 2 | 7 | 9 | 3 |
| 6 | 5 | 9 | 3 | 1 | 7 | 8 | 2 | 4 |
| 8 | 9 | 7 | 6 | 3 | 4 | 1 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 3 | 8 | 7 | 5 | 9 | 4 | 6 |
| 5 | 4 | 6 | 1 | 2 | 9 | 3 | 7 | 8 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 2 | 9 | 3 | 5 | 8 | 7 |
| 7 | 3 | 5 | 4 | 8 | 1 | 2 | 6 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 1 | 7 |
| 4 | 7 | 2 | 5 | 1 | 3 | 9 | 6 | 8 |
| 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 2 | 8 | 7 | 3 | 9 | 1 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 3 | 4 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 6 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 1 | 3 | 2 |
| 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 8 | 6 | 7 | 1 |
| 7 | 1 | 8 | 9 | 5 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 3 | 4 | 6 | 1 | 7 | 2 | 8 | 9 | 5 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. Word – ჩაინვორდი. 2. წვერს იპარსავდნენ. 3. „ქუინის“ – We are the champions. 4. „ტროას ცხენი“. 5. შლაპის „ველები“ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას უშლიდა ხელს. 6. კბილის მინანქარი. 7. გამხმარი ბარდის მარცვლებს. 8. საათებში. 9. ელექტროენერგიაზე – კონდინციონერების გამორთვით. 10. მენიჩბეები.**

ეთი გადამიხადეს – მორალური კომპენსაცია, ოდესამდე მატარებლის ბილეთიც ამიღეს და გამამგზავრეს.

ის რვა თვე კი, რაც მეტეხის ციხეში ვიჯექი, კობასთან ერთად გავატარე. მან თავის გვერდით ადგილი გამომიყო და მეტსახელი „რეშკა“ (ქურდულ ჟარგონზე, გისოსს ნიშნავს) მან შემარქვა, რადგან, ხშირად გისოსს მივადებდი ხოლმე სახეს და გარეთ ვიყურებოდი.

– მოსცილდი მაგ ფანჯარას, თორემ, რეშკად გადაიქცევი, – მითხრა ერთხელ კობამ, როდესაც გისოსებს ავეკარი და მტკვარს გავყურებდი. შემდეგ პაუზა გააკეთა და დაამატა: რეშკა, რეშკა... დღეიდან შენ რეშკა იქნები – ეს მეტსახელი ზედგამოჭრილია შენთვის.

ასე შემარქვა კობამ რეშკა და სტალინის შერქმეული სახელით მოვედი დღემდე. რომ არა ის, შეიძლება, ციხეში გავტეხილიყავი და ჟანდარმერიასაც დავემუშავებინე. მაგრამ, სწორედ კობა მასწავლიდა ციხეში თავის დაჭერას და პირადად მმფარველობდა. ისვე მმოძღვრავდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი ჟანდარმერიაში, დაკითხვების დროს. ციხიდან რომ გავდიოდი, კობამ მაგრად ჩამომართვა ხელი და მითხრა:

– ბედნიერ მგზავრობას გისურვებ, რეშკა. ოდესაში რომ ჩახვალ, მიშკა იაპონჩიკი მომიკითხე.

– იცნობ? – ვკითხე კობას, რაზეც ღიმილით მომიგო:

– მქონდა ბედნიერება.

„მიშკა იაპონჩიკი“, იგივე მიხაილ ვინიცკი, ოდესის კრიმინალური სამყაროს მეფე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს ნიჭიერი ადამიანი მრავალპროფილიანი პრისტუპნიკი იყო და კონტრაბანდით, ძარცვით, გამოძალვითა და თაღლითობით იყო დაკავებული. სწორედ მიშკა იაპონჩიკის დავალებით ვეზიდებოდი კონტრაბანდას და, ოდესაში რომ დავბრუნდი, ის უკვე ყველაფრის საქმის კურსში იყო. მან გამიღიმა და მითხრა:

– ყოჩაღ, რა კარგად დაიძვრინე თავი.

– რა კარგად, ძვირფასეულობა ხომ მათ დარჩათ...

– რას იზამ, ჩვენს საქმეში დანაკარგებიც გარდაუვალია. მთავარია, რომ თავი შეგრჩა მხრებზე და სროკი არ აიკიდე. დანაკარგს კი მალევე ავინაზღაურებთ – კარგ ძარცვას განვახორციელებთ და მოგებაშიც კი დავრჩებით.

– ჰო, მართლა, კობამ მოგიკითხა, – ვუთხარი მიშკა იაპონჩიკს, – ეგ რომ არა, ციხეში ჯდომა ძალიან გამიჭირდებოდა.

– კობა მაგარი ვინმეა. მისი ქსივა უკვე მივიღე და ისიც ვიცი, რომ ციხეში „რეშკა“ შეგარქვა. ძალიან კარგი, დღეიდან მეც და ყველანი რეშკას დაგიძახებთ.

იმ დღიდან ხუთი წლის შემდეგ მიშკა იაპონჩიკმა მიხმო და მითხრა:

– რეშკა, ერთი საქმეა და თბილისში უნდა გაემგზავრო.

– თბილისთან მაინცდამაინც ტკბილი მოგონებები არ მაკავშირებს. რა საქმეა?

– სტამბა უნდა ჩაიტანო იქ.



– სტამბა?

– ჰო, სტამბა. ამ დილით გერმანიიდან ჩამოიდა და თბილისშია ჩასატანი.

– კეთილი, თანახმა ვარ.

– არ გაინტერესებს, ვისთან?

– ვისთან?

– შენს „ნათლიასთან“, – გაეცინა მიშკა იაპონჩიკს. მე ვერ მივხვდი, ვისზე მეუბნებოდა ის, მხრები ავიჩეჩე და ვკითხე:

– ვინ ჩემს ნათლიასთან?

– კობასთან. აი, ამ მისამართზე უნდა მიიტანო, კარგად დაიმახსოვრე, – მიშკა იაპონჩიკმა მისამართი მითხრა და დაამატა: ოცდაათი ათასი გადაიხადეს. მესამედი შენია და, თუ გინდა, ახლავე მოგცემ ათი ათას მანეთს, თუ გინდა – დაბრუნების მერე.

– მერე იყოს, – ვთქვი მე და თბილისში გასამგზავრებლად მზადებას შევუდექი.

სტამბა თბილისში მშვიდობით ჩავიტანე. ოთხი ყუთი, რომლებსაც ორმაგი ფსკერი ჰქონდა, საბუთებში აბრეშუმის საქსოვ დაზგებად იყო გაფორმებული და იქ მართლაც საქსოვი დაზგები იდო, თუმცა, ფსკერზე არალეგალური სტამბა იყო ჩალაგებული. თბილისში რომ ჩავედი, სტამბა სადგურზევე გამოვაცალკევე და სპეციალურად მოწყობილ ფაეტონში ჩავტვირთე, შემდეგ მეფაიტონეს გვერდით მივუჯექი და ავლაბრისკენ ავიღეთ გეზი, სადაც ერთ-ერთ კონსპირაციულ სახლში, მიწის ქვეშ, არალეგალური სტამბის ოთახი იყო გათხრილი და მოწყობილი და მხოლოდ სტამბის დანადგარების მონტაჟი სჭირდებოდა.

– ოო, ჩემს ძველ ნაცნობს ვახლავარ! – შემეგება კობა, როდესაც სტამბა მივუტანე და მაგრად ჩამომართვა ხელი, – შენ დიდი სამსახური გაგვიწიე. ხომ არ გინდა, რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება?

– არა, არა, ეგ საქმე საჩემო არაა, ჩემი პროფესიითაც კმაყოფილი ვარ. ისე, თუკი რამეში დაგჭირდით, მსგავს საქმეზე უარს არ გეტყვით, – მივუგე კობას.

– კარგი, ასე იყოს. მომავალ შეხვედრამდე! – მითხრა კობამ. ისევ მაგრად ჩამომართვა ხელი და გამომისტუმრა.

მას შემდეგ კობას აღარ შევხვედრივარ, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა დღეებში შევიტყვე, რომ კობა, რომელთანაც მე წლების წინ მქონდა ურთიერთობა, დიადი სტალინი იყო. მაშინ მე ვლადიმირის ცენტრალში ათწლიან სროკს ვიხდიდი ძარცვისთვის. იქ ერთ-ერთ ნადზორს გაზეთი დავუნახე, სადაც კობას სურათი იყო დაბეჭდილი. სტალინი, რა თქმა უნდა, ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ, ის თუ ჩემი ნაცნობი კობა აღმოჩნდებოდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

პავლე როგოვი, როგორც გითხარით, ციხის კაცი იყო: თავისი ცხოვრების სამი მეოთხედი სროკზე ჰქონდა გატარებული და, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტ ხანს ციხეში სწორედ სტალინის მმართველობის პერიოდში იჯდა, რეშკა მას აღმერთებდა. ამას კი იმით ხსნიდა, რომ სტალინი სამართლიანი ადამიანი იყო. შავ სამყაროს ბინძური ხერხებით, დამამცირებლად არ ებრძოდა და ის უდიდეს აღმშენებლად მიაჩნდა.

– კობრა, ჩემო მეგობარო, – მეტყოდა ხოლმე რეშკა, – ჩემი 92 წლიდან 69 სროკზე მაქვს გატარებული, ამის უმეტესი ნაწილი კი – სტალინის დროს. სად არ ვმჯდარვარ, რა არ მინახავს, მაგრამ ერთი შემთხვევაც კი არ მახსოვს, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში „პატიოსან ჟულიკს“ ვინმე ცუდად მოჰქცეოდა.

„პატიოსანი ჟულიკები“ კრიმინალურ ენაზე იმ კატეგორიის დამნაშავეები არიან, ვისაც უსამართლოდ არ აქვს გასვრილი ხელები ადამიანის სისხლში, არ ძალადობენ ბავშვებსა და ქალებზე, არ არიან ჰომოსექსუალები და მეტ-ნაკლებად ზუსტად იცავენ ქურდულ კანონებს.

– ნუთუ ერთი ასეთი შემთხვევაც არ გახსოვთ, ძია პაშა? – ვკითხე რეშკას.

– სინდისს გეფიცები, რომ არა. პატიოსან ჟულიკებს ნამდვილად არავინ გვეხებოდა. აი, სამშობლოს მოღალატეებს, მოძალადეებსა და პიდორებს კი, გიყვარდეს, სიქას აცლიდნენ როგორც „ძაღლები,“ ასევე, ჩვენც. სტალინის გარდაცვალების მერე კი შავი დღეები დაგვიდგა. ხრუშჩოვმა, იმ ცალტვინა მოღალატემ, შავი სამყაროს ამოძირკვა აიკვიატა, „ბელი ლებედის“ ჯოჯოხეთი მოიგონა და ქურდების გაფუჭებას შეუდგა. თუმცა, ის თავადვე გააფუჭეს და ჩვენც გადავრჩით.

რეშკას მონათხრობებს, შინაარსობრივი ფასეულობის გარდა, ისტორიული ფასეულობაც გააჩნდა – ის ცოცხლად და ზუსტად აღწერდა ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შავი სამყაროს განვითარების ისტორიას, რომელიც, გარკვეულ ეტაპზე, ბოლშევიკური ბრძოლის ისტორიასაც ასახავდა, რადგან, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკები და შავი სამყარო ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-39(665)

### ჩვენ... ღმერთები

ლევანმა ცოლს ფრთხილად გადაუსვა მკლავზე ხელი... ბოლო ორი კვირის განმავლობაში საკუთარ თავთან ბრძოლამ დაღალა. ლიზაც ისე იყო შეცვლილი... სახლში კერძების მომზადებაც კი დაიწყო. მართალია, კაცისთვის ეს სულაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას და არც იმას ფიქრობდა, რომ კარგი ცოლობა კარგ მზარეულობას ნიშნავდა, მაგრამ, მაინც სასიამოვნო იყო სამზარეულოში მოფუსფუსე, ქმარზე მზრუნველი ცოლის ყურება.

– ლიზა, ხომ კარგად ხარ? – ჰკითხა ოდნავი დაეჭვებით.

ქალმა გადაიკისკისა:

– რა უცნაური ხარ, რატომ მეკითხები ამას?

– რა ვიცი. უბრალოდ... ძალიან სხვანაირი გახდი. ზოგჯერ ვფიქრობ, ხომ არ... – კაცმა წინადადება აღარ დაასრულა.

ლიზამ წარბები ასწია:

– ანუ, ხომ არ ვთამაშობ... ამის თქმა გინდოდა? ლევან, მე ხომ უკვე გელაპარაკე ამაზე? ხომ აგიხსენი, რომ ჩემს ცხოვრებაში ახლა ყველაფერი სხვანაირად არის? მოდი, ასე ვთქვათ, – გავიზარდე. შეიძლება, დამღალა ჩემმა ძველმა ცხოვრებამ და ოჯახური სიტუაცია მომენატრა...

– კარგია. მომწონს შენი ასეთი სახეცვლილება. რაღაცნაირი ხარ.... ისევ იმას ვხედავ შენში, რაც ადრე მომწონდა და მაგიჟებდა.

– ოჰ, რა საინტერესოა! – ლიზა ქმარს კალთაში ჩაუჯდა და ლამაზი, შიშველი ფეხები სავარძლის სახელურზე შემოაწყო, – აბა, მომიყევი, რა გაგიჟებდა ჩემში.

– ბავშვური მიამიტობა და სიცელქე... მახსოვს, პირველად რომ გნახე, ვიფიქრე, რომელიღაც ზღაპრიდან გადმოსული გმირია-მეთქი.

– რა საყვარელი ხარ... – ლიზა ქმარს მიეხუტა, – მაინც, რომელი ზღაპრიდან, თოვლის დედოფალი ხომ არ გეგონე? იცოდე, ძალიან არ მომეწონება იმ ცივ, უგულო, ამპარტავან ქალთან შედარება. თუმცა, ვაღიარებ, ხასიათში რაღაც მისეული მართლა მაქვს – პრინციპული და ჯიუტი ვარ. თანაც, ყოველთვის ვაღწევ იმას, რაც მსურს.

– არა, არა, რა თოვლის დედოფალი... უფრო „რუსალკას“ შეგადარე, ქალთევზას.

– უი, ესე იგი, კუდიანი ვარ? – ვითომ გაბრაზდა ლიზა.

– თევზის კუდი კუდიანობას ნიშნავს? – დაიბნა კაცი, – მაგას არ ვგულისხმობდი. არ გახსოვს, ზღაპარში ქალთევზა როგორი საყვარელია?!

– შენ როგორ კარგად გახსოვს ზღაპრები! ისე, საყვარელო, ყველა ზღაპარი ერთი დიდი ტყუილია, ამიტომ, ბავშვობაშიც არ მიყვარდა. მაგ ქალთევზას კი თვითშეფასების კრიტერიუმი ჰქონდა დაბალი.

კაცმა ხმამაღლა გაიცინა:

– საწყალი ქალთევზა... გაანადგურე.

– ყველაფერს შენით უნდა მიაღწიო. ზღაპრებში კი ჯადოსნური ჯოხის აქნევით ხდება სასწაულები, ბავშვებიც ტყუვდებიან და მერე, მთელი ცხოვრება კეთილი ფერიის მოლოდინში არიან. იცი, მე უკვე ერთი წლისამ ვიცოდი, რომ არანაირი თოვლის ბაბუა არ არსებობდა – თავიდანვე გარკვეული მქონდა ყველაფერი.



– საჩუქრებზეც უარს ამბობდი?

– არა, საჩუქრებზე უარს არასოდეს ვიტყვი, რა სისულელეა. ეგეთი სულელიც არ ვარ. პირდაპირ მივდიოდი მამაჩემთან და ვეუბნებოდი: არ გინდა, საახალწლოდ ახალი სათამაშოები, კაბა, ფეხსაცმელი მიყიდო-მეთქი?!

– ჩემთანაც ხომ იგივე მეთოდი გაქვს, – გაეღიმა ლევანს.

– ჰო. არ მოგწონს?

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, მე რომ მიყვარს ზღაპრები?!

– გიყვარდეს, ავიტან როგორმე. მით უმეტეს, რომ შენი ეგ თვისება მალე ძალიან გამოგადგება.

კაცი დაიძაბა, ცოლს სახეში ჩააშტერდა და დაუფარავი შეშფოთებით ჰკითხა:

– რას გულისხმობ?

– ხომ გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ბავშვი მინდა-მეთქი... მგონი, გამოგვივიდა.

– რა?! ლიზა, არ გადამრიო!

– ჰო, უნდა გადაირიო. ორივე უნდა გადავირიოთ. შვილი გვეყოლება... საყვარელი, ბუნჩულა, ლამაზთვალებიანი და შენსავით თბილი... გიხარია?

– ლიზა, მითხარი, რომ მეხუმრე!..

– მე? არც მიფიქრია... ბავშვი აუცილებლად გვეყოლება. ოღონდ, ჯერ არა. რაღაც დრო ნამდვილად დასჭირდება.

– ლიზა...

– რას აიჩემე – ლიზა, ლიზა!.. – გაცხარდა ქალი, – ჰო, ლიზა მქვია, შენი ცოლი ვარ და მალე შვილსაც გაჩუქებ.

ლევანმა ამოიოხრა. ცოლს მსუბუქად უბიძგა და აიძულა, მუხლებიდან ამდგარიყო. სიგარეტს მოუკიდა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. ლიზა დაძაბული ადევნებდა თვალს, ბოლოს ვეღარ მოითმინა.

– რა იყო, ლევან? რაღაც, ძალიან შეგაშინა ჩემმა ახალმა ამბავმა.

– შემაშინა? არანაირად. რატომ უნდა შემშინებოდა? უბრალოდ, მოულოდნელი იყო და ცოტა დავიბნენი.

– ახლა უკვე სერიოზულად გავბრაზდები. ბოლო დროს სულ ბავშვზე და ჩემს ფეხმძიმობაზე ვლაპარაკობდი... ახლა, არ თქვა, არაო...

– ლაპარაკი ერთია, ფაქტის წინაშე რომ დააყენებ ადამიანს – მეორე!

– ლევან, რაღაც გეშლება. ფაქტის წინაშე შეიძლება საყვარელი დააყენო. შენ ჩემი ქმარი ხარ.

– ჰო, ასეა... თუმცა...

– რა გინდა, ახლა, ნერვები მომიშალო და ამატირო? – ასლუკუნდა ლიზა და ლევანიც მაშინვე მოლბა: ცოლთან მიიჭრა, ხელები მოჰხვია და მაგრად ჩაიხუტა. ქალი ყასიდად გაუძალიანდა:

– მომშორდი... მე კი, სულელს, მეგონა, ძალიან გაგეხარდებოდა...

– გამიხარდა. ხომ არ ვამბობ, არ გამიხარდა-მეთქი?!

– რა ვიცი, ლამის გაიქეცი სახლიდან...

– არსადაც არ გავქცეულვარ, დამშვიდდი, – სერიოზულად თქვა კაცმა.

– ძალიან მშვიდად ვარ. მალე დედა გავხდები და ვიცი, რომ წვრილმანების გამო არ უნდა ვინერვიულო. თუ არ გინდივართ, არც ეგ იქნება პრობლემა – ბავშვს მარტოც მშვენივრად გავზრდი, უშენოდ...

– აბა, მოეშვი სისულელეებს და ეგ აღარასდროს გაიმეორო! მარტო გაზრდი კი არა, ხვალ მე თვითონ წაგიყვან საუკეთესო ექიმთან. ახლა შენ განსაკუთრებული მოვლა გჭირდება. ყურადღებას არ მოგაკლებ. ის კი არა, სამსახურიდანაც წამოდი, თუ გინდა, ზედმეტად რომ არ დაიღალო.

– სამსახურიდან არ წამოვალ. მომწონს, რომ ვმუშაობ. თან, ჩემი ფულიც მინდა.

– ფულს არ გაძლევ? როდის დამიჭერია შენთვის ფული და იმდენი არ მომიცია, რამდენიც გითხოვია?

– მოგიცია, მაგრამ, სამსახური მაინც სხვაა. რა გავაკეთო, როცა შენ შენს საქმეებზე ირბენ? სახლში მოწყენილობისგან მოვკვდები.

– კარგი, როგორც გინდა. ექიმთან კი

ხვალ აუცილებლად წავიდეთ. გაიგე, ვინ არის ქალაქში საუკეთესო ექიმი... მშობიარობა სერიოზული საკითხია, აქედანვე უნდა მოვემზადოთ.

ლიზამ ტუჩები გაბუსხა.

– აქ უნდა ვიმშობიარო? ჩემი ორი დაქალი ევროპაში წაიყვანეს ქმრებმა... ცუდი არ იქნება, თუ ჩვენი შვილი ვენაში დაიბადება.

– ეგეც შეიძლება, თუ ექიმი ფრენის ნებას დაგრთავს.

– რატომაც არ დამრთავს?! ორსულობა ავადმყოფობა არ არის, ბუნებრივი და ნორმალური მდგომარეობაა ყველა ქალისთვის.

– ჰო, მაგრამ, სიფრთხილე მაინც საჭიროა, – თავი გადააქნია კაცმა, – საღამოობით ვისეირნოთ ხოლმე სუფთა ჰაერზე.

– შენც ჩემთან ერთად ისეირნებ? – ლიზა გაიბადრა.

– რა თქმა უნდა. მე სულ შენ გვერდით ვიქნები.

ლიზა ქმარს მკერდზე მიეყრდნო და გაინაბა:

– იცი, რა მშვიდად ვარ?! მომწონს, ჩემი ახალი მდგომარეობა.

– ჩემი გადარეული და ცელქი გოგო!.. როგორც იქნა, დაჭკვიანდა... – ჩაილაპარაკა ლევანმა და ერთბაშად შეკრთა – ჯიბეში მისმა მობილურმა დაიწკრიალა უდროოდ და გამაყრუებლად.

– ასეთ დროს ვინ გირეკავს? – ეჭვით იკითხა ლიზამ და ხელი ქმრის შარვლის ჯიბისკენ წაიღო. ლევანმა დაასწრო, მობილური ამოიღო და ეკრანს დააშტერდა.

– ისეთი არავინ... რესტორნიდან რეკავენ, დაველაპარაკები და მოვალ.

– მოხვალ? თანამშრომელთან საქმეზე სალაპარაკოდ სხვა ოთახში უნდა გახვიდე? – ორაზროვნად ჩაიცინა ლიზამ.

– იყოს, მერე დავურეკავ, – მოგონილი გულგრილობით წარმოთქვა კაცმა და გათიშვის ღილაკს თითი დააჭირა...

***

თიკომ ტელეფონი ბრაზით მოისროლა მაგიდაზე და ცრემლიანი თვალები ხელისგულებით მოიწმინდა: „საზიზღარი!.. არადა, როგორ წესიერ კაცად მაჩვენებდა თავს. ტელეფონი გამითიშა... უსინდისო. მატყუებდა... ერთი წუთით არ უფიქრია ჩემზე სერიოზულად. რომ გეკითხა, ცოლთან პრობლემები ჰქონდა... ყველა კაცი ერთნაირია. მარტო იმას ფიქრობენ, საწოლში როგორ შეგითრიონ“.

– თიკო, თიკო! – მოთმინებადაკარგულმა გიგიმ იყვირა და გოგოს მხარზე წაავლო ხელი.

– რა გჭირს, გძინავს? რა გაშტერებული მიყურებ, ვერ მიცანი?!

– შენ რაღა გინდა?! რას გამოვარდები ხოლმე ოთახიდან, მშვიდად მუშაობა რატომ არ შეგიძლია?! – იფეთქა თიკომ.

გიგიმ პირი დააღო გაოცებისგან:

– რას მერჩი, რა დავაშავე? რომ ვმუშაობ და კლიენტის ტელეფონის ნომერი რომ მინდა, იმიტომაც შევაწუხე თქვენი აღმატებულება. შენ კი ისე მიღრენ, თითქოს ჩემი ცოლი იყო.

– ღმერთმა დამიფაროს, შენნაირი ქმრისგან! – პირჯვარი გადაიწერა თიკომ.

– ბარემ ოცნებობ, მაგრამ ფეხი არ ჩაგდის, – წაუმღერა გიგიმ და მიიღო კიდეც – თიკომ მთელი ძალით ჩაარტყა საფულე თავში.

– ე, გოგო, გაგიჟდი? რას აკეთებ?!

– მომეშვი, თორემ, კიდევ დაგარტყამ.

– შენ სულ გააფრინე, ხომ იცი! შევალ ახლა და ვახოს ვეტყვი ყველაფერს.

– შენი ნებაა, შებრძანდი და უთხარი. მეც ვეტყვი მერე რაღაც-რაღაცეებს.

– ვიცი, რომ ეტყვი, ენა კი გაქვს გრძელი და არც გველობაში მოიკოჭლებ.

– გიგი, გაფრთხილებ, მოთმინებიდან არ გამომიყვანო.

– გამოსული ხარ უკვე – შეშლილივით იქცევი... მომეცი იმ კლიენტის ტელეფონის ნომერი და თვალით აღარ დაგენახვები.

– კლიენტების ტელეფონის ნომრები შენ არ უნდა გქონდეს? ვკითხოთ ვახოს, ვინ უნდა შეინახოს ის ნომერი, ვის შეკვეთაზეც მუშაობს?

– აუ, დამეკარგა და შემჭამე ახლა. რა მოხდა, შენ არაფერი დაგკარგვია?

– გიგი, რატომ ცდილობ მუდმივად ჩემთვის ნერვების მოშლას?

– მე ვცდილობ? რა უსინდისო განაცხადია!

– აჰა, ესე იგი, უსინდისოც ვარ? კარგი. არ მოგცემ ნომერს. შედი ვახოსთან და უთხარი, რომ კლიენტის ტელეფონის ნომერი დაკარგე.

გიგიმ ხელები გაშალა:

– არა, რა! აშკარად რაღაც გჭირს. თაფლი და შაქარი არც ადრე იყავი, მაგრამ, ახლა ხელჩართულ ბრძოლაზე გადახვედი. დაწყნარდი, დამშვიდდი და ტელეფონის ნომერი მომეცი. გპირდები, ეგრევე გავქრები აქედან.

– მითხარი, ვისი ნომერი გინდა.

– იმ ტიპის, რესტორნის რეკლამა რომ გავუკეთეთ ბოლოს, ჩვენც რომ დაგვპატიჟა და გვაქეიფა.

თიკო გაფითრდა.

– არა! – თქვა უცებ კატეგორიული ტონით.

– რა – „არა“, არ მაძლევ ნომერს?

– არ მაქვს მე იმ კაცის ნომერი.

– ეე, ახლა ეგეთები არ იყოს. შენი ჟურნალი გადამალე. ზუსტად ვიცი, იქ ჩვენი ყველა შემკვეთის მონაცემები გაქვს ჩაწერილი.

– მაგ კაცის არ მაქვს.

– გადავირევი ახლა! – ხმას აუწია გიგიმ, – მომეცი, გოგო ტელეფონის ნომერი, თორემ, ნერვები მეც მაქვს!

ხმაურზე ზუკა გამოვიდა ოთახიდან.

– რა გაჩხუბებთ, თქვენი ყვირილი მთელ ოფისში ისმის.

გიგიმ ხელი ჩაიქნია:



– აი, გაგიჟდა და ჩანთა ჩამარტყა თავში.

– ვინ, თიკომ? – გაუკვირდა ზუკას, – რატომ?

– იმიტომ, რომ იდიოტია. თანაც, ჩანთა კი არა, საფულე ჩავარტყი.

– კლიენტის ნომერი ვთხოვე. გეფიცები, მეტი არაფერი მითქვამს.

– კარგი რა, გიგი, ვახომაც ხომ გითხრა, მოეშვი ამ იდიოტურ ხუმრობებს, არ მოსწონს ამ გოგოს და უნდა დახოცოთ ერთმანეთი?

– ვაიმე, არ მიხუმრია, მარტო ტელეფონის ნომერი ვთხოვე... რა ჩემი ბრალია, ამას თუ ბოლო დროს ვილაცაზე აქვს აკრეფილი?!

– არავიზეც არ მაქვს აკრეფილი, – გამოაჯავრა თიკომ. ფურცელზე სწრაფად დაჯღაბნა მობილურის ნომერი და გიგის მიუგდო, – აჰა, და აღარ დაკარგო, კარგად გაუფრთხილდი! – მერე წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

ზუკა გიგის მიუბრუნდა:

– მართლა არაფერი გითქვამს?

– ვა, გეფიცები-მეთქი. გამოვედი და ეგრევე მეცა ცოფიანი კატასავით. არც უკითხავს, რა მინდოდა.

– მდა... ჩვენს ოფისში სქესთა შორის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, – გაიცინა ზუკამ.

– შენ იცინე და, ეს სამკურნალოა, გამოსაკვლევი.

– ე, მოიცა რა... რამდენიც უნდა ვიკვლიოთ, შედეგი იგივე იქნება: ძლიერი სქესი, ანუ ჩვენ, არასდროს მოიშლის თავისი უპირატესობის დემონსტრირებას. ქალები კი ამას ვერასოდეს შეეგუებიან. საკუთარ თავში არ არიან დარწმუნებულები და იმიტომ, – დაასკვნა ზუკამ.

– არ ვიცი, რაში არ არიან დარწმუნებულები, მაგრამ, ეს თუ ერთხელ კიდევ გააფრენს ასე, ყველაფერს ვეტყვი ვახოს, – ღრენით ჩაილაპარაკა გიგიმ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# აგრესია?! – როგორია რეაქცია?

*საკმაოდ საინტერესო ტესტია. მთავარია, იყოთ გულახდილი. წარმოიდგინეთ, რომ სათევზაოდ ხართ. დაიჭირეთ მოზრდილი თევზი, მაგრამ, ის ცოცხალია, კუდს გირტყამთ და გასხლტომას ცდილობს. როგორ ფიქრობთ, სად მოგხვდებათ მისი კუდი?*

**1. ალბათ, სახეში;**

**2. მუცელში;**

**3. ხელებში, სხვაგან სად?!**

**4. არსადაც არ მომხვდება, თევზს რა შეუძლია?!**



*ამოირჩიეთ თქვენთვის სასურველი ვარიანტი? ნახეთ შედეგი.*

*თუ ამოირჩიეთ „ვარიანტი 1“: დარწმუნებული ხართ, რომ გარშემო მყოფებს ძალიან მოსწონხართ, თუმცა, მზად ხართ იმისთვის, რომ, ვისაც თქვენ არ მოსდიხართ თვალში, მის წინააღმდეგ თავდასხმა განახორციელოთ და დაიცვათ თქვენი შეხედულებები. თუ ტირით, ამას უჩუმრად, ყველასგან მალულად აკეთებთ. თქვენ ყოველთვის გაკლდათ სიყვარული და ამის საკომპენსაციოდ დროდადრო უმიზეზოდ ავლენთ აგრესიას. ხშირად ჩახედეთ ადამიანებს თვალებში – თქვენთვის ეს სასარგებლოა.*

*თუ შეარჩიეთ „ვარიანტი 2“: ფიქრობთ, რომ, თუ ვინმე თქვენ მიმართ აგრესიულად არის განწყობილი, ამის მიზეზი თავად ხართ. ცდილობთ, გვერდი აუაროთ მას, ვინც გაწყენინათ, მერე კი, ეს ამბავი საერთოდ დაივიწყოთ. შეხედეთ ცხოვრებას უფრო მარტივად. ნუ დაისჯით თავს იმის გამო, რომ ვიღაცის აგრესიის მსხვერპლი გახდით, ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.*

*„ვარიანტი 3“: საერთოდ არავის აზრი არ გაინტერესებთ. „დაე, გაგიჟდნენ და გადაირიონ ყველანი, მე მაინც ისე მოვიქცევი, როგორც მინდა და საჭიროდ მიმაჩნია!“ – ეს არის თქვენი პრინციპი. მგონი, ზოგჯერ მოგწონთ კიდეც, თავს რომ გესხმიან. კარგი იქნება, თუ ნამდვილ კონფლიქტს კონფლიქტ-თამაშისგან გაარჩევთ. ცუდი არ არის, რომ მუდმივად ტონუსში ხართ, მაგრამ, რას ერჩით საკუთარ თავს? – ადამიანები ერთმანეთის მტრები არ არიან!*

*„ვარიანტი 4“: მშვიდი ადამიანი ხართ. თქვენი წყობიდან გამოყვანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. აგრესიული ადამიანები გებრალებათ. „საწყალი, ეტყობა, მარცხენა ფეხზე ადგა“, – ეუბნებით საკუთარ თავს. გამოფხიზლდით და ერთხელ მაინც გაეცით საკადრისი პასუხი თავდამსხმელს. დროა, რაღაც შეცვალოთ, თორემ, ოჯახის წევრებისთვისაც კი, ყოველთვის „დაბალი ღობე“ იქნებით.*

## მზესავით მბრწყინავი

„სახელმწიფო – ეს მე ვარ!“ – თქვა ერთხელ ლუდოვიკო დიდმა, მეფე-მზემ. ის 72 წელი მართავდა საფრანგეთს და ევროპელ მონარქებს შორის მმართველობის რეკორდი მოხსნა. ნათქვამია, ლაქები მზესაც აქვსო და მისი ცხოვრება სავსეა უამრავი პიკანტური დეტალით.

თავად ლუდოვიკოს დაბადებაც სასწაული იყო: ლუდოვიკო მეცამეტესა და ანა ავსტრიელს 22 წლის განმავლობაში არ ჰყავდათ შვილი. ლუდოვიკო 1638 წლის 5 სექტემბერს მოევლინა ქვეყანას და ახალშობილს ორი ჯანმრთელი კბილი ჰქონდა. ფრანგებმა ეს ღვთიურ ნიშნად მიიჩნიეს. ლუდოვიკო არ იყო განათლებული. ეგოისტურმა და ქარიზმატულმა მემკვიდრემ მეფობას ჭეშმარიტად გაუგო გემო მხოლოდ მაზარინის სიკვდილის შემდეგ – 1661 წელს. ლუდოვიკო სერიოზულად დაკავდა სახელმწიფო საქმეებით და მის დროს საფრანგეთი ევროპის ერთ-ერთ ძლიერ სამეფოდ იქცა.



ლუდოვიკოს უყვარდა ცეკვა და „პატარა“ ომები – მოახტებოდა ცხენს და მეზობლებს „საქმეებს ურჩევდა“. ამან საფრანგეთს შესძინა ფლანდრია, ელზასი, ლოტარინგია, ფრანშკონტე, ლუქსემბური, სტრასბურგი და მიწები ბელგიაში.

ლუდოვიკომ მთლიანად შეცვალა საფრანგეთის სამეფო კარის ეტიკეტი. შემოიღო წარმოუდგენელი ფუფუნება და რეგლამენტირებული მოძრაობაც კი... ევროპა ბაძავდა საფრანგეთსა და მის ბრწყინვალე კარს – სწორედ ეს იყო მოდის ჩანასახი. „მოდა“ ამ დროს დაიბადა. ლუდოვიკომ მოსპო მანამდე გაბატონებული ჩაცმის ესპანური სტილი: გაქრა მჭიდრო კორსეტი, მაღალი საყელო და უსიცოცხლო ფერები. მთელი სამეფო კარი განათდა და ახასხასდა.

ლუდოვიკო და...

**წინდები**: ლუდოვიკოს დროს მოდაში იყო გრძელი, ფერადი წინდები. მათ ხელით ქსოვდნენ. ვინმე ინგლისელმა უილიამ ლიმ გამოიგონა წინდების საქსოვი მანქანა, მაგრამ ინგლისში ამ სიახლემ პოპულარობა ვერ მოიპოვა. სამაგიეროდ, ლუდოვიკოს მინისტრმა, ჟან-ბატისტ კოლბერმა, საფრანგეთში ჩაიყვანა ლი და ტრიკოტაჟის მანუფაქტურა შეუქმნა. ინგლისელი ლი საფრანგეთის ნაციონალური გმირი გახდა.

**ახალი მთვარე**: 1700 წელს ლუდოვიკომ ახალი საუკუნის დაწყება და საკუთარი დაბადების დღე საკმაოდ ორიგინალურად აღნიშნა: გადაწყვიტა, რადგან მზე ვარ, ახალი თანამგზავრიც მჭირდებაო. ვერსალში მოიძიეს უზარმაზარი, ყველაზე დიდი ქვემეხი, ჩამოასხეს მისთვის ძალიან დიდი ჭურვი და დააქუხეს. ჭურვი დედამიწაზე აღარ ჩამოვარდნილა (ან, სპეციალურად არ იპოვეს). ლუდოვიკოს სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ამით მან დედამიწის ახალი თანამგზავრი შექმნა.

**პარიკი**: როგორც კი ლუდოვიკოს გამელოტება დაეწყო, მაშინვე გამოსცა კანონი პარიკების სავალდებულო ტარების შესახებ. პარიკებს დღეში მინიმუმ სამჯერ იცვლიდნენ. სულ პარიკის ორმოცი ნაირსახეობა არსებობდა და დაწესებული იყო მათი გამოყენება ვერსიების მიხედვით: დილით შავი პარიკი უნდა ეტარებინათ, შუადღისას – წაბლისფერი, საღამოს – კაშკაშა ყვითელი ან ღია ჩალისფერი.

**ცრურწმენები**: ლუდოვიკო საშინლად ცრუმორწმუნე იყო. ერთხელ ყოფილმა საყვარელმა დე ბლანმა ცხვირსახოცი აჩუქა და უთხრა: ატარე მუდამ. მოიხსნი თუ არა, სამეფოს დაკარგავო და ლუდოვიკომ ეს დაიჯერა. ცხვირსახოცი საკმაოდ მოუხერხებელი იყო – ედებოდა პარიკს, ისვრებოდა საკვებით, მაგრამ, ლუის სამეფო გაცილებით ძვირად უღირდა. ყოველ საღამოს ცხვირსახოცს რეცხავდნენ, დილით კი ისევ „მზეს“ ეკეთა კისერზე.

**მეორე ცოლი** – დიახ, ლუდოვიკომ კანონიერი ცოლის, მარი-ტერეზას სიკვდილის შემდეგ, ჩუმად იქორწინა თავის საყვარელზე – ფრანსუაზა დობინე მარკიზა დე მენტენინზე. ქალმა მეფეს თავისი ინტელექტუალური საუბრებით შეაყვარა თავი და ჩამოაშორა მარკიზა დე მონტესპანი, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში იყო მეფე-მზის საყვარელი. მას ტერორში ჰყავდა დიდებულები, მაგრამ, მფარველობდა ხელოვნებას.

***P. S.* *ვერსალის აგების იდეა მთლიანად ლუდოვიკოს ეკუთვნის. მის აშენებაზე დაიხარჯა 30 წელი და 400 მილიონი ფრანკი, რაც სულაც არ არის დიდი თანხა მის გრანდიოზულობასთან შედარებით.***

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# როცა კანონები იცი

## სტენლი ელინი

ქალაქში ცნობილ ადვოკატს ყოველთვის უამრავი საქმე ჰქონდა. მისი კლიენტებიც ძალიან ცნობილი და მდიდარი ადამიანები იყვნენ, მაგრამ, მათ შორის ერთი მაინც გამოირჩეოდა: მისტერ როზი ხოზი სნოუ, თავისი უძრავი და მოძრავი ქონებით, ოთხი მილიონის პატრონი იყო, ფლობდა რამდენიმე საწარმოს და მასვე ეკუთვნოდა ბანკი. 60 წლამდე მიღწეული მილიონერი მოკრძალებულ, თითქმის ასკეტურ ცხოვრებას მისდევდა. ცოლი არასდროს ჰყოლია. მთელ მის ოჯახს ორი ობოლი ძმისშვილი შეადგენდა. მართალია, ძმები ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ, ბიძასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ – ორივე მასთან მუშაობდა, ბანკში. თუმცა, ეს სამუშაო გულზე აშკარად არ ეხატებოდათ. სიმღერა უყვარდათ და ამ საქმეში საკმაო პროფესიონალიზმსაც ავლენდნენ, მაგრამ, რომელი ტექსტს წერდა და რომელი – მუსიკას, არავინ იცოდა. ქალაქის პრესტიჟულ კლუბებში უკრავდნენ და მღეროდნენ. ისეთი გარეგნობის იყვნენ, ადვილად ექცეოდნენ საზოგადოების საყოველთაო ყურადღების ცენტრში, მაგრამ, ადამიანებთან დისტანცია ეჭირათ, რაც ცოტათი იდუმალების ბადეში ხვევდა მათ პიროვნებებს. ადვოკატსაც კი, რომელსაც, წესით, მეტი უნდა სცოდნოდა ძმისშვილების შესახებ, თითქმის არანიაირი ინფორმაცია არ ჰქონდა მათზე.

ქალაქში ბომბის აფეთქებასავით გახმაურდა ამბავი ხოზი სნოუს მკვლელობის შესახებ. მილიონერის გვამი პოლიციამ მისსავე სახლში აღმოაჩინა – ტყვია პირდაპირ შუბლში ჰქონდა მოხვედრილი ახლო მანძილიდან. ერთ საათში სნოუს ძმისშვილი – ბენი დააპატიმრეს. ძმისშვილების გარდა, მოკლულს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა. 21 წლის ყმაწვილს წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია. ერთადერთი, ის ითხოვა, ჩემს ადვოკატს შეატყობინეთო და მშვიდად გაჰყვა პოლიციელებს. როცა ადვოკატი სტოუნი საპატიმროში მივიდა, ბენი წყნარად იჯდა საკანში და სრულიად უშფოთველად კითხულობდა გაზეთს.

– ბენ, შენ ხომ არ ჩაგიდენია ეს? – ჰკითხა სტოუნმა.

ბიჭმა მხრები გულგრილად აიჩეჩა:

– რა გითხრათ, ისინი ამბობენ, რომ მე ჩავიდინე.

ადვოკატს უცნაურმა ეჭვმა დაუწყო ღრღნა, მაგრამ, თავს უფლება არ მისცა, ჩაღრმავებოდა მას. უარესი კი ის იყო, რომ ბენის მიმართ სიძულვილიც იგრძნო.

– თქვენ მარტო ის უნდა გააკეთოთ, რომ მოწმედ ჩემი ძმა, ორვილი გამოიძახოთ.

– კი მაგრამ...

– მისტერ სტოუნ, თქვენ ჩემი ადვოკატი ხართ, გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებით!

ადვოკატს ისღა დარჩენოდა, დათანხმებოდა.

სასამართლო პროცესზე დარბაზში ბევრი ცნობისმოყვარე შეიკრიბა. მოსამართლე თავდაჯერებული იყო, იჯდა და ფურცელზე რაღაცას ხატავდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ საქმეს მარტივად, ერთ პროცესში მორჩებოდა და მკვლელს ჩამოხრჩობის განაჩენს გამოუტანდა. სტოუნი სკამზე წრიალებდა, ნაფიცი მსაჯულებიც შფოთავდნენ. ერთადერთი, ბენი იჯდა აუღელვებლად და შესაფერის მომენტს ელოდა, ანუ, იმ დროს, როცა ადვოკატი მოწმედ მის ძმას გამოიძახებდა.

– მოწმე ორვილ სნოუ, მოყევით, რა მოხდა იმ საღამოს, როცა ბიძათქვენი საკუთარ სახლში შუბლგახვრეტილი იპოვეს!

– ვფიცავ, ყველაფერს სიმართლეს ვამბობ, – ხელი ასწია ორვილმა, – იმ საღამოს მე და ჩემი ძმა სამზარეულოში ჩაის ვსვამდით, როცა პოლიციელები შემოგვიცვივდნენ. პირდაპირ ბენს მისცვივდნენ, ხელბორკილები დაადეს და უთხრეს, რომ ბიძია მოკლა. ჩემთვის არაფერი უკითხავთ. რომ ეკითხათ, სიმართლეს ვეტყოდი.

– სიმართლეს?! და... რა არის ეს სიმართლე?

– ის, რომ ბიძა მე მოვკალი. მე ვარ მკვლელი და არა ბენი.

სასამართლო დარბაზში გამაყრუებელი ხმაური ატყდა. მოსამართლეს ჩაქუჩი გაუვარდა ხელიდან. პოლიციამ მაშინვე დააპატიმრა ორვილი, როგორც კი მან თავისი ბოლო სიტყვები წარმოთქვა. ბენი არ არის დამნაშავე?! ადვოკატმა წყალი მოსვა და გაფითრდა. მან უკვე ზუსტად იცოდა, რა თამაში წამოიწყეს ძმებმა: იმ შტატის კანონებით, ვერდიქტი რომ გამოეტანათ ნაფიცი მსაჯულებისთვის აუცილებელი იყო, რომ ეჭვმიტანილის მიმართ არსებულიყო საფუძვლიანი ეჭვი. ერთი და იმავე დანაშაულისთვის, ერთხელ უდანაშაულოდ ცნობილ ადამიანს ველარ დაიჭერდი და ვერც გაასამართლებდი... ადვოკატმა მუხლებში სისუსტე იგრძნო, როცა გაიგონა ავბედითი სიტყვები: „ჩემი მოწმე ბენი იქნება. თქვენ ერთადერთი რამ გევალებათ – გამოიძახოთ ჩემი ძმა მოწმედ სასამართლოს სხდომაზე“...

იმ საღამოს ადვოკატმა ორვილი საკანში ინახულა.

– მომისმინე, ორვილ, ხოზი ერთ-ერთმა თქვენგანმა მოკლა. არ მიგაჩნია, რომ, მე, როგორც თქვენმა ადვოკატმა, სიმართლე უნდა ვიცოდე?

– არა, არ მიმაჩნია, – ჩაიცინა ორვილმა.

– როგორც ვატყობ, ჩვენი შტატის კანონები კარგად წაგიკითხავთ.

– ჰო, რა არის ამაში ცუდი? ძალიან საინტერესო რაღაცეები წერია შიგ და, თანაც, კანონებს უნდა იცნობდე, ასე არ არის?

მეორე დღეს სასამართლო დარბაზში ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. მოსამართლე ჭარხალივით იყო გაწითლებული და თითებს იკვნეტდა. ადვოკატივით, ისიც, სავარაუდოდ, ჩასწვდა საქმის არსს, მაგრამ, არაფრის შეცვლა არ შეეძლო – ეს უკვე აღემატებოდა მის კომპეტენციას. შეურაცხყოფილსა და გამწარებულს, ბრალდებულისკენ არც კი გაუხედავს... ხოლო, როცა ბენმა ზუსტად ისეთივე ისტორია მოყვა ბიძის მკვლელობაზე, როგორიც წინა დღეს მისმა ძმამ, მოსამართლე ადგილიდან წამოხტა:

– განა ეს წარმოუდგენელი ტყუილი არ არის? როგორ შეიძლება, ერთ დღეს უდანაშაულო იყო მკვლელობაში, მეორე დღეს კი – დამნაშავე?!

ბენმა გაოცებით ასწია წარბები:

– განა მე ერთხელ მაინც ვთქვი, უდანაშაულო ვარ-მეთქი? გადაწყვეტილება ხომ თქვენ მიიღეთ?

მოსამართლე ლამის გულწასული დაენარცხა სკამზე. ამჯერად ბენს ვერაფერში შეედავებოდი. ადვოკატმა იმ დღეს თავის ცხოვრებაში ყველაზე მოკლე, მაგრამ, ყველაზე მძიმე სიტყვა თქვა.

– ძვირფასო ნაფიცო მსაჯულებო! ამ ორი ძმიდან ერთ-ერთმა საშინელი მკვლელობა ჩაიდინა. მაგრამ, შემიძლია, სახარებაზე დავიფიცო, რომ, ისევე, როგორც თქვენ, წარმოდგენა არ მაქვს, რომელი მათგანია მკვლელი. ამიტომ, თქვენს ადგილას რომ ვიჯდე, აუცილებლად ვიტყოდი, ერთადერთ სიტყვას ბრალდებულის მიმართ – „უდანაშაულოა“!

ნაფიცმა მსაჯულებმაც იგივე გაიმეორეს. როცა ძმები დარბაზიდან გადიოდნენ, სახეზე ღიმილი ჰქონდათ. ადვოკატს არ შეეძლო, არ ელიარებინა ერთი დიდი პლუსი ამ უცნაური ძმებისა – ერთს მაინც რომ გაეწირა მეორე, რაც სრულიად შესაძლებელი იყო, უპრობლემოდ მიიღებდა სამ მილიონს და არა მემკვიდრეობის ნახევარს, როგორც ორივეს უდანაშაულობის შემთხვევაში. ისინი ფსონს ერთადერთ კარტზე ერთმანეთის მიმართ ერთგულებაზე ჩამოვიდნენ და მათ გამოცდას გაუძლეს – იდეალური დანაშაული შედგა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



გოჩა მანველიძე

# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-39(665)

ანა და გიორგი საავადმყოფოში დაშორდნენ ერთმანეთს. გიორგი ნონას მეგობართან ერთად მის ბინაში კომპიუტერის ამოსაღებად გაემგზავრა. ანამ კი ეკას პროკურატურაში



დაკითხვა ზედმეტად ჩათვალა და გოგონას სახლში გაჰყვა.

ბინის კარი ეკას დედამ გააღო. მან ყურადღებით შეათვალიერა ანა, შემდეგ კი ტირილისგან თვალებჩაწითლებულ გოგონაზე გადაიტანა მზერა და შეშფოთებით ჰკითხა:

– რა მოხდა, ეკა?!

– მე აგიხსნით, – აჩქარდა ანა, – შეიძლება შემოვიდე?

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა ქალმა.

– უკაცრავად... ამით უნდა დამეწყო, – თქვა ანამ და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა უჩვენა.

– პროკურატურის გამომძიებელი?! – ქალმა დაბნეული მზერა მიაპყრო ანას, – კი მაგრამ, რა გესაქმებათ ჩემს შვილთან?!

– ნუ ღელავთ... ყველაფერს აგიხსნით... – უპასუხა ანამ და მოწმობა ხელჩანთაში შეინახა.

– ჰო... რა თქმა უნდა... – გამოერკვა ქალი და უკან დაიხია, – მობრძანდით.

ეკა ჯერაც ვერ გამორკვეულიყო საავადმყოფოში მიღებული სტრესისგან. მან ხელის კანკალით დალია რამდენიმე ყლუპი წყალი და დედას ორიოდ სიტყვით აუხსნა, რაც შეემთხვა ნონას, შემდეგ კი ანას უთხრა, მზად ვარ. შეგიძლიათ, დამკითხოთო.

– კი მაგრამ, რაზე უნდა დაკითხოთ?! – გაოცებით ჰკითხა ქალმა ანას, – რა უნდა იცოდეს ეკამ მომხდარის შესახებ?

– ამჟამად გამოძიებისთვის ნებისმიერ ინფორმაციას აქვს მნიშვნელობა, თუნდაც უმნიშვნელოს, – ამ სიტყვებთან ერთად ანა მაგიდას მიუჯდა, ხელჩანთიდან დიქტოფონი ამოიღო, ჩართო და ლაპარაკი განაგრძო, – მე და ეკამ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ ამ საკითხზე, მაგრამ, ის არასრულწლოვანია და მე არ მაქვს მშობლების გარეშე მისი დაკითხვის უფლება. რადგან ის მოწმის სახით უნდა დაიკითხოს. ადვოკატის დასწრება სავალდებულო არ არის, მაგრამ, თუ თქვენ ამის სურვილი გაქვთ, შეგვიძლია დაკითხვა ხვალისთვის გადავდოთ. ხვალ შეგიძლიათ ადვოკატთან ერთად მოხვიდეთ პროკურატურაში.




– არა... რისთვის, – თავი გააქნია ეკას დედამ. რატომღაც ის თავიდანვე ნდობით განეწყო ახალგაზრდა, მიმზიდველი ქალის მიმართ, რომელიც მშვიდი, გაწონასწორებული ხმით საუბრობდა, – პროკურატურაში მოსვლას, მირჩევნია, აქ დაკითხოთ.

– ძალიან კარგი, – გაუღიმა ანამ და გოგონას მიუბრუნდა: ეკა, საავადმყოფოში შენ ახსენე ნონას ნაცნობი, ვინმე რამაზი. შეგიძლია დაწვრილებით მიამბო, როგორ და რა ვითარებაში გაიცნო ეს პიროვნება შენმა მეგობარმა?

ეკამ შეფარვით გახედა დედას და შემდეგ გაუბედავად ალაპარაკდა:

– ნონამ დაახლოებით ერთი თვის წინ გაიცნო რამაზი.

– მოდი დავაზუსტოთ, – თქვა ანამ, – ერთი თვის წინ ინტერნეტით დაიწყო მასთან ურთიერთობა, თუ პირადად შეხვდა?

– პირადად შეხვდა, – ჩაილაპარაკა ეკამ.

– ინტერნეტით რამდენ ხანს ჰქონდათ ურთიერთობა? – გამოკითხვა განაგრძო ანამ.

– დაახლოებით ორი კვირა.

– ვისი ინიციატივით შედგა ნაცნობობა? ნონა დაუკავშირდა იმ პიროვნებას, თუ – პირიქით?

– ნონა დაუკავშირდა, – თავი ჩახარა ეკამ.

– ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაცას ბოლომდე არ ამბობ!

– ჩვენ ერთად ვწერდით რამაზს, – მოიბუზა გოგონა.

– ეკა!.. – უნებლიედ აღმოხდა დედამისს.

– მაპატიე, დედა! – ცრემლი მოერია გოგონას, – ჩვენ მხოლოდ ვერთობოდით. ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, ნონასთან მივედი სახლში. ლიანა დეიდა შინ არ იყო. ნონამ კომპიუტერი ჩართო და გაცნობის საიტზე ანკეტების დათვალიერება დაიწყო. მაშინ წავაწყდით რამაზის ანკეტას...

– მე ხომ გთხოვე! – მკაცრად თქვა დედამისმა.

– ეს ხომ გართობაა და მეტი არაფერი, – გოგონამ გაუბედავად იმართლა თავი, – ვინ ხარ?.. რას საქმიანობ?.. რამდენი წლის ხარ?.. უბრალო საუბარი და მეტი არაფერი... შაყირი...

– ხომ ნახე, რაც შეემთხა ნონას მაგ „შაყირსა“ და „უბრალოდ საუბარში?!“ – ქალმა ველარ შეძლო ადგილზე დარჩენა. ფეხზე ადგა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში. შემდეგ კი მაგიდისკენ ზურგშექცევით შედგა და კედელზე ერთ წერტილს მიაშტერდა.

– დამშვიდდით. ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. ამ ეტაპზე მე მხოლოდ ნონას ნაცნობების წრეში გარკვევას ვცდილობ, – ქალის მისამართით თქვა ანამ და ისევ ეკას მიუბრუნდა: მაინც, რით მიგიზიდათ თქვენზე უფროსი მამაკაცის ანკეტამ?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ეკამ, – რამაზი მხატვარია. ანკეტაში მისი რამდენიმე ნამუშევრის ფოტოც იდო და ნახატები მოგვეწონა. იქვე იყო მისი ფოტოებიც. რაღაცნაირი, ვაჟაკაცური ტიპია: მაღალი, სპორტული გარეგნობის, მეტყველი თვალებით. მანქანაც ჰყავს. წითელი, სპორტული „ტოიოტა”, ძალიან ლამაზი სპოილერებით. მოკლედ, საინტერესო ტიპად გვეჩვენა. თანაც იმ მომენტში საიტზე იმყოფებოდა და ჩვენ რამდენიმე წერილი მივწერეთ... – ეკა მოულოდნელად გაჩუმდა, ანას ბავშვურად ფართოდ გახელილი თვალები მიაპყრო და უთხრა: ალბათ, ძალიან სულელი გგონივართ...

– არა, – გაუღიმა მან, – მეც ვიყავი თექვსმეტი წლის... მაინც, რა მისწერეთ რამაზს?

– ისეთი არაფერი, – სწრაფად განაგრძო გოგონამ, – „სიმპათიური ხარ...“ „მაგარი მანქანა გყავს...“ „სხვა ნახატებს არ გვაჩვენებ“ – მაგრამ, მან არ გვიპასუხა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კი მე სახლში წამოვედი. სულ ეს იყო.

– ესე იგი, იმ დღის შემდეგ რამაზს აღარ დაჰკავშირებიხართ? – ჰკითხა ანამ.

– მე არა... მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ ნონამ სკოლაში მითხრა, რომ საღამოს რა-

მაზი თავად შეეხმიანა. იმ დღის შემდეგ ისინი ხშირად ურთიერთობდნენ ინტერნეტით, მერე კი პირადად შეხვდნენ ერთმანეთს.

– ნონა ხშირად ხვდებოდა რამაზს?

– არა. ეშინოდა, ლიანა დეიდას არ გაეგო ამის შესახებ. ხანდახან რამაზსაც არ ეცალა. სულ სამჯერ თუ ოთხჯერ შეხვდა, – უპასუხა ეკამ.

– რა გიამბო ნონამ იმ შეხვედრების შესახებ? – ჰკითხა ანამ.

– აღფრთოვანებული იყო ახალი ნაცნობით. სულ იმაზე ლაპარაკობდა, რომ რამაზი არაფრით ჰგავდა ჩვენს სკოლელ და უბნელ ბიჭებს. ის სერიოზული ადამიანი იყო, კარგი და საინტერესო თანამოსაუბრე. ნონას ისე ექცეოდა, როგორც თანატოლს. ერთხელ რესტორანშიც კი დაპატიჟა, მერე თავის სახელოსნოში მიიყვანა და მანქანის ტარებაც კი ანდო. ეს ყველაზე ძალიან მოსწონდა ნონას – იზიდავდა კარგი ავტომობილები, სპორტულ მანქანებზე ხომ, საერთოდ კარგავდა ჭკუას.

– რამაზის გვარი ან მისამართი ხომ არ იცი?

– არა, – თავი გაიქნია ეკამ, – ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მხოლოდ ერთხელ ახსენა, რომ რამაზი მთაწმინდის მიდამოებში ცხოვრობს ორსართულიან სახლში და იქვე აქვს მოწყობილი სამხატვრო სახელოსნოც.

– რამაზის ანკეტა როგორ მოძებნეთ? – ჰკითხა ანამ.

– არ მახსოვს. რამდენიმე წუთით ნონა მარტო დავტოვე კომპიუტერთან. ტელეფონით მქონდა დასარეკი. როდესაც უკან დავბრუნდი, ნონა უკვე წერილის ტექსტს კრეფდა.

– რამაზს თავისი სახელით აქვს დარეგისტრირებული ანკეტა?

– დიახ, – დაუდასტურა გოგონამ.

– რამის დამატება ხომ არ გსურს?

გოგონა მცირე ხნით ჩაფიქრდა და გაუბედავად ჰკითხა:

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს რამაზმა ჩაიდინა?

– არ ვიცი... მაგრამ ერთ რჩევას მაინც მოგცემ: ადამიანის გაცნობა არც გართობაა და არც შაყირი. ყოველ ახალ ნაცნობობას გარკვეული შინაარსი უნდა ჰქონდეს და, კიდევ, ნურასოდეს შეარჩევ ნაცნობებს მანქანის მოდელისა და ფერის მიხედვით. გასაგებია?!

– გასაგებია, – ყრუდ ჩაილაპარაკა ეკამ და თავი ჩახარა.

– კეთილი. დღეისთვის საკმარისია. შენი დახმარება თუ დაგვჭირდა, დაგიკავშირდები, – დაასრულა ანამ და დიქტოფონი გამორთო.

* * *

ანას პროკურატურაში დაბრუნებისთვის პროგრამისტები უკვე მუშაობდნენ ნონას კომპიუტერთან, რომელიც მათ გიორგიმ გადასცა. მათ უკვე გახსნილი ჰქონდათ გოგონას საფოსტო ყუთი და ახლა მისი ნაცნობების ანკეტებს უკირკიტებდნენ.

– როგორაა საქმე? – გიორგი ანას კაბინეტში შესვლისთანავე მოშორდა მაგიდას და მას მიაშურა.

– მირიანი სად არის? – ანამ ოთახს მოავლო მზერა.

– ჯერ არ დაბრუნებულა... რა ქენი, დაკითხე?

– დავკითხე. პრინციპში, ახალი არაფერი უთქვამს. თანაკლასელებსა და უბნელებს თუ არ ჩავთვლით, ნონას მხოლოდ ერთი ახალი ნაცნობი ჰყავდა – ვინმე რამაზი. ის მხატვარია, ცხოვრობს მთაწმინდის უბანში და ჰყავს წითელი სპორტული „ტოიოტა". შენ თვითონ მოუსმინე, – უპასუხა ანამ და დიქტოფონი მისცა.



გიორგი სასწრაფოდ მოეწყო ოთახის საპირისპირო მხარეს მდგარ სავარძელში და დიქტოფონი ჩართო. ჩანაწერის მოსმენის შემდეგ, ისევ პროგრამისტებთან დაბრუნდა და სწრაფად თქვა:

– კარგი, ბიჭებო! სხვა ანკეტებს შემდეგ გადავხედავთ, ახლა კი სასწრაფოდ მომიძებნეთ მის მიმოწერაში ვინმე რამაზი. ანკეტა თავისი სახელით უნდა ჰქონდეს დარეგისტრირებული!

პროგრამისტმა სწრაფად შეასრულა დავალება – ათიოდ წამში მონიტორზე ანკეტა გამოჩნდა. ანკეტას ფოტოსურათიც ერთვოდა – შავ მაისურსა და ჯინსის შარვალში გამოწყობილი, მზეზე გარუჯული, წაბლისფერთმიანი ახალგაზრდა მამაკაცი იყო აღბეჭდილი, რომელიც წითელი „ტოიოტას" გვერდით იდგა.

– ვერაფერს იტყვი, მართლაც სიმპათიურია, – ჩაილაპარაკა ანამ.

– გავასიმპათიურებ მაგ ახვარს! – უკმაყოფილო ხმით წამოიყვირა გიორგიმ და პროგრამისტს გადაულაპარაკა, – მანდ სხვა ფოტოებიც იქნება.

პროგრამისტმა ანკეტაში შესაბამისი განყოფილება მოძებნა, მაგრამ იქ ფოტოსურათები არ იყო, მათ ნაცვლად კი მონიტორზე რამდენიმე ფერწერული ტილო გამოჩნდა. ანას საინტერესოდ ეჩვენა ტილოები. ჩანს ავტორი ქალების უცნაური გამოსახულებების შექმნით იყო გატაცებული. ზოგიერთ ტილოზე ერთი ან ორი ქალი იყო გამოსახული, ზოგზე ქალთა ჯგუფი და ყველა ტილოს ერთი საერთო ნიშანთვისება ჰქონდა: სხეულის ფორმებით ქალები რთული აღსაქმელი იყო. ჩანს ავტორი შეგნებულად ცვლიდა ფორმებს და ქმნიდა უჩვეულო, ბუნებაში არარსებულ სხეულის ნაკვთებს, მაგრამ, ყოველ გამოსახულებას არაჩვეულებრივად მეტყველი თვალები ჰქონდა. აქ იყო თაფლისფერი, ცისფერი, ზღვასავით ლურჯი, აცრემლებული, მოღიმარი, განრისხებული თუ ჩაფიქრებული თვალების მთელი გალერეა.

– ამ ტიპს აშკარა გადახრები აქვს! – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა გიომ, – ნაღდი შეშლილია. ასეთი მახინჯი ქალები არასდროს მინახავს და ვერც ვნახავდი, იმიტომ რომ, ასეთი ქალები, უბრალოდ, არ არსებობენ!.. თქვენ რას იტყვით ბიჭებო?

– ნაღდად უბერავს, – დაეთანხმნენ პროგრამისტები.

– საბედნიეროდ, გამომძიებლები და პროგრამისტები ვერ განსაზღვრავენ ფერწერის სტანდარტებს, – ირონიით დაამატა ანამ.

– ახლა არ მითხრა, რომ მოგწონს! – გაოცებით წამოიძახა გიომ.



## აკაკი წერეთლის ტკივილიანი გახსენება

### შვილო აკაკი!

**ა**რ დაგინდო ულმობელმა სიკვდილმა,
**კ**არებთან რომ გელოდა, შაბათ დღილით, 2-ში.
**ა**რაფერი გითქვამს ჩემთვის, მიცქერდი მხოლოდ.
**კ**ანკალით როცა ჩაგიკარ მკერდში,
**ი**მ ქვეყნიური იყავი უკვე, წმინდა ნათელში.

გილოცავთ, შვილო, დაბადების დღეს, რომელსაც მესამედ ვხვდებით უშენოდ შენი გაუბედურებული მშობლები. 30 სექტემბერს შენი სამუდამო სამყოფელი სავსე იქნება ყვავილებით და შენს სახელზე მრავალი სანთელი აინთება. გწამდეს, შვილო, ვერანაირი დრო და წამალი ვერ განკურნავს იმ მოურჩენელ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია; რაც დრო გადის, მწარე მოგონებად რჩები ჩვენთვის, ყველასთვის, ვინც გიცნობს და შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ყოველთვის მოგიგონებთ ცრემლებით, მწუხარებითა და მონატრების ენით აუწერელი სიყვარულით. უშენოდ ყოველი დღე სიკვდილის ტოლფასია, შვილო, ჩვენთვის. მჯერა, ბევრს ახსოვხარ, ენატრები და შენი დაბადების დღეზე ცოცხლად გადღეგრძელებენ. ისევ აკლიხარ შენს ახლობლებს, ნათესავებს და შენს მადლიერ პაციენტებს.

დღემდე ვერ გავრკვეულვართ, რა მოხდა იმ ავად სახსენებელ 2 ივლისის შაბათ დღილას. ჩემო ერთადერთო, სიცოცხლით სავსე და სიცოცხლეზე ასე შეყვარებულო შვილო, მეტი რა დამრჩენია – უნდა ვილოცო შენზე. უფალს შევთხოვ, ნათელში გამყოფოს და შენს საუფლოში მუდამ ენთოს სანთელ-საკმეველი.

**შენი უეცარი გარდაცვალებით დღემდე გაოგნებული მშობლები – ციალა და თენგიზ წერეთლები**



– შენი მიდგომებით, უფლება რომ მოეცათ, პიკასოსა და გოიას მანიაკებად გამოაცხადებდი და დახვრეტას თუ არა, სამუდამო პატიმრობას ნაღდად მიუსჯიდი! – გაეცინა ანას.

– ესე იგი, მოგწონს?

– ყოველ შემთხვევაში, საინტერესოდ მეჩვენება, – თქვა ანამ.

– მაინც, რა გეჩვენება ამაში საინტერესო, ეს?! – გიომ მონიტორზე ქალის გამოსახულებას მიაბჯინა თითი, რომელსაც არაბუნებრივად განიერი თეძოები და ლერწამივით წვრილი მკლავები ჰქონდა.

– ნუ მიაქცევ ყურადღებას მაგ დეტალებს. ავტორი ქალის სილამაზეს მის თვალებში ხედავს. დანარჩენი მისთვის უმნიშვნელოა, – შენიშნა ანამ, – შენ რაში ხედავ ქალის სილამაზეს?

– მეე?! – გიო ანას მიუბრუნდა, ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ კი თავი გააქნია, თითქოს რაღაც ფიქრების განდევნა სურსო და სწრაფად თქვა: რა დროს ეგაა! გულწრფელობის საღამო კი არ გვაქვს. საქმეზე ვმუშაობთ!

ამასობაში პროგრამისტი ანკეტის შესწავლას განაგრძობდა. აღმოჩნდა, რომ რამაზს უამრავ ადამიანთან, ძირითადად კი ქალებთან ჰქონდა მიმოწერა. ბოლოს პროგრამისტმა პირად მონაცემებსაც გადახედა და გამომძიებლებს მონიტორზე მიანიშნა – ეს ნახეთო.

– რა? – გიო ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა პროგრამისტი.

– „გავიცნობ მხოლოდ იმ ქალს, რომელსაც ძალიან ლამაზი თვალები აქვს," – პროგრამისტმა დამარცვლით ამოიკითხა ანკეტის ერთ-ერთი პუნქტი.

– ასარჩევადაც აქვს საქმე ამ დამპალს! – ბრაზით ჩაილაპარაკა გიორგიმ.

– შენ რა გიწერია ანკეტაში? – ირონიით გახედა ანამ, – გავიცნობ გრძელფეხება, მაღალმკერდიან ლამაზმანს, რომელსაც „შებმა" არ დასჭირდება?

– ეე... ისევ დაიწყო! იცი, რას გეტყვი?.. – გიო მოულოდნელად გაჩუმდა და ანას ყურადღებით ჩააცქერდა თვალებში.

– რა იყო? – ჰკითხა ქალმა.

– ისე, შენც ლამაზი თვალები გაქვს, – ჩაილაპარაკა გიომ.

– აქამდე ვერ შეამჩნიე?

– როგორ არა, შევამჩნიე, მაგრამ, ახლა სრულიად სხვა კუთხით შევხედე ამას.

– რა კუთხით? – დაინტერესდა ანა.

– შენ თვითონ ვერ ხვდები? – შემპარავად თქვა გიომ.

– ვერ ვხვდები.

– რაა აქ მისახვედრი? შენ ძალიან ლამაზი თვალები გაქვს, ეს ტიპი კი მხოლოდ იმ ქალს გაიცნობს პირადად, ვისაც ლამაზი თვალები აქვს!

– შემდეგ? – მოიღრუბლა ანა.

– დანარჩენი ტექნიკის საქმეა. იმედია, კლავიატურის ხმარება იცი. თუ არ გეხერხება, ბიჭები დაგეხმარებიან.

– დაივიწყე! საქმეს მივხედოთ. ბიჭებო, ანკეტის მფლობელის მისამართს ვერ გაარკვევთ?

– ამას დრო დასჭირდება, – უპასუხა ერთ-ერთმა პროგრამისტმა.

– ჰოდა, ტყუილად ნუ დავკარგავთ ამ დროს, ახლავე დაიწყეთ!

– როგორ არ გესმის! – აღელდა გიო, – იმ ტიპის მოძებნას რა უნდა! რამდენი იქნება მთაწმინდაზე მხატვარი, რომელსაც აქვს ორსართულიანი სახლი და ჰყავს წითელი „ტოიოტა"? მისი მისამართის დასადგენად ბიჭებს დროს არ დავაკარგვინებ, ათ წუთში გეტყვი სად ცხოვრობს, მაგრამ, ახლა ეს არ არის მთავარი.

– მაშ, რაა მთავარი?! – გაუკვირდა ანას.

– წარმოიდგინე ასეთი ვითარება: ჩვენ გავარკვიეთ მისი მისამართი, მივადექით სახლში და პირადობის მოწმობების ფრიალით, პისტოლეტების გადატენვითა და სირენების კივილით მოვიყვანეთ პროკურატურაში. რა პროცესი დაიწყება შემდეგ?

– ვერ ვხვდები, საით მიგყავს საუბარი, – მხრები აიჩეჩა ანამ.

– ახლავე აგიხსნი, – სწრაფად განაგრძო გიომ, – დაიწყება სტანდარტული დაკითხვა ზედამხედველი პროკურორისა და ადვოკატების მონაწილეობით. იცი, რა არის ეს? ასეთ ვითარებაში ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს, როგორც გიჟი დამაწყნარებელ ხალათში!

– შენგან განსხვავებით, მე ყოველთვის ნორმალურ ადამიანად ვგრძნობ თავს, – გაუღიმა ანამ.

– ეს იმიტომ, რომ შენ ჯერ არ გაქვს ჩემნაირი პრაქტიკა. გამოიძიებ რამდენიმე საქმეს და სულ სხვანაირად ამღერდები! რა გგონია? რამაზი პროკურატურაში მოყვანისთანავე მესაიდუმლედ გაგიხდის და ყველაფერს გულწრფელად გიამბობს?! არა, ჩემო კარგო, ამის იმედი ნუ გექნება. პირიქით. ახლავე შემიძლია, გითხრა მისი ყოველი ფრაზა: „რას ბრძანებთ, ბატონო გამომძიებელო?! ვინ?! მე?! როგორ გეკადრებათ!.. მე კულტურული და მაღალზნეობრივი მოქალაქე ვარ!.. რა დავაშავე იმით, თუ არასრულწლოვანი გოგონა გავიცანი? ერთხელ კაფეში დავპატიჟე და ერთხელაც ჩემი მანქანის საჭესთან დავსვი – ეს დანაშაულია?! თბილისის ზღვა?! არა, რას ბრძანებთ. სად მცალია ზღვაზე სასეირნოდ, მე ხომ თავი ამ მახინჯი ქალებით მაქვს გამოტენილი!.." ყოველივე ამას მხარს დაუჭერენ მისი ადვოკატებიც და შემდეგ ჩვენ, ანუ, მე და შენ, და არა მირიანს, მისხალ- მისხალ მოგვიწევს საქმის ყველა დეტალის შეგროვება და მისი დანაშაულისა თუ უდანაშაულობის დამტკიცება! ახლა განვიხილოთ მეორე ვარიანტი: შენ, როგორც ლამაზი თვალების პატრონი, ეცნობი რამაზს – ასე ვთქვათ, შედიხარ მასთან უშუალო კონტაქტში. ხვდები, რა შესაძლებლობა გეძლევა? შენ ხომ მისთვის ბუა გამომძიებელი აღარ იქნები. როგორ გგონია, ვისთან უფრო გულახდილი იქნება ჩვენი მხატვარი: გამომძიებელ ქალთან თუ, იმ ქალთან, რომელსაც ასეთი... მოკლედ, შენც ხვდები, რასაც ვგულისხმობ. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ჩათვალე, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტს ვატარებთ.

– არა! – მოკლედ მოუჭრა ანამ.

– ამათ შეხედე! – გიომ სწრაფად ჩამოატარა თითი მონიტორზე, რომელზეც იმ ქალების ფოტოსურათების წყება მოჩანდა, რომლებთანაც რამაზს მიწერ-მოწერა ჰქონდა, – ხედავ?

– რას? – ჰკითხა ანამ.

– აქ ყველა ასაკის ქალია, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იმ ტიპს ასაკზე გართულება არა აქვს, მისთვის ეს არ არის მთავარი. ამ ქალებს ერთი რამ აქვთ საერთო – ყველას ლამაზი თვალები აქვს. ახლა დღევანდელი ჩვენება გაიხსენე: რამაზს ნონას წერილებისთვის არ უპასუხია, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეეხმიანა გოგონას. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ის მის ფოტოსურათს აკვირდებოდა და მისი თვალების შეფასებას ცდილობდა.

– და, რა, ამით?

– უყურადღებოდ შენც არ დაგტოვებს, გამორიცხულია! თუ ეს მოხდა, ვიტყვი, რომ არაფერი გამეგება ქალის სილამაზის! თანაც, ის ახლა საიტზეა!..

– ვერ დავუკავშირდები – მე ხომ საერთოდ არ ვსარგებლობ ასეთი საიტებით და, შესაბამისად, არ მაქვს ანკეტაც, – გამოსავალი გამონახა ანამ.

– მხოლოდ ეს გაბრკოლებს? – უმალ გამოცოცხლდა გიო.

– ესაც, – პირდაპირ პასუხს გაერიდა ანა.

– ბიჭებო, ანკეტა! – გიო მოზეიმე სახით მიუბრუნდა პროგრამისტებს.

– ფოტოსურათი! – ხავსს ჩაეჭიდა ანა, – მშრალი ანკეტა ვერ აგრძნობინებს ჩემი თვალების სიღრმეს!

# ზურა მთვარელიძის მონატრება

შენი უეცარი, თავზარდამცემი გარდაცვალებით გამოწვეული მტკივნეული სიცარიელე დღემდე უსაშველოდ მტანჯველია.

4 ოქტომბერს 48 წელი შეგისრულდება, შენ კი მხოლოდ 41 იკმარე და სამუდამო ბინა მამის – გივი მთვარელიძის გვერდით დაიდე.

ვიცი და მჯერა, ამ დღეს მრავალი სანთელი დაინთება შენს სახელზე, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შვილი მარტო დედას უკვდება და ამ უბედურებით გამოწვეული მტკივნეული სიცარიელე, სიცოცხლის ბოლომდე, მხოლოდ მისი თანმდევია.

გვიყვარხარ, გვენატრები...

**დედა**

– ბიჭებო! – ორი თითი გაატკაცუნა გიომ.

ერთ-ერთმა პროგრამისტმა მაგიდის უჯრიდან ციფრული ფოტოაპარატი ამოიღო და ღიმილით გახედა ანას.

– ახლა მართლაც ვნანობ, რომ უარი არ ვუთხარი მირიანს! – ამ სიტყვებთან ერთად ანამ ხელჩანთიდან სარკე ამოიღო და ვარცხნილობის შესწორებას შეუდგა.

გიო გამოცდილი ფოტოგრაფივით აძლევდა პროგრამისტს რჩევა-დარიგებებს:

– გაითვალისწინე, რომ, პირველ ყოვლისა, გვჭირდება თვალები და შემდეგ – დანარჩენი.

– ვიცი... ვიცი... – პასუხობდა ის და ანას მიყოლებით უღებდა სურათებს. საერთო ჯამში პროგრამისტმა ოცამდე ფოტოსურათი გადაიღო. როგორც კი ის საქმიანობას მორჩა, გიომ ფოტოაპარატი გამორთვა და ანკეტაზე განსათავსებელი ფოტოსურათების შერჩევას შეუდგა.

– მე თვითონ შევარჩევ, – მკაცრად უთხრა ანამ და ფოტოაპარატი ლამის ძალით გამოჰგლიჯა ხელიდან.

დავა დიდხანს გაგრძელდა. გიორგის შერჩეული ფოტოსურათები ანას არ მოსწონდა, ანას შერჩეულები კი – გიორგის. საბოლოოდ, ანამ მაინც თავისი გაიტანა და პროგრამისტს ანკეტაში განსათავსებელი ფოტოსურათები მოუნიშნა. მან სწრაფად შეასრულა დავალება. შემდეგ პირადი მონაცემების განყოფილებებიც შეავსო და ანკეტა გაააქტიურა.

შემდეგ კი...

საძიებო ველში ახალი ანკეტის გამოჩენამ უმალ მიიპყრო უამრავი მამაკაცის ყურადღება. ანკეტას წერილების ნიაღვარი მოაწყდა.

„ეს შენი ნამდვილი სახელია?..“ „ქმარი გყავს?..“ „მეგობარ ქალს ვეძებ. შენ მომწონხარ“.. „სექსი არ გინდა?..“

– საიდან ამდენი შეშლილი?! – ბრაზით ჩაილაპარაკა ანამ, სასწრაფოდ მოშორდა კომპიუტერს და კარისკენ წავიდა.

გიო უმალ დაედევნა, მკლავში ჩაავლო ხელი და ძალით შემოაბრუნა უკან, თან ეუბნებოდა – არ დაგავიწყდეს, რომ ეს საგამოძიებო ექსპერიმენტია. ეს შენთვის ან ჩემთვის კი არა, საქმისთვის უნდა გააკეთოო.

– თავი გამანებე, სუტენიორო! – შეუღრინა ანამ და ისევ მიუჯდა კომპიუტერს.

რამაზის ანკეტის მოძებნას წუთზე ნაკლები დასჭირდა – ის ისევ საიტზე იმყოფებოდა.

– რა მივწერო? – გიოს გახედა ანამ.

– რა მივწეროთ?! – ჩაფიქრდა ის, – მას ხომ თვალებზე აქვს გართულება. მისწერე, რომ ეძებ ადამიანს, რომელიც ჯეროვნად შეაფასებს შენი თვალების სილამაზეს.

ანამ ულონოდ ამოიოხრა და კლავიატურაზე აამოძრავა თითები.

„ორიგინალური სტილი გაქვს. ძალიან მომეწონა შენი ნამუშევრები“... – წაიკითხა გიორგიმ მისი აკრეფილი ტექსტი.

გავიდა წუთი... ორი... სამი... რამაზს პასუხი არ გამოუგზავნია.

– გამოდის, რომ შენ მართლაც არაფერი გესმის ქალის სილამაზის. ექსპერიმენტი დამთავრდა! – დაუფარავი კმაყოფილებით თქვა ანამ და ასადგომად წამოიწია, მაგრამ, სწორედ ამ დროს კომპიუტერმა წერილის მიღების სიგნალი გამოსცა.

– არის! – მოზეიმე ხმით წამოიძახა გიომ, როდესაც სიგნალთან ერთად წერილის ავტორის ფოტოსურათი აციმციმდა, – „ჭამა!“

„არ გეწყინოს, მაგრამ, აუცილებლად უნდა გკითხო: ფოტო მართლაც შენია?“ – ამოიკითხა ანამ რამაზის წერილში და მაშინვე მისწერა პასუხი:

„რა თქმა უნდა. მაშ, ვისი უნდა იყოს?“

„აქ ათასი შეშლილი შემოდის. ბევრს არ უყვარს თავისი ფოტოსურათის გამოჩენა,“ – უპასუხა რამაზმა.

„არა... ნამდვილად ჩემია“, – სწრაფად აკრიფა ანამ.

„გაბრაზებული მზერა გაქვს. ვინ გაგაღიზიანა?“ – გაჩნდა მონიტორზე.

„ერთმა იდიოტმა,“ – ანამ ნიშნის მოგებით გახედა გიოს, რომელიც ტექსტის წაკითხვისთანავე მუშტით დაემუქრა.

„რომ შემეძლოს, ცხვირ-პირს გავუერთიანებდი!“

– აი, ნამდვილი რაინდი. შენსავით კი არ იქცევა! – გიოს გადაულაპარაკა ანამ და ტექსტის აკრეფა განაგრძო:

„არ ღირს. თავისი გაჭირვებაც ეყოფა.“

„ძალიან ლამაზი თვალები გაქვს – სუფთა, უბოროტო,“ – უპასუხა რამაზმა.

„გმადლობთ,“ – მისწერა ანამ.

„არ მიყვარს ფოტოსურათების თვალიერება. შეგიძლია, სკაიპში შემოხვიდე?“ – ჰკითხა რამაზმა.

„არა... ამ კომპიუტერზე კამერა არ მაქვს დაყენებული,“ – უპასუხა ანამ.

„სამწუხაროა.... არადა, მართლაც ძალიან მინდოდა შენი ნახვა“.

„შეიძლება, მოგვიანებით მოვახერხო,“ – მისწერა ანამ.

„როდის?“ – უმალ დაინტერესდა რამაზი.

„საღამოს, როდესაც შინ დავბრუნდები. სახლში მაქვს კამერა.“

„რომელი საათისთვის იქნები სახლში?“

„ალბათ, რვა საათისთვის,“ – უპასუხა ანამ.

„ამდენ ხანს ვერ მოვითმენ,“ – აჩქარდა რამაზი.

„რას ნიშნავს – ვერ მოვითმენ,“ – იწყინა ანამ.

„სწორად გამიგეთ. ალბათ, შეამჩნიეთ, რომ ჩემს ნამუშევრებში მხოლოდ თვალებს ვხატავ. თქვენ კი არნახულად ლამაზი თვალები გაქვთ. თანაც, ძალიან გიხდებათ ეს ბრაზნარევი მზერა. ალბათ, ველარასოდეს გიხილავთ ასეთი მზერით“, – მოსწერა რამაზმა.

„ვინ იცის“ – დაუბრუნა ანამ.

„შეხვედრა რომ შემოგთავაზოთ, ხომ არ გამინაწყენდებით“.

„რისთვის?“ – ჰკითხა ანამ.

„არ დაგიმალავთ: ყოველ ჩემს ნახატს რეალური პროტოტიპი ჰყავს. თქვენი დახატვა მინდა.“

„არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. ვერ წარმომიდგენია, ჩემი თავი სხეულის ასეთი ფორმებით“ – უპასუხა ანამ.



– რას აკეთებ? – აღელდა გიო, – ამაზე შევთანხმდით?!

– დამაცადე... – უპასუხა ანამ და მომდევნო წერილის კითხვას შეუდგა.

„არ მიკვირს. ჩემი სტილი ბევრს არ მოსწონს, მაგრამ, მე მხატვარი ვარ და ასე ვხედავ ქალს – თვალებით... მხოლოდ თვალებით. დანარჩენი ტილოს შესავსები დეტალებია და მეტი არაფერი. გთხოვთ ნუ მეტყვით უარს.

„ვერ ვხვდები, რა გინდათ? პოზირებას მთხოვთ?“ – ჰკითხა ანამ.

„არა... ამდენზე არ შეგაწუხებთ. მე თქვენთან ერთი შეხვედრაც მეყოფა. ერთი ერთსაათიანი შეხვედრა და მეტი არაფერი. ადგილი თქვენ შეარჩიეთ. გინდათ კაფეში შევხვდეთ ერთმანეთს, გინდათ – რესტორანში, გინდათ – ჩემს სახელოსნოში და, თუ სურვილი გაქვთ, თქვენთან მოვალ სახლში,“ – შესთავაზა რამაზმა.

ანა მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ კლავიატურაზე თავისი მობილური ტელეფონის ნომერი აკრიფა და მიაწერა: „დამირეკე.“

ის იყო, წერილი გაგზავნა, რომ მისი მობილური აწკრიალდა. ანამ ხელჩანთიდან ამოიღო აპარატი და ეკრანს დახედა – მასზე უცნობი ნომერი ციმციმებდა.

– უპასუხე... ნაღდად ისაა! – თქვა გიომ.

ანამ სწრაფად გახედა გიორგის, შემდეგ აპარატი ყურზე მიიდო და ჩუმად თქვა:

– გისმენთ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# როგორ გათხოვდა მარიამ დათუკიშვილი სანდრო ქოიავას „ლელოს“ მაისურით და რატომ ეცვა სიძეს საკუთარ ქორწილში შორტები და ბუცები

*მკითხველი გადაჭარბებაში ნამდვილად ვერ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ „ლელოს“ მორაგბის – სანდრო ქოიავასა და მარიამ დათუკიშვილის, ანუ, „მისის და მისტერ ხაჭაპურას“ ქორწილი თბილისში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ორიგინალური და ლამაზი იყო, რაშიც მათი ფოტოების ნახვისას დარწმუნდებით. „თბილისელები“ მათ კიდევ ერთხელ ულოცავს ოჯახის შექმნას და დიდ ბედნიერებას უსურვებს!*












**მარიამი**: სანდროს „ხაჭაპურას“ იმიტომ ეძახიან, რომ ძალიან უყვარს ხაჭაპური, თამაშის წინაც კი მიირთმევს ხოლმე.

**– უკვე უცხობ ხაჭაპურს?**

– დღეს ერთად ცხოვრების პირველი დღე გვაქვს *(ინტერვიუ ჩაწერილია 24 სექტემბერს, – ავტორი)* და ელოდება ახლა პირველ ხაჭაპურს. თუმცა, სანამ თქვენ დამირეკავდით, მანამდე ხაჭაპურის მაგივრად სენდვიჩი მომთხოვა. ახლა მარტოები ვიცხოვრებთ და საკუთარ თავზე ვიღებთ ყველანაირ პასუხისმგებლობას.

**– მომიყევი, როდის და როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– ჩვენი ურთიერთობა ცოტა უცნაურად დაიწყო. სანდროს დედამისისგან ვიცნობ. მერიაში ვიყავი სტაჟირებაზე, სადაც სანდროს დედა გავიცანი და დავმეგობრდით. მეხუმრებოდა, სარძლოდ მომწონხარო და მეც, ხუმრობით, „დედას“ ვეძახდი. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, შესვენებაზე ერთად გავდიოდით. მისი დაქალიც, იაკო, ჩემი მეორე დედაა. მერე სანდროს ბებია გაუხდა ცუდად და საავადმყოფოში მივაკითხე. მორაგბეები ღამეს უთენებდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მე რომ მივედი, სანდრო ზუსტად მაშინ გავიდა. ბებიამ რომ დამინახა, თქვა: ვაიმე, სანდროს შესაფერისია, როგორ მოუხდება საქორწილო კაბა, რა გოგოაო. მე ეს იმ ხუმრობის გაგრძელებად მივიღე, რაზეც მე და თამუნა (სანდროს დედა) ვხუმრობდით ხოლმე. ბებო სახლში რომ გამოწერეს, სანახავად მივედი და იქ გავიცანი სანდრო. თუმცა, ნაკლებად იჩენდა ჩემ მიმართ ყურადღებას. შემდეგ სანდრომ ერთ-ერთ თამაშზე ტრავმა მიიღო და ოპერაცია გაუკეთეს. ნარკოზიდან რომ გამოვიდა, მე დამირეკა. მაშინ კარგად არ ვიცნობდი და სხვებს ვაჩეჩებდი ტელეფონს, მაგრამ, ყველას ისეთი სახე ჰქონდა – შენ უნდა უპასუხოო. მახარა: კარგად ვარ, დამთავრდა ოპერაციაო. სახლშიც მივაკითხეთ, ვნახეთ. ბოლოს ორივემ გადავწყვიტეთ, რომ სანდროს რეაბილიტაცია ჩემთან ერთად უნდა გაევლო. მთელი ერთი წელი ერთად ვმგზავრობდით ავტობუსებით, დავდიოდით ყველგან ფეხით, ვსეირნობდით, დავხეტიალობდით ქუჩებში. მოკლედ, იმის ნაცვლად, რომ ტრენაჟორებზე ევარჯიშა, სულ ჩემთან ერთად იყო.

**– მგონი, რეაბილიტაციაში შენ უკეთ დაეხმარე.**

– კი, კი, ყველაფერი ძალიან ბუნებრივად, ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა. გემოვნება, იუმორი, აზრები, მიზნები – თითქმის ერთნაირი გვაქვს, ბევრ რამეში ემთხვევა ჩვენი შეხედულება. ჩვენი დაქორწინება სახლის დაგირავებაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, ადვილი არ იყო ისეთი სახლის პოვნა, როგორიც ჩვენ გვინდოდა. ბოლოს, ერთი სახლი მოგვეწონა, მაგრამ, ბანკიდან სესხი რომ გამოგვეტანა, თანამსესხებლები, ანუ, მე და სანდრო, ოჯახის წევრები უნდა ვყოფილიყავით. შესაბამისად, სასწრაფოდ უნდა მოგვეწერა ხელი. მახსოვს, მე და სანდრო მანქანაში ვისხედით, როცა ვკითხე: რა ვქნათ, ხელისმოწერაზე-მეთქი. სანდრომ მითხრა: არ ვიცი, მარიამ, შენ როგორც გინდაო. მოდი, სტადიონზე მოვაწეროთ ხელი-მეთქი. სიცილით მოკვდა. მერე, რომ ავუწერე, როგორ მოხდებოდა ყველაფერი, ანუ, ვიქნებოდით „ლელოს“ მაისურებში, შორტებში, ბიჭები – მაისურებში, ყელზე ბაბთებით, შორტებით, ფეხზე – ბუცებით, უკვე მოეწონა იდეა. პირველივე ვარჯიშზე გაუზიარა გუნდის წევრებს და, მოკლედ, ყველამ ერთად დავგეგმეთ. გუნდში დიზაინერი გვყავს, რომელმაც გაგვიკეთა სტადიონის დეკორაცია. ყველაფერი ჩვენი ხელით გავაკეთეთ. „ლელოს“ ბაზაზე მოვაწერეთ ხელი, სადაც სანდრო 5 წლიდან იზრდება თავის მეგობრებთან ერთად, რომლებიც მისი ოჯახის წევრები არიან.



**– გაცვია „ლელოს“ მაისური, შორტები, ბუცები და თავზე გახურავს თეთრი ფატა – ყველაზე განსხვავებული და ლამაზი პატარძალი ხარ.**

– ფატაზე პრინცესას გვირგვინი მეკეთა, რადგან, სანდრო „პრინცესას“ მეძახის. მე სანდროს მაისური მეცვა, რომლითაც მოედანზე გამოდის, თვითონ სანდრო კი თეთრი მაისურით, ბაბთით, შორტებითა და ბუცებით იყო. სანდროს სამი მეჯვარე ჰყავდა: გიორგი ჭყოიძე, ზვიად ნავროზაშვილი და ვახტანგ ხმალაძე. ჩემი მეჯვარეები არიან: თინა მახარაძე, ანა გახოკიძე და ირაკლი ყიასაშვილი. ირაკლიმ გადაწყვიტა: რადგან გოგონას მეჯვარე ვარ, ამიტომ, შოტლანდიურ კაბას ჩავიცვამ – თან, ძალიან კაცურია, თან, გოგონას მეჯვარისთვის შესაფერისი კაბა მეცმევაო. თინას დიზაინით იყო მეჯვარეების ტანსაცმელი გაკეთებული, მაისურებზე ეწერათ: „მისტერ და მისის ხაჭაპურა“. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ წინა დღეს ყველა მირეკავდა და მეკითხებოდა: სანდრო ხომ არ გვეხუმრება, მართლა ასეთი ჩაცმულები უნდა მოვიდეთ – გამაშებით, ბუცებით და ბაფთებითო? ხელი სანდროს დამ მოგვაწერინა, რომელიც იუსტიციის სახლში მუშაობს.




**– სტუმრებიც ასე იყვნენ ჩაცმულები?**

– ბიჭებს ეცვათ შორტები, პერანგები, ეკეთათ ბაფთები და ასევე ეცვათ მორაგბეების პატარა შვილებს – ყველა იცავდა დრეს-კოდს. მორაგბეების ცოლებს უნდა სცმოდათ ქმრების მაისურები, ქვემოთ კი – რამე თავისუფალი. მაგრამ, ყველამ გადაწყვიტა, გამაშები და შორტები ჩაეცვა. სტადიონზე, ღია ცის ქვეშ გადავიხადეთ ქორწილი, დავუკარით მორაგბეების საყვარელი სიმღერები, რომლებსაც ყველა თამაშზე ვუსმენთ. რაც ძალიან დასამახსოვრებელია, – ჩვენი სადღეგრძელო დალიეს რაგბის დაჩუტული ბურთით, რომელიც „ლელოს“ მუზეუმში შეინახება – ახლის დასაწყისი იქნება და, იმედია, ვინც გაიმეორებს ჩვენს ტრადიციას, სიმბოლურად, გამოიტანენ და იმავეს გააკეთებენ.



**ნათია უტიაშვილი**

**სკოლა მოზარდისთვის ცხოვრების ახალი, უცხო ეტაპია, რომელსაც ბევრი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ბარიერი ახლავს. პირველსკლასელთათვის ახალ გარემოსთან ადაპტაცია რთული პროცესია. რა პრობლემების წინაშე დგება მოზარდი სკოლაში მისვლის დროს და როგორ უნდა გავუადვილოთ მას ცხოვრების ახალი ეტაპი, ამის შესახებ თბილისის 51-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგს, არტ-თერაპევტს, საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის განვითარების ჯგუფის წევრს ანა ცინაძეს გავესაუბრეთ.**

# რას ურჩევენ ფსიქოლოგები პირველკლასელთა მშობლებს და რას არ უნდა დაამთხვიოთ შვილის სკოლაში მიყვანა

– ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ პირველკლასელთა ადაპტაციას სკოლაში, კარგი იქნება, თუ გავარკვევთ, რა ასაკის ბავშვებზეა ამ შემთხვევაში საუბარი. თუ ვისაუბრებთ ექვსიდან შვიდ წლამდე ბავშვებზე, მათი ადაპტაცია სკოლაში ზოგადად, გაცილებით ადვილად მიმდინარეობს თუმცა, ამ პროცესის წარმატებული მიმდინარეობა ბევრადაა დამოკიდებული ბავშვის უახლოეს გარემოცვაზე, თავად ბავშვზე, მასწავლებელზე. მხედველობაში მაქვს ის, თუ როგორია ბავშვის ოჯახური მდგომარეობა სახლში, როგორი დამოკიდებულება აქვთ მისდამი მშობლებს, ოჯახის სხვა წევრებს, რამდენად არის თუ არა ის მზად სკოლისათვის, არა მარტო გონებრივად არამედ ფსიქოლოგიურადაც. თუ აქვს საერთოდ სურვილი, რომ ბაღი ჩაანაცვლოს სრულიად ახალი გარემოთი, რომელსაც სკოლა ეწოდება. ბავშვის სკოლაში მიყვანის გადაწყვეტილება გეგმაზომიერად და გააზრებულად უნდა მიიღონ მშობლებმა. მათი გადაწყვეტილება მხოლოდ იმით არ უნდა იყოს ნაკარნახევი, რომ ბავშვს უკვე შეუსრულდა 6 წელი. თუმცა, ბევრი პირველკლასელი სწავლის დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ხდება სრული ექვსი წლის. რა არის იმისთვის საჭირო, რომ ბავშვი ადვილად შეეგუოს მისთვის სრულიად უცნობ, ახალ გარემოს? უპირველესად, აღვნიშნავ, რომ სასურველია, თუ ბავშვის სკოლაში მისვლა არ ემთხვევა მისი დისა ან ძმის დაბადებას. მხედველობაში მაქვს ის პერიოდი, როცა ის სკოლაში მიდის. მესმის, ზოგჯერ რთულია ამ პირობის დაცვა, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მეტად მნიშვნელოვანია თქვენი უფროსი შვილისთვის. მას ისედაც რთული პერიოდი აქვს და დის ან ძმის დაბადება მის მდგომარეობას კიდევ უფრო გაამძაფრებს. რატომ? – შეიძლება დასვათ კითხვა. როდესაც ოჯახში კიდევ ერთი ბავშვი იბადება, როგორც წესი, მის მიმართ განსაკუთრებულ სითბოს, სიყვარულსა და ყურადღებას იჩენენ და უფროსი შვილი ამ დროს თავს გარიყულად, ხანდახან ზედმეტადაც კი გრძნობს. თუ მას ორ-სამ თვეში სკოლაში წასვლა უწევს, წარმოიდგინეთ, მისი მდგომარეობა: ის უცბად „გადაიქცევა უფროსად“, რომლისგანც მეტი მოთმინება, პასუხისმგებლობა – ყველაფერი მეტი მოეთხოვება. მაშინ, როდესაც სინამდვილეში, სწორედ მას ესაჭიროება მშობლების განსაკუთრებული სითბო და ყურადღება, გამხნევება და მხარდაჭერა.

– **როგორ გავუადვილოთ ბავშვს სკოლასთან შეგუების პროცესი?**

– სხვა ფაქტორთა შორის შემიძლია, დავასახელო ის, რომ სასურველია, თუ ბავშვს სკოლას გააცნობთ არა სწავლის დაწყების პირველ დღეს, არამედ გაცილებით ადრე. შესაძლოა, ეს პრაქტიკა, რომელზეც მე მოგახსენებთ, ნაკლებადაა დანერგილი საქართველოში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის საგრძნობლად გააუმჯობესებდა ბავშვთა სკოლასთან შეგუებას. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, სკოლის ასაკის ბავშვებს ჰქონოდათ შესაძლებლობა, რომ სექტემბრამდე (დავუშვათ, გაზაფხულზე) მისულიყვნენ სკოლაში, გაეცნოთ მასწავლებელი, შესულიყვნენ თავიანთ მომავალ კლასში. ჰქონოდათ მასწავლებელთან გასაუბრების და საერთოდ, ურთიერთობის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, საუკეთესო შედეგი შეიძლებოდა მიგვეღო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ არჩეულ სკოლაში იქნებოდა ეგრეთ წოდებული მოსამზადებელი კურსები, სადაც მთელი წლის, ან ექვსი თვის განმავლობაში თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად მოამზადებდნენ ჩვენს შვილებს სკოლისათვის. მეცადინეობები ამგვარ კურსებზე შეიძლება ჩატარდეს კვირაში 2-ჯერ ან 3-ჯერ სახალისო, კეთილგანწყობილ და სასიამოვნო გარემოში მომავალი მასწავლებლის მიერ. ასეთი სახის პრაქტიკა არსებობს უცხოეთის ქვეყნებში და საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.

**- ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია პირველკლასელის შეჩვევა სასწავლო პროცესთან, როგორ შევაყვაროთ ბავშვს სწავლა?**



ესაუბრეთ შვილებს ძილის წინ. ამ დროს ბავშვები განსაკუთრებით გახსნილები და მშვიდად განწყობილი არიან გულწრფელი საუბრებისთვის

– ამაზე ფიქრი ბავშვის დაბადებიდან უნდა დავიწყოთ. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ორი წლის ბავშვი, რომელიც სწავლობს უმოძრაოდ მერხთან მიმჯდარი? რა თქმა უნდა, არა. ბავშვი სამყაროს პრაქტიკულად შეიცნობს: გემოს გასინჯვით, ხელის წავლებით, ყნოსვით, ციბრუტივით ტრიალით, კითხვების დასმითა და ექსპერიმენტების ჩატარებით. ამასთან, მისი შემეცნების სიჩქარე ჭეშმარიტად ფენომენალურია. სამწუხაროდ, მას მერე, რაც პატარები ტოვებენ საბავშვო ბაღს, ძალიან ხშირად, სწავლება მათთვის მოსაწყენი ხდება. ბევრ სკოლაში ბავშვებს მერხთან წყნარად ჯდომასა და მასწავლებლის მოსმენას აიძულებენ, იმის მაგივრად, რომ იმსჯელონ, კითხვები დასვან, გამოიკვლიონ და აქტიურად ჩაებან ამა თუ იმ საგნის შესწავლის პროცესში. იმისთვის, რომ რამე სწრაფად და კარგად შევისწავლოთ, საჭიროა ეს „რამე” დავინახოთ, გავიგონოთ და შევიგრძნოთ.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ აღიქვამენ საერთოდ სკოლას მომავალი პირველკლასელის ოჯახში. რა აზრი ან შეხედულება აქვს მაგალითად, უფროს დას ან ძმას, რას ამბობენ ისინი სკოლის შესახებ. ერთი სიტყვით, როგორი განწყობა იქმნება სკოლის მიმართ ბავშვის უშუალო გარემოცვაში.

– **თქვენ ხუთწლიანების თემა ახსენეთ...**

– არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ 5 წლის ასაკში ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები იმაზე მიგვითითებს, რომ მისი წამყვანი საქმიანობა თამაშია. ამიტომ, ამ ასაკში ბავშვის ფსიქოემოციური მზაობა სკოლისთვის ვერ შეედრება 6-წლიანთა მდგომარეობას ამ მხრივ.

ერთი მხრივ, გვყავს მშობლები, რომლებიც ისწრაფიან ადრეული სასკოლო განათლებისაკენ და ცდილობენ, შვილები 5 წლის ასაკში შეიყვანონ სკოლაში (ბავშვი 18 წლისა ხომ არ დაამთავრებს სკოლას?! - ამბობენ ისინი). მეორე მხრივ კლასში გვხვდებიან ერთი ციდა ბავშვები, რომელთა შემეცნებითი, ნებელობითი, ფიზიკური და ემოციურ-პიროვნული მზაობა ჯერ არ დამდგარა; სასწავლო პროგრამა, რომელიც გათვლილია სტანდარტული განათლების სისტემაზე და სულაც არ ითვალისწინებს ხუთწლიანთა ასაკობრივ თავისებურებებს და რა თქმა უნდა, პედაგოგები, რომელთაც რეალურად უჭირთ ამ სასწავლო პროგრამის ფონზე თანაბარი და ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ თითოეულ ბავშვს მათი მრავალრიცხოვნების გამო.

– **რას გრძნობს ბავშვი, რომელიც არ არის სკოლისთვის მზად და მიუხედავდ ამისა, უნდა წავიდეს სკოლაში?**

– ამ დროს ბავშვს უფროსების, მშობლების, მასწავლებლების გულისხმიერება, სითბო, ყურადღება და თანადგომა სჭირდება. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გითხრეს, რომ მალე ახალ სამსახურში გადახვალთ, რომელსაც საერთოდ არ იცნობთ, თვალითაც არ გინახავთ და შეასრულებთ სამუშაოს, რომელიც არასდროს შეგისრულებიათ. როგორ იგრძნობთ თავს? ალბათ, უამრავი კითხვა გაგიჩნდებათ, რომ არ ვილაპარაკოთ იმ განსაკუთრებულ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, რომელიც უდავოდ დაგეუფლებათ ამ შეტყობინების მიღებისას. აი, დაახლოებით, ასე გრძნობს თავს პატარა, ოღონდ მას მოვლენების აღქმა კიდევ უფრო გამძაფრებული აქვს, კიდევ უფრო უჭირს ამ არაერთგვაროვან სიტუაციაში. ამიტომ, დაუდექით მას გვერდით. თუ ბავშვი ტირის, ანუგეშეთ. ნუ აუკრძალავთ ტირილს, რადგან ის „უკვე დიდი გოგოა“ ან „დიდი ბიჭია“. გაიზიარეთ მისი ტკივილი, გააგებინეთ, რომ ბევრ სხვა ბავშვსაც აქვს და ჰქონია ასეთი მდგომარეობა, მათ შორის თქვენც (თუ ეს მართალია). მხოლოდ გრძნობების თანაგაზიარებითა და გულისხმიერებით იგრძნობენ ისინი, რომ ჩვენ მათ გვერდში ვუდგევართ. ესაუბრეთ შვილებს ძილის წინ, ამ დროს ბავშვი განსაკუთრებით მშვიდი და გახსნილია, განწყობილია გულწრფელი საუბრისთვის.

**თამუნა ნიჟარაძე**

# როგორ მიულოცა დაბადების დღე ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილს ბაჩო ახალაიამ და რაში ვერ წაადგა მისი პალსტუხის ფერი თენგიზ გუნავას

**(მე-15 გვერდიდან)**

როცა პოლიციაში ვმუშაობდი, ორი წლის განმავლობაში სახლში სულ ოთხჯერ მეძინა: ორჯერ 2009 წელს და ორჯერ – 2010 წელს. მახსოვს ის დღეებიც სახლში იმიტომ გავატარე, რომ ოჯახის წევრების დაბადების დღე იყო, დედას ვფიცავარ, მართლა ასე იყო. კიდევ კარგი მაშინ ცოლი არ მყავდა *(იცინის).*

– **რაც პოპულარული გახდით, რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?**

– არაფერი, გარდა ცხოვრების რეჟიმისა და წესისა. თითქმის აღარ მაქვს თავისუფალი დრო. დილის ძილი მიყვარს, თუმცა, ამას შეველიე. ყოველდღე გვიანობამდე მიწევს მუშაობა, მაგრამ, ველარ ვაძლევ თავს დილით კარგად გამოძინების უფლებას *(იცინის).* ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარს გართობა, თევზაობა, ნადირობა... ბაჩო ახალაია დამპირდა, როცა გავთავისუფლდები, ერთად წავიდეთ სანადიროდო. არასდროს არაფერი ავიწყდება, დაბადების დღეც კი მომილოცა ციხეში – ამერიკიდან გამოწერილი წიგნი მაჩუქა. თვითონ დიდხანს ელოდებოდა ამ წიგნს, რომელიც იტალიურ მაფიაზეა. ბოლოს „კამორა” მაინც გაიმეტა ჩემთვის, ინგლისურ ენაზეა, თუმცა, ჯერ არ ვიცი ინგლისური ისე კარგად, რომ იტალიურ მაფიაზე დაწერილი წიგნები ვიკითხო *(იცინის).*

**თამუნა სამადაშვილი**

# ვინ შეუკვეთა ზაალ არაგვის ერისთავის მოკვლა მისსავე ძმისშვილებს

სულ ორი საუკუნის განმავლობაში მართავდნენ არაგვის ერისთავები არაგვის ხეობას, თუმცა, ისტორიას მრავალი ცნობილი სახელი დაუტოვეს. თითქმის ყოველი მათგანი ერთნაირი თვისებებით ხასიათდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მებრძოლები და ვაჟკაცები იყვნენ, არაგვის ერისთავები ძალაუფლებისა და პირველობის წყურვილით გამოირჩეოდნენ. ცნობილია, რომ ამ საგვარეულოს თითქმის ყოველი წარმომადგენელი ურთიერთდაპირისპირებასა და შეთქმულებაში იქნა მოკლული.

მეთექვსმეტე საუკუნეში გამოვიდნენ ასპარეზზე არაგვის ერისთავები და მეთვრამეტე საუკუნემდე გაგრძელდა მათი მმართველობა. ამ საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი გახლავთ ნუგზარი – საკმაოდ ცნობილი პიროვნება საქართველოს ისტორიაში, რომელიც ერისთავი ძლიერი და სისხლიანი შინაომის შემდეგ ხდება. ბიძები და ბიძაშვილები ერთმანეთს დაერივნენ და, ამ ურთიერთდაპირისპირებაში დარჩა გამარჯვებული სწორედ ნუგზარი და 1578 წლიდან გახდა არაგვის ერისთავი. არაგვის ერისთავები საკმაოდ კარგი მებრძოლები იყვნენ, თუმცა, იმდენად ამაყები და ამპარტავნები, რომ ხშირად მეფესაც ეურჩებოდნენ. სწორედ ამ უარყოფითი თვისებების გამო მათ ერთმანეთთანაც ჰქონდათ ხოლმე ბრძოლები. თითქმის ყველა მათგანი ამ საგვარეულოდან, ურთიერთდაპირისპირებისა და შეთქმულების შედეგად იქნა მოკლული.



თითქმის ყველა არაგვის ერისთავი ურთიერთდაპირისპირებისა და შეთქმულების შედეგად იქნა მოკლული

ნუგზარს ჰყავდა ექვსი ვაჟი: ბადური, გიორგი, ზურაბი, დათუნა, ზაალი, რევაზი და ერთი ასული, რომლის სახელიც ჩვენ არ ვიცით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცნობილი პიროვნება გახლდათ – იგი გიორგი სააკაძემ შეირთო ცოლად. ანუ, არაგვის ერისთავები იყვნენ დიდი მოურავის ცოლისძმები. ნუგზარი საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ფიგურა იყო. ის 1619 წელს გარდაიცვალა. ცნობილია მისი ბრძოლები მოხევეებთან და ფშავ-ხევსურებთან თუმცა, აღსანიშნავია, რომ არაგვის ერისთავმა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა მათი დამორჩილება.

ნუგზარის სიკვდილის შემდეგ არაგვის ერისთავი ხდება მისი უფროსი ვაჟი – ბადური. ბადურს არ ემორჩილება მომდევნო ძმა – ზურაბი, რომელიც მიდის ირანში და შაჰისაგან იღებს დახმარებას, შემდეგ ბრუნდება არაგვის ხეობაში, ამარცხებს ბადურს, განდევნის და თვითონ ხდება არაგვის ერისთავი, ბადურს კი ვერაგულად აკვლევინებს. თვითონ ზურაბს არ ემორჩილება მომდევნო ძმა – გიორგი, რის გამოც, ზურაბი დაიჭერს საკუთარ ძმას და თვალებს დასთხრის – ასეთი საკმაოდ სისხლიანი გარჩევები აქვთ არაგვის ერისთავებს ერთმანეთთან. ზურაბი, მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ერთ-ერთი ცნობილი პიროვნებაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ის გიორგი სააკაძესთან ერთად იმყოფება ირანში, მასთან ერთად იღებს მონაწილეობას მარტყოფის აჯანყებაში, მარაბდისა და ბაზალეთის ბრძოლებში. აღსანიშნავია, რომ, როდესაც გიორგი სააკაძეს გაუმხელია, მისთვის, აჯანყებას ვაწყობო, ზურაბ არაგვის ერისთავს საყვედური გამოუთქვამს – რატომ ირანშივე არ გამიმხილე ეს განზრახვაო. ის უკმაყოფილო იყო – ირანში ცოლი დავტოვე მძევლადო, რაზეც დიდმა მოურავმა უპასუხა: შენ ცოლი დატოვე, მე კი – შვილი; ეს ამბავი ირანშივე რომ გამენდო, შესაძლოა, ვინმესთვის გაგემხილაო. ცნობისთვის, ისტორიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ, შესაძლოა, სწორედ ამის გამო უღალატა მომავალში ზურაბმა სიძეს. თეიმურაზ პირველისა და გიორგი სააკაძის შორის ბრძოლაში, იგი გადაუდგა გიორგის და მეფის მხარეს გადავიდა. თუმცა, ზოგი ისტორიკოსი იმასაც ვარაუდობს, რომ, მან ასეთი არჩევანი გააკეთა იმის გამო, რომ თეიმურაზი უფრო მეტს შეჰპირდა. სხვათა შორის მის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზ პირველისთვის, რადგან, ზურაბი საუკეთესო მეომარი და სარდალი იყო და, ამავე დროს, საკმაოდ დიდი ჯარი გამოჰყავდა არაგვის ხეობიდან. ვახუშტი ბატონიშვილი არაგვის ამ ერისთავის შესახებ წერს: „ზურაბი ძალიან გაამაყდა. მას სურდა, კახეთში თეიმურაზი ყოფილიყო მეფე, ქართლში – სიმონ ხანი (გამაჰმადიანებული ბაგრატიონი) და თვითონ ყოფილიყო ორივეს პატრონი.“

თეიმურაზ მეფის წაქეზებით, 1630 წელს, ზურაბმა მოკლა ქართლის გამაჰმადიანებული მეფე – სიმონი. რის შემდეგაც თეიმურაზმა სტუმრად მიიწვია თავისთან ზურაბ არაგვის ერისთავი ნადიმზე და მოაკვლევინა. შესაძლოა, ამით თეიმურაზი შაჰის წინაშე თავის გამართლებას აპირებდა – სიმონ-ხანის მკვლელი მოვკალიო, მაგრამ, რეალურად, თეიმურაზმა მეტად ძლიერი მოწინააღმდეგე მოიშორა. მოწინააღმდეგე, რომელსაც საკმაოდ დიდი ამბიციები გააჩნდა და მეფესაც არაფრად დაგიდევდათ.

ზურაბის სიკვდილის შემდეგ არაგვის ერისთავი გახდა დათუნა. როდესაც 1632 წელს საქართველოში ჩამოდის გამაჰმადიანებული ბაგრატიონი ხოსრო-მირზა, როსტომ-ხანად წოდებილი, მას ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევს დათუნა არაგვის ერისთავი. დათუნას ეშინოდა: მისი ძმის, ზურაბის მიერ მოკლული სიმონ-ხანი როსტომის ძმისშვილი იყო და სისხლი ჩემზე არ აიღოსო. გარდა ამისა, როსტომ-ხანი მაჰმადიანი იყო, დათუნა ქრისტიანი თეიმურაზს ემხრობოდა და ესეც საკმაო მიზეზი იყო მათ დასაპირისპირებლად. როგორც ჩანს, როსტომი ეჭვით უყურებდა დათუნას. როდესაც მას შეატყობინეს, რომ დათუნა ღალატობს და თეიმურაზის მხარეს გადადისო, იმ დროს ორივენი სუფრასთან მსხდარან. ეს ყველაფერი მუხრანში ხდებოდა. როსტომმა დათუნას დატყვევება ბრძანა და უთხრა – იარაღი შეიხსენიო. რა თქმა უნდა, ამაყი არაგვის ერისთავი იარაღს არ აიყრიდა. სხვათა შორის, ის ძალიან დიდი ფიზიკური ძალის პატრონი იყო, რის გამოც საკმაოდ გაუჭირდათ მისი განიარაღება და, საბოლოოდ, დათუნა არაგვის ერისთავი ისრების ჯერით მოკლეს. ამის შემდეგ ზაალი ხდება არაგვის ერისთავი. თავდაპირველად ზაალიც როსტომის წინააღმდეგია, მონაწილეობს მის საწინააღმდეგო შეთქმულებებში, თუმცა, 1642 წელს, როდესაც მისი მორიგი შეთქმულება მარცხით დამთავრდა, ზაალი იძულებული შეიქნა, წასულიყო შაჰის კარზე, სადაც ის გამაჰმადიანდა. სხვათა შორის, შაჰმა ზაალს, გარდა არაგვის ერისთავობისა, კახეთის ერთი ნაწილის მმართველობაც უბოძა. ამ დროს კახეთის ერთ ნაწილს განჯის ხანი მართავდა, მეორე ნაწილის მმართველობა კი ზაალს დაეკისრა.

ზაალ არაგვის ერისთავი გახლდათ ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, რომელიც 1659 წელს მოხდა. უფრო ზუსტად, ბიძინა ჩოლოყაშვილთან და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან ერთად, მთავარი ორგანიზატორი ამ აჯანყებისა არის ზაალ არაგვის ერისთავი. მართალია, თვითონ არა, მაგრამ, მისი ვაჟი უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლაში. სავარაუდოა, რომ ბრძოლის გეგმა ზაალის უშუალო მონაწილეობით დგებოდა. სწორედ ეს ზაალი ჰყავს შემდეგ აკაკი წერეთელს თავის, ნაწარმოებ „ბაში-აჩუკში“ გამოყვანილი. ცნობილია, რომ ამ აჯანყების შემდეგ, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები ირანში გაემგზავრნენ, შაჰის მრისხანება რომ დაეცხროთ და ქვეყანა დამსჯელი ექსპედიციისგან ეხსნათ. ისინი იქ წამებით დახოცეს და ჩვენმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა სიკვდილის შემდეგ. რაც შეეხება ზაალს, მისი მოკვლაც შაჰმა ბრძანა, რის შემდეგაც ვახტანგ მეხუთემ არაგვის ამ ერისთავის მოკვლა მისსავე ძმისშვილებს დაავალა. ალბათ, იკითხავთ, რომელ ძმისშვილებსო. ზემოთ რომ ვახსენეთ გიორგი, რომელსაც ზურაბმა თვალები დასთხარა, სწორედ იმ გიორგის ვაჟები იყვნენ ოთარი და იასონი. რომლებიც, ამავე დროს, იყვნენ ვახტანგ მეხუთის დისშვილები. ოთარი და იასონი სტუმრად ეწვივნენ ბიძას დუშეთში. როგორც ისტორიკოსი წერს, 1660 წელს, ერთ მშვენიერ დღეს, ზაალი იჯდა ფანჩატურში თავისთან და ნარდს თამაშობდა, როცა, მოულოდნელად მისცვივდნენ მას ძმისშვილები და მოკლეს, რის შემდეგაც, ერთ-ერთი მათგანი, იასონი, გახდა არაგვის ერისთავი. ამ ამბის შემდეგ კიდევ საუკუნენახევრის განმავლობაში არსებობდა ეს საგვარეულო, თუმცა, ისეთი ძლიერი წარმომადგენლები, როგორებიც ზაალი და ზურაბი იყვნენ, მათ აღარ ჰყოლიათ.

**რა თქმა უნდა, ამაყი არაგვის ერისთავი იარაღს არ აიყრიდა. სხვათა შორის, ის ძალიან დიდი ფიზიკური ძალის პატრონი იყო, რის გამოც საკმაოდ გაუჭირდათ მისი განიარაღება და, საბოლოოდ, დათუნა არაგვის ერისთავი ისრების ჯერით მოკლეს**

**ეკა სალაღაია**


## განცხადება

5 ოქტომბრიდან, **ირაკლი აბაშიძის 50-ში** (ბინა №39), იხსნება საკვირაო სკოლა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის.

დღის განრიგი: შაბათ-კვირას, 10-დან 19 საათამდე; სამჯერადი კვება, გაკვეთილების მომზადება, ვაკის პარკში გასეირნება, ქცევის წესები, ზოგადი განათლება და სხვა.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 555-53-43-38. თამრიკო**

**ჩვენი მკითხველი ქართული პრეპარატის – „კამელინის“ სამკურნალო თვისებებს უკვე დიდი ხანია, იცნობს. ბევრ მათგანს საკუთარ თავზე განუცდია ამ პრეპარატის გამოყენებით მიღებული განსაცვიფრებელი შედეგები. ამიტომაც არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, რომ მათი დახმარებით „კამელინის“ შესახებ სხვებისთვისაც მიგვეწოდებინა ინფორმაცია. როგორც ცნობილია, დღეს უკვე არსებობს „კამელინის“ 5 ფორმა: ინიექცია, კაფსულები, მალამო, სანთლები და სპრეი, რომელთა გამოყენება არა მხოლოდ დაავადებების დროს, არამედ წელიწადში ორჯერ, პროფილაქტიკის მიზნითაც, ძალიან ბევრ დაავადებას აგაცილებთ თავიდან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა. დღეს უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდის დელეგაცია, რომელსაც სურს, საკუთარ ქვეყანაში ქართული ბუნებრივი წარმოების პრეპარატის – „კამელინის“ დარეგისტრირება და შეტანა. თუმცა, ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი კობა გურიელიძე:**

# რატომ გადის ნელ-ნელა მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე „კამელინი“ და როგორ დაინტერესდა მისი სამკურნალო თვისებებით ძალიან ბევრი ქვეყანა

– ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი დელეგაცია ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან. დღეს ***(ინტერვიუ ჩაწერილია 24 სექტემბერს – ავტორი)*** ვხვდებით პოლონეთის, ჩეხეთის დელეგაციებს. ერთი კვირის წინ უკრაინიდან იყო დელეგაცია ჩამოსული. ყველას ძალიან აინტერესებს „კამელინის“ ხუთივე ფორმა. ბელორუსიაში „კამელინის“ დარეგისტრირების შესახებ განხილვა ძალიან მალე იქნება. რამდენიმე კვირის წინ ყირგიზეთიდან მივიღეთ ოფიციალური დასტური „კამელინის“ 5 ფორმის ამ ქვეყანაში დარეგისტრირების შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ამ კუთხით აქტიურობა არ გამოგვიჩენია.

**– ანუ, როგორ მოხდა მათი დაინტერესება „კამელინით“?**

– რამდენიმე ხნის წინ ბელორუსიის სამთავრობო დელეგაცია იყო ჩვენთან, მათ სხვადასხვა სფერო აინტერესებდათ. ფარმაცევტულ ბაზარზე კი „კამელინი“ შეარჩიეს და პირდაპირ განაცხადეს: „ეს პრეპარატი უნდა იყოს ბელორუსიაში“. როგორც შემდეგში გავიგეთ, ერთ-ერთი თანამდებობის პირის მეუღლეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონია და საქართველოდან ჩატანილი „კამელინით“ მკურნალობდა. მიღებული შედეგებით ძალიან კმაყოფილი იყო. ახლო მომავალში იმედი გვაქვს, რომ ბელორუსიაში „კამელინი“ წარმატებით დარეგისტრირდება, საბუთები უკვე მოვამზადეთ და გავაგზავნეთ. ასევე, ერთ მშვენიერ დღეს, ოფისში გამოგვეცხადა ყირგიზეთის წარმომადგენელი, ქალბატონი, რომელიც ექიმი-რადიოლოგია, ონკოლოგიურ პაციენტებს უტარებს გამოკვლევებს. როგორც გვითხრა, ჩვენი ვებ-გვერდიდან გაუგია „კამელინის“ შესახებ. შემდეგ ნაცნობს გაუგზავნია საქართველოდან „კამელნის“ ინიექციის ფორმები და უმკურნალია პაციენტებისთვის. მაგალითად, ერთ-ერთ ქალბატონს, რომელსაც ჰქონდა საშვილოსნოს ყელის კიბო, ჩაუტარა „კამელნით“ მკურნალობის რამდენიმე კურსი, რის შედეგადაც ყველა სიმპტომი ალაგდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა მან საქართველოში ჩამოსვლა და ჩვენთან შეხვედრა. ფაქტობრივად, მან დაიწყო ყირგიზეთში „კამელინის“ დარეგისტრირებაზე მუშაობა და ახლა უკვე ხუთივე ფორმა დარეგისტრირდა იქ. რამდენიმე დღეში მათ ბაზარზე დავიწყებთ „კამელინის“ ხუთივე ფორმის ექსპორტს. იმედი გვაქვს, უკრაინაშიც მალე მოხდება სახელმწიფო რეგისტრაციის გავლა. ყველა დოკუმენტაცია მზად არის. უკრაინის წარმომადგენელს, რომელიც ჩვენთან იმყოფებოდა, აფთიაქების დიდი ქსელი აქვს. არაოფიციალურად, მოსახლეობა ახლობლებს, ნათესავებს უგზავნიდა უკრაინაში „კამელინს“, ისინიც მკურნალობდნენ და შემდეგ უკვე აფთიაქში იწყებდნენ მის მოკითხვას. რადგან მას აფთიაქების ქსელი აქვს, კარგად იცის, რა პრეპარატს ითხოვს მოსახლეობა და ამიტომაც დაინტერესდა „კამელინით“. ჩამოვიდა საქართველოში, მოლაპარაკებები შედგა, დოკუმენტები მომზადდა. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოიყარა, „კამელინის“ კაფსულების საცდელი ფორმა, რომელსაც „კოლხური თაფლი“ დაარქვეს, ანუ, უფრო ეგზოტიკური სახელი შეურჩიეს. დარწმუნებული ვართ, ის ამერიკაში დიდ მასშტაბებს მიიღებს. წინ ბევრი სამუშაო გვაქვს. მაგრამ, რაც მთავარია, „კამელინი“ მსოფლიო ბაზარზე ნელ-ნელა იკვლევს გზას.

**– როგორც ვიცი, ძალიან კარგია „კამელინის“ გამოყენება პროფილაქტიკის მიზნით.**

– ჩვენი ძირითადი მომხმარებლები ონკოლოგიური პაციენტები არიან. თუმცა, ეს უკვდავების წყალი არ არის, მაგრამ ძალიან კარგი პრეპარატია – ძლიერი იმუნომოდულატორი. ამიტომაც პროფილაქტიკისთვის, სხვადასხვა დაავადების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად ძალიან კარგი საშუალებაა. ანუ, პროფილაქტიკის მიზნით, შეუძლია, ჯანმრთელმა ადამიანმაც ჩაიტაროს წელიწადში ორჯერ მკურნალობის თითო კურსი ისე, რომ გვერდითი მოვლენები არ ექნება. „კამელინის“ ამ თვისებებით განსაკუთრებულად იხიბლებიან ჩვენი უცხოელი პარტნიორები. ამიტომაც, სურთ მათ ბაზარზე „კამელინი“ შევიდეს არა მხოლოდ დაავადების აღმოფხვრის, შეჩერების მიზნით, არამედ პრევენციის მიზნითაც.



**– რას ავიცლებთ თავიდან „კამელინის“ პროფილაქტიკის მიზნით გამოყენების შემთხვევაში?**

– როდესაც ადამიანის იმუნიტეტი გამოდის წყობიდან, მას არაფერი სტკივა, არაფერი აწუხებს. იმუნიტეტის მდგომარეობა კი განსაზღვრავს კიბოს უჯრედების გაზრდა-განვითარებას და ან შეჩერებას. როდესაც იმუნიტეტი მცირდება, ის კონტროლს კარგავს, ეს უჯრედები კი მრავლდება უსასრულოდ. ასე ყალიბდება პირველი სტადიის კიბო. ჩვეულებრივ შემთხვევაში, როცა იმუნიტეტი მწყობრში აქვს ადამიანს, ეს უჯრედები იზრდება, კვდება და ასე შემდეგ. მაგრამ, როცა იმუნიტეტი მცირდება, უჯრედების ზრდას ხელს ვერ უშლის, უჯრედები არ კვდება, კიბოს უჯრედების მასად ყალიბდება და ჭამს ორგანიზმს. კიბოს პირველი სტადიის ჩამოყალიბებას კი თითქმის 10-15 წელი სჭირდება. როდესაც ადამიანს იმუნიტეტი აქვს შემცირებული, ძალიან კარგია ამ დროს „კამელინის“ გამოყენება, რომელიც ზრდის იმუნიტეტს და ხელს უშლის დაავადების ჩამოყალიბებას.

**– თუმცა, როგორც ცნობილია, „კამელინის“ პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება, არა მხოლოდ სიმსივნეს, არამედ სხვა დაავადებასაც აგვაცილებს თავიდან.**

– რა თქმა უნდა, „კამელინის“ ხუთი ფორმა არსებობს და ყველა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. მაგალითად, მალამო ძალიან კარგია დამწვრობაზე, ჭრილობების შეხორცებლად, სახსრებისთვის, როდესაც ის ელექტროფორეზითა და ფონოფორეზით შეჰყავთ უშუალო კერამდე. სანთელი ძალიან კარგია ბუასილის, ქალური დაავადების მკურნალობისას... ამ პრეპარატს არ აქვს უკუჩვენება და ორსულ ქალებსაც შეუძლიათ მისი გამოყენება. ნემსები კიბოს საწინააღმდეგოდ, მისი პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგი საშუალებაა. რაც შეეხება კაფსულებს, ძალიან კარგი, მსუბუქი, მისაღები ფრომაა და ადამიანს მკურანლობისთვის დაჩხვლეტა აღარ დასჭირდება, რაც მთავარია, ეფექტურია მისი გამოყენება სიმსივნის დროს. სპრეი კი ძალიან კარგია ყელის დაავადების, სხვადასხვა დაზიანების დროს – ძალიან კარგ შედეგს იძლევა.

**– წელიწადის რომელ დროს არის სასურველი პროფილაქტიკისთვის „კამელინის“ გამოყენება?**

– კარგია გაზაფხულისა და ზამთრის დადგომის დროს, როდესაც ვიტამინების ნაკლებობას განიცდის ადამიანი, იმუნიტეტი თავისთავად ქვეითდება, ასევე, დაავადების გადატანის შემთხვევაში, როდესაც იმუნიტეტი მოშლილია. კარგია, თუ ამ დროს მივიღებთ კაფსულებს – ბრწყინვალე შედეგს მოგვცემს, მალე აღადგენს იმუნიტეტს. მინიმუმ, ერთი კურსი ძალიან კარგია, განსაკუთრებით მძიმე, გრიპოზული დაავადების გადატანის შემდეგ. მინდა აღვნიშნო, რომ ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება ხანგრძლივი დროითაც შეიძლება და, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599-33-10-89; 599-58-09-07; 599-23-03-33; 2-98-62-25; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

**ოქტომბრიდან ნოდიკო ტატიშვილი ახლად გახსნილ სამუსიკო სტუდია It's ok-ში ნიჭიერ ბავშვებს მიიღებს, რომლებიც შეისწავლიან სიმღერას, მეტყველებას, ცეკვას. ნოდიკოს სტუდიაში ვოკალის პედაგოგი ნანა დაუშვილი იქნება, თათული ედიშერაშვილი ასწავლის მეტყველებას, ხოლო ჯულიანა ბარ-გნარი – პლასტიკას, ცეკვას. ნოდიკო ნიჭიერ ბავშვებს აუცილებლად გაუშვებს საერთაშორისო კონკურსებზე და სხვადასხვა სატელევიზიო შოუში მოხვედრაში დაეხმარება.**

# როგორი ქალი გამოჩნდა ნოდიკო ტატიშვილის ცხოვრებაში და როდის მიიღებს ის ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას

**ნოდიკო ტატიშვილი**: სულ მეუბნებოდნენ, ბავშვებს მოგიყვანთ, გახსენი სტუდიაო და ამანაც მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება. მიხარია, რომ ჩემს სტუდიაში ისწავლიან ნიჭიერი ბავშვები. გარდა ამისა, ვიწყებ ახალ პროექტზე მუშაობას – ეს იქნება აკუსტიკური მუსიკალური პროგრამა, ცოტა განსხვავებული იმ მუსიკისგან, რასაც აქამდე ვმღეროდი. გვინდა, „ლაივი“ ჩავწეროთ და გავაკეთო სალონური ტიპის კონცერტი. ასევე, ვაპირებ ახალი სიმღერის ჩაწერას.  გარდა ამისა, მოსკოვიდან მაქვს ძალიან კარგი შემოთავაზება როგორც მატერიალური კუთხით, ისე სხვა მხრივაც. საქართველოში შოუ-ბიზნესი აქტიურად ვერ მუშაობს და ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, სხვა სამსახური არ არსებობს. მე მომღერალი ვარ და ჩემი შემოსავალი ყოველთვის ჩემი პროფესიიდან გამომდინარე მქონდა. მეორე ძალიან კარგი პროფესიაც მაქვს – სახელმწიფო მართვის მოხელე ვარ, წარჩინებით დავამთავრე და კარგად ვისწავლე. ამ კუთხითაც იყო შემოთავაზებები – არ გინდა, სახელმწიფო სტრუქტურაში იმუშაოო? მე უარს ვამბობდი, რადგან, არ მინდოდა და არც ახლა არ მინდა, რომ, თუნდაც, რამდენიმე საათი მოაკლდეს ჩემს მუსიკალურ კარიერას. მოკლედ, შეიძლება, რაღაც პერიოდი მომიწიოს მოსკოვში ჩასვლა, მექნება კორპორაციული საღამოები და ვიმღერებ ქართველებისთვის. მარტში ვაპირებდი ნიუ-იორკში წასვლას, იყო იმის საშუალება, რომ იქ ერთ-ერთ კლუბ-რესტორანში ბენდთან ერთად მემღერა და, თან, პარალელურად, მესწავლა. ნოემბერში ავიღე 10-წლიანი მულტი ვიზა, ვაპირებდი გამგზავრებას და, უცებ, მითხრეს, შენ და სოფო „ევროვიზიაზე“ უნდა წახვიდეთო. ასე რომ, ეს გეგმა ჩამეშალა, თუმცა, ერთი წუთითაც არ მინანია, რადგან, „ევროვიზიაზე“ წასვლა ყოველთვის მინდოდა, უბრალოდ, იმ პერიოდში ამაზე საერთოდ არ მიფიქრია. ახლა, შემოდგომაზე, ვაპირებ მოსკოვში წასვლას, ზამთარში – ნიუ-იორკში, მაგრამ, შეიძლება, მოულოდნელად ისეთი რაღაცეები გამოჩნდეს, რომ ვერსადაც ვერ წავიდე. თუმცა, ამერიკაში წასვლა ყოველთვის ძალაში იქნება. ერთხელ ვიყავი ნიუ-იორკში და, მგონია, რომ ეს არის ქალაქი, სადაც, თუ მოინდომებ და იშრომებ, აუცილებლად აგისრულდება ჩანაფიქრები. დღეს მივედი იმ დასკვნამდე, რომ თუ იქ ჩემი კარიერის აწყობით ჩემს ქვეყანას გავუთქვამ სახელს, რატომაც არ უნდა წავიდე! საერთაშორისო კონკურსებზეც ქვეყნის სახელით მივდიოდი და იმის ჟინი მქონდა, საქართველო ყოფილიყო პირველი. შეიძლება, ბევრისთვის არარეალური მიზნები და მისწრაფებები მაქვს, მაგრამ, მჯერა, რომ ბოლომდე მივიყვან.

**– რას გულისხმობ?**

– ის, რაც დღემდე ვინატრე, ყველაფერი ამიხდა: 6 წლის ვიყავი, როდესაც ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ვიმღერე; ცოტა რომ წამოვიზარდე, ჩემი მიზანი იყო, ფილარმონიის დარბაზში მქონოდა დიდი კონცერტი ორკესტრთან ერთად. საერთოდ, მიყვარს ფილარმონიის სცენა – იქ რომ შევდივარ, ასე მგონია, ხელახლა ვიბადები. 25 წლის ასაკში ამისრულდა ეს ნატვრა; მინდოდა, ვყოფილიყავი ძალიან ცნობილი და ხალხისთვის საყვარელი მომღერალი – ესეც ამიხდა; მინდოდა, ჩემი ალბომი მქონოდა, ბევრი მეფრინა, სხვადასხვა ქვეყანაში მქონოდა კონცერტები და ესეც ამიხდა.

**– პირად ცხოვრებაშიც ასე გისრულდება ყველაფერი?**

– ვისაც თვალი დავადგი (კარგი გაგებით), მასთან ურთიერთობაში შორს თუ არ წავსულვარ, გამიცნია მაინც, რაღაც ურთიერთობა მქონია. ბავშვობიდან მოვდიოდი მარტო, ვსახავდი მიზნებს, მერე კი უკვე ვიცოდი, მიზნამდე როგორ უნდა მივსულიყავი. მადლობა ღმერთს, რომ მაქვს მუსიკალური ნიჭი – ამის გარეშე ვერაფერს გავხდებოდი. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ: ჩემში ყველაზე მეტად მიყვარს ის, რომ, შემიძლია, თავდაუზოგავად ვიშრომო. როცა რესურსი გაქვს, მიზანი უნდა დაისახო და მერე შეარჩიო მისკენ მიმავალი გზები. თუმცა, მიზნისკენ მიმავალი ბევრი საშუალება შეიძლება იყოს, მაგრამ, ყველაფერს ვერ გააკეთებ. არ შემიძლია, ვინც მჭირდება, იმ ადამიანთან მივიდე, ტყუილად შევფიცო მეგობრობა, მისი დაფიცება დავიწყო, ვეპირფერო, გამოვიყენო. თუ ვინმე მჭირდება, პირდაპირ ვეუბნები: მე შენგან ეს მჭირდება. შეგიძლია, რომ გამიკეთო? შემოვლითი გზებითა და პირფერობით არაფერს ვაკეთებ, რადგან მაქვს პრინციპები, რომლებსაც ვერ გადავუხვევ. მირჩევნია, ვიწვალო, უფრო მეტად გავიჭირვო და სუფთად მივიდე, ვიდრე ვიღაცას ვეპირფერო.



**ჩემთვის ქალი მით უფრო საინტერესოა, რაც უფრო მეტად მიუწვდომელია. ბევრი დრო მჭირდება იმისთვის, რომ მასთან მივიდე**

**– ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში რთული პერიოდები და არც შენ იქნები გამონაკლისი.**

– „ჯეოსტარამდე“ მქონდა პერიოდი, როდესაც, ფაქტობრივად, პარალიზებული ვიყავი. საერთაშორისო კონკურსებიც აღარ ტარდებოდა; რაც კარგი იყო, ყველაფერი მოგებული მქონდა, ყველგან მონაწილეობა მქონდა მიღებული. ძალიან ცუდად ვიყავი მორალურადაც, მატერიალურადაც, ყველანაირად და სახლში ვიჯექი. ეს ის მომენტია, როდესაც ვერ ეტევი კანში, გინდა, ბევრი რამ აკეთო, მაგრამ ამის საშუალება არ გეძლევა. ეს ეტაპი დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა. ცუდად ვიყავი, მაგრამ, ვცდილობდი ეს ჩემი ოჯახის წევრებს არ ეგრძნოთ. მთელმა ამ პერიოდმა მიზნების დასახვაში გაიარა. მართალია, იმ რეალურ მომენტში ძალიან ცუდად ვიყავი, თუმცა, მეცხრე სართულიდან არ გადმოვმხტარვარ – ამის მცდელობა უფრო ადრე იყო. მერე მივხვდი, რომ ცხოვრებაში სულ ცუდი არ ხდება. გამოჩნდა „ჯეოსტარი“ და იმის მერე არც დამისვენია. მახსოვს კიდევ ერთი მომენტი – 2005 წელს „იურმალაზე“ მინდოდა წასვლა, რომელიც ყველაზე კორუმპირებული კონკურსი იყო და, იქ რომ წასულიყავი, უნდა ჩაგერია ხალხი, მატერიალური ბაზაც უნდა გქონოდა. ვერ მოვხვდი – ნახევარფინალიდან დავბრუნდი და ძალიან ვიყავი დათრგუნული. ჩემმა დამ მითხრა მაშინ: ეს იმიტომ მოხდა, რომ მერე უფრო კარგი რამ მოხდესო. მართლაც, ცოტა ხანში დამირეკა მამუკა საკაშვილმა და მითხრა: კონკურს „აზიის ხმებზე“ თუ წახვალო – ეს ერთ-ერთი ყველაზე ღირებული კონკურსია. წავედი, ავიღე გრან-პრი და დავიჯერე, რომ ცუდს ყოველთვის მოჰყვება კარგი.

**– რატომ აპირებდი მეცხრე სართულიდან გადმოხტომას?**

– მეცხრე კლასში რომ ვსწავლობდი, პარალელური კლასელი მიყვარდა. იმის მერე ასე არავინ მყვარებია. სკოლიდან მივდიოდი სახლში, გაკვეთილებს ვსწავლობდი და მერე მთელი საღამო მისი სახლის წინ ვიჯექი. ყველამ იცოდა, სად შეიძლებოდა ჩემი პოვნა – ანას სადარბაზოსთან იჯდებაო. ერთმანეთთან ხან კარგად ვიყავით, ხან – მეგობრები, ხან – არავინ, მოკლედ, ძალიან მაწვალებდა. ერთხელ რაღაცაზე ვიკამათეთ და მივხვდი, რომ ჩემი სიყვარული ცალმხრივი იყო. მოკლედ, ძალიან უბედური ვიყავი და გადავწყვიტე, თავი მომეკლა. ფანჯარასთან მივედი და გავიფიქრე: რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას, თუ ის ჩემ გვერდით არ იქნება-მეთქი, მაგრამ, ბოლო მომენტში მივხვდი, რომ სისულელეს ვაკეთებდი.

**– გავიგე, ნოდიკო შეყვარებულიაო.**

– რომ გითხრა, იმ კონდიციამდე ვარ მისული, რომ დაოჯახებას ვაპირებ ან ურთიერთობის გასერიოზულებას – მოგატყუებ. აღმოჩნდა, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო რაღაცეები ხდება კიდევ უფრო სერიოზულად, ვიდრე ეს აქამდე იყო. ახალი დაწყებული ურთიერთობაა, შეგნებულად არ მიგვყავს იქამდე, რომ სახელი დავარქვათ – ყველაფერს თავისი დრო სჭირდება. დიდი ხნის ურთიერთობაც არ არის, თან, ეს ყველაზე მაგარი ეტაპია. ადრე ძალიან სულსწრაფი ვიყავი – ვიღაც რომ მომეწონებოდა, ერთი სული მქონდა, გამეცნო. რომ გავიცნობდი, ან უფრო მეტად მინდოდა დაახლოება, ან აღარ მიჩნდებოდა მასთან ურთიერთობის სურვილი. ახლა მომწონს ჩვენი ურთიერთობა: თან ახლოს ხარ, თან ორივე მხრიდან რაღაც ზღვარია. ღიმილით რომ ეტყვი, გაგიგებს; შენც ხვდები, ისიც, მაგრამ, არ გინდათ, აღიაროთ და ეს გულში ძალიან გვსიამოვნებს. ჩემთვის ქალი მით უფრო საინტერესოა, რაც უფრო მეტად მიუწვდომელია. ბევრი დრო მჭირდება იმისთვის, რომ მასთან მივიდე. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი: ძალიან კარგი მამა ვიქნები, მეუღლეს არაფერზე დავწყვეტ გულს და, რაც მთავარია, მინდა, 5 შვილი მყავდეს. ზუსტად მაქვს გაცნობიერებული ეს პასუხისმგებლობა და ამაში განსაკუთრებულად დამეხმარა ჩემი დეიდაშვილის შვილი – მას საკეისრო კვეთა გაუკეთეს, მე დავესწარი, თავთან ვეჯექი და რაც მნიშვნელოვანია, ყველაფერი ვიდეოზე გადავიღე – საოცარი კადრები შევუნახე ანდრიას. ჩემი შვილის დაბადებასაც აუცილებლად დავესწრები. მიუხედავად იმისა, რომ იმპულსური და სულსწრაფი ვარ, ოჯახთან მიმართებაში ძალიან ფრთხილი ვიქნები და ეს იქნება ბევრი ფიქრის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება.

**ნათია უტიაშვილი**

# მთელ მსოფლიოში აქტუალურ ბიზნესორიენტაციის სეანსებს ნანა მამაგულაშვილი სუამის ქვეყნებშიც ჩაატარებს

*ყველას შეუძლია, გახდეს მილიონერი, ან, მარტივად, იშოვოს იმდენი ფული, რამდენიც მას თავად სურს. მთავარია, სურვილი და... საკუთარი რესურსების სწორად დახარჯვა... და კიდევ, აუცილებელია, გქონდეს ბიზნესორიენტაცია. დღეს მთელ მსოფლიოში თითოეული ადამიანისთვის გახდა აქტუალური იმის ცოდნა, თუ რომელ სფეროში იქნება ის პროდუქტიული და ფინანსურად გამართლებული. სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლები ცოდნა ამ საკითხში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ და გამონაკლისი არც საქართველოა. ჩვენ წლების განმავლობაში ვშრომობთ, ვცდილობთ, მოვიზიდოთ ფინანსები, მაგრამ, რეალურად, ქონების დაგროვებას ერთეულები თუ ახერხებენ.*

*საქართველოს ალტერნატიული მედიცინის აკადემიამ, რომელსაც პროფესორი გია სულაქველიძე ხელმძღვანელობს, აქტიური მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით ენერგობიოკორექტორ* **ნანა მამაგულაშვილთან** *ერთად. როგორც ბატონი გია ამბობს, ქალბატონ ნანას გააჩნია უდიდესი შესაძლებლობები და პოტენციალი სწორედ ბიზნესორიენტაციის საკითხებში. მას აქვს ბუნებრივი, თანდაყოლილი უნარი, ადამიანებში გააქტიუროს ფარული შესაძლებლობები, რათა მათ საკუთარი კეთილდღეობა გაიუმჯობესონ.*

**– ქალბატონო ნანა, თქვენი შესაძლებლობის შესახებ უკვე იციან აზერბაიჯანში, ისრაელში, საბერძნეთში...**

– *(იღიმება)* ძალიან მალე მივემგზავრები სუამის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მოლდავეთის, უკრაინისა და თქვენ მიერ ჩამოთვლილი ქვეყნების წარმომადგენლებიც იქნებიან და მე გავმართავ მასტერკლასებს. ჩატარდება საჩვენებელი სეანსებიც. პირველი შეხვედრები ჩემი ფენომენით აღრთოვანებულ უცხოელებთან უკვე რამდენჯერმე მქონდა. განსაკუთრებულ ინტერესს ალტერნატიული მედიცინის მიმართ აზერბაიჯანული მხარე იჩენს. მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმში ლეილა ალიევამ მიმასპინძლა და იქაც მთხოვდნენ მასტერკლასის ჩატარებას.



**მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმში ლეილა ალიევამ მიმასპინძლა და იქაც მთხოვდნენ მასტერკლასის ჩატარებას**

**– ასეთი აუცილებელია, ჩვეულებრივ ადამიანსაც ჰქონდეს ბიზნესორიენტაცია?**

– აუცილებელია. ადამიანებს ფინანსური პრობლემები იმიტომაც ექმნებათ, რომ წარმოდგენა არ აქვთ ბიზნესორიენტაციაზე. აუცილებელი არ არის, ადამიანს განსაკუთრებული ბიზნესგეგმები ან საკუთარი ბიზნესი ჰქონდეს. ჩემს სეანსებზე ისინი სწავლობენ ფულთან დამოკიდებულებას, სად არის მათი ადგილი, რატომ არ გამოსდით ის საქმე, რომელსაც, მათი აზრით, ძალისხმევას არ აკლებენ; ასევე, უწესრიგდებათ ენერგეტიკული ველი, ფსიქოლოგიური მდგომარეობა; უჩნდებათ რწმენა, ფინანსური პრობლემები ქრება... მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი დადის ასეთ სეანსებზე. საკმაოდ ბევრი მსურველი მირეკავს ისრაელიდან, საბერძნეთიდან... აზერბაიჯანში კი ხშირად მომიწევს ჩასვლა – აქ უკვე მეტი და მეტი ადამიანი ხვდება, რა არის მათი პრობლემების მიზეზი, ჩემი დახმარებით, რა თქმა უნდა.

***P.S.** მოიზიდეთ ფინანსები; ისწავლეთ, როგორ „შეუყვარდეთ" ფულს... მოიგვარეთ ეკონომიკური პრობლემები და იცხოვრეთ სიხარულით!*

**ქალბატონ ნანასთან ჩაწერა ხდება წინასწარ. ტელეფონი: 577-755-418.**

**mamagulashvili59@mail.ru**




# ბრძნული აზრები

**ჰეგელი**: აი, უდიდესი სისულელე – მოხრილი შეხვიდე ცხოვრებაში. ცხოვრების დევიზი წინააღმდეგობაა. უნდა გაიმართო, რაც შეიძლება, გამაღლდე – ვიდრე ჭერს არ მიარტყამ თავს.

**სენეკა**: უკეთურია ადამიანი, რომელიც მისდევს თავის მიდრეკილებებს და ივიწყებს თავის მოვალეობებს.

**ლოიდ ჯორჯი**: არაფერია უფრო სახიფათო, ვიდრე უფსკრულის ორი ნახტომით გადალახვის მცდელობა.

**ჯუან ძი**: ჯუან ძი და „კეთილისმყოფელი" ხიდზე შეჩერდნენ. ჯუან-ძიმ თქვა: როგორ მოსწონთ თევზებს წყალში დგაფუნი!

– შენ რომ თევზი არ ხარ, – თქვა „კეთილისმყოფელმა", – რა იცი, რა მოსწონს თევზს და რა არ მოსწონს?

– შენ რომ მე არა ხარ, – თქვა ჯუან ძიმ, – რა იცი, რა ვიცი და რა არ ვიცი?

**ჰაზმი**: ხელიდან ნუ გაუშვებ ხელსაყრელ შემთხვევას და გახსოვდეს, რომ ის ისევე სწრაფად ქრება, როგორც ელვა გაკრთება ხოლმე.

**ჰაინე**: არც ერთ ხალხში უკვდავების რწმენა არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც კელტებში – მათგან შეგეძლო, იმ პირობით გესესხა ფული, რომ საიქიოს დაუბრუნებდი.

**ჰალიფაქსი**: კანონებს რომ ხმამაღლა ლაპარაკი შეეძლოთ, უწინარეს ყოვლისა, კანონმდებლებს უჩივლებდნენ.

**ფროსტი**: განათლება არის უნარი, მოისმინო ყველაფერი და სიმშვიდე შეინარჩუნო.

**ჩომსკი**: მთელი საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგის სისტემა ძალიან დახვეწილი ფილტრია იმ ადამიანთა გამოსახშირავად, ვინც ზედმეტად დამოუკიდებელია, ვინც საკუთარ თავზე ფიქრობს, ვინც არ იცის მორჩილება და ასე შემდეგ, რადგან, ისინი ინსტიტუციებისთვის გამოუსადეგარნი არიან.

**კნიტელი**: ბებერი მაშინ ხარ, როცა წარსულში მეტ სიხარულს ხედავ, ვიდრე მომავალში.

**ციცერონი**: სოკრატეს სიბრძნე ის იყო, რომ, იგი არ ფიქრობდა, რომ იცოდა ის, რაც არ იცოდა.

**დემოკრიტე**: არა სხეულის ძალა და ფული შეიქმს ადამიანებს ბედნიერად, არამედ, სიმართლე და მრავალმხრივი სიბრძნე.

**რესკინი**: კეთილი საქმე არ შეიძლება ჩაიდინო სიძულვილით, ან, მით უმეტეს, ანგარებით. მას მხოლოდ სიყვარული ჩაგადენინებს.

**ბიორნე**: სინანული არის გონიერება, რომელიც გვიან მოდის.

**პანტი**: კანონს, რომელიც ჩვენს არსებაში ცოცხლობს, სინდისი ეწოდება.

**მიუსე**: სიცოცხლე არის ძილი, ხოლო მისი სიზმარი – სიყვარულია. თუ გყვარებია, ესე იგი, გიცოცხლია.

**ნიცშე**: ქალში ძალიან დიდხანს იმალებოდა ტირანი და მონა. ამიტომ, მას არა მეგობრობა, არამედ, მხოლოდ სიყვარული შეუძლია.

**შოუ**: თუ ქალები, მორალური და ფიზიკური თვალსაზრისით, მამაკაცებივით პრეტენზიულები იქნებოდნენ, კაცობრიობა გადაშენდებოდა.

# თუ გაქვთ იცნობ... თუ გამოიცნობთ

1. მისი სახელიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად ფიქრობენ, რომ ის ჩინელებმა გამოიგონეს. სინამდვილეში კი ამ სახელის პირველი ნაწილი ინგლისური სიტყვა chain-იდან, ანუ „ჯაჭვიდან" მოდის, რადგან, მისი აწყობისას გათვალისწინებულია, რომ ერთის დასასრული მეორის დასაწყისია. **დაასახელეთ ამ სახელის შემადგენელი მეორე სიტყვა.**

2. დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ, ადამიანთა გარკვეული კატეგორია, მაგალითად, ორთოდოქსი მუსლიმანები, ამას არ აკეთებენ; ასევე, არ აკეთებენ ამას მართლმადიდებელი ღვთისმსახურები. თუმცა, ბიბლიური პერსონაჟები ასე იქცეოდნენ დიდი გლოვის დროს. **რას აკეთებდნენ?**

3. 1978 წელს, არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატისთვის, რამდენიმე ინგლისელს სთხოვეს, დაეწერათ ჰიმნი ინგლისელი გულშემატკივრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი იმ წელს ჩემპიონატში საერთოდ ვერ მოხვდა, ეს ოპტიმისტური სიმღერა მთელი მსოფლიოსთვის დღესაც ერთ-ერთ საყვარელ სიმღერად რჩება. **რომელი?**

4. სხვის პროგრამაში საიდუმლოდ შეჰყავთ ბრძანებები, რომლებიც ჰაკერს საშუალებას აძლევს, ამ კომპიუტერის მფლობელის შეუმჩნევლად, სულ სხვა დავალებები შეასრულოს; ამასთანავე, ძირითად პროგრამას შენარჩუნებული აქვს ძველი შრომისუნარიანობა. **რა ჰქვია ამ სახის კომპიუტერულ დანაშაულს?**

5. სამკუთხედი ქუდი მეთვრამეტე საუკუნეში წარმოიშვა სამხედრო შლაპიდან, რომელსაც გვერდები შეუკეცეს. **რა გახდა ამ ცვლილების მიზეზი?**

6. ადამიანის ორგანიზმის 75 პროცენტი წყალია, სისხლში კი წყალი 90 პროცენტია. **დაასახელეთ, რა არის ადამიანის ორგანიზმში ყველაზე „მშრალი"?**

7. საჩხაკუნოები ძველ ევროპაშიც იყო, მათ ხარის ბუშტისგან ამზადებდნენ. **რას ყრიდნენ შიგ, რომ ხმა გამოეცა?**

8. ბოლო დროს ბევრ ქვეყანაში ტურისტულ რუკებზე ფეხით მოსიარულეთათვის მარშრუტები ოტელიდან დასათვალიერებელ ობიექტებამდე მითითებულია არა კილომეტრებში, არამედ... **რა განზომილებაში?**

9. ეკონომიური იაპონელების მთავრობამ მოუწოდა მოსამსახურეებს, ზაფხულში სამუშაოზე გასულიყვნენ პიჯაკებისა და ჰალსტუხების გარეშე. **დაასახელეთ, ამით რაზე აკეთებენ ეკონომიას იაპონელები?**

10. პირამიდა სახურნის კედლებზე გამოსახულნი არიან ადამიანები მუშაობის პროცესში. მათი სამოსი საცურაო კოსტიუმს მოგაგონებთ, ოღონდ, უკანა ნაწილზე ტყავის ნაჭრებით. **რა პროფესიის არიან ეს ადამიანები?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ბანგკოკი ყველაზე ცხელი ქალაქია პლანეტაზე – მსოფლიოს მეტეოროლოგების მონაცემებით, საშუალო წლიური ტემპერატურა 28 გრადუსია. მას ყველაზე გრძელი ოფიციალური სახელი აქვს, რომელიც ლათინური ანბანის 147 ასოსგან შედგება. ბანგკოკშია, ასევე, მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაზარი – „ჩატუ ჩაკი".

* ერთ-ერთ ენციკლოპედიაში რეკლამას „ტექნიკური პროგრესის ბორბლებს" უწოდებენ. უფრო ცნობილი განსაზღვრება მისცა მას მეცხრამეტე საუკუნეში ლუდვიგ მეტცელმა, რომელმაც რუსეთში პირველი სააგენტო გახსნა: „რეკლამა – ვაჭრობის ძრავა".

* საბედისწერო მხოლოდ ბერმუდის სამკუთხედი არ ყოფილა, ირკუტსკის აეროპორტს პილოტებმა „შავი სამკუთხედი" უწოდეს, რადგან აქ მოკლე დროში 5 დიდი ავიაკატასტროფა მოხდა.

* ლათინურ ანბანში ასო W არ იყო...

* რაიხსტაგის აღებას 2 500 საბჭოთა მებრძოლი და დაახლოებით ამდენივე გერმანელი სამხედრო შეეწირა. ბრძოლა 13 აპრილიდან 2 მაისამდე მიმდინარეობდა.

* 1299 წელს ბურსას აღებით, რომელიც ბიზანტიას წაართვა, ოსმან გაზმა საფუძველი ჩაუყარა ოსმანთა იმპერიას, რომელმაც დაახლოებით ექვსი საუკუნე იარსება. 1922 წელს იმპერია ათა-თურქმა გააუქმა და თურქეთი რესპუბლიკად გამოაცხადა.

* ინტერნეტმაღაზიებში გამოჩნდა კომპანია „ჰასბროს" მიერ შექმნილი მაღვიძარა... სამიზნით – გაგაღვიძათ?! ესროლეთ!

* გასული საუკუნის ბოლოს აერობიკის ახალი სახეობა გაჩნდა – აკვააერობიკით დაკავებული იყვნენ ის ადამიანებიც კი, ვისაც ხერხემლის ტრავმა ჰქონდათ გადატანილი. მოვარჯიშეები წყალში თავდაღმა დგებოდნენ და ცდილობდნენ, ხელები არ გაეშვათ ზემსუბუქი მასალის ჰანტელებისთვის.

* სოციოლოგების კვლევის გათვალისწინებით, ცოლ-ქმრის გაყრის ყველაზე ხშირი მიზეზი მადაგასკარზე არის ხანგრძლივი მივლინება, იტალიაში – ქალის სახლში იძულებით „ჩაჯდომა", ჩინეთში – ჭორები...

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ეe4-e7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ქმარი კურორტზე მარტო წავიდა დასასვენებლად. ერთი კვირის შემდეგ ცოლს ესემესი მოუვიდა:

„ძვირფასო, იცოდე, მხოლოდ შენ მიყვარხარ“.

„საყვარელო, ჯერჯერობით, შენც ყველას ჯობიხარ“, – პასუხი გაუგზავნა ცოლმა.

***

შეყვარებულები წაიჩხუბნენ.

– პრინცები არ არსებობენ, ჩვენამდე მხოლოდ ცხენები აღწევენ! – თქვა გოგომ.

– საქმე ისაა, რომ პრინცები პრინცესებთან მიდიან, ცხენები კი – ცხენებთან, – უპასუხა ბიჭმა.

***

სახლში ტრუსებით სიარულს ბევრი პლუსი აქვს: მოხერხებულია, თავისუფლად მოძრაობ, არაფერი გაწუხებს, გრილა... თუმცა, მინუსიც ახლავს – ზარი კარზე...




***

თქვენ ბრალი გედებათ პიროვნების შეურაცხყოფაში – ეს პოლიტიკოსი მეძავისთვის შეგიდარებიათ.

– და, რომელი ჩივის?

***

ტელეფონისტ-ოპერატორი:

– ეს ნომერი არ პასუხობს!

– როგორ, სულ?

– არა, პირველი სამი ციფრი პასუხობს, დანარჩენი კი დუმს.

***

– ფილა გინდა? – ეკითხება სიძე სიდედრს.

– შოკოლადის?

– არა, საფლავის...

***

– ყველანი ადგილზე დარჩით და არ გაინძრეთ!

– ეს ძარცვაა?

– არა, ჯგუფურ სურათს გიღებთ!

***

ჭიჭიკია საზოგადოებრივ ტუალეტშია. შედის ტიპი და ხმამაღლა ამბობს:

– დაკავებულია?

– კი...

– ნამდვილად დაკავებულია?

– არა, ავტომოპასუხე დააყენეს...

***

ტიპი ცალი ფეხსაცმლით მიდის.

– მეორე დაკარგე?

– არა, ვიპოვე...

***

ძალიან მიყვარს ტყუილის მოსმენა... როცა სიმართლე ვიცი.

***

– ზური, შვილო, ამოდი აგარაკზე – ცივი ლუდი, ხინკლები, მუსიკა, გოგოები...

– მამი, მორჩი რა, მეორედ მაგ ანკესზე არ წამოვეგები, ველარ მომატყუებ – ბარი და თოხი ჩემი საქმე არ არის!

***

გამოცდაზე:

– როგორ, ილია არ გაგიგია?

– არა.

– აკაკი?

– არც აკაკი?

– ვაჟა?

– რომელი ვაჟა?

– თავისუფალი ხარ, გამოცდა ვერ ჩააბარე!

– ე, გეყოფა... შენ შავი ზაურა იცი? ცაცია ლადო? არც კაპეიკა გეცოდინება... აბა, რას მეკაჩავები და მაშინებ, ძმაო?!

***

– ეჰ, რა კარგია ბუნებაში – კარავი, კოცონი, ნაკადული, სუფთა ჰაერი, დათვი... დათვი?!




***

ცოლი მივლინებაში მიდის.

– აბა, ახლა, იქ არ იმაიმუნო...

– რა სისულელეა! ნუ ნერვიულობ...

იფიქრა ქმარმა და გადაწყვიტა: მუცელზე ტრაქტორს დავახატავ, როცა ჩამოვა, შევამოწმებ, თუ წაშლილი იქნება, ესე იგი, მიღალატაო... და, ასეც მოიქცა.

ქალმა ჩასვლისთანავე მონახა პარტნიორი და კარგადაც გაერთო... ოღონდ, წამოსვლისას შეამჩნია, რომ ტრაქტორი აღარ არის... დავილუპეო, უთხრა საყვარელს.

– ნუ გეშინია, მე მყავს ნაცნობი მხატვარი, როგორსაც გინდა, ისეთს დაგახატავს.

მოვიდა მხატვარი და დაიწყო ხატვა, თან ქალს ეკითხება, როგორი იყო:

– ბოლი ამოდიოდა?

– მგონი, კი...

– კაბინაში ტრაქტორისტი იჯდა?

– თითქოს იჯდა...

დაბრუნდა ქალი მივლინებიდან და, შეხვდა თუ არა ქმარს – ამაყად აიწია მაისური ნახე შენი ტრაქტორიო. ქმარი გაშტერდა:

– ვა, როგორ უმუშავიათ, ტრაქტორიც კი დაუქოქიათ, ჩემი!

***

ქმარი შინ გვიან დაბრუნდა. კართან ცოცხმომარჯვებული ცოლი დახვდა.




– შემოსასვლელს გვი თუ სადმე გაფრენას აპირებ?

***

თუ თქვენ ორმოს გითხრიან, ნუ შეუშლით ხელს – აუზს გააკეთებთ.

თუ თქვენ ზურგში გირტყამენ, ესე იგი, თქვენ წინ ხართ.

თუ ძვლებს გიმტვრევენ, გიხაროდეთ – ოსტეოქონდროზი არ გემუქრებათ.

***

დიალოგი სასამართლო დარბაზიდან:

– შეგიძლიათ, მისი გარეგნობა აგვიწეროთ?

– საშუალო სიმაღლის, შავი ულვაში და წვერი ჰქონდა, ხუჭუჭა თმაში კი ჭაღარა ჰქონდა შერეული...

– ქალი იყო თუ მამაკაცი?!

***

ქმარი შუაღამისას დაბრუნდა შინ. ცოლი საწოლშია და თავს აჩვენებს, თითქოს სძინავს. ქმარს მიაქვს სკამი, წინ უჯდება და დასცქერის. ქალმა თავი ვერ შეიკავა და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– კონცერტი როცა დაიწყება, პირველ რიგში მინდა ვიჯდე...

***

– ო, ვხედავ ჩვენ რომანტიკული საღამო გვექნება – სანთლები, ზეთი...

– რომანიჩ, დახურე კაპოტი!

# როგორ მოხსნა ნომრები ლოყებღაჟღაჟა ინსპექტორმა გივი ბერიკაშვილის მანქანას

მარჯანიშვილის თეატრის წინ შემოულობავი, მაგრამ, „დაკანონებული“ პატარა მოედანი იყო, სადაც მსახიობები აყენებდნენ ფერად-ფერად „ჟიგულებს“.

1987 წლის ზაფხულია. საქმეზე მივდიოდი და შემთხვევით გავიარე თეატრთან. შუადღის ოთხი საათია. დილის რეპეტიცია მოთავებულია და, მოულოდნელად, ავთო მიქაძე „გამეჩითა“ – ძმა და მეგობარი.

მიყუდებულია ზურგით „ნივაზე“ და ზარმაცად აკნატუნებს მზესუმზირას, ზრდილობიანად...

– ქართველთა სიამაყეს, კაცურ კაცს! – შევაგებე ხელი ავთოს ხელს.

– საით? – დაინტერესდა.

– იქით... – ვანიშნე „ნაბერეჟნისკენ“, – პაწა საქმე მაქვს.

ავთო მოულოდნელად „დასერიოზულდა“.

– სოსოს ველოდები, გოგიჩაიშვილს, უნდა მოვიდეს აგერ-აგერ... შენ არსად დაიკარგო, პანტიანში მივდივართ ხინკალზე და შენი ადგილი გვაქვს მანქანაში.

პანტიანის ხინკალი მაშინ მაგარ მოდაში იყო, დიიიდი და იაფი (20 კაპიკი).

– მივალ და ხუთ წუთში მოვბრუნდები, – დავაიმედე.

– დავაი, აბა, გელოდები...

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული და ფეხებთან ინსპექტორის ყვითელი, ატრახტრახებული („გაი“) მოტოციკლი გაქვავდა. 180-კილოიანმა (დაახლოებით!), ლოყაღაჟღაჟა ინსპექტორმა ძლივს გადმოაბიჯა „უნაგირიდან“ და ხვნეშით მოგვადგა:

– რათა დგას მანქანაი ორი ბორბლითა ბორდიურზე და მეორე ორი ბორბლითა სავალ ნაწილზე? – დაუსვა „ნივაზე“ მიყუდებულ ავთოს კითხვა.

მაშინ „ნიანგში“ ვმუშაობდი და საბუთი უნდა ამომეღო, მაგრამ, ავთომ თვალებით გამაჩერა.

– დგას, რა... მსახიობები ვართ. რა მოხდა, არ შეიძლება?

– რა თქმა უნდა, არ შეიძლება... „პაპკა“ შეათამაშა ხელში ინსპექტორმა. ავთოს, გარდა მსახიობობისა, სხვა ბევრი დამსახურება ჰქონდა ქალაქში, წონა და სიტყვის უფლება, მაგრამ, ინსპექტორი, როგორც მივხვდით, „ახალი




ცოცხი“ იყო და, „ცოცხავდა“ თავისებურად, რა...

– ნომრებს რო მოგიხსნი, მერე ნახაე შენა! მამე პრავაი!

– არა მაქ პრავაი, – ოდნავ ირონია შეეპარა მიქაძეს.

– მაშინ, გიხსნი ნომრებსა... – გადავიდა შეტევაზე მსუქანა.

– დავაი! – მანქანას მოშორდა ავთო და ასპარეზი დაუთმო.

ასე ადვილ გამარჯვებას კი ნამდვილად არ ელოდა მომხდური, მაგრამ, სიტყვა აღარ გატეხა, „კალიასკიდან“ ჩხარუნით ამოიღო „კლუჩებიანი“ ჩანთა. ხვნეშით ჩაიჩოქა და გულმოდგინედ შეუდგა წინა ნომრის მოხსნას.

მოაწვა სისხლი გაბუთქუნებულ სახეზე, გადაასკდა ტონა ოფლი და, მოხსნა, როგორც იქნა, წინა ნომერი „ახლა ნახე შენას“ ძახილით.

უკანა ნომრის მოხსნა ძალიან გაუჭირდა: ორი ვინტი ათ წუთში მოაჯახირა, მესამე გაუჯიუტდა – ვერ ხსნის.

ძლივძლიობით წამოდგა – საცოდავ დღეშია, გაილუმპა ოფლში.

– არა უშავს... იმ წინასა წავიღებ და ხვალ მობრძანდები ინსპექციაში, – დაემუქრა ავთოს.

– ინსპექციაში რა მინდა? – ეკითხება ეს – ჩემი ავთო, გაოცებული.

– ნომერი რომ გამოიხსნა.

– მე რა შუაში ვარ?.. ეს ჩემი მანქანა არ არის, ჩემი მანქანა ეგერ, იქ, კედელთან დგას...

ინსპექტორს იდიოტივით გაეღიმა, მაგრამ მყისვე „დაინსპექტორდა:“

– აბა, ვისია?

შეკითხვა დამთავრებული არ ჰქონდა და თეატრიდან გივი ბერიკაშვილი გამორბის ყვირილით:

– შე ტარტაროზო შენა! ვის უხსნი ნომრებს?!, არა, ვის უხსნი ნომრებს, შე გიტლერო! აბა, გამასწარი ახლაა!!!

მსუქანას მოწითალო-ლურჯი ფერი დაედო.

– თქვენია, ბატონო გივი, ესა? – ანიშნა „ნივაზე“.

– არა, ბიჭო, ბაბუაშენ ქიშვარდასი...

– მაპ.. მაპატიეთ, ბატონო გივი... – ამოილუღლუღა და ჩაიჩოქა, რომ ნომრები ისევ მიაკრას...

აქაც გვარიანად იწვალა.

როგორც იქნა, წამოდგა და ავთოს ცალი წარბი აუწია.

– შენა გგონია, შენ არ ჩამივარდები ხელში? აბა ეხლა ის მითხარი, – არ იტეხს იხტიბარს, – შენი მანქანა მთლად უზადოა?

– ხანდახან ამირანა ბუაძის მანქანასთან ერთად პაპიროსს ეწევა ბუჩქებში, – გადაიხარხარა ავთომ.

ინსპექტორი აშკარად „ცაიტნოტშია“.

– ჩამივარდები ხელში! – მიაძახა ავთოს, გადაებლოტა იმ საწყალ მოტოციკლს და უსაშველო ბოლი დააყენა.

ასეა, „ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირი დაამტვრიესო.“ ისე კი, მორალი არც მაშინ იყო საქართველოში...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ გააკეთა „ფეისბუქზე“ ჩინელმა ბიჭმა ჯგუფი: „ჩინელები საქართველოში“

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს. ჩემთან სიახლე ის არის, რომ ძალიან გამიტაცა ინტერნეტმა და დიდი მონდომებით ვეცნობი ახალ ამბებს.

გუშინ „ფეისბუქში“ ფოტო დავდე, ჩვენმა ნათესავებმა „დამილაიქეს“ და უკვე 2 000 ლაიქი აქვს. ფოტოზე მე, ლამზირა და ჩვენი შვილი ვართ შუშის ხიდზე გადაღებული. აქ ყველა ასე იღებს ფოტოებს და ჩვენც ასე გადავწყვიტეთ. საერთოდ, ვცდილობთ, ყველანაირ ინტერნეტ-მოდას ავყვეთ. ლამზირა მაძალებდა, ტუალეტში გადაღებული ფოტოებია მოდაში და შენც დადეო. მე ძალიან არ მინდოდა, მაგრამ, ლამზირა ძალიან ჯიუტია. მეც ავიღე და დავდე და მას შემდეგ ერთი კვირაა, ლამზირა ხმას არ მცემს. მე რა ვიცოდი, როგორ სურათებს დებდნენ სხვები, ახლა კი ვიცი და ძალიან მრცხვენია, ის ფოტო კი წავშალე. ლამზირა მთელი მონდომებით მისდევს ქართულ ინტერნეტ-მოდას. ძალიან ძვირიანი ტელეფონი მაყიდვინა თავისთვის და ამის გამო ერთი კვირაა, საჭმელი არ გვაქვს სახლში, სამაგიეროდ, ლამზირას „ფეისბუქის“ გვერდი სავსეა მისი ტუჩებგამობზეკილი ფოტოებით. ერთ რამეს დავაკვირდი კიდევ: ქართველები ფოტოს გადაღებისას რაღაცნაირად იცინიან, გოგოები თვალებს ქაჩავენ და ვითომ სექსუალურ გამომეტყველე-




ბას იღებენ, ბიჭები კი კრიმინალებივით ან ძალიან სოლიდური ბიზნესმენებივით გამოიყურებიან.

„ფეისბუქი“ ქართველებისთვის ნამდვილი სამოთხეა. აქ შეუძლიათ, იმდენი იგინონ, რამდენიც გაუხარდებათ და არც არავინ უშლის ხელს. აგინებენ მთავრობას, ტელევარსკვლავებს, მეზობლებს და ხშირად საკუთარ თავსაც კი. როგორც ადრე მოგწერე, საქართველოში საკუთარ დედას თუ არ აგინებ ლაპარაკის დროს, დაბალ დონედ ითვლება. დედა, მე არ ვიგინები, თუმცა, ქართველები იმდენს მაგინებენ, ჩემი დამატება აღარ სჭირდება.

ძალიან სახალისოა ქართველი ტელევარსკვლავების ჩხუბი „ფეისბუქით“ – ესეც ახალი ტენდენციაა და ხალხი ძალიან ერთობა იმისი წაკითხვით, თუ როგორ ლანძღავენ ერთმანეთს პატივცემული ქალბატონები. ისინი ერთმანეთს უწუნებენ გარეგნობას, ჩაცმულობას, ქმრებს, მანქანებს და ასე შემდეგ.

დედა, „ფეისბუქში“ ჯგუფი გავაკეთე – „ჩინელები საქართველოში“ და უკვე ოცი ათასი ადამიანია გაწევრიანებული, სულ ჩინელები, თუმცა ხანდახან ყურადღება თუ მოვადუნე, ქართველიც შემოიპარება ხოლმე და ჩვენს ჯიშსა და ჯილაგზე რაღაც უცნაურობებს წერენ.

დედა, სან ხაოს უთხარი, ბოლო ფოტო დამილაიქოს, მანდ არ ჩამომიყვანოს, თორემ, გავგლეჯ შუაზე მაგ ყოყოჩობისთვის.

ჯერჯერობით ეს არის სულ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**